

K 130.019
3



თენგიზ ჩხეიძე

საუთღისწულო
ძამუღები
კახეთში



030(010-1968



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმი
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ
ИМ. АКАД. С. ДЖАНАШИЯ



1968

Т. Б. ЧХЕИДЗЕ



**УДЕЛЬНЫЕ ИМЕНΙΑ В КАХЕТИИ
1885—1921 гг.**

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“
ТБИЛИСИ
1968

თ. ჩხეიძე

საუფლისწულო მამულადი კახეთში
1885—1921 წწ.

K 130.019
3

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1968



საქართველოს ისტორია 3-206

სოფლის მეურნეობის ისტორია საქართველოში



9 (C 41)
9 (C 922) „18“ + 9 (C.922) „19“ + 3381 (C.922) (09)
4-971

ნაშრომი წარმოადგენს კახეთის საუფლისწულო მამულების წარმოქმნისა და განვითარების ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას. მასში ნაჩვენებია ფეოდალური მეურნეობის კაპიტალისტურ მეურნეობად გარდაქმნის პროცესი.

საგლეხო რეფორმის შემდეგ მემამულეებმა დაკარგეს იაფი მუშახელი და დაიწყეს მეურნეობის წარმოების ახალი გზების ძებნა. ერთმა ნაწილმა გადასწყვიტა თვითონ გასძლიოდა თავის მეურნეობას, შეეგუებინა იგი ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობისათვის. მემამულეთა დიდი ნაწილი იძულებული იყო თავისი მამული გაეცა იჯარით, დაეგირავებინა ან გაეყიდა.

მემამულური მეურნეობისაგან განსხვავებით კახეთის საუფლისწულო მამულებში ყველაზე უფრო იოლად დაინერგა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ახალი აგრარული ურთიერთობანი.

კახეთის საუფლისწულო მამულებში მხოლოდ დაქირავებული მუშახელით აწარმოებდნენ მეურნეობას. საუფლისწულო უწყებამ კოლოსალური თანხები დააბანდა წარმოებაში, რომელსაც თავიანთი სასაქონლო პროდუქციის წარმოებით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მხარის ეკონომიკაში.

სკპგ-2000
შემოწმებულია

15523 ირ

2912

-79

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გააშუქოს წინანდლის საუფლისწულო მამულის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, აჩვენოს ფეოდალური მეურნეობის კაპიტალისტურ მეურნეობად გარდაქმნის პროცესი, ამ უკანასკნელის უპირატესობა ბატონყმურ მეურნეობასთან შედარებით და მისი როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე სუსტადაა შესწავლილი XIX საუკუნის საქართველოს სოფლის მსხვილი მეურნეობები, რომლებიც ფეოდალური მეურნეობიდან მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობებად გარდაიქმნენ. აღნიშნული მეურნეობების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ სოფელში კაპიტალიზმის განვითარებისა და მისი დამახასიათებელი ნიშნების დასადგენად.

ჩვენს გამოკვლევაში ვეყრდნობით იმ საარქივო მასალებს, რომლებიც დაცულია ლენინგრადისა და თბილისის ცენტრალურ ისტორიულ არქივებში. სამტრესტის არქივსა და თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

1897 წელს რუსეთის საუფლისწულო მამულების დეპარტამენტს არსებობის 100 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით გამოვიდა საიუბილეო წიგნი „Столетие уделов, 1797 — 1897“ (სანკტ. პეტერბურგი, 1897).

წიგნის შესავალ ნაწილში მოცემულია საუფლისწულო მამულთა დეპარტამენტის შექმნის მიზანი, დახასიათებულია ევროპის ქვეყნებში არსებული საუწყებო დეპარტამენტები და შედარებულია ისინი რუსეთის საუფლისწულო მამულების დეპარტამენტთან.

I და II თავი ეხება საერთოდ რუსეთის იმპერიაში არსებულ საუფლისწულო მამულებს. აქ დაწვრილებითაა მოთხრობილი მათი

საქმიანობისა და როლის შესახებ, სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

III თავში აღნიშნულია, რამდენი დესეტინა მიწა გადავიდა საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის ხელში; ეს მიწა განაწილებული იყო 36 გუბერნიაში; 1897 წელს საუფლისწულო მამულს ეკირა 790000 დესეტინა მიწა¹.

რეფორმამდე, 64 წლის მანძილზე, საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა გლეხობისაგან ღალის სახით მიიღო 119 მილიონი მანეთი.

რეფორმის შემდეგ ნადელები გლეხებს 49 წლის მანძილზე უნდა გამოესყიდათ. ერთი დესეტინა მიწა შეფასებული იყო 12 მან. და 28 კაპ. კომლის ერთ სულზე საშუალოდ მოდიოდა 3 მან. და 54 კაპ.

წიგნის IV თავში ლაპარაკია იმ ღონისძიებებზე, რომლებიც რეფორმამდელ ხანაში საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა მესაქონლეობის, მებაღეობის, მემინდვრობისა და სხვ. დარგების განვითარებისათვის ჩაატარა. აქვეა მოთხრობილი რიგი სახელოსნო სასწავლებლის დაარსების ისტორია.

V თავში აღწერილია რეფორმის შემდეგდროინდელი სოციალ-ეკონომიური ძვრები. თუ რეფორმამდე საუფლისწულო მამულში საიჯარო შემოსავალს ბოლო ადგილი ეკავა და მისი წლიური შემოსავალი 65 ათას მანეთს უდრიდა, რეფორმის შემდეგ იგი ნახევარ მილიონამდე გაიზარდა, ხოლო 1897 წელს 6 მილიონ მანეთს შეადგენდა. ამასთანავე, თუ ადრე იჯარით 150 ათასი დესეტინა მიწა იყო გაცემული, 1896 წელს ეს ციფრი 2 მილიონამდე გაიზარდა².

80-იანი წლებიდან მოყოლებული საუფლისწულო მამულის დეპარტამენტი სისტემატურად აწყობდა საიჯაროდ გასაცემ ფერმებს. რომელთა ფართი 100-დან 1000 დესეტინამდე მერყეობდა. ფერმაში მეურნეობის საწარმოებლად საზღვარგარეთიდან იწვევდნენ სპეციალისტებს.

მაღე საუფლისწულო მამულებში განვითარდა საქარხნო, საფაბრიკო და სამრეწველო წარმოება, საიდანაც საუფლისწულო მამულების სამმართველო დიდ შემოსავალს იღებდა³.

¹ Столетие уделов, 1797—1898, 1897, სანკტ. პეტერბურგი, გვ. 28—29.

² იქვე, გვ. 57.

³ Столетие уделов, 1797—1897, 1897, სანკტ. პეტერბურგი, გვ. 60.



მომდევნო VI თავი მთლიანად დათმობილი აქვს ტყესა და მეურნეობას, მის მნიშვნელობას საუფლისწულო მამულებში რკინიგზებისა და ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობისათვის. აქვე საუბარია დიდ შემოსავალზე, რასაც ტყე აძლევდა საუფლისწულო მამულების დეპარტამენტს⁴.

წიგნის VII თავში აღწერილია დეპარტამენტის მიერ მრეწველობის გასავითარებლად ჩატარებული სამუშაოები. 1797 წელს პეტერბურგში აშენდა ტრიკოტაჟის ფაბრიკა, 1818 წელს ქალაქის ფაბრიკა, 1885 წელს კი — შაქრის ჭარხლის ფაბრიკა, რომელსაც 43000 დესეტინა მიწა ეჭირა⁵. მრავალი ფაბრიკა და ქარხანა აშენდა მომდევნო წლებშიც.

1894 წელს საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა ჩაქვში მოაწყო მეურნეობა, სადაც ხელი მიჰყო ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების წარმოებას (ბამბუკი, რამი, საქალაღე და ა. შ.) 1897 წელს ამ მეურნეობაში უკვე 20 დესეტინაზე დაირგა ჩინური ჩაი. ჯერ კიდევ 1895 წელს საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა ჩინეთსა და იაპონიაში გაგზავნა თავისი წარმომდგენლები ჩაის საქმის შესასწავლად.

60-იანი წლებისათვის საუფლისწულო უწყების მიწებზე ერთი ძირი ვაზიც კი არ მოიპოვებოდა. ამ საქმეს დეპარტამენტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. 1860 წელს ყირიმში და ნოვოროსისკის ახლოს შეიძინეს მევენახეობის დიდი მეურნეობები „ლივადია“ და „აბრაუ“.

1886 წელს დეპარტამენტმა შეიძინა თავად ალ. ჭავჭავაძის მამული ფართობით — 13,5 ათასი დესეტინა. აღნიშნული მამულის საუფლისწულო უწყებაში გადასვლის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა ვაზის მეურნეობა და ღვინის დაყენების ტექნოლოგია.

1889 წელს თავად ს. ვორონცოვისაგან დეპარტამენტმა ყირიმში შეიძინა „მასანდრისა“ და „აიდანილის“ მამულები. მამულებთან ერთად დეპარტამენტის ხელში გადავიდა ვორონცოვის სავაჭრო ფირმა, რომელიც დიდძალ ღვინოს იძენდა, აძველებდა და ჰყიდდა ბაზარზე.

⁴ იქვე, გვ. 65—74.
⁵ იქვე, გვ. 76—80.



1896 წელს საუფლისწულო მამულების ღვინის ქარხნებში⁶ ზადებდნენ და ბაზარზე გაჰყონდათ ორ მილიონამდე ღვინო.⁶

საიუბილეო წიგნის ავტორები ამტკიცებენ, თითქოს საუფლისწულო მამულების დეპარტამენტი ცდილობდა გლებთა მდგომარეობისა და მათი მეურნეობის გაუმჯობესებას. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს ასე არ იყო.

ამრიგად, საიუბილეო ნაშრომი, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებისა, ნათელ წარმოდგენას იძლევა საუფლისწულო დეპარტამენტის მიერ 100 წლის მანძილზე ჩატარებულ სამუშაოზე. აქ მოყვანილი ცნობები უდავოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ნაშრომისათვის.

თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ნ. ჩახვაშვილის ნაშრომი: „მუშათა გაფიცვები კახეთის საუფლისწულო მამულებში“ (1948 წ.), რომელიც ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს. ნაშრომი ნათელ წარმოდგენას იძლევა კახეთის საუფლისწულო მამულებში 1905—1907 წწ. მუშათა გაფიცვებისა და რევოლუციური მოძრაობის შესახებ.

საყურადღებოა აგრეთვე ა. ბარამიას მიერ ნაფარეულის მეურნეობაზე შეკრებილი მასალები, რომელიც ამავე მუზეუმშია დაცული.

ინტერესს იწვევს მუკუზნის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში დაცული მასალები.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შესწავლას და აგრარულ ურთიერთობათა გაშუქებას რევოლუციამდელ ისტორიო-გრაფიაშიც ეკავა გარკვეული ადგილი. აღნიშნული საკითხის შესწავლას დიდი ყურადღება მიაქციეს საბჭოთა მეცლევარებმა. გამოქვეყნდა პ. გუგუშვილის, ა. კიკვიძის, ი. ანთელავას, ზ. ანჩაბაძის, ვ. მოჩალოვის, ი. მირცხულავას, ე. ხოშტარიას, ი. უთურაშვილის, პ. რატიანის, ა. ბენდიანიშვილის, დ. გოგოლაძის და სხვათა ნაშრომები, რომლებშიც ფართოდაა გაშუქებული საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების სხვადასხვა საკითხი.

პ. გუგუშვილის ნაშრომები ეხება საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების საკითხებს. დიდი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, მის მიერ 1956 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფი-

⁶ Столетие уделов 1797—1897, гг. Санкт. Петербург, вв. 80—85.



ას — „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX — XX სს“. სხვა პრობლემებთან ერთად, ავტორს ამ ნაშრომში გაშუქებული აქვს მიწათმფლობელობის, მიწის იჯარის, მამულების დავალიანების, სავაჭრო მიწათმოქმედებისა და სხვა საკითხები.

როგორც ვიცით, რეფორმის შემდეგ მემამულეთა მიწების დამუშავება იჯარის საშუალებით ხდებოდა. იჯარა უზრუნველყოფდა მეურნეობას მუშახელით. გარდა იმისა, რომ იჯარა კაპალურ მდგომარეობაში აყენებდა გლეხობას, იგი უარყოფით გავლენას ახდენდა საერთოდ მიწათმოქმედების განვითარებაზე⁷.

პ. გუგუშვილს შესწავლილი აქვს როგორც მოკლევადიანი (1—3 წ.), ასევე გრძელვადიანი (3 წ. ზევით) იჯარა. აქ ხაზგაუმიტაა აღნიშნული, რომ სანაშენო იჯარის დროს ვაზის გამშენებელს ვენახის ნახევარი საკუთრებად რჩებოდა⁸. ამასვე აღნიშნავენ ა. ბენდიანიშვილი და კ. ბაბილოძე.

წინანდლის საუფლისწულო მამულის ხასიათის გარკვევამ ჩვენთვის აშკარა გახადა, რომ იჯარის საკითხი აქ სულ სხვაგვარად იყო დაყენებული.

წინანდლის საუფლისწულო მამულში სანაშენო იჯარას არ იყენებდნენ, რადგან დეპარტამენტის მიზანი იყო არა გაშენებული ვენახის გასხვისება, არამედ საკუთარი მევენახეობის გაფართოება. როგორც შემდეგში დავინახავთ, კახეთის საუფლისწულო მამულში მოკლევადიანი იჯარის საშუალებით ხდებოდა მხოლოდ უვარგისი მიწების სავარგულედ გადაქცევა და იქ ვაზისა და ხეხილის გაშენება.

პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ მოკლევადიანი იჯარა ფიტავდა მიწას, ჩვენ ამას ვერ ვიტყვით საუფლისწულო მამულში არსებულ იჯარაზე. აქ იჯარით გაიცემოდა ყამირი, ტყითა და ბუჩქნარით დაფარული მიწები; ცხადია, ასეთი მიწები სამ წელიწადში არ გამოიფიტებოდა.

რაც შეეხება იმას, რომ იჯარა მუშახელით უზრუნველყოფდა მეურნეობას, ეს სავსებით დასტურდება საუფლისწულო მამულების მაგალითზე. პ. გუგუშვილი ეხება ზიზნების საკითხს, რომლე-

⁷ საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX — XX სს., 1956, გვ. 675.

⁸ იქვე, გვ. 678.



ბიც რეფორმის შემდეგ „დროებითვალდებულ“ გლეხებად გადაქცნენ. ცნობილია, რომ თავადაზნაურობა სასტიკი წინააღმდეგობით იყო გლეხთა თავის დახსნისა. საუფლისწულო მამულების სამმართველო კი პირიქით, დაინტერესებული იყო თავი დაეხსნათ იმ გლეხებს, რომლებიც საუფლისწულო მამულების ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ⁹.

პ. გუგუშვილი ყურადღებას აქცევს მიწის ფასსა და მამულების დავალიანების საკითხებს¹⁰.

რეფორმის შემდეგ იმატა მამულის გამოსყიდვის შემთხვევებმა და საგრძნობლად აიწია მიწის ფასმა, მიუხედავად ამისა, საუფლისწულო მამულების დეპარტამენტს არ გასჭირვებია შეეძინა დიდძალი ნაკვეთები და მოეხდინა მიწების კონცენტრაცია. სულ უფრო იზრდებოდა დავალიანება, რის შედეგად მემამულეები კარგავდნენ მიწა-წყალს. ამას კარგად ხედავდა მეფის მთავრობა, რომელიც უთანაგრძნობდა თავის დასაყრდენ კლასს. მიუხედავად მთავრობის მიერ ჩატარებული რიგი ღონისძიებებისა, საქმეს მაინც არ ეშველა. სწორედ ასეთი დავალიანების მსხვერპლი გახდა ა. ჭავჭავაძის მეურნეობა, რასაც დაწვრილებით განვიხილავთ ქვემოთ.

ნაშრომის სხვა ადგილას პ. გუგუშვილი ეხება დაქირავებულ შრომას სოფლად. იგი აღნიშნავს, რომ სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების შესაბამისად, დიდდებოდა საშოვარზე გამსვლელთა რაოდენობა, ე. ი. ფართოვდებოდა დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია სოფლად. საშოვარზე გავლის ძირითად მიზეზად ავტორი სამართლიანად ასახელებს ეკონომიურ პირობებს. საშოვარზე გადიოდა დიდძალი ადგილობრივი გლეხობა¹¹. ამავე დროს სეზონურ სამუშაოზე აქ მოდიოდნენ ირანელი, ბაქოელი, ერევნელი, განჯელი გლეხები. მიუხედავად ამისა, მაინც იგრძნობოდა მუშახელის სიმცირე; ფაბრიკა-ქარხნებიც დიდძალ მუშახელს იზიდავდა.

წინანდლის საუფლისწულო მამულში გლეხობა ძირითადად ახლო-მახლო სოფლიდან მოდიოდა. დეპარტამენტი ყოველნაირად ცდილობდა უზრუნველყო მეურნეობა საჭირო მუშახელითა და

⁹ ... „В виду возможности и желательности выкупа крестьянами садов, составляет прямой интерес Удельного ведомства“ см. ЦГИАЛ Ф. 515, оп. 45, л. 576, л. 4.

¹⁰ პ. გუგუშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 728.

¹¹ პ. გუგუშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 775.



სპეციალისტებით. ამ მიზნით რუსეთის სხვადასხვა გუბერნიიდან გამოასახლეს ოჯახები, ევროპის ქვეყნებიდან მოიწვიეს სპეციალისტები. საუფლისწულო მამულის ტერიტორიაზე (600 დესეტინაზე) დაასახლეს რაჭველი გლეხობა, რაც მეურნეობის მუშახელით უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად.

საუფლისწულო მამული დღითიდღე აფართოებდა საკუთარ მეურნეობას, ამზადებდა დიდძალ საქონელს და გაჰქონდა ბაზარზე.

...„მემამულეთა სასტიკმა ექსპლოატაციამ, ყაჩაღურმა საგადასახადო პოლიტიკამ, ცარიზმის ბიუროკრატიის თვითნებობამ, ნაციონალურმა ჩაგვრამ... მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ამიერკავკასიის გლეხობა და ხელი შეუწყო მის გარეგოლუციურებას“¹²— აღნიშნავს პროფ. გუგუშვილი. მართლაც მეტად მძიმე იყო გლეხთა მდგომარეობა, რაც კარგად ჩანს კახეთის საუფლისწულო მამულებში მომუშავე გლეხობის მაგალითზე, რომლებიც აქტიურად გამოდიოდნენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობა XIX საუკუნის ბოლოს შესწავლილი აქვს პროფ. ვ. მოჩალოვს ნაშრომში: „Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в.“. სხვა მკვლევრებისაგან განსხვავებით იგი ზოგადად ეხება ამიერკავკასიისა და, კერძოდ, კახეთის საუფლისწულო მამულს, საარქივო მასალებზე დაყრდნობით სწავლობს ვაჭრობისა და ბაზრის განვითარებას, მაგრამ კონკრეტულად არ ეხება იმ განმასხვავებელ ნიშნებს, რაც ახასიათებდა საუფლისწულო მამულებს.

შესავალში ავტორს აღნიშნული აქვს, რომ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს თავადაზნაურობა, როგორც წესი, არ აწარმოებდა საკუთარ მეურნეობას და მისი შემოსავლის ძირითადი წყარო იყო დროებითვალდებული გლეხობისაგან მიღებული ღალა, ამიტომ, განაგრძობს ავტორი, — მხარის თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისაგან წარმოებული პროდუქცია წვრილი მწარმოებელი გლეხობის ხელში იყო მოქცეული¹³. ჩვენ ავტორის მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან თავადაზნაურობის საკმაოდ დიდი ნაწილი როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე აღმოსავლეთში, საკუთარ მიწათმოქმედებას ეწეოდა. მათ მიერ ბაზრისათვის დამზადებულ საქონელს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში.

¹² ვ. გუგუშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 891.

¹³ В. Д. Мочалов, Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в. Москва, 1958, გვ. 5.



პირველ თავში ავტორი ეხება კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში და აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმი ამიერკავკასიაში შემოიჭრა რუსეთიდან და ვითარდებოდა მასთან მჭიდრო კავშირში.

ისე, როგორც რუსეთში, კაპიტალიზმმა საქართველოშიც განავითარა სასაქონლო პროდუქციის წარმოება, საეკონომიკური მედები და შექმნა პირობები მეურნეობაში დაქირავებული ძალის ფართოდ გამოყენებისათვის.

ნაშრომის მეორე და მესამე თავებში შესწავლილია პურეული-სა და კვების სხვა პროდუქტების სასაქონლო წარმოება ბაზრისათვის.

მეოთხე თავი მთლიანად დათმობილი აქვს მევენახეობა-მეღვინეობას. აქ აღნიშნულია, რომ თავადახნაურობა, რეფორმის შემდეგ ფულის უქონლობის გამო ვერ იყენებდა დაქირავებულ მუშახელს. მემამულეები თავისი მამულის დიდ ნაწილს იჯარით ამლევენ გლეხობას. ყოველივე ამან გაანადგურა და დასცა მევენახეობა¹⁴. ისეთი მსხვილი მემამულეები, როგორც იყვნენ თავადები: ზ. ჯორჯაძე, ს. ვორონცოვი, მუხრან-ბატონი, დ. ჭავჭავაძე და სხვ. იძულებული იყვნენ საუფლისწულო უწყებისათვის მიეყიდათ თავიანთი მამულები; ამ უკანასკნელთ კი ყველა პირობა ჰქონდათ, რომ კაპიტალისტური წესით წაემართათ მეურნეობა.

კ. ბაბილოძე ნაშრომში „აგრარული ურთიერთობა დასავლეთ საქართველოში XIX—XX სს. მიჯნაზე“ ეხება ოზურგეთის მაზრაში ფეოდალური მიწათმფლობელობის დაშლისა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ძირითად მომენტებს.

შესავალში განხილულია საგლეხო რეფორმა, მისი უარყოფითი და დადებითი მხარეები; ავტორი აღნიშნავს, რომ რეფორმა იყო გლეხთა ნამდვილი მოტყუება და ეკონომიური პირობების კიდევ უფრო გაუარესების საწინდარი. მან კიდევ უფრო გააუარესა და გაამწვა აგრარული ურთიერთობა გლეხობასა და მიწათმფლობელთა შორის, რასაც თან სდევდა გლეხთა მღელვარება და გამოსვლები. აქვეა განხილული დროებითვალდებული გლეხობის მიერ ნადელების გამოსყიდვის საკითხი. მართალია, გლეხობას ჰქონდა გამოსყიდვის უფლება, მაგრამ მხოლოდ მიწათმფლობელის ნებართვით. საძოვრისა და ვენახების გამოსყიდვა არ ხდებოდა.

შემდეგ ავტორი განიხილავს ოზურგეთის მაზრაში გავრცელებულ იჯარას. იჯარით იცემოდა მიწების დიდი ნაწილი, მაგრამ,

¹⁴ იქვე, გვ. 231.

ავტორის აზრით, იგი არ შეადგენდა აგრარული ურთიერთობის ძირითად ფორმას¹⁵.

ოზურგეთის მაზრაში გავრცელებული ყოფილა ბაღ-ვენახების „სანაშენო“ იჯარის ფორმა, რომელიც ვრცელდებოდა მხოლოდ ვენახებზე. მხარეების შეთანხმებისას ფორმდებოდა წერილობითი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მოიჯარე ვალდებული იყო განსაზღვრულ დროში გაეწმინდა ნაკვეთი ტყისაგან, ამ ნაკვეთზე დაერგო ვაზი ან თუთის ხე პირობით განსაზღვრული რაოდენობით. ხელშეკრულების დადებისას მოიჯარე მესაკუთრეს უხდიდა საიჯარო მიწის ღირებულების $\frac{1}{4}$ ან $\frac{1}{5}$ ნაწილს. ამავე დროს პირობით ვათვალისწინებული დროის გასვლამდე მოიჯარე აძლევდა მიწის მესაკუთრეს $\frac{1}{6}$, იშვიათად $\frac{1}{3}$ ნაწილს; ხოლო ხილისა და ყურძნის მოსავალი მთლიანად მოიჯარის სასარგებლოდ მიდიოდა.

იჯარის პირველი ვადის გასვლის შემდეგ, თუ მოიჯარე პირნათლად შეასრულებდა აღებულ ვალდებულებას, ნაკვეთი გადადიოდა მოიჯარის უფლებაში ახალი ვადით, რის შემდეგ მესაკუთრე ღებულობდა ხილისა და ყურძნის მოსავლის ნახევარს.

იჯარის ვადა აღარ განისაზღვრებოდა. იგი მემკვიდრეობით გადადიოდა¹⁶. ცხადია აქ საქმე გვაქვს გრძელვადიან იჯარასთან.

თავდაზნაურები ცდილობდნენ თავიანთი მიწებიდან მაქსიმალური საიჯარო ჭირის აღებას, მაგრამ საქმეს ეს ვერ შეელოდა. ისინი იძულებულნი იყვნენ მიწები დაეგირავებიათ საადგილმამულო ბანკში; ვალი თანდათან იზრდებოდა, რაც იწვევდა მამულების დაკარგვას (ასეთივე აზრისაა პ. გუგუშვილი და პ. რატიანი), ე. ი. ფეოდალური მიწათმფლობელობა განიცდიდა რღვევას. საფუძველი ეყრებოდა კაპიტალურ მეურნეობას.

კ. ბაბილოძე თავის ნაშრომში ასახელებს ერისთავსა და ნაკაშიძეს, რომლებმაც რაციონალური მეურნეობა მოაწყვეს და დაქირავებულ მუშახელს იყენებდნენ. სამუშაოდ ავტორი მხოლოდ მათი დასახელებით იფარგლება და არ გვაძლევს აღნიშნული მეურნეობის სრულ სურათს.

ნაშრომის მეორე ნაწილში ლაპარაკია გლეხობის საკითხზე. განხილულია გლეხთა ცუდი ეკონომიური პირობების გამომწვევი მიზეზები: მიწის სიმცირე, დიდი საიჯარო გადასახადი, უუფლე-

¹⁵ კ. ბაბილოძე, აგრარული ურთიერთობა დასავლეთ საქართველოში XIX — XX სს. მიჯნაზე, ბათუმი, 1952, გვ. 35.

¹⁶ იქვე, გვ. 35 — 36.



ბობა და სხვ., რაც იწვევდა გლეხთა გაფიცვებს და მემამულეებს წინააღმდეგ გამოსვლებს. აქვეა განხილული გლეხთა გარე სამუშაოზე ლტოლვის მიზეზები, მუშათა კლასის ჩამოყალიბება და გლეხთა რევოლუციური მოძრაობა.

1965 წელს გამოვიდა ა. ბენდიანიშვილის წიგნი, „აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წლებში“. აღნიშნულ ნარკვევში შესწავლილია აგრარული ურთიერთობის ფორმების ევოლუცია და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების შედეგად მიწის მფლობელობაში მომხდარი ცვლილებები; მიწის ყიდვა-გაყიდვის ფორმები, მთაერობისა და ქართველი თავადაზნაურობის აგრარული პოლიტიკა და სხვა საკითხები.

ეხება რა საგლეხო რეფორმის საკითხებს, ავტორი ხაზს უსვამს მის თავისებურებას აფხაზეთსა და სვანეთში.

როგორც ცნობილია, რეფორმის შედეგებმა კიდევ უფრო გააუარესა ხიზანთა მდგომარეობა. თავადაზნაურობა ხიზნებს ჩვეულებრივ მოიჯარეებად აცხადებდა, რომლებიც დროებითვალდებულ გლეხებს გაუსწორდნენ და უმიწაწყლოდ დარჩენის მუდმივი საშიშროების ქვეშ იმყოფებოდნენ¹⁷.

შემდეგ ავტორს შესწავლილი აქვს მიწის იჯარა და გლეხთა საგადასახლებო მოძრაობა; მიწას იჯარით სცემდა სახელმწიფო ხაზინა, თავადაზნაურობა, ვაჭრები, გლეხობა და მოიჯარადრეები; რომლებიც იჯარით აღებულ მიწას კვლავ იჯარით სცემდნენ. რეფორმის შემდეგ მუშახელის გარეშე დარჩენილი თავადაზნაურობა, ერთი მხრივ, დაინტერესებული იყო მიწები იჯარით გაეცა გლეხობაზე, მეორე მხრივ, უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხობა იძულებული იყო არახელსაყრელ პირობებში იჯარით აეღო თავადაზნაურობისაგან მიწის ნაკვეთები. თავადაზნაურობა გამოსავალს ხედავდა მიწის იჯარით გაცემაში. გლეხობა იძულებული იყო დამორჩილებოდა მის სურვილს. იჯარამ განადგურებამდე მიიყვანა როგორც თავადაზნაურობა, ისე გლეხობა.

ერთგან ავტორი წერს: „მსხვილი მოიჯარეების დიდი ნაწილი მიწების ექსპლოატაციას იმიტომ ახდენდა ღარიბი და საშუალო გლეხობის მეშვეობით, რომ წვრილი ნაკვეთის საიჯარო ქირა (მათი მოთხოვნილების გამო) გაცილებით მაღალი იყო და მეორადი იჯა-

17 ალ. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890 — 1917 წლებში, 1965, გვ. 20 — 26.

რა უფრო მეტ მოგებას აძლევდა მათ, ვიდრე დაქირავებულ შრომაზე დამყარებული საკუთარი მეურნეობის წარმოება¹⁸. ცნობილია, რომ დაქირავებულ შრომაზე დამყარებული მეურნეობა ყველა სხვა საშუალებით წარმოებულ მეურნეობასთან შედარებით გაცილებით უფრო რენტაბელური და მომგებიანია. ყოველ შემხვევაში ამ მოსაზრების ასე განზოგადება საეჭვოა. როგორც ვ. ი. ლენინი წერს: „დაქირავებული შრომისა და გაუმჯობესებული ტექნიკის გამოყენებით, ფეოდალური ვალებით დატვირთული არარენტაბელური მეურნეობა შემოსავლიანი ხდებოდა“¹⁹.

მესამე თავში ავტორს შესწავლილი აქვს სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება, მიწის გამოსყიდვა და ყიდვა-გაყიდვა, მესაკუთრე გლეხთა კატეგორია, გლეხობის სოციალური დიფერენციაცია და სხვ.

„ბატონყმობა აფერხებდა მწარმოებლური ძალების ზრდას, ქვეყნის პროგრესულ განვითარებას. მეფის მთავრობის მოხელეთა განცხადებით, ყმაგლეხთა განთავისუფლება აიძულებდა თავადაზნაურობას შეეცვალა მეურნეობის წარმართვის წესი, მოეწყო იგი რაციონალურ ყაიდაზე. თავისუფალ შრომაზე გადასვლა გამოიწვევდა გლეხური მეურნეობის აღმავლობასაც“²⁰. და მართლაც, რეფორმამ გზა მისცა ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ განვითარებას. სწრაფად განვითარდა სასაქონლო წარმოება. საქართველოდან გაავტო მილიონობით ფუთი პურეული, ღვინო, აბრეშუმი, თამბაქო, ტყავი, მატყლი და სხვ. აქვე ეხება ავტორი კოოპერაციულ ამხანაგობებს, რომლებმაც დადებითი გავლენა იქონიეს სოფლის მოსახლეობის ეკონომიურ მდგომარეობაზე. ამხანაგობა ხელს უწყობდა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას, უზრუნველყოფდა გლეხობას შაბიამნით, გოგირდით და სხვ²¹.

არ შეიძლება არ შევეხოთ ისეთ მნიშვნელოვან გამოკვლევას, როგორიც არის პ. რატიანის „კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში“, (საქართველოს ისტორია, II, დამხმარე სახელმძღვანელო, 1962).

18 იქვე, გვ. 50.

19 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, XV, გვ. 74 — 75.

20 ალ. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში, 1890—1917 წლებში, 1965, გვ. 65.

21 იქვე, გვ. 86.

ამ ნაშრომში ავტორი სწავლობს მიწათმოქმედების და აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მიწათმოქმედების ისტორია არსებითად ბატონყმური საწარმოო ურთიერთობის ბურჟუაზიული ურთიერთობით შეცვლის ისტორიაა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ფართოდ ვითარდება კაპიტალისტური სასაქონლო წარმოება და სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგის პროდუქცია ფართო სავაჭრო ხასიათს ღებულობს²².

შემდეგ ავტორი დაწვრილებით იხილავს ფეოდალური მეურნეობიდან კაპიტალისტურზე გადასვლის საკითხს. ცნობილია, რომ რეფორმის შემდეგ გლეხობის დიდი ნაწილი სრულიად უმიწაყლოდ დარჩა, მემამულეთა ხელში არსებული მიწების ფართობი კი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

რეფორმის შედეგად მემამულეებმა დაჰკარგეს იაფი მუშახელი; დაისვა საკითხი, თუ როგორ დაემუშავებინათ თავიანთი მიწები.

„მემამულეთა ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა თვითონვე გასძლილოდა თავის მეურნეობას და შეეგუებია იგი ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობისათვის, რისთვისაც ხელი მიჰყო მუშების დაქირავებას. ასეთი მემამულეები წლიურად, სეზონურად, ან დღიურად დაქირავებულ სასოფლო-სამეურნეო მუშებს საკუთარი (ე. ი. მემამულეთა) ინვენტარით ამუშავებდნენ თავიანთ მსხვილ ლატიფუნდიებში და დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ბაზრისათვის“²³... შემდეგ ავტორი ასახელებს როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე დასავლეთ საქართველოს მემამულეებს, რომლებსაც თავიანთი მსხვილი ლატიფუნდიები კაპიტალისტურად ქონდათ მოწყობილი²⁴. როგორც ყველა სხვა მკვლევარს პ. რატიანსაც კვლევის საგნად არ გაუხდია კახეთის საუფლისწულო მამულები, სადაც ბევრი თავისებურების დანახვა შეიძლებოდა.

ქვემოთ ავტორი ეხება იჯარას და დასძენს: „კულაკობისა და ვაჭარ-მრეწველობის მიერ იჯარით აღებულ მიწაზე მეურნეობა კაპიტალისტური გზით ვითარდებოდა“²⁵.

22 საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, II, 5. ბერძენიშვილის რედაქციით, 1962, გვ. 64 — 65.

23 იქვე, გვ. 70.

24 იქვე.

25 საქართველოს ისტორია, ტ. II, 1962, გვ. 71.



აღსანიშნავია ი. მირცხულავას ნარკვევი „აგრარულ-გლეხურ საკითხი საქართველოში 1900 — 1917 წლებში“. ავტორს გაშუქებული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა აგრარული ურთიერთობა, გლეხთა მდგომარეობა, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში და სხვ.

აქ აღნიშნულია, რომ რუსეთის კაპიტალის მალაღვანივითარებულ ფორმასთან შერწყმული იყო სოფლის მეურნეობის ნახევრად ბატონყმური ურთიერთობის ჩამორჩენილი ფორმა.

რუსეთის სამრეწველო განვითარება გავლენას ახდენდა საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებაზე. ბატონყმობის გაუქმებამ ბიძგი მისცა სასაქონლო წარმოების განვითარებას სოფლის მეურნეობაში. მაგრამ რევოლუციამდე ხაქართველო მაინც დაქუცმაცებულ სოფლის მეურნეობის ქვეყნად დარჩა²⁶. მიუხედავად ამისა, რეფორმის შემდეგ სოფლის მეურნეობა სწრაფად ვითარდება კაპიტალიზმის გზით. ფართოდ დაინერგა საიჯარო ურთიერთობა მიწათმოქმედებაში, მოეწყო მსხვილი ფერმები და ლატიფუნდიები; წარმოიშვნენ იმპორტისა და ექსპორტის მნიშვნელოვანი კვანძები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას²⁷.

ავტორი მიუთითებს, რომ რეფორმის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა სანადელო მიწის როლი გლეხურ მეურნეობაში. გლეხი იძულებული გახდა ან სულ მიეტოვებინა მიწა, ან იჯარით აეღო იგი. თავადაზნაურობა მიწას ან ბანკში აგირავებდა. ან ყიდდა.

1903 წელს თბილისის ორ სათავადაზნაურო ბანკში, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას დაგირავებული ქონდა 350275 დესეტინა მიწა. ის ვინც ყიდდა ან აგირავებდა მამულს მიდიოდა ქალაქში სახელმწიფო სამსახურში. ვაკოტრების შიშით ბანკები თავადაზნაურობის მიერ დაგირავებულ მამულს ვადის გასვლის შემდეგ საჯაროდ ყიდდნენ²⁸.

შემდეგ ავტორი ეხება მუშათა კლასის ჩამოყალიბების გზებს, დროებითვალდებულების ინსტიტუტს, ხიზანთა მდგომარეობას (გვ. 33—77) და სხვ. საკითხებს. 1870—1875 წლებში მებატონეებმა

კ. 130.019
3

26 ი. მირცხულავა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917 წწ., 1964, თბილისი, გვ. 15.

27 იქვე, გვ. 16.

28 ი. მირცხულავას დასახ. ნაშრომში, გვ. 20.





დაიწყეს ხიზნების აყრა მათი მიწებიდან. 1891 წელს გამოსულ კანონის თანახმად მემამულესა და ხიზანს შორის ძველი ურთიერთობა უნდა აღდგენილიყო. მაგრამ თავადაზნაურობის პროტესტისა და მოთხოვნის საფუძველზე 1900 წელს მეფის მთავრობამ გამოსცა ახალი დებულება, რომლის ძალითაც ხიზნები უბრალო მოიჯარადრეებად ცნეს.

მომდევნო თავში ავტორი ეხება გლეხთა მოძრაობას საქართველოში რუსეთის პირველ რევოლუციამდე და რევოლუციის დროს, გლეხთა აგრარულ მოძრაობას, გლეხთა გადასახადებს, რსდმპ კავკასიის კომიტეტის დიდ როლს საერთოდ მუშათა მოძრაობაში²⁹.

აღნიშნულ ნაშრომში გაშუქებულია აგრეთვე ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში და სხვ.

ზემოთ აღნიშნული საკითხების დამუშავებისას ჩვენ დიდი დახმარება გავიწვია ი. ხუციშვილის, ი. უთურაშვილის, გ. ჯამბურიას, გ. მეგრელიშვილის, ნ. ნაცვლიშვილის, დ. გოგოლაძისა და სხვათა ნაშრომებმა.

ამრიგად, ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიებსა და ნარკვევებში ძირითადად სწორად არის შესწავლილი და გაგებული აგრარული საკითხი, წარმოების ფეოდალური წესიდან კაპიტალისტურზე გადასვლის პროცესი, გლეხთა მდგომარეობა, მათი გაფიცვები და რევოლუციური მოძრაობანი, მაგრამ იმის გამო (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვ. მოჩალოვის ნაშრომს), რომ მათ მიზანს არ შეადგენდა შეესწავლათ კახეთის საუფლისწულო მამულების კაპიტალისტური ევოლუცია, ჩამოთვლილ ნაშრომებში საუფლისწულო მამულებთან დაკავშირებული მრავალი საკითხი გარკვეული და შესწავლილი არ არის.

საუფლისწულო კაპიტალისტური მეურნეობა, თავისი შინაარსითა და განვითარების ხასიათით, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა კაპიტალისტური მეურნეობებისაგან, სადაც დაქირავებულ შრომასთან ერთად ფართოდ იყო გამოყენებული უფასო ყმის შრომაც.

როგორც ცნობილია, არსებობდა კაპიტალიზმის განვითარების ორი გზა — ამერიკული და პრუსიული. ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ ამერიკული გზის დროს კაპიტალისტური მიწათმოქმედების საფუძველია არა მემამულეთა ძველი მონათმფლობელური მეურნე-

29 იქვე, გვ. 102 — 145.



ობა, არამედ თავისუფალი ფერმერის მეურნეობა თავისუფალი მიწაზე, რომელიც თავისუფალი იყო შუასაუკუნეობრივი ბატონყმობისა და ფეოდალიზმისაგან³⁰.

პრუსიული გზა გულისხმობდა მიწათმფლობელობის ფეოდალური ფორმის შენარჩუნებას, მემამულესა და გლეხობას შორის სტოვებდა ბატონყმური დამოკიდებულების გადმონაშთებს. ლენინი აღნიშნავდა, რომ „მიწათმფლობელობის შუასაუკუნეობრივი ურთიერთობა კი არ ისპობა ერთბაშად, არამედ ნელა ეგუება კაპიტალიზმს, რომელიც ამის გამო დიდი ხნით ინარჩუნებს ნახევრად-ფეოდალურ ნიშანთვისებას“³¹. სწორედ ამ გზით განვითარდა რუსეთში კაპიტალიზმი, რომელიც მძიმე უღლად დააწვა მშრომელ ხალხს.

ბატონყმობის გაუქმებამ უდიდესი ცვლილებები გამოიწვია ჩვენს ცხოვრებაში. ბატონსა და ყმას შორის ძველი დამოკიდებულების გაუქმებით, ახალ სოციალურ ურთიერთობას ჩაეყარა საფუძველი. ამ დროიდან ჩვენი ეკონომიური ცხოვრება სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ. ჩამორჩენილი და განუვითარებელი მხარე სწრაფი ტემპით ჩაება საერთო კაპიტალისტური ურთიერთობის ფერხულში — რკინიგზების გაყვანა, ფაბრიკა-ქარხნების გამრავლება, კაპიტალისტურ-ფერმერული მეურნეობების წარმოშობა, საშინაო და საგარეო ვაჭრობის ზრდა — ამ ფაქტებით გამოიხატა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

რეფორმის შემდეგ მემამულეებს კიდევ უფრო გაეზარდათ ადგილ-მამული უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხობის ხარჯზე. სამაგიეროდ დაეკარგათ უფასო მუშახელი. ამიტომ ზოგიერთმა მემამულემ დაიწყო მეურნეობის წარმოების ახალი ხერხების ძებნა, რათა თავისი მეურნეობისათვის რაციონალური სახე მიეცა და ქვეყანაში შემოჭრილი კაპიტალისტური ურთიერთობის შესაბამისად გარდაექმნა. ამისათვის, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, საჭირო იყო დაქირავებული მუშახელი, საჭირო იყო მიწათმოქმედების ორგანიზაცია და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მეურნეობას უნდა მიეღო სამრეწველო-სავაჭრო ხასიათი³².

კაპიტალიზმმა ჩვენი მემამულეები ალტერნატივის წინაშე დაა-

³⁰ ვ. ი. ლენინი, თხზ. გამოცემა მე-4, XV, 1950, გვ. 152.

³¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. გამოცემა მე-4, XV, 1950, გვ. 154.

³² В. И. Ленин, Соч., т. III, гл. 159—160.

ყენა. მათ ან უნდა გარდაეკმნათ თავიანთი მამულები კაპიტალისტური წესის შესაბამისად, ან უნდა დაღუპულიყვნენ. მემამულეთა მთავარი პრობლემა დაქირავებული მუშახელის გამოყენება იყო, ეს კი ნაღდ ფულს მოითხოვდა, რაც მიწათმფლობელთა უმრავლესობას არ ჰქონდა. თავისუფლად დაქირავებული შრომა გაცილებით პროდუქტიულია, ვიდრე ყმის უფასო შრომა.

კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში ყმათა შრომა უნდა შეცვლილიყო თავისუფლად დაქირავებული მუშახელით. მემამულეებს უნდა ეზრუნათ საკუთარი ინვენტარისა და გამწევი ძალის შექმნაზე, მეურნეობაში გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების გამოყენებაზე და მიწათმოქმედების კულტურის ამადლებზე, შრომის ნაყოფიერების გაუმჯობესებაზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდასა, საბაზრო და სასაქონლო პროდუქციის გადიდებაზე.

კახეთის საუფლისწულო მამულების ისტორია ნათლად გვიჩვენებს საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთ გზას, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმ მამულების ევოლუციისაგან, სადაც დაქირავებულ შრომასთან ერთად ფართოდ იყენებდნენ ყმის შრომას, რაც მათი დაცემის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად იქცა.

ცნობილია, რომ მუხრანბატონის მეურნეობა კაპიტალისტური გზით ვითარდებოდა. იგი მეურნეობაში ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს იყენებდა. სანიმუშოდ ჰქონდა მოწყობილი სარდაფები ცემენტის აუზებით, საწნეხებითა და ყურძნის საპყლეტი მანქანებით; აძველებდა ღვინოს; მის სარდაფებში ინახებოდა 60 ათასი ვედრო ღვინო, რომელიც პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავისა და ევროპის სხვა ქვეყნების ბაზრებზე გაჰქონდა. მიუხედავად ამისა, მუხრანბატონის მეურნეობა დაქვეითდა, რადგან მან ვერ მოაწყო შრომის სათანადო ორგანიზაცია და თანაც ფართოდ იყენებდა უფასო ყმის შრომას. ამის გამო აღნიშნულ მამულს დიდძალი ვალი დაედვა. ყოველივე ამის შედეგად 1894 — 1899 წლებში 11363 დესტინაზე მეტი ფართობი მუხრან ბატონისაგან საუფლისწულო მამულების სამმართველომ შეიძინა³³. ასეთივე ბედი ეწია ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს, ს. ლეონიძის გენერალ-ლეიტენანტ მირსკის, თავად ჯორჯაძის, ორბელიანების, ჩიჯავაძისა და სხვათა მამულებს.

³³ ЦГИАЛ, Ф. 515, Оп. 81, Д. 620, Л. 98.

კახეთის საუფლისწულო მამულის წარმოშობა

ერეკლე მეორემ გარსევან ჭავჭავაძეს 1797 წ. მამულები უბოძა კახეთში: „...წყალობითა ღვთისათა ჩვენ ყოვლისა ზემოსა საქართველოსა, კახეთისა და სხვათა მეფემან მეორემან ირაკლიმ... გიბოძეთ შენ ჭავჭავაძეს ეშიკალაბაშს გარსევანს, შვილსა შენსა ალექსანდრეს... მამის შენის ჩვენი და ჩვენის ოჯახის ყოველის გზით ერთგულად სამსახური საქართველოში გამობრწყინებული არის და თვით შენც ჩვენცა და ჩვენის ქვეყნის საზოგადოებასაც ყოვლის შენის შეძლებით მრავალგვარად დიდად ერთგულად და თავდადებით გვემსახურე... ჩვენც წყალობა გიყავით და გიბოძეთ სოფელი ზეგანი, სოფ. ნაფარეული, სოფ. მუდანლო, რომელიც დღეს იქ მსახლობელნი კაცნი არიან იმ გლეხებით მთით, ბარით, სახნავით, უხნავით, წყლით, წისქვილით და ყოვლისის მისის სამართლიანი სამძღვრით შენტვის და შვილთა შენტათვის სამკვიდროდ გვიბოძებია გქონდეს და გიბედნიეროთ ღმერთმან ჩვენის ოჯახისა და ჩვენის ერთგულად სამსახურსა შინა არ მოგეშალოს ჩვენგან და არც შემდგომთა მეფეთა მეპატრონეთაგან“¹.

გარსევან ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ მეურნეობის მართვას ხელი მოკიდა მისმა შვილმა, პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ. რუსეთიდან დაბრუნებული ალექსანდრე კავკასიის მთავარსარდალ მარკიზ პაულიჩის ადიუტანტად დაინიშნა.

ალ. ჭავჭავაძე სოფლის კარგი მეურნე გამოდგა. იგი ხელს უწყობდა წინანდალში, მუკუზანსა და ნაფარეულში მევენახეობა-მელვინეობის განვითარებას, ავრცელებდა ვაზის ახალ ჯიშებს, სავენახე მიწის დამუშავებასა და ვაზის დარგვას ასწავლიდა გლეხობას; აძლევდა მათ, თავისი სანერგიდან, ვაზის ახალ ჯიშებს. ფრანგი კონსული გამბა დიდად აფასებდა ალ. ჭავჭავაძეს როგორც მევენახეობა-მელვინეობის ენთუზიასტს.

გლეხებთან პოეტის დამოკიდებულებაზე გამბა წერს: „მის მიწას ამუშავებენ მისივე გლეხები და ცოტაოდენი იმერლებიც. პირველნი ვალდებულნი არიან კვირაში ერთი დღე ბატონისათვის იმუშაონ. დანარჩენ დღეებში გლეხები თავისთვის მუშაობენ ბა-

¹ ს. მაღლაკელიძე, მასალები ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის. იხ. საისტორიო მოამბე, 1946, წიგნი II, გვ. 167 — 168.

ტონისაგან იჯარით აღებულ მიწებზე, რისთვისაც ბატონს მისაღწევის ერთ მეშვიდედ ნაწილს უხდიან, მაშინ, როდესაც გამოსაღების ერთსა და იმავე სისტემის მიუხედავად, რუსი ყმა გლეხები თავისი ბატონისათვის კვირაში სამ დღეს მუშაობენ.

თავადი ჭავჭავაძე თავის მოჯამაგირეებს წელიწადში უხდის 30 მანეთს ვერცხლით და აძლევს სარჩოს. იმერლებს 20 მანეთზე მეტს არ აძლევს, რა კარგი მუშებიც არ უნდა იყვნენ ისინი. მიუხედავად ამისა თავადი იმერელებს შორის მრავლად შოულობს მოჯამაგირეებს. თუმცა მას შემდეგ, რაც სამეგრელოსა და იმერეთის მემამულეებმა საჩივარი აღძრეს თავისი გლეხების ხშირი გაქცევის შესახებ, იმერლებს საქართველოში უკვე აღარ იღებენ. ასეთი ზომები გამოწვეულია შიშით, რომ ეს ორი პროვინცია, ჯერ კიდევ დღესაც ასე სუსტად დასახლებული სრულიად არ დაიცალოს და არ გაუკაცრიელდეს².

აღ. ჭავჭავაძის მამულში გაბატონებული იყო საბატონო ბეგარა (შრომითი რენტა), მამულების უმნიშვნელო ნაწილს კი დაქირავებული შრომით ამუშავებდნენ. შრომის ანაზღაურება ხდებოდა როგორც ფულით, ისე ნატურით. გლეხებთან მას, სხვა მებატონეთაგან განსხვავებით, კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ყოველგვარი უთანხმოება ბოლოს მაინც შეთანხმებითა და მშვიდობით თავდებოდა. პოეტის თქმით, იგი ყოველთვის „იზიარებდა თავისი ხალხის ვასაჭირს“³. ყმა მაისურაძე, ფერწერასა და მხატვრობაში გამოვლენილი განსაკუთრებული ნიჭის გამო პოეტს ყმობიდან გაუთავისუფლებია და პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში შეუყვანია⁴.

როცა რუსეთის გუბერნიიდან სექტანტი გლეხების ამიერკავკასიაში გადმოსახლება დაიწყო (1844—1845 წწ.); ა. ჭავჭავაძემ პირველმა გამოთქვა სურვილი ამ გლეხების თავის მამულში დასახლებისა⁵.

1829 წელს ა. ჭავჭავაძემ წინანდალში წყალსადენი გაიყვანა. ხოლო 1831 წელს საცხოვრებელი სახლი ააგო⁶. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიზნით 1835 წელს ბანკიდან ერთ მილი-

2 „მნათობი“, 1933, № 67, გვ. 326, ი. ენიკოლოფოვის პუბლიკაცია.
 3 ი. ვ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი 1952, გვ. 60.
 4 „ლიტერატურა და ხელოვნება“, 26 მარტი 1950.
 5 საქ. ც. ს. ა. ფონდბ, 152, საქმე 1121, ფურც. 12—21.
 6 იქვე.

ონამდე მანეთი ისესხა 20 წლის ვადით. 1840 წელს ნაფარეულ⁷ მამული დააგირავა და სესხად აიღო 6 ათასი მანეთი (ვერცხლით). ფულის დიდი ნაწილი მამულების გაუმჯობესებას მოხმარდა — წინანდალში აშენდა დიდი მარანი, სადაც ღვინის დაყენება-გადამუშავებას აწარმოებდნენ; აქვე იყო მოწყობილი ლაბორატორიაც. ჭავჭავაძემ ააგო, აგრეთვე, ორთქლის არაყსახდელი ქარხნები, სტავროპოლსა და თბილისში კი ღვინის სარდაფები გახსნა. ჭავჭავაძის ღვინოს ევროპაშიც იცნობდნენ. 1812 წელს, როცა პოეტის უფროსი ქალიშვილი ნინო დაიბადა, ერთ ქვევრში მის სახელზე ჩაასხეს ღვინო. ქვევრი გახსნეს 17 წლის შემდეგ, ნინოს ქორწილზე და ღვინო კარგი აღმოჩნდა⁷.

1841 წელს ა. ჭავჭავაძემ თბილისში, დღევანდელი ჭავჭავაძის ქუჩაზე, ააგო ორსართულიანი შენობა. პირველ სართულზე გახსნა 8 დუქანი, სახლის სარდაფი კი ღვინის შესანახად გამოიყენა. ზემო სართულის 18 ოთახი გაქირავებული ჰქონდა. გარდა ამისა, ა. ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის ქუჩის კუთხეში ააშენა ორსართულიანი საცხოვრებელი ბინა. აქვე იყო მესამე სახლი ბალითა და აუზით, რომლისთვისაც წყალი მთაწმინდიდან იყო გამოყვანილი⁸.

ჭავჭავაძის ოჯახი იყო კულტურის უპირველესი კერა მაშინდელ საქართველოში. აქ იკრიბებოდა თითქმის ყველა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. პოეტის სახლი წარმოადგენდა ქართველი და რუსი ინტელიგენტების შეხვედრებისა და ურთიერთობის ადგილს⁹.

წინანდალში პოეტის სახლ-კარს ამშვენებდა დეკორაციული პარკი, მარად მწვანე ხეივანი. საერთოდ, იგი დიდ ყურდლებას უთმობდა დეკორაციულ ბალთმშენებლობას¹⁰.

ალ. ჭავჭავაძის მამულები განლაგებული იყო თბილისის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში: წინანდალში, ურიათუბანში, მუკუზანში, ზეგანში, ნაფარეულსა და მულანლოში. აღნიშნულ მამულებში კარგი მოსავლის დროს 30 ათასამდე თუნგი (ერთი თუნგი — სამი ლიტრი) ღვინო შხადებოდა¹¹.

7 ა. მ. ე. ნ. ა. ა. ჭავჭავაძე, თბილისი, 1937, გვ. 60.

8 ი. გ. ი. შ. ი. ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი 1952, გვ. 83—84.

9 ი. ქ. ე. გვ. 78.

10 „საქ. კოლმეურნე“, 1954, № 9, გვ. 37.

11 ი. ქ. ე.



ალექსანდრე ჭავჭავაძის სიკვდილის შემდეგ (1846 წ.) მემკვიდრეობით გადავიდა 28 წლის პოლკოვნიკ დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ხელში, რომელმაც მეურნეობის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნა. მამის მიერ დაწყებული კარგი საქმის გაგრძელების ნაცვლად მან ხელი მიჰყო ნადირობასა და ქეიფს; უკვე 1848 წ. გაყიდა ორსართულიანი სახლი თბილისში. სახლი 32 ათას მანეთად შეიძინა ნიკიტა მახმუდაროვმა და „სასტუმროდ“ გადააკეთა¹².

1854 წლის ზაფხულში კახეთს თავს დაესხა შამილი, ააოხრა ალაზნის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფლები — ენისელი, შილდა, გრემი, ტურისციხე და სხვ. 2 ივნისს შამილის შვილი ყაზი-მაჰმადი თავს დაესხა წინანდალს. ჯერ გაძარცვა, შემდეგ კი დაწვა ჭავჭავაძის სახლ-კარი. ცეცხლში დაიწვა ა. ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა და პირადი არქივი. შამილმა ტყვედ წაიყვანა ა. ჭავჭავაძის ცოლ-შვილი და იქ სტუმრად მყოფი ნათესავები¹³.

ჭავჭავაძეების ზარალი 106 ათას მანეთად (ოქროთი) შეფასდა. გარდა ამისა, დ. ჭავჭავაძემ შამილს გადაუხადა ტყვეების გამოსასყიდი თანხა (40 ათასი მანეთი, ოქროთი), რაც რუსეთის სახელმწიფო ბანკიდან აიღო სესხად (მამულების დაგირავებით)¹⁴.

დავითის სიკვდილის შემდეგ მამული მისი შვილების (სამი ვაჟი და ექვსი ქალი) ხელში გადავიდა.

1885 წლის 25 თებერვლიდან, სახელმწიფო სენატის გადაწყვეტილებით, ჭავჭავაძეების მამულსა და ქონებას კავკასიის სამეურვეო სამმართველო მეურვეობდა. მეურვეობა დავალებული ჰქონდა საიდუმლო მრჩეველს პ. პეშჩუროვს, სახელმწიფო მრჩეველს ვ. სარაჯიშვილს და გვარდიის როტმისტრს ნ. ჩოლოყაშვილს¹⁵.

კავკასიაში მომხდარ გამიჯვნებთან ერთად მოხდა მულანლოს, წინანდლის, ურიათუბნის, ზეგნისა და ნაფარეულის გამიჯვნა. თბილისის სასამართლო პალატამ ზემოთ აღნიშნული მამულის გამიჯვნის დოკუმენტები და გეგმები მამულის სამეურვეო სამმართველოს გადასცა.

¹² ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 1952, გვ. 85.

¹³ Природа и люди на Кавказе и за Кавказом, Санкт-Петербург, 1869.

¹⁴ ა. იოსელიანი, ქართველი ხალხის ბრძოლა შამილის რეაქციული მოძრაობის წინააღმდეგ, თბილისი, 1953, გვ. 33.

¹⁵ ЦГИАЛ, Ф, 515, г. 1886, оп. 81, Д. 968, л. 1.



გამიჯნა და მიჯნების დაზუსტება მიზნად ისახავდა ჭავჭავაძის მამულის ოდენობისა და საზღვრების დადგენას.

მევენახეობა, რომელსაც ალ. ჭავჭავაძის მამულში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, გეგმებში ზუსტად არ იყო შეტანილი. ეს გამოწვეული იყო რეფორმით, რომელმაც გლეხს მიწის დახსნის შესაძლებლობა მისცა. საგრძნობლად გაიზარდა მევენახეობა გლეხურ მეურნეობაში, რაც ნაჩვენები არ იყო გეგმებში. მევენახეობის ზრდას ხელი შეუწყო აგრეთვე სანაშენო იჯარამ, რომლის დროსაც ვენახის ნაწილი მუდმივ სარგებლობაში რჩებოდა გლეხს.

1885 წლისათვის დავით ჭავჭავაძის მემკვიდრეებსა და გლეხობას შორის მამულები უკვე განაწილებული იყო. მართალია, ეს ადგილები გვერდი გვერდზე მდებარეობდნენ, მაგრამ მათ ჰქონდათ თავისი მიჯნა, სამანი და განცალკევებული იყვნენ ერთმანეთისაგან.

დ. ჭავჭავაძის 6 მამულში 406 კომლი ირიცხებოდა. 5 მამულში — წინანდალში, ურიათუბანში, მუკუხანში, ზეგანში და ნათარელში — განთავისუფლებული იყო 333 კომლი, რომლებმაც საკუთარ მფლობელობაში მიიღეს 1694 დესეტინა და 1229 კვ. საე. მიწა¹⁶.

მუდანლოს მამულში 73 კომლს ეკავა 194 დესეტინა და 562 კვ. საე. მიწა. სხვა მამულებისაგან განსხვავებით ამ მამულის გლეხობა 1886 წელსაც დროებითვალდებული იყო. მათ იმიტომ არ დაიხსნეს თავი, — ვკითხულობთ აღწერილობაში, — რომ ამ მამულს მემამულე სარწყავად თვლიდა¹⁷.

1886 წელს ჭავჭავაძეების მამულებში კერძო მესაკუთრე გლეხობისა და დროებითვალდებული გლეხობის გარდა 576 კომლი ხიზანი ცხოვრობდა. მათ დროებით სარგებლობაში ჰქონდათ 111 დესეტინა მიწა. მემამულეს ისინი წლიურად მოსავლის 1/4 ნაწილს უხდიდნენ¹⁸.

¹⁶ ЦГИАЛ, Ф. 515, г. 1886, оп. 81, Д. 968, л. 1.
¹⁷ იქვე, ფურც. 7.
¹⁸ იქვე, 88, 1238, ფ. 30.



1. საკარმიდამო 16,4 დ. და 35 კვ. საე.
2. ვენახები 348,1 დს. (სწორია—237 თ. ჩ.)
3. სახნავი მიწები 2212,8 დს.
4. საბოსტნე 25,7 დს.
5. სათიბი 2866,8 დს.
6. საძოვარი 171,3 დს.
7. ტყე 8736,9 დს.
8. გამოუყენებელი ადგილი 712 დს.

სულ . . . 15089 დ. და 35 კვ. საე.¹⁰

წინანდლის, ურიათუბნის, მუკუზნისა და ზევნის მამულები ვანლაგებული იყო მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე. წინანდალში ჩაედინებოდა მდინარე კისისხევი. ურიათუბანში, მუკუზანსა და ზევანში კი ჭერემის წყალი და თხილისწყალი. მდინარეებს და დელებს სარწყავად იყენებდნენ, რაც აუცილებელი იყო კახეთის მევენახეობისათვის.

ნაფარეულის მამულები მდებარეობდა ალაზნის მარცხენა ნაპირზე. სარწყავად მდინარე ლოპოტის წყალს იყენებდნენ.

მულანლოს მამულს სარწყავი წყალი არ ჰქონდა. მაგრამ მამულის ჩრიდლო-აღმოსავლეთით ჩამოედინებოდა მდ. იორი, საიდანაც ვორონცოვის მმართველობის პერიოდში გამოიყვანეს სარწყავი არხი. ცუდი ტექნიკური პირობების გამო იგი არ გამოუყენებიათ.

ალ. ჭავჭავაძე თავის მამულში მისდევდა მევენახეობა-მეღვინეობას, მევენახეობას. ძირითად შემოსავლიან დარგს, რა თქმა უნდა, მევენახეობა-მეღვინეობა წარმოადგენდა.

ალ. ჭავჭავაძის ღვინო ცნობილი იყო მთელს კავკასიაში. იგი ღვინოს უმეტესად ქართული წესით აყენებდა, თუმცა ღვინის ევროპულად დაყენების ცდებიც ტარდებოდა. ხშირად მემამულეს საშუალება არ ჰქონდა დაეძველებინა ღვინო, მოეხდინა ღვინის კუბაყი და სხვ. ეს გარკვეულ გავლენას ახდენდა ღვინის გასაღებაზე. ღვინო იაფად უფარდებოდათ ხელში ვაჭრებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭავჭავაძეების მამულს, სამეურვეო სამმართველომ, თავი ვერ გაართვა. ამიტომ მთელი მამული იჯარით გადასცა კერძო პირებს. მამულთან ერთად იჯარით გასცეს სამეურნეო იარაღებიც, ქვევრები, მარნები, ყურძნის საწურავები და სხვ.

¹⁰ ЦГИАЛ, ф. 515, г. 1886, оп. 81, Д. 968, л. 13.

მოიჯარეები ვალდებული იყვნენ ღვინის დაღუღებისას გადაეხადათ მოსავლის ნახევარი. ისინი დაინტერესებული იყვნენ, რაც შეიძლება მეტი მოსავალი მიეღოთ ადებული მიწის ნაკვეთიდან, მაგრამ არ ზრუნავდნენ მამულების რაციონალურად მოწყობაზე, რაც ზედმეტ ხარჯებს მოითხოვდა. ისინი მხოლოდ აუცილებელ სამუშაოებს ასრულებდნენ. მეურნეობისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ საგრძნობლად დასცა მოსავლიანობა.

ფ. სმირნოვი და რ. ლევიციკი, რომლებმაც საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის დავალებით მამული აღწერეს, თვლიდნენ, რომ მეურნეობის რაციონალურად მოწყობისათვის საჭირო იყო ბევრი მუშაობა, დიდი თანხა. რაც შეეხებოდა ვენახებში მოსავლიანობის ზრდას, მათ სამეურვეო სამმართველოს იმედი არ ჰქონდათ, რადგან მისი მოქმედება შეწყდებოდა იმ დღიდან, რა დღესაც აღნიშნულ მამულს საუფლისწულო მამულების სამმართველო შეიძენდა²⁰.

ფ. სმირნოვი და რ. ლევიციკი ცდილობდნენ ეპოვნათ მამულების მოსავლიანობის ყოველწლიური ანგარიში, მაგრამ ასეთს ვერ მიაკვლიეს. ამიტომ შეუკრებიან ცნობები იმ მოიჯარეებთან, რომლებიც მამულს განაგებდნენ. გაუთვალისწინებიათ, ამასთანავე, 1885 წ. მოსავალი და ქვევრებში დაცული ღვინოები. ქვემოთ მოგვაქვს ამ ცნობების მიხედვით შედგენილი ცხრილები²¹. 1—5 ცხრილიდან ირკვევა, რომ 1885 წ. წინანდლის მამულში ერთ დესეტინაზე საშუალოდ 109,9 (დოკუმენტში მიღებულია 1116,4, რაც შეცდომაა) ვედრო ღვინო მიუღიათ, ვედრო ღვინო იმ დროისათვის 2 მან. 63,8 კაპ; იყიდებოდა და, მაშასადამე, ერთი დესეტინა ვენახი წელიწადში 295 მან. და 89 კაპ. იძლეოდა.

ურიათუბნის მამულში ერთი დესეტინა ვენახიდან საშუალოდ 106, (აქაც 106 ნაცვლად შეცდომით 1101,4 მიღებული) ვედრო ღვინო მიუღიათ და წლიური შემოსავალი, შესაბამისად, 144 მან. და 36 კაპ. განისაზღვრებოდა.

მუკუზნის მამულში ერთი დესეტინა ვენახიდან 146 (საბუთში 124 აღნიშნული) ვედრო ღვინო მიუღიათ და წელიწადში აქ ერთი დესეტინა ვენახი 303 მან. და 81 კაპ. იძლეოდა.

²⁰ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, Д. 968, л. 17.
²¹ ЦГИАЛ, Ф. 515 г. 1886. Оп. 81, Д. 968, ЛЛ. 2—37.

წინანდლის შიშველი



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

№ რიგზე	ფართობი დეკტონო- ბით		ვენახის დასახელება	1885 წ. მოსავლის ღირსი ვედროებში				ვედრო ღირსის ფასი 1885 წ.		წინა წლები და ვენახიდან შობილი თანხა	
	სულ ბები	ენახი განა- შენიანებული ფართობი		ველა ვენახიდან				მან.	კაპ.	მან.	კაპ.
				სულ	წილი	თეთრი	ერთ დესე- ტანზე				
1	3,5	3,5	საკარმიდამოსთან არსებული ვე- ნახი	262,4	84,4	175	75	2	63,8	197	85
2	6,8	6,8	ნაზურევი	956	318,6	637	140	2	63,8	369	32
3	3,4	3,4	ფორანანთეული	299,8	37,4	262,4	88,2	2	63,8	232	67
4	3,6	2,2		225	75	150	102,1	2	63,8	305	74
5	6,0	5,1	დიდი ბაღის ქვედა ნაწილი . . .	675	337,5	337,5	132,3	2	63,8	349	"
6	6,5	5,0	" ზედა ნაწილი	608	304,2	304,2	121,6	2	63,8	320	78
6	29,8	26	ჯ ა მ ი	3026,6	1157,1	1866,5	116,4 ²²	საშ.	შემოსა- ვარი	295	89

22 ცხრილში შეცდომით ერთ დესეტანზე სამუდამოდ გამოყვანილია 116,4 ვედრო ღირსი, უნდა იყოს 109,9.

ურიათებნის პამელი



№ რაგზე	ფართობი ფესტირებით		ვენახის დასახელება	1885 წ. მოსავლის ღირნი ვედროზე ²³				1 ვედრო ღვინის ფასი 1885 წ.		ეროვნული ვენახების მდებარეობის ტიპი	
	სულ ვენახები	ვახით განაწილებული ფართობი		ველა ვენახიდან				მან.	კაბ.	მან.	კაბ.
				სულ	წითელი	თეთრი	ერთ ღვებინაზე				
1	7,5	7,5	კორეონთეული (Кореонтеული)	590	187,5	402	87	1	38,8	106	95
2	1,5	1,0	დათელიანთეული	150	75	75	100	1	38,8	138	80
3	6,0	6,0	ფოთოლიანთეული	675	262,5	412,5	112	1	38,8	155	45
4	3	3	დათუნაანთეული	300	112,5	187,5	100	1	38,8	138	80
5	2	2	კხენთაანთეული (Кхентантеული)	262	112	150	131	1	38,8	181	82
5	20	19,6	ჯამი	1977	749,5	1227,5	1101,4 ²³	საშ.	შემოსავალი	144	36

²³ ცხრილიდან ჩანს, რომ შეცდომით ერთ ღვებინაზე საშუალოდ მიღ. ღირთ 1101,4 ვედრო ღვინი, უნდა იყოს 106.

ბუფონის მამული



ცხრილი 3

ქვეყნული

ბიბლიოთეკა
ერთი დესეტანა
კნაზზე მიღებუ-
ლი თანხა

№ რიგზე	ფართობი დესეტანა- ზეა		ვენახის დასახელება	1885 წ. მოსავლის ღირს ვედროებში				ერთი ვედრო ღვინის ფასი 1885 წ.		ბიბლიოთეკა ერთი დესეტანა კნაზზე მიღებუ- ლი თანხა	
	სულ ვენახები	ერთი ვენახის ფართობი		ველე ვენახიდან				მან.	კაპ.	მან.	კაპ.
				სულ	წიელი	ფართი	ერთ დესე- ტანაზე				
1	4,5	4,0	ბორცვანთელი	1237	562	675	309	2	8,3	643	64
2	8	7	ალექსანდრეს ზეარი	787	262	525	112	2	8,3	233	29
3	3	2	ტერტერაინთელი	374	112	262	187	2	8,3	389	52
4	5	4,5	პატანთელი (Патантеули)	374	187	187	83	2	8,3	172	88
5	26	24	დედოფლის ზეარი	2456	580	1876	102	2	8,3	212	46
6	3	2,5	ვერტქეთელი	337	75	262	135	2	8,3	281	20
7	4,8	4	საბლიჩთელი (Сабличитеули)	374	112	262	93	2	8,3	193	71
	54,3	48	ჯ ა მ ი	5939	1890	4049	124 ²⁴	საშ.	შემოს- ვალი	303	81

24 ამ ცხრილში შევდომით ერთ დესეტანაზე საშუალოდ გამოყვანილია 124 ვედრო ღვინო, უნდა იყოს 146.

ზენის მამული



№ რაზმე	ფართობი დესტრინით		ვენის დასახელება	1885 წ. მოსავლის ღირსი ვერობაში				ერთ ვერობა ღირსი 1885 წ.		ქართული ენის მამული	
	კვილა ვენახიდან				მან.	კაბ.	მან.	კაბ.			
	სულ ვენახები	ერთ ვენახში		საშუალო					თეთრი	ერთ ღერო ტონაზე	
1	0,5	0,5	სირხონთეული (სირხონთეული)								
2	3	2,5	ტაყინთეული (ტაყინთეული) . .	225	75	150	90	1	38,8	124	92
3	6	4,7	სირხონთეული	450	112,5	337,5	95	1	38,8	131	86
4	2,5	2,0	სირხონთეული (სირხონთეული)	188	75,5	112,5	94	1	38,8	130	48
5	3,5	2,5	ჩიგლანთეული (ჩიგლანთეული)	112	37,5	75	45	1	38,8	62	46
6	3,5	2,5	ჩაჩენტეული (ჩაჩენტეული) . .	25	12,5	12,5	10	1	38,8	13	88
6	18	14,7	ჯამი	1000	312,5	687,5	68	საშ.	შემოს.	92	72

ნადავლის მამული


 ცხელი 5
 ეროვნული

ბიბლიოთეკა

№№ რაიონზე	ფართობი დეკეტინობით		მოიჯარის გვარი და სახელი	1885 წ. მოსავლის ღირს ვედროებში				ერთ ვედრო ღირსის ფასი 1885 წ.		ერთ დესეტინა ვენახზე მიღებულ ლი თანხა	
	სულ ვენახები	ვითი განა- მუნაინებული ფართობი		ყველა ვენახიდან				მან.	კაბ.	მან.	კაბ.
				სულ	წითლი	თეთრი	ერთ დესეტინაზე				
1	63	34	იოსებ დოლაძე	975	300	675	29	1	38,8	40	25
2	36	17	გიორგი ჯაში	674,5	112,5	562	39	1	38,8	54	13
3	23	16	ბესარიონ ბაროვიშვილი	937,5	150	787,5	58	1	38,8	80	50
4	26	17,5	იოსებ კაქაბაძე	825,7	153	672,7	47	1	38,8	65	23
5	31	17,5	ბესარიონ კუსიანი	942	152	790	53	1	38,8	73	56
6	31	18	მაქსიმე წყნარაშვილი	787,5	150	637,5	43	1	38,8	59	68
7	12	7	დავით ელოშვილი	150	37,6	112,5	21	1	38,8	29	24
8	4	2	ზემორობაშვილი	562	75	487	281	1	38,8	390	2
8	226	129	ჯ ა მ ი	5854,2	1130	4724,2	45 ²⁵	საშ.	შემოს.	99	6

²⁵ ცხრილში საშუალოდ ერთ დესეტინაზე გამოყვანილია 45 ვედრო ღირსი, რაც სწორი იქნება იმის, უნდა იყოს 71,4.

ზეგნის მამულში ერთი დესეტინა ვენახიდან მიუღიათ 68 ვედრო ღვინო. ვედრო ღვინო 1 მან. და 38, 8 კაპ. ღირდა. აქედან, ერთი დესეტინის წლიური შემოსავალი 92 მან. 72 კაპ. უდრის.

ნათარაულის მამულში ერთი დესეტინა ვენახიდან საშუალოდ მიუღიათ 71, 4 (ცხრილში შეცდომით გამოყვანილია 45 ვედრო) ვედრო ღვინო. ვედრო ღვინო ღირდა 1 მან. და 38, 8 კაპ. აქედან გამოდინარე, ნათარაულის მეურნეობის საშუალო წლიური შემოსავალი ერთ დესეტინაზე განისაზღვრება 99 მან. 6. კაპ.

მევენახეობა-მეღვინეობის გარდა ალ. ჭავჭავაძე თავის მეურნეობაში შემინდვრეობასაც მისდევდა. ნადელს, უმეტესად, იჯარით სცემდა. ნადელზე თესდნენ ხორბალს, სიმინდს, ქერს, ფეტვს, და სხვ. მიწის დამუშავება ხდებოდა ქართული გუთნით. მემამულეს არ გააჩნდა ყველა საჭირო მანქანა-იარაღი, გამწევი ძალა; სწორედ ამის გამო იყო, რომ მემამულე თავის მამულის უმეტეს ნაწილს იჯარით სცემდა.

ერთი დესეტინა სახნავი მიწა წლიურად გაიცემოდა 2 კოდ პურად (1 კოდი—3 ფუთი) თითოეულ გლეხზე კი საშუალოდ 1 დესეტინამდე სცემდნენ.

ჭავჭავაძეს მამულში ჰქონდა წყლის წისქვილები: წინანდალში — 2, მუკუხანში — 6, ზეგანში — 4, ნათარელში — 5; გარდა ამისა, მის განკარგულებაში იყო აგურის ქარხანა და ხის ფარდულები, რომლებიც, წყლის წისქვილებთან ერთად, წელიწადში 1680 მან. შემოსავალს იძლეოდა²⁶.

მამულში ტყეს 8736, 9 დესეტინა ეჭირა. ტყის მნიშვნელოვანი ნაწილი განლაგებული იყო მდინარე ალაზნის ველზე, ნაწილი — მთიან ადგილებში. ხე-ტყეს ბარში ამზადებდნენ. მთის ზოლში ტყე, მოსავლელად და დასამუშავებლად, ჯერ კიდევ მიუწვდომელი იყო. აქ ძირითადად გავრცელებული ყოფილა: წიფელი, რცხილა, მუხა, ცაცხვი, კაკალი, წაბლი, თუთა, კოპიტი, თელა, ნეკერჩხალი და სხვ.

ტყით სარგებლობის რაიმე წესი ჭავჭავაძეს არ ჰქონია. ტყეს იყენებდნენ ყოველდღიური საჭიროების მიხედვით: ჭიგოდ, ღობედ, შეშად და საშენ მასალად. გლეხობა ტყით სარგებლობდა მებატონესთან შეთანხმებით. ტყე წელიწადში 9132 მან. და 64 კაპ. იძლეოდა²⁷.

²⁶ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, л. 968, л. 30.

²⁷ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, Д. 968, л. 48.



როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რეფორმის შემდეგ მემამულეებმა იაფი მუშახელი დაკარგეს.

მემამულეთა ერთმა ნაწილმა თვითონ მოკიდა ხელი მამულის დამუშავებას. ფართოდ იყენებდა დაქირავებულ მუშახელს და ახალ გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებს. მაგრამ ყველა მემამულეს არ შეეძლო თავისი სახსრებით გასძლიოლოდა მეურნეობას. ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი მამულის იჯარით გაცემას ან „პრიკაზში“ დაგირავებას ამჯობინებდა, რასაც თან სდევდა მამულების დავალიანება. ვალები იმდენად დიდი იყო, რომ შეუძლებელი ხდებოდა მისი გადახდა. ამიტომ ხშირად საჯაროდ იყიდებოდა მემამულეთა ადგილ-მამული. მთავრობა ცდილობდა გადაერჩინა თავადაზნაურული მიწათმფლობელობა. ბევრს თავადასრულიად აბათეს ვალის გადახდა. უმრავლესობას კი, ვისაც დიდი ვალი ჰქონდა, გადახდის ვადა გაუგრძელეს.

მათ რიცხვს მიეკუთვნება ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულიც, რომელიც დაგირავებული იყო „პრიკაზში“ და 1884 წლისათვის ვალად ედო 191 901 მან. და 20 კაპ.²⁸, რაც 37 წლის განმავლობაში უნდა დაეფარათ, წელიწადში 6 %-ის გადახდით.

ზემოაღნიშნული ვალი განაწილებული იყო შემდეგნაირად:

1. წინანდალი და ურიათუბანი	9085 მან. და 7 კაპ.
2. ნაფარეული	85376 " " 38 "
3. მუკუზანი	27787 " " 23 "
4. მულანლო	9652 " " 52 "

ს უ ლ . . 131901 მან და 20 კაპ.

გარდა ამისა, მეურნეობას ჰქონდა თბილისელი ვაჭრის იოსებ დავითის ძე ალენოვის ვალი:

1. წინანდალი, ურიათუბანი და მუკუზანი	18000 მან.
2. ნაფარეული და მულანლო	29000 "
3. წინანდლის წისკვილები	500 "
4. ზეგანი	12000 "

ს უ ლ 60000 მან.

ალენოვის ვალი მეურნეობას 1880 წლიდან ჰქონდა. 1885 წელს კი მას დრო გაუვიდა, მასზე წარდგენილი არ ყოფილა რაიმე საბუთი. თუ ჭავჭავაძის მამულს საუფლისწულო მამულის სამ-

²⁸ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, Д. 968, л. 60.

მართველო შეისყიდდა, აღენოვის ვალი ჭავჭავაძეების მემკვიდრეებს უნდა დაეფარათ.

გარდა ზემოთ აღნიშნული ვალისა მეურნეობას ჰქონდა სხვა წვრილი ვალებიც, რომლებიც საუფლისწულო მამულის სამმართველოს მიერ ამ მამულის შექენამდე უნდა გადახდილიყო.

1885 წ. მამულის ვალიდან დაფარეს 7883 მან. დარჩენილი ვალი—184018 მან. და 20 კაპ. ჭავჭავაძეებმა გადაიხადეს 1886²⁹ წ. მამულის გაყიდვის შემდეგ.

ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ ალექსანდრე და დავით ჭავჭავაძეების მემკვიდრეები ვალების გამო იძულებული იყვნენ მამული გაეყიდათ. 1886 წელს სამეურნეო სამმართველოს წინადადებით საუფლისწულო მამულების სამმართველოს უნდა შეეძინა ჭავჭავაძეების შემდეგი ქონება.

წინანდლის მამული (თელავის მაზრა). აქ ნადელები მთლიანად გლეხებს ჰქონდათ გამოსყიდული. მემამულის საკუთრებაში დარჩენილი იყო 430 დს. და 619 კვ. საყ.

წინანდალში იყო მემამულის ქვის დიდი საცხოვრებელი სახლი, ეზოთი და ხეხილის ბაღით, რომელსაც თან ახლდა სამეურნეო ნაგებობანი: ქვის 2 სარდაფი, 3 საწნახელი, 51 ღვინის ქვევრი და 2 წისქვილი.

წინანდალში ვაზი 30 დს. 1729 კვ. საყ. იყო გაშენებული. ერთ დესეტინაზე საშუალოდ 135 ვედრო ღვინო მოდიოდა. აქაური ღვინო ცნობილი იყო მაღალი ხარისხით. ადგილზე ერთი ურემი ანუ 135 ვედრო ღვინო 500 მან. იყიდებოდა. გარდა ამისა, ჭაჭავაძეებმა საგან არაყს ამზადებდნენ³⁰.

ნაფარეულის მამული (თელავის მაზრა). აქ მთელი მამული (გლეხების ნადელების ჩათვლით, რომელიც მოკლე ხანში უნდა გამოესყიდათ) 11395 დს. 430 კვ. საყ. შეადგენდა. ამ ფართობში ხეობებიცა და მდინარეებიც შედიოდა.

აღნიშნულ მამულში განლაგებული იყო ძველი ქართული ციხეები. მამულს ჰქონდა 2 ხის შენობა, 3 ქვიტყირის სარდაფი 16³ ქვევრითა და 6 საწნახლით, პურის ამბარი, საჯინბო, 6 წყლის წისქვილი; გარდა ამისა, იყო სხვა უძრავ-მოძრავი ქონება, რომლის შესყიდვა დეპარტამენტის მიერ გათვალისწინებული არ ყოფილა. ვაზს 129 დს. 1541 კვ. საყ. ეჭირა. ამ ვენახებსაც, ისევე როგორც

29 ЦГИАЛ, Ф. 515, г. 1886, оп. 81, Д. 968, Л. 60—61.

30 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, Д. 968, Л. 55.

წინანდალში, იჯარით სცემდნენ გლეხებზე. ერთ დესეტინაზე
შუალოდ 2 ურემ ღვინოს (ურემი — 135 ვედრო) იღებდნენ. ნაფარეულის ღვინოები თავისი ხარისხით ბევრად ჩამორჩებოდა წინანდლისას, ამიტომ ურემი ღვინო 300 მანეთად იყიდებოდა.

ნაფარეულში ტყეს 7081 დს. 640 კვ. საე. ეკავა. აქ უმეტესად მუხისა და წიფლის ჯიში ხარობდა. ტყის მახლობლად მდებარე სახნავი და საძოვარი (3270 დს.) გაცემული იყო იჯარით, 3 წლის ვადით. მოიჯარეს წელიწადში 3300 მანეთი უნდა გადაეხადა, მას უფლება ჰქონდა ტყიდან მხოლოდ საჭიგოვე და საშეშე ხე-ტყე გაეტანა.

აღნიშნულ მამულში 60-მდე ხიზანი ცხოვრობდა. მიწები მათ განუსაზღვრელი ვადით ჰქონდათ აღებული მემამულისაგან. გლეხების მიერ გაშენებული ბაღებიდან მემამულეს მოსავლის 1/4 ნაწილი მიჰქონდა³¹. სულ გლეხები 16 დესეტინა საკარმიდამო მიწასა და 95 დესეტინა ბაღს ფლობდნენ.

ურიათუბნის მამულს (თელავის მაზარა) ნადელების გარდა 800-მდე დესეტინა მიწა ეკავა. მამულში დიდი ნაგებობანი არ ყოფილა. იყო მხოლოდ ერთი ღვინის მარანი 30 ქვევრითა და ერთი საწნახლით; ერთი საჯინიბო და ერთიც სასიმინდე.

ვაზი გაშენებული იყო 21 დს. 772 კვ. საეუნზე. ეს ვენახები, ისე როგორც წინანდალსა და ნაფარეულში, იჯარით იცემოდა. იჯარით იცემოდა აგრეთვე სახნავი მიწები.

მუკუზნის მამული (სიღნაღის მაზარა). აღნიშნულ მამულში 132 დესეტინა მიწა იყო. ამ რიცხვში არ შედიოდა გლეხთა ნადელები. მამულს ჰქონდა ოროთახიანი ქვის საცხოვრებელი შენობა. შენობის პირველ სართულზე საჯინიბო და ბეღელი იყო გამართული; 4 ღვინის მარანი 76 ქვევრითა და 5 საწნახლით (საინტერესოა, რომ აქედან ერთი საწნახელი ტყავის ყოფილა)³²; 6 წყლის წისქვილი, თითოეულ მათგანს წელიწადში 500 მან.-მდე შემოჰქონდა.

ვაზს 54 დს. 785 კვ. საე. ეჭირა. წინანდლისა და ნაფარეულის მსგავსად, ვენახები აქაც იჯარით იცემოდა. ღვინო ნაფარეულისაზე უკეთესი დგებოდა და ურემი ადგილზე 400 მან. იყიდებოდა.

სახნავს 70 დესეტინამდე ეჭირა, იგი იჯარით იცემოდა გლეხებზე, წელიწადში 2 კოდ ხორბლად. მუკუზანს ტყეც ჰქონდა.

³¹ ЦГИАЛ, Ф. 515, г. 1886, оп. 81, Д. 968. ЛЛ. 56—57.

³² ი ქ ვ ე.

ტყით ის გლეხი სარგებლობდა, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღმწიფნული მემამულის ბაღი³³.

ზეგნის მამული (სიღნაღის მაზრა). აღნიშნული მამული მუკუზნისა და ურიათუბნის გვერდით მდებარეობდა. გლეხთა ნადელების გარდა, მამულს 446 დესეტინა მიწა ჰქონდა. მამულში გამართული იყო 4 წყლის წისქვილი. თითოეულ წისქვილს წელიწადში 340 მან. შემოჰქონდა; იყო აგურის ქარხანა წელიწადში 130 მან. შემოსავლით და ღვინის სარდაფით (10 ქვევრით). აქ ვაზს ეჭირა 14 დს. და 381 კგ. საყ.

ისე როგორც ზემოაღნიშნულ მეურნეობებში, აქაც ვენახები და სახნავი მიწები იჯარით იცემოდა. ერთი ურემი ღვინო 300 მან. იყიდებოდა. საძოვრები იჯარით იცემოდა და მათგან 110 მანეთი შემოდოდა. ზეგანს ჰქონდა ტყე, რომელსაც წელიწადში 150 მან. შემოჰქონდა. მამულში იყო ეკლესია და კაკლის ხეივანი სასმელი წყაროებით.

მუღანლოს მამული (თბილისის მაზრა). ამ მამულში გლეხთა ნადელების გარდა 1619 დს. მიწა ითვლებოდა. დიდი ნაწილი ეჭირა სახნავ-სათიბსა და საძოვრებს, რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული 6 მუღანლოელ გლეხს — 3 წლის ვადით, წელიწადში 822 მან. აღნიშნული მამული მთლიანად ურწყავი იყო რაც, ცხადია, უარყოფით გავლენას ახდენდა მოსავალზე.

1886 წელს ჰავკვაძეების მთელი მამული საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა შეიძინა. სანამ აღნიშნული მამულის შექნაზე ვილაპარაკებთ, გავეცნოთ თვით საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის, როგორც საუწყებო დაწესებულების რაობას.

როცა ანალიზს უკეთებდა XIX საუკუნის ბოლოსათვის რუსეთში არსებულ სამამულო მფლობელობას, ლენინი აღნიშნავდა, რომ ბატონყმობის ნაშთების შემონახვა შესაძლებელი გახდა მემამულეთა ხელში მამულების თავმოყრის შედეგად, და იქვე დასძენდა — ყველაზე მსხვილი მემამულეც მეფე იყო.

1797 წელს რუსეთის სამეფო ხელისუფლებამ (პავლე პირველმა) საკუთარი საუწყებო დაწესებულება შექმნა. ახალ დაწესებულებას საუფლისწულო მამულების დეპარტამენტი ეწოდა. დეპარტამენტს დაარსების დღესვე გამოუყვეს მრავალი სოფელი და უძრავ-მოდრავი ქონება. ამიერიდან მეფის სასახლე დამოკიდებულ

³³ ЦГИАЛ, Ф. 515, г. 1886, оп. 81, Д. 968, Л. 58.



ადარ იქნებოდა სახელმწიფო ბიუჯეტზე, მას საკუთარი შემოსავალი ექნებოდა.

საუფლისწულო მამულების დეპარტამენტს სათავეში მინისტრი ედგა. დეპარტამენტი, თავისი ხასიათითა და დანიშნულებით, მოწოდებული იყო მომსახურებოდა მეფის სასახლეს და მთელ მის საგვარეულოს. მან მართლაც გაამართლა მეფისა და მისი მემკვიდრეების იმედები.

საუფლისწულო მამულთა დეპარტამენტის შექმნამდე მეფის სასახლეს საარსებო წყაროს ხაზინა აძლევდა. შემდეგში მეფის სასახლის ყველა წევრი ხელფასს მხოლოდ საუფლისწულო მამულების დეპარტამენტისაგან იღებდა და მთელი შემოსავალიც მხოლოდ მეფის მემკვიდრეთა ხელში გადადიოდა.

თავისი არსებობის 100 წლის მანძილზე საუფლისწულო მამულთა დეპარტამენტის შემოსავალმა წელიწადში 20 მილიონ მან. მიაღწია (ვერცხლით)³⁴. შესაბამისად იზრდებოდა ხარჯებიც, რომელთა ზრდა მეფის საგვარეულოს ზრდაზე იყო დამოკიდებული. პაგალითად, 1810 წ. მეფის სასახლის 5 წევრმა საუფლისწულო მამულიდან მიიღო 385 ათასი მან. 1840 წელს სასახლის წევრთა რიცხვი 16-მდე გაიზარდა და მათზე 1 413 000 მან. დაიხარჯა. 1880 წელს სასახლის 35 წევრზე 4 887 000 მან. გაიცა. 1896 წელს (46 — წევრზე) 5. 161 000 მან³⁵.

მეფის საგვარეულოს წევრთა ზრდასთან ერთად შემოსავალიც უნდა გაზრდილიყო და საჭირო კაპიტალიც დაგროვილიყო. ამ მიზნით ყოველწლიურად გამოყოფილი იქნა 100 ათასი მან., რომელიც საუფლისწულო მამულებიდან შემოდებოდა. დაგროვილ თანხას ახალი მეურნეობების მოსაწყობად და მიწების შესაძენად იყენებდნენ. 100 წლის მანძილზე საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა 2 მილიონამდე დესეტინა მიწა შეიძინა 53 მილიონ მანეთად³⁶.

კერძო მემამულეთაგან განსხვავებით, დეპარტამენტს შეეძლო მეურნეობის შეუფერხებლად წარმოება, წლების მანძილზე მსხვილი ფერმების შექმნა, სხვადასხვა ნედლეულის დასამზადებლად საჭირო თანხების გაღება.

საუფლისწულო მამულთა დეპარტამენტის დაარსებისთანავე მის განკარგულებაში გადავიდა 460 ათასი სახელმწიფო გლეხი

³⁴ Столетие уделов, 1797 - 1897 г., Санкт-Петербург 1897, გვ. 7—18.

³⁵ იქვე, გვ. 20.

³⁶ იქვე, გვ. 21.



4 162 000 დესეტინა მიწით, რომელიც რუსეთის 36 გუბერნიის მიწები იყო განლაგებული. მიწების რაოდენობა ყოველ წელს იზრდებოდა რეფორმამდე საუფ. მამულს 10 მილიონი დესეტინა მიწა ეჭირა (აქ ივთლისხმება ტყე, საძოვარი, გამოუყენებელი და სახნავი მიწები). რეფორმის შემდეგ, საუფლისწულო მამულების გლახობას 4 500 000 დესეტინა მიწა გამოუყვეს³⁷.

რეფორმამდელი საუფლისწულო მამულის ძირითადი საშემოსავლო წყარო საგლეხო ღალა იყო. შემოსავალი ახალ-ახალი მიწების შექმნასთან ერთად იზრდებოდა. 1865 წელს საღალო შემოსავალმა 2 916 000 მან. მიაღწია. 68 წლის მანძილზე საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა გლახობისაგან მიიღო 119 მილიონი მან. ვერცხლით. თუ ამას სხვა შემოსავალსაც დავემატებთ, მთელი თანხა 162 მილიონ მან. შეადგენს³⁸.

საუფლისწულო მამულის გლახს 9 დესეტინა სახნავი მიწა უნდა დაემუშავებინა³⁹. ხშირად მიწა საკმარისი არ იყო, რის გამოც დეპარტამენტი საგანგებოდ ყიდულობდა მიწებს, რათა ყოველ გლახს 9 დესეტინა სახნავი შეხვედროდა⁴⁰.

რეფორმის შემდეგ, მონადელე გლახები ვალდებულნი იყვნენ მიწა 49 წლის განმავლობაში გამოესყიდათ; 1863 წელს საუფლისწულო მამულის 825 947 გლახმა მიიღო 3 983 318 დესეტინა ვარგისი მიწა. საშუალოდ სულზე 4, 81 დესეტინა მიწა მოდიოდა. ერთი დესეტინა ნადელის გამოსახსნელად საჭირო იყო 12 მან. და 28 კაპ⁴¹.

საუფლისწულო მამულების დეპარტამენტი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო მიწათმოქმედების განვითარებისათვის.

³⁷ Столетие Уделов. 1797—1897, Санкт-Петербург, 1897, გვ. 29.

³⁸ იქვე.

³⁹ Между тем в «Учреждении об императорской фамилии» предлагалось все удельные земли привести в такое состояние, чтобы каждому работнику досталось на тягло, кроме усадьбы и покосов 9 дес. пашни, что составило бы на ревизскую душу одной только пахатной земли от 4 до 5 дес. т. е. столько же, сколько в среднем действительно владении крестьян находилось всех угодий (кроме леса). Таким образом, при составлении «Учреждения» предполагалось, что уделы будут иметь возможность наделить подведомственных им крестьян вполне обеспечивающим их количеством земли» См. «История уделов за столетие их существования 1797—1897», том II 1901 г. стр. 10.

⁴⁰ «Столетие Уделов. 1797—1897», Санкт-Петербург, 1897, გვ. 29.

⁴¹ იქვე, გვ. 35.



1832 წელს პეტერბურგში გაიხსნა მიწათმოქმედების სასწავლებელი 250 მოსწავლისათვის. სკოლას 400 დესეტინამდე მიწა ჰქონდა. ასწავლიდნენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მანქანა-იარაღების დამზადებას. სკოლაში მხოლოდ საუფლისწულო მამულის გლეხის შვილებს იღებდნენ. სკოლადამთავრებული ამავე უწყებაში იწყებდა მუშაობას. ცხადია, სკოლა კადრების მომზადებას ისახავდა მიზნად. მაგრამ ასეთი სკოლა ვერ უზრუნველყოფდა იმ დიდ მოთხოვნას, რაც იმ დროისათვის არსებობდა. დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე საცდელ-საჩვენებელ ნაკვეთებს. აქ სწავლობდნენ მიწის დამუშავებას. აქვე იყო სახელოსნოები, სადაც სასოფლო-სამეურნეო იარაღებს ამზადებდნენ. სასწავლო-საჩვენებელი ნაკვეთები ეწყობოდა ამ სახელოსნო სასწავლებლებთან და ეკლესიებთან.

1844 წლისათვის რუსეთში 200-მდე სკოლა იყო გახსნილი და ბევრ მათგანს საკუთარი პანსიონატი ჰქონდა. შემდეგში სკოლების რიცხვი თანდათან გაიზარდა.

რეფორმის შემდეგ აღნიშნული სკოლები სახალხო განათლების სამინისტროს ხელში გადავიდა, დეპარტამენტს მხოლოდ ფულის გაღება ეკისრებოდა, რაც შეეხება საავადმყოფოებს, მათი დიდი ნაწილი საუფლისწულო მამულების სისტემაში დარჩა, ნაწილი კი გლეხთა ამხანაგობების ხელში გადავიდა.

1836 წელს საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა გახსნა საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც შემდეგში სასოფლო ბანკებად გადაკეთდა. მანვე დააარსა დამზღვევი ორგანიზაცია, რომელიც გლეხთა ნაგებობებს აზღვევდა. რეფორმის შემდეგ ეს ორგანიზაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში გადავიდა⁴².

საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა თავის მეურნეობაში ცხენის გუთანის. მან ხელი მიჰყო ისეთი კულტურების გავრცელებას, რომლებიც ზრდიდა ნიადაგის ნაყოფიერებას. დეპარტამენტი ავრცელებდა საქონლის საკვებ ბალახს; მან პირველმა შემოიტანა და გაავრცელა რუსეთში კარტოფილის კულტურა; ის სისტემატურად აწარმოებდა ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოცდა-გამოფენას. რა თქმა უნდა, საუფლისწულო მამულების დეპარტამენტი ყველაფერ ამას თავისი ინტერესების შესაბამისად ახორციელებდა. მაგრამ ექვგვარეშეა ისიც, რომ მან დადებითი გავლენა იქონია საერთოდ გლეხური მეურნეობის განვითარებაზე რუსეთში.

⁴² Столетие Уделов, 1797—1897, Санкт-Петербург, 1897, გვ. 45—56.

1860 წელს მესაქონლეობის განვითარების მიზნით ევროპიდან შემოიყვანეს დიდძალი ცხვარი და უფასოდ დაურიგეს გლეხობას. ამავე წელს სამარის გუბერნიაში გლეხობას 33 000 ცხვრის ახალი ჰიბრიდი ჰყავდა. გლეხები ვალდებულნი იყვნენ შეჭვარების შედეგად მიღებული ნამრავლის ნაწილი სხვა გლეხებისათვის გადაეცათ.

1845 წელს უცხოეთიდან შემოიყვანეს მსხვილფეხა ჯიშის ს საქონელი და საუფლისწულო მამულების მიწებზე მცხოვრებ გლეხებს დაურიგეს. მაშინვე მოაწყვეს საქონლის შემჭვარებელი პუნქტები. გლეხობას ურიგებდნენ აგრეთვე ხეხილის ნერგს.

60-იანი წლებიდან საუფლისწულო მამულების სამინისტრომ ხელი მოჰკიდა საშუალო სიდიდის (100-დან 1 000 დესეტინამდე) ფერმების მოწყობას; ამ საქმეს მეურნეობის მცოდნე პირებს ავალებდნენ. 10 წლის მანძილზე მოაწყვეს და იჯარით გასცეს 150-მდე ფერმა. 80 — 90-იან წლებში შედარებით პატარა ზომის ფერმები უცხოელებისათვის მოაწყვეს.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, ალ. ჭავჭავაძის მთელი მამული 15089 დესეტინას შეადგენდა, რომელიც 1886 წელს 8 თებერვალს 1 მილიონ ნახევარ მანეთად შეიძინა საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა⁴³. უნასყიდობა სანოტარო წესით დამტკიცდა. მტკიცებას ესწრებოდნენ საუფლისწულო მამულისა და სამეურვეო სამმართველოს წარმომადგენლები, მეურვე ბარონი ნიკოლაი და საუფლისწულო მამულის მმართველი პეტრე რიხტერი. (მთელი მამული, თავისი მიწებით, ვენახებით, ნაგებობებით, მიწათმოქმედებისა და მეღვინეობაში სახმარი იარაღებით საუფლისწულო უწყებას გადაეცა. მხოლოდ ანა ჭავჭავაძეს დროებით სარგებლობაში დარჩა წინანდლის საცხოვრებელი სახლი⁴⁴.)

საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა გამოყო ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც უნდა შეემოწმებინა და შეეჯერებინა მამულის აღწერილობა.

1886 წლის 1 იანვრამდე მამულის შემოსავალ-გასავალი ჭავჭავაძეებს უნდა ეწარმოებინათ. მათვე უნდა გაესწორებინათ ანგა-

⁴³ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, Д. 968, л.л. 12 об. იხილეთ აგრეთვე ვ. დ. მონალოვი, გვ. 255.

⁴⁴ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, д. 964 л, 1—2. იხ. აგრეთვე ანაწ. 88, საქმე 1936, ფურც. 2.



რიში, რომელიც მუშებსა და მოიჯარეებს შეეხებოდა და შეეწყობა ტათ მიწის იჯარით გაცემა.

კახეთის საუფლისწულო მამულების მმართველად კამერგერი ბაგოუტი დაინიშნა. მას უნდა მოეხდინა მამულის რეორგანიზაცია, ეწარმოებინა ყველა აუცილებელი მშენებლობა, დაემზადებინა საშენი მასალა, შეეკეთებია არსებული ნაგებობანი, შეექმნა მუშა-მოსამსახურეთა მთელი შტატი.

(საუფლისწულო მამულების სამმართველომ მთლიანად შესცვალა მამულის დამუშავების წესები.) ხელსაყრელი აღარ იყო ვენახების იჯარით გაცემა. მან თვითონ მოჰკიდა ხელი ვენახების დამუშავებას და გაზრდას. მას კარგად ესმოდა, რომ მეურნეობის გარდაქმნა და რაციონალურად მოწყობა მნიშვნელოვან თანხებს მოითხოვდა, მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ ეს თანხები, წარმატების შემთხვევაში, ერთიათად ანაზღაურდებოდა. სმირონოვი და ლევიცი (მათ აღწერეს მამული) იმედოვნებდნენ, რომ მამული, რომელიც კახეთის ერთ-ერთ ყველაზე კარგ ადგილას მდებარეობს, აქვს სარწყავი წყალი და მდიდარია ტყით, სავსებით გამოსადეგი იქნებოდა მევენახეობის განვითარებისათვის. (საჭირო იყო მხოლოდ თანხების დაბანდება, ღვინოების ახალი მიღწევების შესაბამისად დაყენება, მათი დაძველება. რა თქმა უნდა, ასეთ ღვინოზე დიდი მოთხოვნილება იქნებოდა, და იოლად გასაღდებოდა რუსეთისა და ევროპის ბაზრებზე⁴⁵.)

გათვალისწინებული იყო ისეთი სამარკო ღვინის დაყენება, როგორსაც ევროპის ქვეყნებში ამზადებდნენ. ამ ამოცანის გადასაჭრელად კი საჭირო იყო ვაზის კულტურის გაუმჯობესება, ახალი ჯიშების გამოყენება.

კახეთის საუფლისწულო მამულში ვაზს 237 დესეტინამდე ფართობი ეკავა და 5 მამულში იყო განლაგებული. პირველი 5 წლის განმავლობაში გათვალისწინებული იყო არსებული ვენახების მოვლა და მოსავლის გაზრდა, შემდეგ იმ ვენახების გამოვსება, სადაც ვაზი ძალზე შეთხელებული იყო. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ახალი ვაზის გაშენება.

საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა პირველ რიგში ყურადღება მიაქცია ღვინის სარდაფების მშენებლობას, სადაც 4 წლის მოსავალი უნდა დატეულიყო. სარდაფები უნდა აშენებუ-

⁴⁵ ЦГИАЛ, Ф. 515, г. 1886, оп. 81, Д. 968, Л. 33.

ლიყო ხუთივე მამულში. მათი სიდიდე მამულის მოსავლით განსაზღვრებოდა. მაგალითად, წინანდალში წელიწადში იღებდნენ 17648 ვედრო ღვინოს. სწორედ ეს საზღვრავდა სარდაფის სიდიდეს. იგივე პრინციპი ედო საფუძვლად სხვა მამულების სარდაფთა ტევადობასაც.

სარდაფების მშენებლობაზე გასაწვევი ხარჯების დასადგენად საჭირო ცნობები შეკრიბეს კახეთისა და საქართველოს სხვა რაიონებში მიმდინარე მშენებლობის გამოცდილებების საფუძველზე. იმ პერიოდში სარდაფის მშენებლობა მიმდინარეობდა კარდანახში. შერმეტიევის მამულში. სარდაფი გათვალისწინებული იყო 12 ათასი ვედრო ღვინისათვის და მისი აშენება 24023 მან. და 28 კაპ. ჯდებოდა. ვედრო ღვინოზე საშუალოდ 2 მან. და 19 კაპ. მოდიოდა.

კახეთის საუფლისწულო მამულებში უნდა აეშენებიათ 130 ათასი ვედრო ღვინის ტევადობის სარდაფი, რასაც 286 ათასი მან. სჭირდებოდა.

ზემოაღნიშნულის გარდა, ყველა მამულში აშენებდნენ საცხოვრებელ სახლს მამულის მმართველისათვის, მეღვინეთათვის, მუშებისათვის. მიმდინარეობდა აგრეთვე სასადილოებისა და სხვა დამხმარე ნაგებობათა მშენებლობა.

შეიქმნა საქმის მწარმოებელთა და მუშა-მოსამსახურეთა მთელი შტატი: ბუჰალტერი, საქმის მწარმოებელი, ხაზინადარი, საწყობის გამგე, მონაგარიშე, მწერალი, დარაჯი, შიკრიკი. გარდა ამისა, ყველა მამულს ჰყავდა მეცენახე-მეღვინე სპეციალისტი, ზედამხედველი და სხვ. მუშა-მოსამსახურეებზე აქ აღარ შევჩერდებით, რადგან ქვემოთ ვრცლად ვიხილავთ ამ საკითხს.

სოფლად კაპიტალიზმის განვითარებას თან ახლავს მიწის მობილიზაცია და მიწათმფლობელობის კონცენტრაცია. ლენინი აღნიშნავდა, რომ „კაპიტალიზმმა მიწა საქონლად გადააქცია და ამით პირველად დაარღვია მიწათმფლობელობის წოდებრიობა. სამიწათმოქმედო კაპიტალიზმმა პირველად შეარყია ჩვენი სოფლის მეურნეობის საუკუნეობრივი უძრაობა, უძლიერესი იმპულსი მისცამისი ტექნიკის გარდაქმნას, საზოგადოებრივი შრომის საწარმოო ძალების განვითარებას... რუტინული ნატურალური მეურნეობის ერთგვარობა შეიცვალა სავაჭრო მიწათმოქმედების ფორმათა სხვადასხვაობით“;⁴⁶

46 ვ. ი. ლენინი, თხზ., III, გვ. 360 — 361.



„წარმოების კონცენტრაცია ხდება ერთი მფლობელის მრავალი მამულის შესყიდვის საშუალებით. ამნაირად შექმნილი ლატიფუნდები წარმოადგენდნენ მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების ერთ-ერთი უმაღლესი ფორმის ბაზისს“⁴⁷.

კავკასიის საუფლისწულო მამულების სამმართველო სისტემატურად იქნდა და აფართოებდა თავის მამულებს.

1888 წელს თელავში მან ბახუტოვებისაგან შეიძინა 341 დს. 1280 საყ. მამული. აღნიშნულ მამულში იყო წყაროს წყალი, რომლითაც შემდეგში ირწყვებოდა წინანდლის მეურნეობა. მამულთან ერთად შეიძინეს აგურის ქარხანაც⁴⁸.

1889 წელს ს. ვორონცოვის მემკვიდრეებისაგან სამმართველომ შეიძინა ყირიმის მამულები „მასანდრა“ და „აიდანილი“, მასთან ერთად, ვორონცოვის სავაჭრო ფირმა, რომელიც განთქმული იყო თავისი ღვინოებით. 1889 წელს „მასანდრასა“ და „აიდანელში“ 163 დესეტინა ვენახი იყო გაშენებული⁴⁹.

1891 — 1892 წლებში საუფლისწულო მამულმა შეიძინა გენერალ ლეიტენანტ მირსკის მამული⁵⁰.

✓ 1893 წელს შეიძინეს ივანე, სულხან, კონსტანტინე, მიხეილ, ირაკლი, ლევან, დიმიტრი, ალექსანდრე ჭავჭავაძეებისა და დარია ანდრონიკაშვილის მამულები, სულ 371 დესეტინა⁵¹.

1907 წელს ზურაბიშვილისაგან იყიდეს 44 დესეტინა ვენახი ამ მამულის თითოეულ დესეტინაზე 966 ფუთ ყურძენს იღებდნენ⁵².

კახეთის საუფლისწულო მამულების მმართველისა და საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის შუამდგომლობით საუფლისწულო მამულების მინისტრი იმპერატორთან შევიდა წინადადებით — შეესყიდათ როტინიანცის (მისი ვენახები მდებარეობდა წინანდლის მამულის ახლოს), თავად ზ. ჭავჭავაძისა და აზნაუროვის ვენახები. ვენახების ერთ ნაწილს იძენდნენ იმ მიზნით, რომ შემდეგ გაეცვალათ იმ მემამულეთათვის, რომლებსაც თავიანთი ვენახები წინანდლის ან სხვა მეურნეობის ახლოს ჰქონდათ⁵³. ე. ი. ხდებოდა

47 ვ. ი. ლენინი, თხზ., IV, გვ. 106, გამოცემა IV, 1949.

48 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 35, Д. 2983, л. 5.

49 «Столетие Уделов», 1879, стр. 84—85.

50 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, д. 1005, л. 5.

51 ЦГИАЛ, Ф. 361, д. 27, лл. 43—44.

52 ЦГИАЛ, Ф. 351, оп. I, д. 195, лл. 18.

53 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, д. 9875, лл. 5—605.

შიწების გაერთიანება ერთ ფართობში, რაც მეტად საყურადღებო ფაქტია.

1913 წელს თავადმა ჩიჯავაძემ საუფლისწულო მამულების სამ-მართველოს შესთავაზა თავისი მამული, ზომით 329 დესეტინა. იგი 1 დესეტინაში 80 მანეთს ითხოვდა. აღნიშნული მამული კისისხევის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა, და ხევისგან მდინარე თეთრანი ჰყოფდა.

კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორმა ფონრაბენმა და სწავლულმა მეტყევემ სადოვსკიმ სურვილი გამოთქვეს შეეძინათ ჩიჯავაძის მამული, მხოლოდ არა 80 მანეთად, არამედ 50 მანეთად ჩიჯავაძის მამული 1914 წელს იყიდეს.

1914 წელს, წინანდალში ყოფნის დროს წერს ბარონი ბრიუტსნერი — საშუალება მომეცა გავცნობოდი თავად ჩიჯავაძის მამულს და შემდეგ დასკვნამდე მივედი: ამ მამულის ერთი მესამედი მოტიტვლებული კორდიანი, ბუჩქნარი და საძოვარია. ერთი მესამედი საშუალო ხარისხის ტყეს უჭირავს (რცხილა და წიფელი), ერთი მესამედი კი ძალიან კარგი ხარისხის მწიფე წიფლის ტყეს. ამ ტყეში ერთ დესეტინაზე საშუალოდ 20 კუბ.მეტრი მოიჭრა და მისი ფასი 3 მანეთია; აქედან გამომდინარე ერთი დესეტინა 60 მანეთი ღირს, ამას ემატება სხვა სატყეო მიწა, რომელიც სახელმწიფო ბანკში 30 მანეთადაა შეფასებული. მაგრამ შეშის ფასი მოსალოდნელია გაიზარდოს⁵⁴. ამიტომ ბარონი ბრიუტსნერი ასკვნის, რომ სავსებით შესაძლებელია დესეტინაში 80 მან. მიცემა.

გარდა ზემოაღნიშნული მოსაზრებებისა, მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ წინანდლის საუფლისწულო მამულს ყოველ წელს 250 მ³ შეშა ესაჭიროებოდა. მეურნეობა იძულებული იყო იმ ფასად შეეძინა შეშა, როგორსაც გამყიდველი მოითხოვდა. აღნიშნული მამულის შეძენის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მეტყევეობის განვითარება, რაც ხე-ტყით უზრუნველყოფდა მეურნეობას.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამასთანავე, მამულის სიახლოვეს, რადგან შეშისა და ხე-ტყის გამოტანა შეიძლებოდა ურმით და საქირო აღარ იყო სხვა დამატებითი სამუშაოების შესრულება. ა. ჩიჯავაძის მამულში შეშის დამზადება, ნაცვლად 20 მანეთისა, 15 მან.

⁵⁴ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, 1914—1915 гг., д. 1218, лл 6—8.

ჯდებოდა. ასე რომ, 250 მ³ დამზადება 1000 მან-მდე ეკონომიკურად იძლეოდა.

აღნიშნული მამული იმითაც იყო ხელსაყრელი, რომ აქ იყო რამდენიმე წყარო (სამკურნალო „თეთრანი“). მომავალში შესაძლებლად თვლიდნენ აღნიშნული წყლებიდან ელექტროენერჯის მიღებას, რომელიც მარტო განათებისათვის კი არ გამოიყენებოდა, არამედ მანქანებსაც ამუშავებდა. იმ დროისათვის კი მეურნეობას მარტო განათებაზე ეხარჯებოდა 1400 მან.

რა თქმა უნდა, მარტო ჩიჯავადის მამული ვერ დააკმაყოფილებდა მეურნეობის მოთხოვნებს, რადგან, სხვას რომ თავი დავანებოთ ვენახებისათვის საჭირო იყო დიდძალი საჭიგოვე მასალა. 1913 წელს 1000 სარის ფასმა 110 მან. მიაღწია.

კისისხევის გასწვრივ, საუფლისწულო მამულების ახლოს, მდებარეობდა 2000 დესეტინა კარგი ტყე, რომელიც 1914 წელს თავადა მკობულოვმა საუფლისწულო მამულს შესთავაზა: დესეტინა 35 მანეთად. ამავე დროს საუფლისწულო მამულების დეპარტამენტს გადაწყვეტილი ჰქონდა შეეძინა მკობულოვის კიდევ მეორე იმავე სიდიდის ტყე და თელავსა და სიღნაღში მდებარე ექიმ ჯანდიერის მამულები.

ზემოაღნიშნული მამულების შესყიდვის შემთხვევაში საუფლისწულო მამულები უზრუნველყოფილი იქნებოდა ხე-ტყის ყოველგვარი მასალით. შესაძლებელი იქნებოდა აგრეთვე ხე-ტყის დამუშავება და გაყიდვა. მითუმეტეს, რომ ამ პერიოდში მიმდინარეობდა კახეთის რკინიგზის მშენებლობა.

რიგი მამულებისა შეიძინეს დასავლეთ საქართველოში, შორაპანთან. იყიდეს ვაჭევის მეურნეობა, სადაც ძირითადად მევენახეობა იყო განვითარებული; კულაშში, ქუთაისში, აჯამეთსა და ზესტაფონში მოაწყვეს საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთები, რომლებმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს. როგორც დასავლეთ საქართველოს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობას, მისი აღდგენისა და განვითარების საქმეს.

აღსანიშნავია, რომ მრავალი მსურველი თხოვნით მიმართავდა საუფლისწულო მამულების დეპარტამენტს, რათა შეეძინათ მათი

მამულები⁵⁵, მაგრამ ცხადია, ყველას შეძენას სამმართველო ვერ ახერხებდა.

••

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ალ. ჭავჭავაძის მამულში გაბატონებული იყო საბატონო ბეგარა. შრომის ანაზღაურება ხდებოდა როგორც ნატურით, ისე ფულით. 1825 წლიდან პოეტმა დიდძალი ფული დააბანდა მეურნეობაში; საგრძნობლად გაიზარდა მამულის შემოსავალი. წელიწადში 30 ათასამდე თუნგი ღვინო მოჰყავდათ.

აღნიშნულ მეურნეობაში უკვე შეიმჩნევა წარმოების ფეოდალური წესიდან კაპიტალისტურზე გადასვლის პროცესი. 1841 წელს ალ. ჭავჭავაძემ პირველმა შემოიღო, მამულების საიჯარო წესით დამუშავება, იყენებდა დაქირავებულ მუშახელს. რეფორმის შემდეგ კი ეს პროცესი კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარდა. ჭავჭავაძეების მამულების ერთი ნაწილი დაგირავებული იყო ბანკებში, დიდი ნაწილი კი იჯარით იყო გაცემული; ჰქონდათ დიდძალი ვალები, ამიტომ იძულებული იყვნენ გაეყრდათ იგი.

საუფლისწულო მამულების დეპარტამენტი, რომელმაც შეიძინა აღნიშნული მამული, მიწების შესყიდვის გზით ახდენს მამულების კონცენტრაციას, აფართოებს მიწათმფლობელობას, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა პროდუქციისა და ნედლეულის დიდი რაოდენობით წარმოება ბაზრისათვის.

თ ა ვ ი II

კახეთის საუფლისწულო მამულები 1885 — 1921 წლებში

წარმოების საშუალებანი და შრომის იარაღები

მიწას, ტყესა და წყალს, მანქანა-იარაღებს, ტრანსპორტსა და შენობებს ცხადია დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის საუფლისწულო მამულებისათვის.

55 «...Прошение княгини Андрониковой и князей Чавчавадзе с предложением продать Удельному ведомству принадлежащие им участки земли при селении Цинандали, Главное управление Уделов, доходности и приблизительной стоимости названных участков Земли, с вашим заключением о степени выгодности приобретения их в Уделы, а также и план продаваемых участков». Ом. ЦГИАЛ, ГР. ССР, 361, д. 27, л. 46.

1886 წელს, ჰავკავაძეთა მამულების საუფლისწულო უწყებაში გადასვლის წინ, მთელი მიწა მემამულესა და გლეხობას შორის უკვე განაწილებული იყო¹. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე სამზრუნველო სამმართველომ, რომელმაც ფაქტიურად მოამზადა მამული გასაყიდად და გაასწორა ანგარიში გლეხობასა და მემამულეს შორის. ამის შემდეგ, დ. ჰავკავაძეს თავის 6 მამულში: წინანდალში, ურიათუბანში, მუკუზანში, ზეგანში, ნაფარეულსა და მუდანლოში პირადი სარგებლობისათვისა (საკუთრებაში) დარჩა შემდეგი მიწები და ადგილები.

წინანდლის მამულები

- 1. საკარმიდამო 5 დს. 95 კვ. საე.
- 2. ვენახის ბაღები 29,8 დს.
- 3. სახნავი და ნასვენი მიწები 113 დს. 1080 კვ. საე.
- 4. ტყე, ჩირგვნარი და საძოვარი 238 დს. 1735 კვ. საე.
- 5. წყალი, გზები და კლდოვანი ადგილები 42 დს. 780 კვ. საე.

ს უ ლ 429 დს. 610 კვ. საე.

აღნიშნულ მამულში 387 დს. 30 კვ. საე. წარმოადგენდა ვარგის მიწას, რომელზედაც შეიძლებოდა მეურნეობის წარმოება. 42 დს. 780 კვ. საე. კი უვარგისი იყო. 29, 8 დს. ფართობზე, 26 დესეტინა, ვაზს ეკირა 3,8 დესეტინა კი ცარიელი იყო.

ურიათუბანის მამული

- 1. საკარმიდამო 1200 კვ. საე.
- 2. ვენახის ბაღები 20 დს.
- 3. სახნავი და ნასვენი მიწები 50 დს.
- 5. ტყე 100 დს.

ს უ ლ ვარგისი . 170 დს. 1200 კვ. საე.

უვარგისი (გამოუყენებელი) 5 დს. 1200 კვ. საე.

ს უ ლ 176 დს.

მუკუზნის მამული

ცნობები აღნიშნული მამულის შესახებ აიღეს „პრიკაზიდან“, სადაც მთელი მამული დაგირავებული ჰქონდა თავად ჰავკავაძეს.

¹ В Настоящее время разверстка и обмена виноградных садов, состоявшиеся, по добровольному соглашению князя Чавчавадзе и лежат черезполосно с садами и землями бывших его крестьян — собстажников, но образуя отдельные площади, обнесенные плетневыми изгородями». См. ЦГИАЛ, ф. 515, г. 1886, оп. 81, Д. 968, ЛЛ. 3.

ვარდა ამისა, ზუსტი ცნობები შეკრება მამულის შესახებ სამზრუნველო სამმართველომ. ეს ცნობები ადგილზევე შემოწმდა.

1. საკარმიდამოს ეჭირა 0,5 დს.
2. ვენახებს 54,3 დს.
3. სახნავსა და საძოვარს 69,5 დს.
4. ტყეს 1000 დს.

ს უ ლ 1124,3 დს.

54,3 დესეტინიდან ვენახის ბაღებს ეჭირა 48 დესეტინა. 63 დესეტინა ცარიელ ფართობზე შეიძლებოდა ვაზის გაშენება.

ზ ე გ ნ ი ს მ ა მ უ ლ ი

მას შემდეგ რაც, სააპეკუნო სამზრუნველო სამმართველომ გაანაწილა მიწა მემამულესა და გლეხობას შორის, აღნიშნულ მამულის სარგებლობაში დარჩა.

1. საკარმიდამო მიწა 1 დს. 1200 კვ. საე.
2. ვენახები 18 დს. 1200 კვ. საე.
3. სახნავი მიწა 73 დს. 187 კვ. საე.
4. ტყე სხვადასხვა წლოვანების 317 დს. 100 კვ. საე.
5. საძოვარი 9 დს. 1660 კვ. საე.

სულ ვარგისი 420 დს. 38 კვ. საე.

6. გზებს ეჭირა 5 დს. 1360 კვ. საე.
7. დატყეული მიწა 1 დს. 780 კვ. საე.
8. მდინარეები კალაპოტით 41 დს. 360 კვ. საე.

გამოუყენებელი . 48 დს. 100 კვ. საე.

ს უ ლ . . . 468 დს. 138 კვ. საე.

18 დესეტინაზე ვაზს ეჭირა 14,7 დს 3,3 დესეტინა კარგი სავენახე იყო.

ნ ა ფ ა რ ე უ ლ ი ს მ ა მ უ ლ ი

მამულის ადგილებზე შემოწმების შედეგად გამოირკვა:

1. საკარმიდამოს და ნაგებობას ეჭირა 1 დს. 2030 კვ. საე.
2. ვენახებს 129 დს.
3. მინდორს, სახნავ მიწას და საძოვარს . . . 1766 დს. 1200 კვ. საე.
4. მთაგორიან ადგილებს 1602 დს. 2200 კვ. საე.
5. ბოსტანს 25 დს. 50 კვ. საე.
6. ბუჩქნარსა და საძოვარს 148 დს. 2200 კვ. საე.
7. ტყესა და ჩიგენარს 7081 დს. 640 კვ. საე.

ს უ ლ . 10755 დს. 1120 კვ. საე.



8. მდინარეები თავისი კალაპოტით	314 დს.	320 კვ.	საქართველოს გეოლოგიური
9. კლდოვანი ადგილები	123 დს.	730 კვ.	საქ.
10. გზები	75 დს.	2380 კვ.	საქ.
11. არხები	2 დს.	1890 კვ.	საქ.
12. სასაფლაო	1 დს.	1210 კვ.	საქ.

სულ გამოუყენებელი მიწა 517 დს. 1730 კვ. საქ.

მთლიანად ვარგისი და მეურნეობისათვის გამოუყენებელი მიწა 11273 დს. 450 კვ. საქ.

მ უ ლ ა ნ ლ ო ს მ ა მ უ ლ ი

1. საკარმიდამო მიწა	7 დს.	288 კვ.	საქ.
2. სახნავი მიწები	236 დს.	1755 კვ.	საქ.
3. სათიბი ადგილები	1263 დს.	2282 კვ.	საქ.
4. საძოვარი	12 დს.	1910 კვ.	საქ.

სულ ვარგისი მიწა 1520 დს. 1435 კვ. საქ.

5. გზები	33 დს.	1940 კვ.	საქ.
6. მდინარეები და მათი კალაპოტი	64 დს.	210 კვ.	საქ.

სულ გამოუსადეგი მიწა 98 დს. 1654 კვ. საქ.

სულ მეურნეობისათვის ვარგისი და გამოუყენებელი მიწები 1619 დესეტინას და 898 კვ. საქ. შეადგენდა.

ამრიგად, 1886 წლისათვის დ. ჭავჭავაძის მემკვიდრეების მფლობელობაში ითვლებოდა:

1. საკარმიდამო მიწები	16,4 დს.	35 კვ.	საქ.
2. ვენახები	348,1 დს.		
3. ბოსტანი	25,7 დს.		
4. სახნავი მიწა და საძოვარი	2212,8 დს.		
5. სათიბი მიწები	2866,8 დს.		
6. საძოვარი მიწები	171,3 დს.		
7. ტყეს ეჭირა	8736,9 დს.		

სულ ვარგისი 14377 დს.

მეურნეობის წარმოებისათვის უვარგისი 712 დს.

ს უ ლ 15089 დს.¹

ამავე დროს დეპარტამენტმა სხვადასხვა პირისაგან შეიძინა 1041 დესეტინა მიწა, 2000 დესეტინა ტყე². გარდა ამისა, კიდევ

² აღნიშნულ მონაცემებზე სათანადო ადგილას მითითებული გვაქვს წყარო.

სხვა ბევრი ადგილ-მამული იქნა შეძენილი, რომლის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. უნდა ვივარაუდოთ, რომ 900-იანი წლებისათვის კახეთის საუფლისწულო მამულს დაახლოებით 40 — 50 ათასი დესეტინა მიწა ექირა. რა თქმა უნდა, აქ შედის აგრეთვე ტყე, საძოვარი და მთავორიანი ადგილები.

დეპარტამენტი ყოველნაირად ცდილობდა ერთ ფართობში მოექცია მიწის დიდი ნაკვეთები. ამ მიზნით ახდენდა მიწების გაცვლას როგორც გლეხობასთან, ასევე თავადაზნაურობასთან. გარდა ამისა ითვისებდა გლეხობის მიწებს, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

სავენახე მიწების გაზრდის მიზნით ამოძიკვეს მთელი რიგი ბუჩქნარი ადგილები და ვაზი გააშენეს. ამავე მიზნით ჩირგვნარი ადგილები, 3 წლის ვადით, იჯარით გასცეს გლეხობაზე. საიჯარო დროის გასვლის შემდეგ, მამულის ხელმძღვანელობა წყვეტდა კონტრაქტს და დაქირავებული მუშახელით აწარმოებდა მეურნეობას. აითვისეს აგრეთვე უვარგისი და გამოუყენებელი მიწები.

დეპარტამენტის მიერ კახეთში შეძენილი მიწები საგრძნობლად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ადგილმდებარეობით, მიწის ქიმიური შემადგენლობით და სხვ. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტს ჰყავდა სპეციალისტი, რომელიც ლაბორატორიულად სწავლობდა მიწის ქიმიურ შემადგენლობას, რაც მეტად საყურადღებო ფაქტია.

ნიადაგის შესწავლის საფუძველზე ცდილობდნენ მეურნეობაში დაენერგათ შესაფერისი კულტურები. მთავარ ყურადღებას მევენახეობის განვითარებას აქცევდნენ, რადგან აქაური მიწები საუკეთესო იყო მევენახეობისათვის.

მეურნეობის წარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წყალს. კახეთის მამულებში მრავლად იყო მდინარე, ღელე, წყარო, რომელითაც რწყავდნენ ზვრებს, ყანებს, ბაღებს, და სხვა, მიუხედავად ამისა, საჭირო იყო სერიოზული სამუშაოების ჩატარება სამელიორაციო სისტემის შესაქმნელად.

1888 წელს წინანდალში დაიწყო წყალგაყვანილობასთან დაკავშირებული სამუშაოები³. ამავე წელს თავად ბახუტოვისაგან შეიძინეს მამული წინანდლის ახლოს, რომელიც მდიდარი იყო

³ ЦГИАЛ, ф. 515, оп. 44, Д. 230, л. 27.

წყაროებითა და წყალგაყვანილობით. მამულთან ერთად შეეძინა წყალგაყვანილობის მთლიანი მოწყობილობა. აღნიშნული წყაროები სათავეს იღებდნენ მამულიდან 4 კილომეტრის დაშორებით. აქვე ააშენეს 2 წყალშემკრები აუზი. აქედან წყალი ეშვებოდა მამულში არსებულ 4 დიდ წყალსაცავში (4 დიუმიანი თუჯის მილით), შემდეგ წყალი ნაწილდებოდა მეურნეობის ყველა შენობასა და საწარმოში. წყალსადენი მამულს დღე-ღამეში აძლევდა 50 ათას ვედრო წყალს.

წყალგაყვანილობასთან ერთად საჭირო იყო კისისხევთან ბრჯენებისა და კედლების ამოყვანა. 1893 წელს შეადგინეს პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ქვის კაშხალის ასაშენებლად. პროექტი დაამტკიცა საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა. ეს ღონისძიება არ განხორციელებულა. კისისხევის წყალი თანდათან დაუახლოვდა წყაროს. წყლის მიღები შემდეგშიაც ხშირად ფუჭდებოდა და იზრდებოდა მასზე გაწეული ხარჯები, ჯერ 1897 — 1898-სა და შემდეგ 1903 — 1904 წლებში აქ ააშენეს ორი ქვის კედელი, მაგრამ ესეც არ გამოდგა საკმარისი. ხევისწყალი ისევ აზიანებდა წყალგაყვანილობას. კისისხევის მთელ სანაპიროზე, სადაც ჩაწყობილი იყო წყალსადენის მილები ქვის კედელი ააშენეს. მაგრამ შემდეგ წყალმა საგრძნობლად იკლო. 1907 წელს მთავარმა სამმართველომ ინჟინერ-არქიტექტორ ოზეროვს დაავალა შეედგინა პროექტი ახალი წყაროებიდან წყლის გამოსაყვანად. პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 4590 მანეთის ხარჯებს სამმართველომ დაამტკიცა. 1907 წელს უნდა დაეწყოთ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება. წყალშემკრებისათვის უნდა შემოევლოთ 2 საე. სიმაღლის და 1 მეტრი სისქის ქვიტკირის კედელი. სამუშაოები 1908 წლის გაზაფხულამდე არ დაუწყიათ. ივლისში მუშაობას შეუდგა ინჟინერი ოზეროვი. პირველ რიგში გაწმინდეს წყალშემკრები, რის შემდეგ საგრძნობლად იმატა წყლის რაოდენობამ. ამავე დროს მიმდინარეობდა კედლის ამოყვანა⁴.


რიგი სამელიორაციო სამუშაოები ჩაატარეს ნაფარეულის, მუკუზნის, ურიათუბნის, ზეგანისა და მულანლოს მამულებში. გამოიყვანეს როგორც დასალევი, ისევე სარწყავი წყალი.

თითქმის ყველა მამულში გამართეს არყისსახდელი ქარხანა, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო წყლით.

4 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, 1909—1914 гг. д. 943, лл. 1—8 об.

მეღვინეობა მოითხოვდა სპეციალურ შენობა-ნაგებობებს, მანქანა-მოწყობილობას, ლაბორატორიებს, სავაჭრო წერტებს და სხვამ მიმართულებით რიგი სამუშაოები ჩატარდა.

1886 — 1887 წ. წინანდალში ააგეს 2 სართულიანი 150 ათასი ვედრო ღვინის ტევადობის სარდაფი-ქარხანა. აღნიშნული ქარხნის არქიტექტორი იყო. ვ. ნიკოლი, მშენებელი ინჟინერი — გ. გირკი. ✓



სურ. 1

მშენებლობისათვის გამოყოფილი იყო 15625 მან., საშენ მასალად იყენებდნენ აგურსა და ცემენტს⁵. რაც შეეხება ხე-ტყეს, იგი უფასოდ ჰქონდა მეურნეობას. ამავე წელს ააშენეს სასახლე, დღევანდელი სასტუმრო, ხოლო 1894 წ. გახსნეს საკასრე სახელოსნო. ✓

1895 წელს მუკუზანში, ურიათუბანში, ზეგანსა და ნაფარეულში დაიწყეს სარდაფების მშენებლობა. ურიათუბანში გათვალისწინებული იყო — 1086, მუკუზანში — 3400, ზეგანში — 5661 და ნაფარეულში — 57280 ვედრო ღვინის ტევადობის სარდაფების აშენება. ზემოთ ჩამოთვლილი სარდაფების ასაშენებლად გამოიყო 286 ათასი მანეთი. ✓

⁵ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, Д. 978, 1887 г. лл. 1—23.

⁶ ЦГИАЛ, Ф. 515, г. 1886, оп. 81, Д. 978, лл. 2—23.



ქვეყნელების თითქმის ყველა მამულში იყო შენობა. მათგანი გადააკეთეს საცხოვრებელ ბინებად, რომელშიც ცხოვრობდნენ უფროსი მევენახეები, მეღვინეები და სხვ.

ბევრ მამულში ააგეს სახლი მმართველისა, უფროსი მევენახეებისა და ზედამხედველებისათვის, სამზარეულო მუშებისათვის, ბინა დარაჯებისა და მოსამსახურეთათვის, სამრეცხაო, საცხობი და მრავალი სხვა ნაგებობა.

გარდა ამისა, თითქმის ყველა მამულში დადგეს დანადგარები: ყურძნის საკყლეტები, პრესები, ღვინის საქაჩავები, ბუტები, ჩანები და სხვ.

1894 წელს დაიწყო თბილისის სარდაფის (დღევანდელი ღვინის 1 ქარხანა) მშენებლობა. მშენებლობა დამთავრდა 1896 წელს. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ინჟინერი ოზეროვი. აღნიშნული სარდაფი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო მთელ მხარეში. სარდაფის მშენებლობაზე დაიხარჯა 129 699 მან. 49 კაპ. აქ ხდებოდა ღვინოების ჩამოსხმა და კუპაჟი. 1896 წელს სარდაფმა მიიღო ბევრი დამთვალეიერებელი და ღვინის შექმნის მსურველი. პირველ წელს სარდაფიდან გაყიდეს 15 664 მან. 28 კაპ. ღვინო⁷.

1896 წელს თბილისის სარდაფში დაცული იყო სხვადასხვა წლის შემდეგი მარკის ღვინოები⁸.

ცხრილი 9

№ რიგში	ღვინის დასახელება	წლის მოსავალი	1 ლიტრი ღვინის მან.	კაპ.
1	ნაფარეული საფერავი	1889	2	
2	წინანდალი "	1890	1	50
3	წინანდალი "	1891	1	50
4	ნაფარეული საფერავი	1891	1	25
5	მუკუზანი "	1888	1	50
6	ზეგანი "	1881	1	
7	წინანდალი რქაწითელი	1890	1	50
8	ნაფარეული რქაწითელი	1890	1	50

1896 წელს თბილისის ღვინის სარდაფს განაგებდა გოგოლიანოვსკი.

⁷ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 44, д. 234, л. 52.

⁸ იქვე, საქმე—177, ფურც. 2.



1895 წელს კახეთის საუფლისწულო მამულში გაიყვანეს ტყე-
 ლეფონი. ცენტრალური სატელეფონო სადგური დადგეს წინანდ-
 ლის მეურნეობაში. აქედან ხაზი გადიოდა ნაფარეულისა და მუკუზ-
 ნის მეურნეობებში. წინანდალშივე იყო მოთავსებული ცენტრალუ-
 რი კვანძი, რომელიც მოწყობილი ჰქონდათ ერიკსონის სისტემით.
 მთელი სატელეფონო სამუშაოები მეურნეობას 7426 მან. 88 კაპ.
 დაუჯდა⁹.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, წინანდალში გაუხსნიათ
 სამკერვალო სახელოსნო. 1907 წელს წინანდლის საუფლისწულო
 მამულის მართველი სამმართველოს სთხოვდა:

1. 750 არშინ ლურჯი ფერის სახალათე მატერიას,
2. 500 „ საშარვლეს,
3. 300 „ ტილოს,
4. 111 ცალ ღილს,
5. 140 კოჭა შავ და თეთრ ძაფს,
6. 200 არშინ ბიანს¹⁰.

ზემოაღნიშნულის გამო, უნდა ვიფიქროთ, რომ წინანდლის
 სამკერვალოში კერავდნენ სპეციალურ სამუშაო ტანსაცმელს, გან-
 საკუთრებით სარდაფში მომუშავე მუშებისათვის.

1909 წელს საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართვე-
 ლოს უფროსის მოადგილემ ა. ლიხარევა შეამოწმა წინანდლის
 მამული. დაათვალიერა მეურნეობის სადგომი, ბოსელი, სახუროვე,
 სადურგლო, კახაკების საერთო საცხოვრებელი, საჯინბო, რომე-
 ლიც გათვალისწინებული იყო ღვინის გადმოტანაზე მომუშავეთა
 ღამის გასათევად. „შეუძლებელია ასეთ ბინებში ხალხის ცხოვრე-
 ბა“¹¹. — აღნიშნავს იგი.

პ. ლიხარევა ნახა აგრეთვე ეტლების ფარდული, აბანო, სამ-
 რეცხაო, უფროსი მევენახისა ა. თუშმალიშვილისა და მეღვინე ოპ-
 პელის ბინები, მოსამსახურეთა და მუშების საცხოვრებელი სახლე-
 ბი, დუქანი, რომელიც იჯარით იყო გაცემული და მამულის მუშა-
 მოსამსახურეებს ამარაგებდა სურსათ-სანოვავით¹².

1911 წელს წინანდლის მამულში დაისვა კონიაკის ქარხნის
 გახსნის საკითხი. ამ მიზნით მამულის მმართველმა სააქციზო სა-

⁹ ЦГИАЛ, Ф, 515, оп. 81, Д, 1019, л. 48, 71.
¹⁰ საქ. ც. ს. ა. ფონდი 357, ანაწ. I, საქმე 14, ფურც. 18.
¹¹ ЦГИАЛ, Ф, 515, оп. 81, 1909—1914 гг. д. 943, лл. 7—ობ.
¹² ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, 1909—1914 гг. д. 943, лл. 7 — об.

ზოგადობას გაუგზავნა მოთხოვნა კონიაკის ქარხნის გახსნის ნებართვის შესახებ, რაზედაც თანხმობა მიიღო.

ამავე დროს, ტემპელგოფიდან წინანდალში მოიწვიეს სპეციალისტები სოვიონი და ბოლტოვი კონიაკის წარმოების საქმის შესასწავლად¹³. ქარხნისათვის საჭირო იყო შენობა. ამ მიზნით, ძველი ორთქლის ქარხანა, სადაც ადრე კასრების ორთქლში გატარება ხდებოდა, გადააკეთეს კონიაკის ქარხანად. როგორც ირკვევა, აღნიშნული შენობის გადაკეთებაზე საკმაოდ დიდი თანხა დაუხარჯავთ.

კონიაკის საქმის წარმოებისათვის მიიწვიეს მუშა-სპეციალისტები: ბერეჟიანი, ბელენკოვი, საგინოვი და სხვ. მათ ეხმარებოდა დავითაშვილი¹⁴. დააყენეს სპირტსახდელი აპარატები, საკონტროლო ჭურვები, მაცივრები, სპირტის გადმოსატუმბი მანქანები; მოაწყვეს ლუმელები, დააყენეს მუხის ჩანები, რაც აუცილებელი იყო კონიაკის დასამზადებლად. შესრულდა რიგი წვრილმანი სამუშაოები. სულ ქარხმის მშენებლობაზე დაიხარჯა 2116 მან.¹⁵

წინანდლის კონიაკის ქარხნის მშენებლობისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხა და ზედმეტად გადაიხარჯა 995 მან.¹⁶. აღნიშნული თანხა დაიხარჯა ძველი შენობის გადაკეთებაზე და რიგი წვრილმანი მოწყობილობის შექმნაზე.

1912 წელს კონიაკის ქარხნის გახსნასთან დაკავშირებით წინანდალში ჩამოსულმა ვოგოლ-იანოვსკიმ გამოთქვა აზრი — აქმენებით ორთქლის ქარხანა. ამასთან დაკავშირებით შეადგინეს ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ როდესაც მივლინებით ჩამოსულმა მეღვინე ბოლტოვმა დაიწყო აღნიშნულ შენობაში აპარატების დაყენება-დამონტაჟება, გამოირკვა, რომ შენობა ძალიან დაბალი იყო და ფართობი მეტად მცირე. საჭირო გახდა სახურავის საგრძნობლად აწევა, რაც მოითხოვდა დამატებით თანხებს. მეურნეობის მმართველს ე. ჰაინეს დამატებითი თანხების მოთხოვნის შესაძლებლობა არ ჰქონდა წინასწარ დამატებითი თანხის განუსაზღვრებლობის გამო. გარდა ამისა, მიღებული მითითებით მომავალი წლიდან უნდა დაეწყო ღვინის გამოხდა. ამიტომ მას უფლება არ

¹³ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, 1909—1914 гг. Д. 943, лл. 11.
¹⁴ ЦГИАЛ, 515, оп. 81, 1911-1914 гг. Д. 962, лл. 16.
¹⁵ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, 1911—1914 гг. д. 962, лл. 16—20.
¹⁶ საქ. ც. ს. ა. ფონდი 357, ნაწ. I, საქმე 56, ფურ. 222.

ჰქონდა შეეჩერებინა ქარხნის მშენებლობა და ეცადა დამატებითი
სახსრებისათვის.

აღნიშნულის გამო წინანდლის მამულის მმართველი სამმარ-
თველოს სთხოვდა დაემტკიცებია კონიაკის ქარხნის მშენებლობაზე
ზედმეტად გაწეული ხარჯები.

საკონიაკე სპირტის მისაღებად ხდიდნენ ღვინოს, რომელსაც
ხშირ შემთხვევაში გლეხობისაგან იძენდნენ¹⁷. კონიაკის ქარხანაში
მომუშავე მუშები, თვეში 20—25 მან. იღებდნენ. ჩვენ არა გვაქვს
ცნობები თუ რა მარკის კონიაკს ამზადებდა ქარხანა და რამდენს.

* * *

კახეთის საუფლისწულო მამულში ტყეს დაახლოებით 15 ათასი
დესეტინა ეჭირა. აგრარული კრიზისის წლებში როგორც ნახევრად
კაპიტალისტური, ისე კაპიტალისტური მამულების მფლობელები,
თავიანთი ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე, უღმობლად ჩეხ-
დნენ და ანადგურებდნენ ტყეებს, ჰკრიდნენ შეშად და ყიდდნენ
მასალად. მთელი მეურნეობის საჭიროებანი მხოლოდ ამ ტყეებით
იყო უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, 1864 წლის რეფორმამ
გლეხობა ტყისა და საძოვრის გარეშე დატოვა, ამიტომ გლეხები
ხშირად თვითნებურად ანადგურებდნენ მას.

სავენახე მიწების გაზრდის მიზნით საუფლისწულო მამულებ-
ში რიგი ტყიანი ნაკვეთები იჯარით ჰქონდათ გაცემული. ტყე
გაიჩეხა, მაგრამ როდესაც თვით მეურნეობას დაჰქირდა საკასრე მა-
სალა, ის თითქმის სრულებით არ მოიპოვებოდა. ირგვლივ 50 — 75
კმ დაშორებით თითქმის მთლიანად მოჭრილი იყო ხე-ტყე, ხოლო
შორი მანძილიდან ხე-ტყის შემოტანა ძვირი ჯდებოდა, რასაც ერი-
დებოდა მეურნეობის ხელმძღვანელობა. ამიტომ ცდილობდნენ
რუსეთში დაემზადებინათ საჭირო მასალა¹⁸. 1896 — 1897 წლებში
ოლესიდან შემოიტანეს საკასრე მასალა და დაამზადეს 26 ვედრო-

¹⁷ «Отчет по перегонке конячного спирта из белого покупного вина
урожая 1914 года в Цинданальском Удельном имении во 1915 году, пере-
гнано покупного вина урож. 1914 г. вед. Получено конячного спирта 734650.
Таким образом, всего на перегонку отпущено вина 8012 ведер и из него
получено спирта 734650 См. ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, 1911-1914 гг., Д. 968,
лл. 16—20.

¹⁸ ЦГИАЛ, Ф. 351, оп. I, д. 195, лл. 39.



იანი 6600 კასრი. ამავე წლებში კოხტიევისაგან, გორკისა და სოფლისაგან მეურნეობამ 94550 კასრი შეიძინა¹⁹.

1908 წელს ცარიცინიდან გამოიწერეს საგვერდულე მასალა, რომელიც კარგი ხარისხის იყო, მაგრამ ცუდად დამზადებული. მასალის ფასი, ადგილობრივთან შედარებით, დაბალი იყო. მიუხედავად ამისა, წინანდლის მამულის მმართველს, ჟოფრიოს, შესაძლებლად მიაჩნდა ცარიცინიდან მასალის შემოტანა, მხოლოდ უნდა გაეუმჯობესებინათ საკასრე მასალის დამზადების ხარისხი²⁰. ცნობილია, რომ ქართულ მუხას აქვს განსაკუთრებული თვისებები, რომელიც ღვინოს აძლევს დამახასიათებელ კარგ სურნელებასა და გემოს, ამიტომ მას ეძლეოდა უპირატესობა. რუსეთის მუხას კი ასეთი თვისებები არ გააჩნდა²¹.

ჟოფრიოს წინადადებით, რუსეთის გუბერნიებში მიავლინეს მეკასრე სპეციალისტები, რომლებიც უნდა გაცნობოდნენ რუსეთში არსებულ შესაძლებლობებს. უნდა შეემოწმებინათ ეკონომიური და პრაქტიკული მხარე. ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში უნდა დაედოთ ხელშეკრულება მასალის შესყიდვაზე²². მაგრამ, როგორც ირკვევა, გაგზავნილმა სპეციალისტებმა ვერ მოაგვარეს ეს საკითხი. ამიტომ იყო, რომ წინანდლის საუფლისწულო მამულის მმართველი ჟოფრიო 1910 წელს დეპარტამენტს ატყობინებდა: „ამჟამად მეურნეობას მუხის საგვერდულე მასალის დასამზადებლად აქვს 25000 მანეთი. ამ თანხით უნდა შევიძინოთ მუხის საკასრე მასალა. პოდოლსკში დამზადებული საკასრე მასალა წინანდალში მოტანით გაცილებით მეტი ჯდება, ვინემ ადგილობრივი ისლა დაგვრჩენია, რომ მოველაპარაკოთ ადგილობრივ დამამზადებლებს, რომლებიც თავის მხრივ შეუთანხმდებიან ბორჩალოს მაზრის ტყის მფლობელებს, ან უნდა ვცადოთ კასრების დამზადება წაბლის ხის მასალისაგან, რომელიც შედარებით ბევრია, ვინემ მუხა“²³.

1909 წელს წინანდლის მეურნეობა დაათვალიერა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ პ. ლიხარევმა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია საკასრე მასალის დახარისხებისათვის. მისთვის მოუხსენებიათ, რომ მუხის ხისაგან დამ-

19 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 45, д. 630, л. 14.
 20 ЦГИАЛ, Ф. 351, оп. I, Д. 195, лл. 39—40.
 21 იქვე.
 22 იქვე, ფურც. 40.
 23 ЦГИАЛ, Ф. 515, Д. 992, лл. 26.

ზადებული კასრი ღვინოს კარგ თვისებებს მატებს. მთავარმა მართველომ ნება დართო წინანდლის მამულის ხელმძღვანელობას დაემზადებია საკასრე მასალის 3 წლის მარაგი, მაგრამ ბოლო ხანებში გაძნელდა საკასრე ფიცრების დამზადება. იგი უნდა შეეძინათ კახეთის გარეთ ადგილობრივი მემამულეებისაგან. რუსეთიდან ხე-ტყის შემოტანამ ნათელყო მისი უსარგებლობა, რადგან შემოტანილი საკასრე მასალა გაცილებით ცუდი და უხარისხო იყო ადგილობრივზე.

1909 წელს ლიხარევმა დაადგინა, რომ მეურნეობაში შემას ხმარობდნენ ორთქლის ქვაბების, არყისსახდელი ქარხნის, აბანოს, სამრეცხაოს, სარდაფების, სახელოსნოების, კონიაკის ქარხნისა და მუშა-მოსამსახურეთა ბინებისათვის. ყოველწლიურად მარტო წინანდლის მეურნეობას სჭირდებოდა 353 მ³ შეშა. სინამდვილეში ღებულობდნენ 250 მ³. ცხადია, საკუთარი ტყით ვერ დაკმაყოფილდებოდა მამულის მოთხოვნილება.

1914 — 1916 წლებში მეურნეობას ამარაგებდნენ მეზობელ მემამულეთა მიერ საკუთარ ტყეებში დამზადებული ხე-ტყით, რომელიც კისისხევის მარცხენა მხარეს მდებარეობდა. მეურნეობა ერთ საყენ შეშას 20 მან. იძენდა. ამ დროისათვის შეშა კიდევ უფრო გაძვირდა. ხე-ტყე კაპრეთიდან მოყოლებული თბილისამდე მთლიანად განადგურდა. ამ პერიოდში გაიყვანეს კახეთის რკინიგზა, ხე-ტყეს თბილისისაკენ ეხსნებოდა გზა, სადაც 1 საყენი შეშა 58 მან. იყიდებოდა²⁴.

ნათარეულის ტყე წინანდლიდან 28 ვერსით იყო დაშორებული, ამიტომ იქედან შეშის მოტანა ძალიან ძვირი ჯდებოდა.

მდგომარეობიდან ერთ-ერთ რაციონალურ გამოსავალს საუფლისწულო მამულების დეპარტამენტი ტყეების შექმნაში ხედავდა.

წინანდლის 120 დესეტინა ვენახისათვის ყოველ წელს საჭირო იყო 15 ათასი სარი. მართალია, მამულს ჰქონდა ახალგაზრდა მუხის ტყე, სადაც ჭიგოსა და შეშასთან ერთად, შეიძლებოდა სასარე მასალის გამოწახვა, მაგრამ ეს მეტად უმნიშვნელო იყო. მეტყევე ბაბურინს დავალებული ჰქონდა ეწარმოებინა ტყის სამუშაოები. ჭიგო უნდა გაეყიდათ სოფლის გლეხობაზე, შეშას და სასარე მასალას კი მეურნეობისათვის გამოიყენებდნენ.

დიდძალი სარი იყო საჭირო მუკუზნის მეურნეობისთვისაც. აქ ყოველ წელს იხარჯებოდა 39 ათასი სარი, რასაც ნათარეულთან

²⁴ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, 1914-1915 гг. Д. 1218, лл. 6—7.

ახლო მდებარე კერძო მესაკუთრეების ტყეებიდან იქნენ 1000 ცალს 100 მან.²⁵

განზრახული იყო „ხშირის“ გაკაფვა და ადგილის მეურნეობისათვის გამოყენება. საქმე იმაში იყო, რომ წინანდალს ცოტა ჰქონოდა დამხმარე ადგილები, სადაც დათესდნენ სიმინდს. შვრიას, ხორბალს, თივას და სხვ. ყოველ წელს მეურნეობას მარტო საკვების შესაძენად 4 ათასი მან. ეხარჯებოდა.

1914 წელს დაიწყო „ხშირის“ ამოძირკვა, ყოველ წელს ახდენდნენ 10 დესეტინა ფართობის გაკაფვა-ამოძირკვას. ფიჩხს ყიდდნენ გლეხობაზე. ხე-ტყეს იყენებდნენ მეურნეობისათვის. სამუშაოს ადგილობრივი გლეხობა აწარმოებდა. მათ ამ სამუშაოს შესრულებაში ფიჩხს აძლევდნენ. ერთი დესეტინის ამოძირკვა 65 — 80 მან. ჯდება, რაც 2 — 3 წელიწადში უნდა ანაზღაურებულიყო.

არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მეტყვეობის შემდგომი განვითარებისათვის საუფლისწულო მამულების სამმართველო სისტემატურად ავსებდა შეძენილ ტყეებს. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა მეტყვე ბაბურიანი, რომელმაც კისისხევში ჩაატარა რიგი სამუშაოები. დანომრეს ხეები, გაკაფეს ხმელი ხეები. ხე-ტყეს ამზადებდნენ მხოლოდ და მხოლოდ მეურნეობის მმართველის თანდასწრებით²⁶.

1914 წელს კახეთის საუფლისწულო მამულების ტყეებში ჩაატარეს რიგი სამუშაოები, რაც მიზნად ისახავდა ახალგაზრდა ტყის ზრდისათვის ხელის შეწყობას. ტყეების გაწმენდას ხელმძღვანელობდა სწავლული მეტყვე ა. კრიუდენერი. სამუშაოები წარმოებდა ტყის გაწმენდის დროს მიღებული მასალის ხარჯზე. აღნიშნულ წელს დაიწყო მუკუზნის ტყის „ჯარცხილიანის“ წმენდა, სადაც 11 დესეტინა დაფარული იყო ველური ბუჩქებით. გაწმენდის შემდეგ, დატოვეს 12, 15, 20 წლოვანების მუხა, წიფელი, რცხილა და სხვა ჯიშები. ბარონ ა. კრიუდენერის აზრით კახეთში, რკინიგზის გაყვანის შემდეგ, შესაძლებელი იქნებოდა ხე-ტყის ექსპორტი²⁷.

ტყის გაწმენდას აწარმოებდნენ მუდმივი მუშებით, რადგან საჭირო იყო სიფრთხილე. სასარგებლო ჯიშებთან ერთად აქა-იქ ტოვებდნენ ველურ ჯიშებსაც. ერთი დესეტინა ტყის გაწმენდისას საშუალოდ იღებდნენ 8 ათას ცალ სარს და 12 საყენ ტოტს. ეს სა-

25 იქვე. 6 — 9.

26 ЦГИАЛ, Ф. 515. ОП. 81, 1914—1915 гг. д. 1218, л. л. 9—11.

27 იქვე, ფურც. 17.

მუშაო 48 მანეთი ჯდება. ამ შედეგით უკმაყოფილო იყო მუშის ხელმძღვანელობა. ამიტომ გადაწყვიტეს ნაკვეთები გასაწმენდად გაეცათ გლეხობაზე. ყოველი 1000 სარისათვის გლეხებს 3 მან. უნდა გადაეხადა, 1 საყენ ტოტისათვის კი 50 კაპ., ე. ი. დესეტინიდან უნდა მიეღოთ 30 მანეთი²⁸. გლეხების მოზიდვის მიზნით, გამოაკრეს განცხადებები, რის შემდეგ ბევრმა გლეხმა გამოთქვა სურვილი 1 დესეტინა ტყის გაწმენდისათვის გადაეხადა 30 მანეთი.

რიგი სამუშაოები ჩატარდა წინანდლის, მუკუზნისა და ნათარეულის ტყეებში, მიუხედავად იმისა, რომ აქ ჯერ კიდევ 90-იან წლებში ჩატარებით ტყის გაწმენდა.

მუკუზნის ტყეების დათვალიერებისას მეტყევე ა. კრიუდენერმა უარყო ისეთი ჯიშების გაჩეხვა, როგორიცაა მუხა, წიფელი, წაბლი, რცხილა. იგი თვლიდა, რომ 50 წლის შემდეგ აღნიშნული ჯიშები დიდ შემოსავალს მისცემდა მეურნეობას; სწმენდნენ მხოლოდ ბუჩქებსა და უვარგის ჯიშებს.

მუკუზნის მამულის მმართველმა მამულის ტყეები მთლიანად გადასცა გლეხობას გასაწმენდად. გლეხობა ტყეს წმენდდა მმართველის მითითების შესაბამისად. პირობები იგივე იყო, რაც სხვა მამულში. გაწმენდის შემდეგ ტყემ მთლიანად იცვალა სახე. თუ ადრე იგი გაუვალი იყო, გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა მოზარდი. გლეხობაზე გაცემული ტყისაგან ერთ დესეტინაზე საშუალოდ მიიღეს 217 მან. და 90 კაპ. დაამზადეს 25 ათასი სარი, რაზედაც დაიხარჯა 137 მან. და 30 კაპ., ფიჩხზე 64 მან. სულ 201 მან. 30 კაპ²⁹. ცხადია, მამულისათვის ხელსაყრელი იყო ტყის გლეხობაზე გაცემა.

წინანდალში სამუშაოებს აწარმოებდნენ „ზედა ტყეში“, გაწმინდეს 1,9 დესეტინა ახალგაზრდა მუხის ტყე. გაკაფეს 3,10 დესეტინა საშუალო წლოვანების ტყე. სამუშაოებს ატარებდნენ დღიური მუშახელის საშუალებით და 70 კაპ. უხდიდნენ დღიურად. სულ გამოიყენეს 49 სამუშაო დღე და შესრულებული სამუშაო 34 მან. და 30 კაპ. დაუჯდათ. 1 დესეტინის გაწმენდა კი 18 მან. დაამზადეს 2700 ჭიგო და 15 საყ. ფიჩხი. 2000 ჭიგო იყიდებოდა 16 მან. ე. ი. 1000 ცალი 8 მან., ფიჩხი გაუყიდიათ 8 მანეთად და

²⁸ ЦГИАЛ, ф. 515, оп. 81, 1914—1915 гг. д. 1218, л. 18.

²⁹ იქვე.



75 კაბ. სულ 24 მან. და 75 კაბ.⁸⁰. როგორც ჩანს, მეურნეობას მუშაობით ძვირი დაუჯდა ტყის გაწმენდა, რაც გამოწვეული იყო მუშახელის სიმცირით. მიუხედავად ამისა, სამუშაო გრძელდებოდა და განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოზარდ მუხას.

წინანდალს ჰქონდა ასწლიანი წიფლის ტყე. აღნიშნული ტყის გაჯანსაღებისათვის ტყიდან გამოჰქონდათ წაქცეული ხეები, განსაკუთრებით იმ ადგილებიდან, სადაც ბევრი იყო მოზარდი.

XIX საუკუნის ბოლოს ნაფარეულის ტყეებში წარმოებდა ხე-ტყის დამზადება. ა. კრიუდენერის მითითებით შეუწყვეტიათ ჰრად და ყურადღება მიუქცევიათ ახალგაზრდა ტყისათვის. გაუწმენდიათ მთელი ტყე და ყოველ ამონაყარზე დაუტოვებიათ 2—3 კარგი მოზარდი. აქ 1 დესეტინა ტყის გაწმენდა დაუჯდათ 175 მან. და 90 კაბ. შეშასა და ფიჩხში, რომელიც გლეხობაზე გაიყიდა, აუღიათ 179 მან. და 50 კაბ.³¹. აღნიშნული ტყის გაწმენდისას იყენებდნენ დღიურ მუშებს.

1915 წელს შეამოწმეს წინა წლებში გაწმენდილი ტყეები. შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ტყის მდგომარეობა დღითი-უმჯობესდებოდა.

კახეთში რკინიგზის გაყვანამდე თითქმის არ ხდებოდა ხე-ტყის ექსპორტი. რკინიგზის გაყვანის შემდეგ, ერთბაშად გაიზარდა ხე-ტყის გატანა. განსაკუთრებით ბევრი გაჰქონდათ შეშა, საკმაოდ გაზრდილი ფასებით.

ნაფარეულის ტყეებს ესაზღვრებოდა ფშაველთა სოფლები, სადაც ძირითადად მეცხოველეობას მისდევდნენ. მათ ძალზე მცირე ნაკვეთები ჰქონდათ, ამიტომ საქონელს უნებართვოდ საუფლისწულო მამულის ტერიტორიაზე ამოვებდნენ, ჰრიდნენ ხე-ტყეს. საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის ინსპექტორის აზრით ფშაველები უნდა გაესახლებიათ ამ ადგილებიდან.

ზოგჯერ ფშაველები საუფლისწულო მამულისაგან იძენდნენ ტყეს, ჩეხდნენ და საძოვრად იყენებდნენ მას. მიუხედავად ამისა, მაინც განიცდიდნენ საძოვრების ნაკლებობას.

ხე-ტყის თვითნებურად ჰრის აღკვეთის მიზნით სამმართველომ გაზარდა ტყის მცველთა რაოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ ტყის მცველი ვერ იპოვიდა დამნაშავეს, თვითონ უნდა გადაეხადა დაცვისებულის ჯარიმა.

³⁰ ЦГИАЛ, ф. 515, Оп. 81, л. 1218, л. 19.

³¹ იქვე, ფურ. 20.

მამულის ხელმძღვანელობა ცდილობდა ფშავლების სამუშაოზე გამოყენებას, მაგრამ ისინი არ თანხმდებოდნენ. ინსპექტორის აზრით, ამის მიზეზი მესაქონლეობა იყო³².

მეურნეობაში იყენებდნენ ჭრაქს, სარდაფებში, ქარხნებსა და ეზოში — ფარნებს, რომლებიც მიმაგრებული იყო კედლებსა და ბოძებზე³³.

მეურნეობა ხე-ტყითა და შეშით ძირითადად სარგებლობდა საკუთარი ტყიდან. მართალია პირველ ხანებში ტყე განადგურდა, მაგრამ შემდეგში სათანადო ყურადღება მიაქციეს ტყის დაცვასა და აღდგენას. გლეხობა მწვავედ განიცდიდა ტყისა და საძოვრის ნაკლებობას. სწორედ ამის გამო ხდებოდა ტყის თვითნებური ჩეხვა, რისთვისაც საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის მესვეურებს მკაცრი სასჯელი გამოჰქონდათ გლეხობის მიმართ.

* * *

ლენინი აღნიშნავდა, რომ „კაპიტალიზმი წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც იწვევს და აფართოებს მანქანების გამოყენებას სოფლის მეურნეობაში; მეორე მხრით, მანქანების გამოყენება მიწათმოქმედებაში კაპიტალისტური ხასიათისაა, ე. ი. იწვევს კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმოშობას და მათ შემდგომ განვითარებას“³⁴.

კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება ითხოვდა ახალ გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და ინვენტარს. მემამულეები ცდილობდნენ გაეზარდათ თავიანთი მეურნეობის შემოსავალი და პროდუქტიულობა, ამიტომ მათ საგლეხო რეფორმამდე დაიწყეს მანქანა-იარაღების შესყიდვა უცხოეთსა და რუსეთის ფირმებისაგან. რეფორმის შემდეგ კი მემამულეები ახალ ტექნიკას კიდევ უფრო დიდი მასშტაბით იყენებენ. საყურადღებოა, რომ რუსეთში 1876 — 1894 წწ. საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება 4-ჯერ გაიზარდა. ამავე დროს წვრილი მწარმოებლისათვის მანქანები თითქმის მიუწვდომელი იყო სიძვირის გამო. მას არ შეეძლო მათი გამოყენება, რადგან საღებავ-სამკელო და სხვა დიდი მანქანების გამოყენება მხოლოდ დიდ ფართობზე შეიძლებოდა. გლეხს კი, როგორც ვიცით, დიდი ფართობი არ გააჩნდა.

³² ЦГИАЛ, ф. 515, оп. 81, д. 1223, л. 21.

³³ ЦГИАЛ, ф. 351, оп. 1, д. 195, л. 47.

³⁴ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოცემა, მე-4, ტ. 3, გვ. 254.

რამდენად უფრო დიდია მეურნეობა, იმდენად უფრო ხელსაყრელია ტრაქტორისა და სხვა მანქანების გამოყენება, ამდენად უფრო იაფი ჯდება მიწის დამუშავება და უფრო დაბალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულება.

მსხვილი მეურნეობა იძლევა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენების საშუალებას. მას წვრილ მწარმოებლებთან შედარებით ის უპირატესობაც აქვს, რომ იოლად ასაღებს საქონელს ბაზარზე.

წვრილი მწარმოებელი იძულებულია საქონელი გადაუმუშავებელი სახით გაჰყიდოს დაბალ ფასებში. მსხვილ მწარმოებელს კი შესაძლებლობა ეძლევა გადაამუშაოს ნედლეული თავის მეურნეობაში, შეუძლია დაუცადოს ბაზრის უფრო ხელსაყრელ პირობებს, რაც საშუალებას აძლევს მაღალ ფასებში გაყიდოს პროდუქტები. მასზე ნაკლებად მოქმედებენ ადგილობრივი ჩარჩ-ვაჭრები, ეს უპირატესობა საშუალებას აძლევს მსხვილ კაპიტალისტურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას განდევნოს წვრილი მწარმოებლები.



სურ. 2

ჩვენში, თავის მხრივ, მთავრობამ ხელი შეუწყო საზღვარგარეთიდან მანქანების შემოტანას; დააარსა მანქანა-იარაღების საწ-

ყობები და სახელოსნოები, სისტემატურად აწყობდა მანქანების გამოცდა-გამოყენებას და სხვ.

კახეთის საუფლისწულო მამულების დეპარტამენტს კავშირი ჰქონდა მოსკოვის ე. ტრინდინის მანქანა-იარაღების სავაჭრო სახლთან და ძმების ნ. ი. კოსტეროვების შუშის ქარხანასთან, ვარშავის ალფერდ გროზკის მიწათმოქმედების საწყობთან, რიგის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა „Самопомощь“-თან, ჰამბურგის ბოლდტისა და ფომალის სოფლის მეურნეობის მანქანების ფირმასთან, ბერლინის დანნბერგისა და კვანდტოს ფირმებთან, რომლებიც ამზადებდნენ ხის დამამუშავებელ მანქანებს და მრეწველობაში სახმარ აპარატებს, ბერლინის სააქციზო საზოგადოებასთან, რომელიც ამზადებდა მეღვინეობისათვის საჭირო მანქანებს პრალის ჰუტერისა და ბრანცის ქარხანასთან; აგრეთვე რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურის მწარმოებელ ამხანაგობებთან ანუ პიხლაუსა და ბრანტის სავაჭრო სახლთან³⁵, შიპოვსკის ქარხნებთან, საიდანაც შემოჰქონდათ მონიკელებული მავთული და სხვ.

კახეთის საუფლისწულო მამულებში ვაზის გაშენებისათვის საჭირო იყო სავენახე მიწების ღრმად მოხვნა. ამ მიზნით, საუფლისწულო მამულმა საფრანგეთიდან გამოიწერა „გიკოს“ სისტემის გუთანის და ამერიკიდან 10 — 12 ცალი ლოკომობილი (ქარხანა რუსტონი და პროექტორი), რომელიც მიიღო საბაჟო დეპარტამენტმა. საბაჟო დეპარტამენტი სამმართველოს ახდევინებდა ბაჟს ორი პრესკურანტის მიხედვით. პირველი ითვალისწინებდა ფუთზე 75 კაპ. მეორე — 2 მან. და 10 კაპ.³⁶

სოფლის მეურნეობაში მანქანების შემოჭრამ, ერთი მხრივ, მუშახელი გამოდევნა წარმოებიდან, მეორე მხრივ, გაიზარდა მოთხოვნა მუდმივ მუშახელზე. წინანდლის საუფლისწულო მამულის მმართველი საუფლისწულო მამულების დეპარტამენტს წერდა: მუშახელი დღითიდღე ძვირდება, მანქანების გარეშე ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შეუძლებელიაო. ახალი მანქანების მოხმარება და სარგებლობა მხოლოდ მუდმივი კვალიფიციური მუშის საშუალებით შეიძლებოდა. 1916 წელს ნაფარეულის მამულს არ ჰყავდა ორთქლისძრავიან მანქანაზე მომუშავე სპეციალისტი. სამმართველოს გადაუწყვეტია ჩაქვის საუფლისწულო მამულიდან გადმოყვანა

³⁵ ЦГИАЛ, ф. 515, оп. 81, л. 1221, л. 4—6б.

³⁶ საქ. ც. ს. ა. ფონდი 357, ნაწ. 1, საქმე 28, ფურც. 32—35.



1895 წელს კახეთის საუფლისწულო მამულისათვის შექმნილი მანქანა-იარაღები და სხვადასხვა მოწყობილობა ³⁷

№ რიბ.	მანქანა-იარაღების დასახელება	რაოდენობა	ფ ა ს ი		ჯ ა მ ი
			მან.	კაბ.	
1	2	3	4	5	6
1	ტუმბო დიდი	2	250		500
2	რეზინის გამტარი სახელურები	50	8		400
3	" " შემსრუტავეები	10	12		125
4	შესაერთებელი სპილენძის (მოხრილი მი- ლერი) რგოლები	20	4		80
5	რგოლების გასაღები	4	1		4
6	სპილენძის ონკანი	2	10		20
7	ინგლისური გასაღები	2	7		14
8	სპილენძის ონკანი	4	8		32
9	ღვინის გადმოსასხამი გადმოსატუმბავი, საბრევილი	3	50		150
10	სპილენძის ონკანი ბორდოული	10	7		70
11	კორპსაძრობი ბორდოული	6	3		18
12	ნაჯახი ბორდოული	6	4		24
13	ბურღვი ბორდოული	6	3		18
14	ჩაქუჩი ბურღით	10	2		20
15	ჩაქუჩი მონიკელბული	1			12
16	ხის ძაბრი სპილენძის ღეროთი	3	15		45
17	კ ი ბ ე	2	5		10
18	გრძელი სკამი	3	3		9
19	ხის დიდი ჩაქუჩი ბამბუკის სახელურით	6	1	25	7—50
20	ხის ჩაქუჩი პატარა ზომის	6	1		6
21	მოწყობილობა კასრების გოგირდის შესა- ბოლებლად	4		60	2—40
22	ლომი კასრების დასაწყობად	3	2		7—50
23	ლომი საშუალო და პატარა ზომის	12		40	4—80
24	სპილენძის ჩამჩა მოკალუღი	6	3	50	18
25	საწური	6	1	50	9
26	რეზინის მილი (6 1/2 და 3/4)	6 სავ.	2		15
27	სპილენძის სახელურიანი სიფონი	3	4		12
28	ხის 2 არშინიანი მილები შაბიამნის ხსნა- რის გადმოსასხმელად	6			9
29	" 1 1/2 არშინიანი	6	2		9
30	" 1 არშინიანი და 8 ვერშოკ	12	1	50	7—80
31	მილების საწმენდი ჯაგრისი	2		61	4
32	საწური—(ფილტრი) ცელულოზის	1	2		200
33	ჯალამბარი ხის ძელებზე კასრების გადა- საგორებლად	3		200 61	50 50
34	ქვაბი თუჯის გოგირდისათვის	3			27
35	მაყალი	1			34
36	ციფრების კომპლექტი—კასრების დასანომ. ციფრები—ხის კურჭლისათვის	20 3	1 1		20 3
38	თერმომეტრი—ღვინის სარდაფისათვის	20		75	15

³⁷ ЦГИАЛ, ф. 515, оп. 45, д. 325 л. 4.

1	2	3	4	5	6
39	ჰიგრომეტრი—ჰაერის ტენიანობის საზ. ხელსაწყო სარდაფის	1	30		30
40	ბარომეტრი—ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო	1	19		19
41	საბაღე წურწურა—სპილენძის	6	4		24
42	ვერცხლის თაი—სადეფუსტაციო	2	10		20
43	მილი ვერცხლის	2	5		10
44	ზარი—სპილენძის	1			15
45	სასწორი—სატრანსპორტო	1			100
46	სასწორი—რობერვალის	1			20
47	ბოთლის ეტიკეტები, კასრებისა და სარდაფის ნომრები				40
48	ბოჭლომი—დიდი ზომის	4	4		16
49	ბოჭლომი—პატარა ზომის	5	1		5
50	მანქანა—რომელიც ბოთლებს აცვამდა საცობს	2	100		200
51	მოწყობილობა—აქირეცხებოდა ბოთლები	1			50
52	მანქანა ბოთლების გადასატანად	1			150
53	ონკანი—ღვინის ჩამოსასხამად	3	15		45
54	ონკანი—ჩვეულებრივი	3	8		24
55	დახვა ბოთლების გასაშრობი (100 ც.)	5	10		50
56	მოწყობილობა—საცობების დასაბეჭდად	1			20
57	ამწე—კასრების ასაწვეად ჩამოსხმის დროს	1			12
58	კორპსაძრობი—კასრების საცობის მოსაძრობი	3	2		7—50
59	ურიკა 50 ბოთლის გადასატანად	2	12	50	24
60	დასარევი—20 ვედრიანი კასრებისათვის	2	12		24
61	” 50 ” ”	2	15		30
62	მომინანქრებული ლამბაქები	6	2		12
63	ფარანი—ხელის	3	3		9
64	კბე—რკინის დასავეცი	1			30
65	მომინანქრებული ძაბრი	2	1	50	3
66	მაგიდის ფარანი	6	10		60
67	ჭრაქი დასაკიდებელი	25	5		125
68	ხელსაწყოები საკასრე სახელოსნობისათვის				5
69	სხვადასხვა ზომის ქლიბი	5	1		5
70	სხვადასხვა ზომის შალაშინი	6	1		6
71	ორსახეულურიანი შალაშინი	1			2—50
72	გრძელი სალაშინი	1			2
73	სალაშინი	1			7
74	მლარავი—საკასრე ფიცრისათვის	2	2	50	5
75	ხეწი სხვადასხვა 1 კომპლექტი	4			4
76	სატეხი სხვადასხვა 1 კომპლექტი	1			3
77	ნაჯახი	1			2—50
78	ნაჯახი	1			3
79	სხვადასხვა ზომის ფუნჯი	5	3		15
80	სხვადასხვა ლოჯი	6		50	3
81	უნივერსალური კენეტელა	1			3

1	2	3	4	5	6
82	ჭობოსანი	3		50	3
83	ქლიბი 1 დუეინი	1			4
84	საფხეკი	2	1	50	3
85	სალესი მრგვალი დიდი ზომის	1			7
86	დაზგა—სადურგლო	1			30
87	ფარგალი—სხვადასხვა	3			3
88	ბურღვი—სხვადასხვა	3			20
89	ხერხი—ვაზის	1			1
90	ვაზი—სხვადასხვა	2	1		2
91	ბური	2	1		2
92	გრდემლი	2	6		12
93	თარაზო	1	1	50	1—50
94	შუკუმი	1			20
ჯ ა მ ი		333			3291—70

მემანქანე ლევან ალავიძე, მაგრამ ეს შეუძლებელი გამხდარა სხვა მემანქანის უყოლობის გამო.

1892 წელს საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა საზღვარგარეთიდან წინანდალში ჩამოიტანა: 166 პრესი და ყურძნის საწურავი³⁸; 22 ცხენის გუთანის ვენახების მოსახნავად³⁹; ვარშავიდან მიუღიათ ფურგონები⁴⁰ და სხვა. 1899 წელს კახეთის საუფლისწულო მამულისათვის გამოიწერეს 600 ფუთი მონიკელებული მავთული⁴¹.

1895 წელს საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა საფრანგეთში 3 თვით მიავლინა ამიერკავკასიის საუფლისწულო მამულების მთავარი მეღვინე ფრანგი მასონო და კახეთის საუფლისწულო მამულის მმართველი ბლანკი⁴². მათ დავალებული ჰქონდათ კახეთის საუფლისწულო მამულებისათვის მოეწვიათ მეღვინე-მევენახე სპეციალისტები, შეეძინათ მეღვინეობისა და მევენახეობისათვის საჭირო მანქანა-იარაღები. ამ მიზნით მასონოსათვის მიუციათ 3500 მან⁴³.

მე-7 ცხრილში დაწვრილებითი ცნობებია მოცემული საზღვარგარეთ შეძენილი მანქანა-იარაღების შესახებ:

³⁸ ЦГИАЛ, ф. 515, оп. 45, д. 325, л. 4.
³⁹ ЦГИАЛ, ф. 515, оп. 45, д. 216, л. 1—2.
⁴⁰ იქვე, ფურც. 159.
⁴¹ ЦГИАЛ, ф. 515, оп. 45, д. 68, л. 3—9.
⁴² ЦГИАЛ, ф. 515, оп. 45, д. 220, л. 3.
⁴³ ЦГИАЛ, ф. 515, д. 220, л. 11.



საუფლისწულო მამულებში გახსნილი მალაზიები მეურნეობაში ამარაგებდა; მიწათმოქმედების მანქანა-იარაღებით, სადურგლო-სახარატო ხელსაწყოებით, ინვენტარით, მშენებლობისათვის საჭირო მასალებით, მეღვინეობაში სახმარი მანქანებით და სხვ. ამავე დროს ხდებოდა ძველი პრესებისა და სხვა მანქანების შეცვლა ახლით. ნახმარ პრესებსა და ხელსაწყოებს ყიდდნენ ადგილობრივად.

1910 წლიდან კახეთის საუფლისწულო მამულებში მიწის სავენახედ მომზადება (პლანტაჟი) ხდებოდა ორთქლისძრავიანი ლოკომობილით⁴⁴, რომელიც ამუშავებდა გუთანს⁴⁵. ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორთქლისძრავიან მანქანას მევენახეობის განვითარებისა და ვაფართოების საქმეში.

ამრიგად, საუფლისწულო მამულების სამმართველოს ევროპის ქვეყნებიდან და რუსეთიდან შემოჰქონდათ მეღვინეობაში, მევენახეობასა და მიწათმოქმედებაში სახმარი ახალი გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები⁴⁶. მეურნეობაში რიგი ხელით სამუშაოები შესცვალეს მანქანით⁴⁷. პირველად მთელს კავკა-

44 ...«Главному управлению Уделов будет благоугодно согласиться с моим мнением о необходимости заложения питомника Мукузанского и расширение Напареульского, ныне же приобрести паровой плуг, который в значительной степени удешевит плантажные работы и впоследствии, при переустройстве виноградников, будет обслуживать все три имения. Исполнение же плантажных работ вручную обошлось бы в настоящее время особенно дорого...

стоимость парового плуга с II сильным локомотивом выразится примерно в 6.000 рублей, работа же им и приобретением чубуков для посадки на 6¹/₂ дес. обойдется около 1.000 руб. — წერს მუკუზნის საუფლისწულო მამულის მმართველი ა. თუშმალიშვილი. См. ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, 1223, Л. 5.

45 Цгია Gr. ССР, Ф. 351, д. 334. лл. 5—6.

46 «В прошлом 1909 году мы перешли частью на конны пульверизаторы для лечения от милдью. Было куплено 3 конных аппарата. . . С Приобретением дробилки и молотилки имение будет снабжено почти всеми необходимыми сельскохозяйственными орудьями». См. ЦГИА ГР. ССР. Ф. 351, оп. I, д. 195, л. 47.

47 «В настоящее время необходимо приобрести еще дробилку для кукурузы и молотилку для зерна. Добыча такого большого количества зерна около 4.000 пудов производится первобытным способом, на что затрачивается масса рабочих рук и скота так как работа эта длится до двух месяцев. В имений имеется локомотив, который с успехом может привести в действие молотилку и тогда при гораздо меньшей затрате рабочих рук и

ამავე დროს, მამულის მანქანა-იარაღების მალაზიებიდან გლეხობა იძენდა მისთვის საჭირო მანქანებს, ვაზის შესაწამლავ აპარატებს და ინვენტარს. მანქანა-იარაღების გამოყენებამ სოფლის მეურნეობაში უზრუნველყო დიდძალი სასაქონლო პროდუქციის წარმოება ბაზრისათვის, რაც უდავოდ ნიშანდობლივი ფაქტია.

უროზის ორგანიზაცია და დაქირავებული მუშახელი

კახეთის საუფლისწულო მამულში ყველა სამუშაოს ძირითადად დაქირავებული მუშახელი ასრულებდა. მეურნეობაში იყენებდნენ ახალ გაუმჯობესებულ მიწათმოქმედებისა და სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. მასთან ერთად გაიზარდა ღვინის წარმოება, რასაც თან მოჰყვა ვაჭრობისა და კაპიტალის ზრდა.

საუფლისწულო მამულში ძირითადად ახლო რაიონებიდან მოსული გლეხობა მუშაობდა. დეპარტამენტი ცდილობდა შეექმნა მუშათა კვალიფიცირებული კადრი. ამ მიზნით, რუსეთის შიდა რაიონებიდან უნდა გადმოესახლებინათ რუსი ოჯახები და ბავშვები. ბავშვებისათვის უნდა ესწავლებინათ მეურნეობის სხვადასხვა დარგი. სამმართველოს უფროსი წინადადებას იძლეოდა მიმდინარე 1893—1894 წლებში კახეთში რუსეთიდან ჩამოყვანათ 10 ოჯახი და 10 ბავშვი. მათთვის მზად უნდა ყოფილიყო საცხოვრებელი ბინები. ისინი მუშაობას დაიწყებდნენ მუდმივი მუშის თანამდებობაზე⁴⁸.

კახეთის მამულებში დაბანდებული იყო დიდძალი კაპიტალი, რის საფუძველზეც ყოველწლიურად იზრდებოდა შემოსავალ-გასავალი. 1898 წელს საუფლისწულო მამულს ჰქონდა 172 144 მან. შემოსავალი და 257 749 მან. გასავალი⁴⁹. იმდენად გაიზარდა და გამსხვილდა მეურნეობა, რომ შეუძლებელი გახდა მისი ერთი

скота, а главное времени, зерно может быть убрано почти в одну неделю, что очень важно для сельскохозяйственных продуктов». ЦГИА ГР. ССР. Ф. 334. л. 36.

⁴⁸ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, д. 1024, л. 3.

⁴⁹ Е. ჩ ა ხ ვ ა შ ვ ი ლ ი, მუშათა გაფიცვები კახეთის საუფლისწულო მამულებში პირველი რევოლუციის პერიოდში, 1849 წ. ფონდი 2503, ფურც. 4. ნაშრომი დატულია თელავის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

პუნქტიდან მართვა. ამიტომ 1904 წელს კახეთის საუფლისწულო მამული გაყვეს: წინანდლის, ნაფარეულისა და მუკუზნის საუფლისწულო მამულებად. მამულებმა მიიღო დამოუკიდებელი სახეთათუელ მათგანს ცალკე მმართველი და მოურავი დაენიშნათ.

ამ დროისათვის მამულებს ჰყავდა: კანტორის მოხელე-მოანგარიშე; მწერალი, შიკრიკი, ტელეფონისტი, მეეტლე, მეჯინბე, ცეცხლფარეში, მალაზიის გამგე, ნოქარი, დარაჯი, ექიმი, მასწავლებელი, მედიცინის და, ფარმაცევტი, უფროსი და უმცროსი მეღვინე-მევენახე სპეციალისტი, ენტომოლოგი, დეკორატორი, მეკასრე, მემანქანე-ზეინკალი, მექანიკოსი, მჭედელი, ღურგალი, მწყემსი, მევლე, მზარეული. უფროსი და უმცროსი მევენახე მუშები, სარდაფის უფროსი და უმცროსი მუშები, ხის მკრელი და ხის მხერხავი მუშები, მტვირთავი მუშები, მეზარბაზნე მუშები, რომელთაც სეტყვის მეთვალყურეობა ევალებოდათ და სხვ.

გარდა ამისა, მამულებში სხვადასხვა დროს მოწვეული ჰყავდათ: მშენებელი და მეტყევე ინჟინერი; მეღვინეობისა და მევენახეობის სპეციალისტები, ბევრი მათგანი საზღვარგარეთიდან.

ყოველგვარ სამუშაოს, რომელიც კი მამულებში მიმდინარეობდა, ხელმძღვანელობდა მამულის მოურავი, რომელიც ამავე დროს ვალდებული იყო მოეზიდა მეურნეობისათვის საჭირო მუშახელი.

სამუშაოებს, რომლებიც ვენახებში მიმდინარეობდა, წარმართავდნენ უფროსი მევენახეები. ისინი თვალყურს ადევნებდნენ ზვრების ბარვასა და ხენას, ვაზების შეწამვლას და სხვ. მათივე ფუნქციაში შედიოდა სანერგეებისა და საცდელ-საჩვენებელი ნაკმეთების მოვლა-პატრონობა.

სამუშაოებს, რომელიც კი მეღვინეობასთან იყო დაკავშირებული, უფროსი მეღვინეები განაგებდნენ; მათი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ყურძნის გადამუშავება, ღვინოების დაყენება, დაძველება და სხვ. უფროსი მეღვინეები განაგებდნენ აგრეთვე კონიაკისა და არყისსახდელ ქარხნების სამუშაოებს.

დეპარტამენტს სისტემატურად ჰყავდა მოწვეული უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც კონსულტაციას უწევდნენ მეღვინე-მევენახეებს.

გარდა ამისა, სამმართველო ხშირად ამოწმებდა მამულებში წარმოებულ სამუშაოებს. შემოწმებაზე აგზავნიდნენ ამიერკავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორს, მთავარ მეღვინეს,



ან მევენახეობა-მეღვინეობის უფროს აგრონომს, რომლებიც თეზებს აძლევდნენ მამულის მმართველს არსებული ნაკლოვანების გამოსასწორებლად. თავის მხრივ, მამულის მმართველი წერდა ახსნა-განმარტებით ბარათს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მეურნეობებში თითქმის ყველა სამუშაოს მხოლოდ დაქირავებული მუშახელი ასრულებდა. მითუმეტეს, რომ ამ დროისათვის საგრძნობლად გაიზარდა მოსავლიანობა და ღვინის წარმოება.

V	1906 წელს მუკუზანში მიიღეს	56830	ვედრო	ღვინო
"	"	ნაფარეულში	"	24772 " "
"	"	წინანდალში	"	29077 " "
		სულ	110677 ⁵⁰	" "

ცხადია, ამდენი ღვინის მოყვანას დიდძალი მუშახელი დასჭირდებოდა.

საუფლისწულო მამულების ზვრებში ყოველწლიურად 1300-მდე (ორივე სქესის) მუშა მუშაობდა. ამ პერიოდში თელავის მაზრაში ასამდე მემამულის ზვარი იყო. ყოველწლიურად ყოველ მათგანში 50 კაცი და ქალი მუშაობდა. ასე რომ, სამი წილი თელავის მაზრის მცხოვრებლებისა დღიურ სამუშაოში იყო ჩაბმული⁵¹.

1903 წელს დეპარტამენტმა მუშა-მოსამსახურეები დაჰყო ორ კატეგორიად სამუშაოს სიმძიმისა და პასუხისმგებლობის მიხედვით.

I კატეგორიას მიაკუთვნეს სარდაფისა და ტყის მცველები, რომლებიც 10 წლის მანძილზე კეთილსინდისიერად მუშაობდნენ მამულში.

II კატეგორიას მიაკუთვნეს მევენახე მუშები 15 წლის სამუშაო სტაჟით და სარდაფის მუშები, რომლებიც აძველებდნენ ღვინოს⁵².


აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა ხელფასის სწორ განაწილებას. მეორე კატეგორიის მუშები შედარებით მეტ ხელფასს იღებდნენ, ვიდრე პირველი კატეგორიისა.

კახეთის საუფლისწულო მამულში მომუშავე მუშათა უმრავლესობა იყო წინანდლიდან, მუკუზნიდან, ნაფარეულიდან, თელავიდან, სიღნაღიდან და სხვ. ადგილობრივი სოფლებიდან. 1904 წ.

50 ნ. ჩახვაშვილის დასახელებული ნაშრომი, ფურც. 4 — 5.
 51 ვახ. „ლახვარი“, 1907, 25, V, № 36, გვ. 3.
 52 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 44, д. 463, л. 28, 29.

სოფ. წინანდლიდან 50 მუშა მუშაობდა, ნაფარეულიდან — 23, ურიათუბნიდან — 25, შაშიანიდან — 15, ბუშათიდან — 7, ხოლმინიდან — 7⁵³.

ამავე დროს მუშაობდნენ: თბილისის, გორის, რაჭის, აბასთუმნის, ქუთაისის, დუშეთისა და ოზურგეთის მაზრიდან ჩამოსული



სურ. 3

გლეხები. გარდა ამისა, ნახავდით მუშებს: ხოლმინიდან, გროზნოდან, ტაბოვიდან, სიმფეროპოლიდან, კავენსკიდან, სარატოვიდან, ხარკოვიდან და სხვა ქალაქებიდან.

საუფლისწულო მამულებში მომუშავე მუშათა უმრავლესობა მცირე მიწიანია, ზოგი მათგანი კი სრულიად უმიწაწყო. ეს უკანასკნელები მუდმივად მამულში ცხოვრობდნენ თავიანთი ოჯახით.

მაგალითად, 1890—1910 წლებში მუკუზნის მამულში მომუშავე 124 მუდმივი მუშა სრულიად უმიწაწყო იყო და მუდმივად მამულში ცხოვრობდა⁵⁴. ასეთივე მცგომარეობა იყო დანარჩენ მამულებში.

53 ნ. ჩახვაშვილის დასახ. ნაშრომი, ფურც. 10.

54 იქვე, ფურც. 55 — 84.



მეურნეობაში მუდმივ მუშებთან ერთად ფართოდ იყენებდნენ დღიურ მუშებს; 1909 წელს მუკუზანში გამოიყენეს 955 დღიური მუშა, წინანდალში — 1496. 1910 წელს დღიურ მუშათა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა და ორივე მამულში ერთად 2275 შრომადღე გამოიმუშავეს. ნათარეულის მამულში კი 1908 წ. უმუშავია 2570 მუშას⁵⁵.

დღიურ მუშებს უმთავრესად იყენებდნენ სეზონური სამუშაოების დროს, — გაზაფხულსა და შემოდგომაზე. სანიმუშოდ ქვემოთ მოგვყავს მე-8 ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს 1906 წლის შემოდგომაზე თვიური და დღიური მუშის რაოდენობას და მათზე გაცემული ხელფასის ოდენობას⁵⁶.

ცხრილი 8

წინანდალი, 1906 წელი

თ ვ ე	თვიური მუშა და მოსამსახურე		დღიური მუშა		
	თვიური მუშის რაოდენობა	გაცემული ჯამაგირის რაოდენ.	დღიური მუშის რაოდენობა	ნამუშევარი დღის რაოდენობა	გაცემული ჯამაგირის რაოდენობა
ოქტომბერი . . .	123	2760—35 კაპ.	117	753	385—56 კაპ.
ნოემბერი	126	3068—80 მან.	433	1969 1/25	800 მან.
დეკემბერი	123	2959 მან.	319	1608—25 კ.	729—70 კაპ

1903 წელს წინანდლის საუფლისწულო მამულში მუდმივად მუშაობდა 14 მხენელი, მეჩინიბე და მეურმე. მათი წლიური ჯამაგირი 2520 მანეთით განისაზღვრებოდა, ე. ი. თითოეულ მუშას წელიწადში საშუალოდ 172 მანეთი ეძლეოდა. იმავე წელს ნათარეულის საუფლისწულო მამულში მეურმეებად, მევენახეებად და მეჩინიბეებად 24 მუშა მუშაობდა. მათ წელიწადში 4260 მან. აძლევდნენ⁵⁷.

კახეთის საუფლისწულო მამულში განსაკუთრებით მწვავედ იდგა თვიური მუშების საკითხი. მამულის ხელმძღვანელობის აზრით,

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ნ. ჩახვაშვილი, მუშათა გაფიცვები კახეთის საუფლისწულო მამულებში პირველი რევოლუციის პერიოდში, 1948, ინვენტ. № 2503, ფ. 12.

⁵⁷ იქვე, ფურც. 17.



მხოლოდ თვიური მუშები მუშაობდნენ წარმატებით. დღიური მუშები, რომლებიც ყველა ძირითად სამუშაოს ასრულებდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას და ზედამხედველს მოითხოვდნენ. ისინი ერთ დღეს ერთ მამულში მუშაობდნენ და მეორე დღეს კი მეორეში, მაშინ, როდესაც მევენახეობას ჰირდებოდა მაღალკვალიფიციური მუშახელი. განსაკუთრებით უჭირდა მეურნეობას გაზაფხულზე, როდესაც სოფლის გლეხობა გასული იყო საკუთარ ბაღებში სამუშაოდ. ასეთ დროს ფართოდ იყენებდნენ ახალგაზრდობას. ამავე დროს ზრდიდნენ თვიური მუშების რაოდენობას. ამ ღონისძიებას ატარებდნენ თებერვლიდან ყურძნის მოკრეფამდე. თვიურ მუშებთან დებდნენ ხელშეკრულებას. პირობის თანახმად მუშებს არ უნდა მიეტოვებინათ მუშაობა შემოდგომამდე. მათ ხელფასიდან უკავებდნენ განსაზღვრულ თანხას გირაოდ, რომელიც ინახებოდა მამულის შემნახველ სალაროში და იცემოდა სეზონის დამთავრების შემდეგ. ამ ხერხით ხელმძღვანელობა ცდილობდა მამულის მუდმივი მუშახელით უზრუნველყოფას⁵⁸.

მუშების წახალისების მიზნით ზოგჯერ აჯილდოებდნენ კიდევ მათ. მაგალითად, 1896 წელს ნაფარეულისა და თელიანის 46 მუშა დააჯილდოვეს 435 მანეთით⁵⁹.

1909 წელს წინანდლის მამულის მმართველმა ყოფრიომ მოითხოვა უფროსი მეღვინე ა. თუშმალიშვილისათვის ხელფასის გადიდება 1500 მანეთამდე. რა თქმა უნდა, ხელფასს ყველას არ უმატებდნენ. რაც შეეხება თუშმალიშვილს, იგი მართლაც იმსახურებდა ასეთ ჯილდოს თუშმალიშვილი ამჟღავნებდა მეურნეობის დიდ ცოდნას და წლიდან წლამდე აუმჯობესებდა ვენახების მოსავლიანობას. ამას იგი აღწევდა დიდი შრომისა და სისტემატური მეთვალყურეობის შედეგად. წინანდალში თუშმალიშვილი მუშაობდა წლების მანძილზე და სარგებლობდა მუშებისა და ადმინისტრაციის პატივისცემით. (ამიტომ მოითხოვდა ყოფრიო თუშმალიშვილის დაწინაურებას — უფროსი მეღვინე-მევენახის თანამდებობაზე). სხვათა შორის, ყოფრიო მოითხოვდა მოემატებიათ ხელფასი მუშებისათვისაც. ერთგან იგი წერდა „ბოლო წლებში ვენახების მოსავლიანობა თანდათან იზრდება, რაც შედეგია მუშების სისტემატური მუშაობისა, ისინი სავსებით იმსახურებენ ხელფასის გადიდებას. თუ კი შევადარებთ დღიური და წლიური მევენახე მუშების ხელფასს,

58 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 45, л. 228, л. 16.

59 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, л. 603, л. 339.

ირკვევა, რომ დღიური მუშების ხელფასი გაიზარდა 30% 1905 წ. საშუალოდ დღიურ მუშებს დღეში აძლევდნენ 50 კაპ. 1909 წელს კი 65 კაპ.

მუდმივ მევენახე მუშებს 1906 წელს ხელფასი გაუდიდდათ 10 — 15 %-ით, მაშინ როდესაც ცხოვრება კიდევ უფრო გაძვირდა. თუ შევადარებთ მუდმივი მევენახე მუშებისა და სარდაფის მუშის ხელფასს, აქ კიდევ უფრო იგრძნობა სხვაობა. სარდაფის მუშა საშუალოდ წლიურად იღებდა 258 მან. 50 კაპ. მევენახე მუშა კი 209 მან. 25 კაპ... როგორც არ უნდა მივეუდგეთ ამ საკითხს, ყოველი მხრიდან იგრძნობა შეუსაბამობა, რასაც კარგად ამჩნევენ მევენახე მუშები. ეს კი მათში იწვევს უკმაყოფილებას. ამიტომ — განაგრძობს ჟიფრიო — მუდმივ მევენახე მუშებს უნდა გაეზარდოთ ხელფასი 15 %-ით და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ისინი ამ მომატებას ანაზღაურებენ თავიანთი კარგი მუშაობით⁶⁰.

საუფლისწულო მამულებში ვაზებს სხლავდნენ მუდმივი მუშები. ლერწი ვენახებიდან გამოჰქონდა დღიურ მუშებს. 1 დესეტინა ვენახიდან ლერწის გამოტანისათვის მუშას აძლევდნენ 2 მან. და 50. კაპ.⁶¹ აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად იყენებდნენ აგრეთვე ბავშვებსა და ქალებს, რომლებიც სპეციალურად ამ სამუშაოს შესასრულებლად იყვნენ დაქირავებულნი⁶².

ამრიგად, კახეთის საუფლისწულო მამულებში ყველა სამუშაოს მხოლოდ დაქირავებული მუშახელი ასრულებდა. მამულში მომუშავე გლეხობა მცირემიწიანია; ბევრ მათგანს კი სრულიად არ ჰქონდა საკარმიდამო ნაკვეთი და მუდმივად მამულში ცხოვრობდა. აქ სისტემატურად მუშაობდნენ: მუდმივი, თვიური და დღიური მუშები. ყველაზე მეტი სამუშაოს დღიური მუშები ასრულებდნენ. ამავე დროს ფართოდ იყენებდნენ ბავშვებისა და ქალების შრომას.

გლეხობის ექსპლოატაციის ხარჯზე დეპარტამენტმა დიდძალ კაპიტალს მოუყარა თავი.

ი ჯ ა რ ა

იჯარა სხვადასხვა სახით გვხვდება. ერთ შემთხვევაში იჯარით იცემოდა ბატონყმური, ნახევრად ბატონყმური ტიპის მამულები. მოიჯარადრენი, თავის მხრივ, ნაწილ-ნაწილ აძლევდნენ გლეხობას

⁶⁰ ЦГИА ГР. ССР, Ф. 351, оп. I, л. 195, л. 14—16.

⁶¹ ი ქ ვ ე.

⁶² ი ქ ვ ე.



იჯარით მიწებს დასამუშავებლად. სხვა შემთხვევაში გლეხობა იჯარით იღებდა მიწას პირდაპირ მემამულისაგან.

იყო შემთხვევები, როდესაც გლეხობა თავის მიწას-ნადელს იჯარით აძლევდა მემამულეს. ძირითადი მიზეზი გლეხის მიერ თავის მიწის იჯარით გაცემისა იმაში მდგომარეობდა, რომ გლეხის მეურნეობა საგრძნობლად დაეცა, გლეხს არ გააჩნდა საჭირო ინვენტარი და გამწვევი ძალა, ამას თან ერთვოდა გადასახადები, რის გამო ზოგჯერ გლეხი კარგავდა მიწას.

იჯარის საშუალებით შესაძლებელი ხდებოდა მეურნეობის იაფი მუშახელით უზრუნველყოფა. გლეხობას კი იჯარა მძიმე ექსპლოატაციასთან ერთად კაბალურ მდგომარეობაში აყენებდა.

ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს არა ყოველგვარი იჯარა, არამედ საადგილმამულო იჯარა, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა ჯერ ალ. ჭავჭავაძისა და შემდეგ კახეთის საუფლისწულო მამულებში.

1841 წ. ალ. ჭავჭავაძის პირველმა მოიჯარადრემ ფონრენტელმა მეურნეობის სრული უცოდინარობა გამოამყდავნა და ალ. ჭავჭავაძემ მასთან დადებული ხელშეკრულება გააუქმა⁶³.

ალ ჭავჭავაძე თავის მამულს იჯარით სცემდა, როგორც ადგილობრივ, ასევე სხვა რაიონებიდან ჩამოსულ გლეხობაზე. გლეხობა, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული მიწები ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მოსავალი მიეღო და არ ზრუნავდა მიწათმოქმედების გაუმჯობესებაზე. „საიჯარო სისტემის დროს სუსტდება გაუმჯობესებათა შეტანის იმპულსი“⁶⁴, აღნიშნავს ვ. ი. ლენინი. ამიტომ იყო რომ კახეთის მემამულეთა მევენახეობა თანდათან ეცემოდა. ასე მოუვიდა ცნობილი მეურნის (მას მეღვინეობის განვითარების პიონერად თვლიდნენ) თავად ჯორჯაძის მამულს, რომელიც იმდენად დაეცა, რომ ნაწილ-ნაწილ იქნა გაყიდული.

1875 — 1879 წლებში ჭავჭავაძეთა მთელი მამული იჯარით ჰქონდა აღებული თავად ჯორჯაძეს და მირიმაწოვს, რომლებიც ჭავჭავაძეებს 24 ათას მან. უხდიდნენ; მასთან ერთად დაახლოებით 6 ათასი მანეთის ჭირნახულს⁶⁵.

საუფლისწულო მამულების სამმართველო ძირითადად მოკლე-

63 საისტორიო მოამბე, 1946, გვ. 164, ს. მაღლაკელიძე, მასალები ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის.

64 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი გამოცემა მე-4, 1949, გვ. 171.

65 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, Д. 992, лл. 31—32.



ვადიან იჯარას იყენებდა. უმეტეს შემთხვევაში იგი იჯარით, გვერდის მიწებს სცემდა, იმ ვარაუდით, რომ ორი-სამი წლის განმავლობაში გლეხი ამ მიწას გაწმენდა ჩიგვანარისა და ძირკვებისაგან, გააშენებდა იქ ხეხილს, ვაზს და შემდეგ საუფლისწულო უწყება განაგრძობდა მის დამუშავებას.

აქ მოვიყვანოთ ურიათუბანში მცხოვრები გლეხის ლევან გემაზაშვილისა და საუფლისწულო მამულს შორის 1888 წელს 2 იანვარს დადებულ ხელშეკრულებას, სადაც მკაფიოდ ჩანს, საუფლისწულო მამულების სამმართველოს მიერ მიწის იჯარით გაცემის მიზანი.

სოფელ ზეგანში მდებარე ბალი ჩიგლანთეული ლევან გემაზაშვილმა საუფლისწულო მამულისაგან იჯარით აიღო 3 წლის ვადით. დადებული ხელშეკრულების თანახმად ლ. გემაზაშვილს მტკიცედ უნდა დაეცვა ბალი დარბევისაგან, უნდა შეეკეთებინა მისი ზღუდე, არ დაეშვა ბალში საქონლის ძოვება, არ უნდა ყოლოდა იქ ფრინველი, ზვრებში არ უნდა დაეთესა ბოსტნეული. ყველა სამუშაო: ბარვა, გასხვლა, მოხარდენა, ახვევა, გოგირდისა და შაბიამნით ვაზების შეწამვლა უნდა შეესრულებია კეთილსინდისიერად და თავის დროზე; სამი წლის მანძილზე უნდა ამოეძირკვა ყველა ბუჩქი და ხე. ამავე დროს ადგილი უნდა გაეწმინდა ქვებისაგან. საიჯარო პერიოდში უნდა გამოევისო ვაზებს შორის ცარიელი ადგილები, ვაზები ერთმანეთისაგან 1 არშინის დაშორებით უნდა დაერგო⁶⁶.

თავის მხრივ, საუფლისწულო მამულის მმართველი ვალდებული იყო გემაზაშვილისათვის მიეწოდებინა: ხარდანი, სახვევი, გოგირდი, მიწათმოქმედების მანქანა-იარაღები. გემაზაშვილს უფლება ჰქონდა ესარგებლა ტყითა და მალაზიებით. ყველა სამუშაო მას თავის ხარჯზე უნდა ეწარმოებინა. რთველის დროს იგი ვალდებული იყო უდანაკარგოდ ჩაებარებინა ვაზი საუფლისწულო მამულისათვის. კრეფა საუფლისწულო მამულს თავისი მუშებით უნდა მოეხდინა.

იმ შემთხვევაში, თუ ლ. გემაზაშვილი ყველა სამუშაოს თავის დროზე არ ჩაატარებდა, როგორც ეს პირობაში იყო აღნიშნული, კახეთის საუფლისწულო მამულების სამმართველოს უფლება ჰქონდა ჩამოერთმია მისთვის ბალი და გადაეცა იგი სხვა პირისათვის.

66 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, д. 992, лл 1—2.



ასეთ შემთხვევაში გემაზაშვილს არ ჰქონდა პროტესტის უფლება და უფლებად მისი მოქმედება ითვლება. ციხის მფლობელი იყო გემაზაშვილი.

ლ. გემაზაშვილს მის მიერ შესრულებულ სამუშაოებში კახეთის საუფლისწულო სამმართველო აძლევდა მოსავლის ნახევარს. მას აგრეთვე უფლება ჰქონდა ესარგებლა თივითა და უვარგისი ხარდნით. გემაზაშვილის ნაწილი სამმართველოს უნდა მიეტანა მისთვის სახლში მისივე ხარჯით⁶⁷.

1894 წელს საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა სანერგისათვის კვახჭირში მცხოვრებ პეტრე გიორგისძე წულუკიძისაგან 6 წლის ვადით იჯარით აიღო 300 კვ. საყენი მიწის ნაკვეთი, შემდეგი პირობით:

1. მიწის პლანტაჟი, ამერიკული ვაზის გაყვანა და სხვა სამუშაოები უნდა ეწარმოებია დეპარტამენტს თავის ხარჯზე.
2. სანერგის მოვლა და მეთვალყურეობა ევალებოდა პ. წულუკიძეს.
3. 6 წლის მანძილზე მიღებული ვაზის ლერწი თანაბრად უნდა გაეყო წულუკიძესა და დეპარტამენტს. ხოლო საიჯარო ვადის გავლის შემდეგ სანერგე მთლიანად გადავიდოდა წულუკიძის ხელში. აღნიშნული პირობა დამოწმებულ იქნა ქუთაისის ნოტარიუსის მიერ⁶⁸.

1903 წელს რაჭის გლეხობამ — 30 კომლმა — თხოვნით მიმართა წინანდლის მამულის მმართველს, მათთვის 12 წლის ვადით იჯარით მიეცათ ნაფარეულთან მდებარე 6000 დესეტინა მიწა. სამმართველო სიამოვნებით დათანხმდა აღნიშნულ წინადადებას, რადგან ნაფარეულის მამული მუდამ მუშახელის ნაკლებობას განიცდიდა. გლეხს წელიწადში ერთ დესეტინა მიწაზე 2 მან. და 50 კაპ. უნდა გადაეხადა.

იჯარით აღებულ ნაკვეთზე გლეხობას უნდა გაეყვანებია ბაღი. პირველ ხანებში საჭირო ხე-ტყეს გლეხობა უფასოდ იღებდა საუფლისწულო მამულის ტყიდან. ამავე დროს გლეხობას უნდა გაემართა წისქვილები და სხვადასხვა ნაგებობანი. თუ დაწესებულ საიჯარო თანხას თავის დროზე არ გადაიხდიდნენ, მამულის ხელმძღვანელობას უფლება ჰქონდა მისი ტერიტორიიდან გლეხის გა-

67 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, д. 992, лл. 1-2 об.

68 ЦГИАЛ, Ф, 515, оп. 45, д. 578, л. 200.



სახლების და ყველა ნაგებობა გადადიოდა სამმართველოს ხელმძღვანელებს. გლეხობამ წინასწარ გადაიხადა 400 მან⁷⁰.

1905 წელს ფშავის სოფელ არტაანის გლეხობამ თავისი წარმომადგენელი ხეთისო ჩოკოლაშვილი გაგზავნა ნაფარეულის საუფლისწულო მამულის მმართველთან თხოვნით, 24 წლის ვადით მათთვის იჯარით მიეცათ ნაფარეულთან მდებარე ადგილი — ძირთახევი, კომლზე 10 დესეტინა⁷¹.

ნაფარეულის საუფლისწულო მამულის მმართველი არ ფარავდა აღნიშნული ადგილის (დაფარულია ჩიგვნარით) ნაკლებ მოსავლიანობას და საუფლისწულო მამულის ინტერესს წარმოადგენს მისი იჯარით გაცემა. ძირთახევს ეჭირა 500 დესეტინა ფართობი. საიჯარო ფასი დესეტინაზე 2 მან. და 50 კაპ. უდრიდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ წელიწადს გლეხი არაფერს არ იხდიდა. ტყით სარგებლობისათვის კი უნდა გადაეხადა განსაზღვრული ფასი. საიჯარო ვადის დამთავრებისას საუფლისწულო მამულის დეპარტამენტი უფლებას იტოვებდა კონტრაქტის შესაწყვეტად.

ფშავლების აქ დასახლება, როგორც აღვნიშნეთ, კიდევ იმით იყო ხელსაყრელი, რომ მეურნეობა უზრუნველყოფილი იქნებოდა იაფი მუშახელით.

ფშავლებს სურვილი გამოუთქვამთ, შეეძინათ მათ მიერ იჯარით აღებული ადგილები, რაზედაც სიამოვნებით დათანხმდა სამმართველო. ერთ დესეტინაზე თითოეულ გლეხს უნდა გადაეხადა 40 მან. 6 წლის მანძილზე⁷².

1910 წელს კავკასიის ინსპექტორის მოადგილემ ფონ-რაბენმა შეამოწმა წინანდლის საუფლისწულო მამული, მან ნახა თელიანთან მდებარე 60 დესეტინა ნაკვეთი, რომელიც დაფარული იყო ბუჩქებითა და ნარგავებით. მთელს მამულში მხოლოდ ამ ნაკვეთზე შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, გაწმენდისა და გასუფთავების შემდეგ ხორბლის დათესვა. ამის შესახებ ფონ-რაბენი კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორს წერდა: ამ ნაკვეთს ამაჟამად არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. გაწმენდის შემდეგ კი მას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მეურნეობისათვის; მით უმეტეს, რომ აქ

69 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 44, Д. 391, л. 1—2.

70 იქვე.

71 იქვე, ს. 390, ფურც. 25.

72 იქვე, ფურც. 35.

უნდა გაევიღო კახეთის რკინიგზას, ამიტომ აღნიშნული ნაკვეთი უნდა გაიყოს გლენობაზე იჯარით 6 — 9 წლის ვადით, რის შემდეგ მეურნეობა მიიღებდა მაღალხარისხოვან ფურაქს, რასაც სისტემატურად იძენდნენ⁷³. ფურაქით მეურნეობის მომარაგების მიზნით წინანდლის საუფლისწულო მამულების მმართველს ჟოფრიოს 3 წლის მანძილზე იჯარით ქონდა აღებული სათიბი ადგილები, თეთრწყაროში დესეტინა 8 — 10 მანეთად. საშუალოდ დესეტინაზე მიიღეს 125 — 130 ფუთი კარგი ხარისხის მთის თივა. საუფლისწულო მამულების დეპარტამენტს განზრახული ჰქონდა აღნიშნული ნაკვეთების შექმნა, რის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა მეურნეობის საჭირო ფურაქით უზრუნველყოფა. ეს კი გაცილებით იაფი დაჯდებოდა და დიდ ეკონომიას მისცემდა მეურნეობას⁷⁴.

ზოგ შემთხვევაში კი იჯარით გაცემული ნაკვეთები იმდენად უმნიშვნელო შემოსავალს აძლევდა მეურნეობას, რომ სამმართველო ცდილობდა შეეწყვიტა მოიჯარებთან კონტრაქტი⁷⁵. მაგალითად 1908 წელს მუკუზნის საუფლისწულო მამულს იჯარით გაცემული სახნავ-საძოვრებიდან და წისქვილიდან შემოუვიდა 370 მან⁷⁶.

ჭავჭავაძის მამულში იყო ნადელები. ამ მიწებიდან სამმართველო წელიწადში 5929 მან. და 75 კაბ. ალებას ვარაუდობდა. საუფლისწულო სამმართველოს გადაწყვეტილი ჰქონდა იჯარით გაეცა წისქვილები; აგურის ქარხანა. მათგან წელიწადში (გაწეული ხარჯის გარდა) 1479 მან. და 16 კაბ. უნდა მიეღოთ.

ამრიგად, რეფორმამდე რუსეთის საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის უწყებაში იჯარას, როგორც საშემოსავლო წყაროს,

⁷³ ЦГИА ГР. ССР, Ф. 351, оп. I, д. 251, л. 67

⁷⁴ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, 1909—1914 гг., д. 943, лл. 1—8.

⁷⁵ «Сирбилаантеули, Схиртлаантеули, Чиглоантеули, Чечелаантеули и Датунаантеули. Сады эти сдаются в аренду из половины причем таркаль, подвоязочный материал, лечение все это ложится на имение, в результате получается, что доход с садов не покрывает расход. Урожай в них самый ничтожный и качество вина неудовлетворительно. Является весьма желательным, или прекратить виноградное хозяйство в этих садах, как убыточное, запустив их под другую какую-нибудь культуру, или согласиться на обмен с соседними помещиками и крестьянами на земли, прилегающие в удобном и удобния для разведения виноградников» См. ЦГИА СССР, Д. 515, оп. 45, д. 228, л. 4.

⁷⁶ ЦГИА ГР. ССР, Ф. 351, д. 152, л. 94.



მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. გლეხთა ყმობიდან განთავისუფლების შემდეგ საიჯარო შემოსავალი კიდევ უფრო გაიზარდა.

მიუხედავად ამისა კახეთის საუფლისწულო მამულებში იჯარას ფართო ხასიათი არ ჰქონია, იგი აგრარული ურთიერთობის ძირითად ფორმას არ წარმოადგენდა. ეს იყო კახეთის საუფლისწულო მამულების თავისებურება. საუფლისწულო მამულთათვის ხელსაყრელი არ იყო ვენახებისა და შემოსავლიანი მიწების იჯარით გაცემა. პირიქით, იგი ცდილობდა გაეზარდა ვენახების ფართობი და კიდევ უფრო დიდი შემოსავალი მიეღო. მეურნეობაში მხოლოდ მოკლევადიან იჯარას იყენებდნენ. იჯარით სცემდნენ უვარგის მიწებს, მათი სავარგულედ გადაქცევის მიზნით, საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ სწყვეტდნენ კონტრაქტს და თვითონ აწარმოებდნენ მეურნეობას. ამავე დროს იჯარა უზრუნველყოფდა მეურნეობას საჭირო მუშახელით. ზოგჯერ სამმართველო თვითონაც იღებდნენაკვეთებს იჯარით, სადაც მხოლოდ დაქირავებულ მუშახელს იყენებდა.


ამრიგად, ალ. ჭავჭავაძის მეურნეობაში იჯარა აგრარული ურთიერთობის ძირითადი ფორმა იყო. იგი მეურნეობის შენარჩუნების საშუალებას წარმოადგენდა. გრძელვადიან იჯარასთან ერთად ფართოდ იყენებდნენ მოკლევადიან იჯარას. როგორც დავინახეთ, ჭავჭავაძის მამული ვერ იხსნა იჯარამ. მას ჰქონდა დიდძალი ვალები და იძულებული შეიქნენ გაეყიდათ იგი. ჭავჭავაძის მამულში არსებული იჯარისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საუფლისწულო მამულში არსებული იჯარა.

საუფლისწულო მამულში არსებულმა იჯარამ უარყოფითი გავლენა იქონია ტყეზე, იჯარით გაცემული ტყე თითქმის სრულიად განადგურდა.

მევენახეობა-მელვინეობა

საუფლისწულო მამულებში მევენახეობა-მელვინეობას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. აღნიშნული დარგი უაღრესად შრომატევადი იყო და დიდძალ მუშახელს მოითხოვდა, ამიტომ დეპარტამენტი ყოველნაირად ცდილობდა ხელის შრომის შეცვლას მანქანით; შეიძინეს კასრის ამწევი, რამაც საგრძნობლად გააადვილა მუშაობა; სრულიად გამოირიცხა კასრის დაზიანება. მანქანამ ათობით მუშის შრომა შეცვალა. ფართოდ დაინერგა, აგრეთვე, ცხენით სატარებელი ვაზის შესაწამლი მანქანები. თუ ადრე ხელის აბა-

რატებს იყენებდნენ, ახლა იგი შეცვალა მანქანა „კობრამ“, რომელიც წამლის დიდ ეკონომიას იძლეოდა და შეწამვლაც გაცილებით სწრაფად ხდებოდა. აპარატი „კობრა“ თავისუფლად ცვლიდა 8—10 მუშას. ახალი აპარატის მეურნეობაში დანერგვით შესაძლებელი გახდა მუდმივი მუშახელის შემცირება.



სურ. 4

ამავე დროს დიდი ყურადღება ექცეოდა შრომის ნაყოფიერების ზრდას. მამულის ხელმძღვანელობა ცდილობდა რიგი სამუშაოები ვენახებსა და სარდაფებში მხოლოდ მუდმივი მუშახელით შეესრულებია, რადგან დღიური მუშების გამოყენებით არ ხერხდებოდა პროდუქტიულობის ზრდა, მითუმეტეს (დღიური მუშები შედარებით უხარისხოდ ასრულებდნენ სამუშაოს) ხარისხის გაუმჯობესება.

1906 წელს 1 ფუთი ყურძნის აღება მეურნეობას საშუალოდ 7 კაპიკი დაუჯდა, 1909 წელს კი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5 კაპიკისა—3¹/₂. ამავე წელს 1 ფუთი ყურძნის გადამუშავება-დაწურვა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 3¹/₂ კაპ. ნაცვლად დაუჯდათ 2 კაპიკი დაახლოებით ასეთივე შედეგები იყო

მიღწეული ვაზის შეწამვისა და ვენახების დამუშავების დროსაც⁷⁷.

მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობის ადმინისტრაცია ყოველნაირად ცდილობდა იაფი დაჯდომოდა ვენახების დამუშავება, წინანდალში 1 დესეტინა ვაზის დამუშავება უფრო მეტი ჯდებოდა, ვიდრე სხვა მეურნეობაში. ეს გამოწვეული იყო საქონლის საკვების უქონლობით. წინანდლის მამულისათვის თითქმის მთლიანად იძენდნენ საკვებს, რადგან არ გააჩნდათ საკუთარი სათიბები. ამ ნაკლის გამოსასწორებლად გათვალისწინებული იყო წინანდლის ზემო ტყის გაწმენდა. 25 დესეტინაზე უნდა დაეთესათ სათიბი ბალახი⁷⁸.

1895 წლიდან კახეთის საუფლისწულო მამულებში გარკვეული მუშაობა მიმდინარეობდა ნიადაგის გასაპატივებლად და გასამდიდრებლად. წარმოებდა ნიადაგის ლაბორატორიული შესწავლა. რის შემდეგ ნიადაგში შეჰქონდათ მინერალური სასუქები⁷⁹.

900-იანი წლებიდან განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა ნიადაგის ქიმიური სასუქებით გამდიდრება. ქიმიურმა ანალიზმა, რომელიც წინანდლის ლაბორატორიაში გააკეთეს, დაადასტურა ნიადაგის გამამდიდრებელი სასუქების ვარგისიანობა.

მუკუზნის ჯგუფის ვენახებში შეიტანეს: აზოტმკავა ნატრიუმი, ჩილის გვარჯილა და კალიუმ ქლორი. 1-დს. შეჰქონდათ 12 — 20 ფუთი სასუქი. დესეტინაზე საშუალოდ 300 — 500 ფუთი ყურძენი მიიღეს⁸⁰.

⁷⁷ ЦГИА Гр. СССР, Ф. 351, оп. 1, Д. 195, л. 12—14.

⁷⁸ ЦГИА Гр. ССР, Ф. 351, оп. I, Д. 195, л. 13.

⁷⁹ ...«После произведенных опытов с различными удобрениями в течение последних трех лет в Кахетинском удельном имении, я считаю необходимым с будущего года приступить к более серьезной постановке этого вопроса и к применению обязательного удобрения на всей площади виноградников, установив за ежегодную корму удобрения 1/4 площади всех садов как рядовой, так и местной грузинской посадки.

Наиболее подходящее навозное удобрение, влияющее не только своим химическим составом, но также и на физическое строение почвы, может быть применено в Кахетии..., а следовательно большее внимание в имении должно быть обращено на удобрение минеральное, стоимости которого по десятин, но к тому же не превышает стоимости удобрения навозного, учтенного по местным покупным ценам (около 70 р. на десятину)». См. ЦГИА Гр. ССР, Ф. 351, Д. 519, Л. 78.

⁸⁰ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, Д. 496, лл. 18—19.



XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან კახეთში გავრცელებული იყო ვაზის მრავალი სოკოვანი დაავადებანი: ნაცარი, ჭრაქი, რაკოზი, მილდიუ, ოიდიუმი და სხვ.

კახეთის საუფლისწულო მამულში ვაზის მავნებლებთან ბრძოლის საქმეს ხელმძღვანელობდა ენტომოლოგი, რომელიც სისტემატურად აკვირდებოდა დაავადებულ ვაზს და სპეციალურ მითითებას აძლევდა მამულის მევენახეებს; ვაზის დაავადებათა წინააღმდეგ წინანდლის საუფლისწულო მამულში იყენებდნენ: შაბიამნის ხსნარს, გოგირდს, ქლოროვან ბარიუმს, ნიკოტინს. აღმოსავლეთ საქართველოში პირველად საუფლისწულო მამულში იქნა ჩატარებული საცდელი წამლობა სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ პოლისულფატით, რაც ნებადართული იყო საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველოს მიერ. აღნიშნულმა პრეპარატმა ვერ გაამართლა იმედი. როგორც შემდეგში გამოირკვა მისი სუფთად ხმარება არ შეიძლებოდა. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეობაში ატარებდნენ ცდებს, ხდებოდა ძიება უკეთესი პრეპარატისა. თუ ადრე ვაზის მღრღნელ ჭიებებს მუშები ღამით აგროვებდნენ და ხოცავდნენ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში უკვე სხვადასხვა ქიმიურ საშუალებებს ხმარობდნენ.

ქიმიურ საქონელს იწერდნენ კავკასიის სავაჭრო საზოგადოების საშუალებით, რომელიც უკავშირდებოდა ოდესის სააგენტოს „ტრაპანს“, ეს უკანასკნელი კი — საფრანგეთის ფაბრიკანტებს⁸¹. ხშირად საქონელი შემოქონდათ რუსეთიდან. მიღებულ საქონელს ამოწმებდა გოგოლ-იანოვსკი. ზოგ შემთხვევაში მასალა უვარგისი იყო. ამიტომ კახეთის საუფლისწულო მამულების სამმართველო ცდილობდა საქონელი პირდაპირ საფრანგეთიდან გამოეწერა, მითუმეტეს, რომ იგი შედარებით იაფი ჯდებოდა. 1894 — 1895 წლებში საფრანგეთიდან მიღებული 1 ფუთ გოგირდში გადაუხდიათ 1 მან. და 78 კაპ. ხოლო პეტერბურგიდან მიღებულ 1 ფუთ გოგირდში 2 მან. და 25 კაპ.

წინანდალში იყო სპეციალური მაღაზია, რომელიც ვაზის შესაწამლი ნივთიერებით ამარაგებდა მთელ საუფლისწულო მამულს. 1895 წელს ნაფარეულსა და მუკუზანშიც გახსნეს მაღაზიები, სადაც მუდმივად იყო შაბიამნისა და გოგირდის მარაგი. შაბიამნის იყენებდნენ აგრეთვე სარების შესაწამლად: სპეციალურ აუზში, რომელშიაც შაბიამნის ხსნარი იყო, ჩაყრიდნენ სარებს და გააჩე-

⁸¹ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 45, д. 329, л. 15.



რებდნენ 10 — 15 დღეს. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა ვაზის მავნებლებთან ბრძოლას.

ამიერკავკასიის საუფლისწულო მამულების მთავარმა მეღვინემ მასონომ მოითხოვა, საუფლისწულო უწყების მეზობლად მდებარე ვენახებიც შეწამლულიყო შაბიამნის ხსნარით. ამ მიზნით 1896 წელს კახეთის საუფლისწულო მამულის მმართველმა შეკრიბა

ცბრილი 10

წინანდალში მიღებული ვაზის შესაწამლო ნივთიერებანი⁸²

მასალის დასახელება	საუფლისწულო მამულისათვის		მეზობლ-მევე-ნახეთათვის		ს უ ლ	
	ფუთი	ფასი მან.	ფუთი	ფასი მან.	ფუთი	ფასი მან.
გოგირდი კრისტალური ფუთი 72 კაბ.	125	90	—	—	125	90
გოგირდი ფუთი 89 კაბ. მარსელში შაბიამანი, ფუთი 2 მან. და 75 კაბ. მარსელში	1000	890	300	267	1300	1157
შაბიამანი—სარების ჩასაყრელად, ფუთი 2,75 კაბ.	1100	3025	400	1100	1500	4125
გოგირდი—კრისტალი წინანდალში მიტანით, ფუთი 2 მანეთი	200	350	—	—	200	350
გოგირდი წინანდალში მიტანით, ფუთი 2 მან. და 10 კაბ.	125	250	—	—	125	250
შაბიამანი წინანდალში მიტანით, ფუთი 2 მან. და 10 კაბ.	1000	2100	300	630	1300	2730
შაბიამანი წინანდალში მიტანით, ფუთი 5 მან.	1100	5500	400	2000	1500	7500
შაბიამანი სარების დასასველებლად, ფუთი 5 მან. წინანდალში მიტანით	200	1000	—	—	200	1000
Рафию—ფუთი 6 მან. და 19 კაბ. მარსელში	12,5	77—87 კ.	—	—	12,5	77— —37 კ.
Рафию—ფუთი 9 მან. და 20 კაბ. წინანდალში მიტანით	12,5	115	—	—	12,5	115
კ ა მ ი					6175	17394— —37 კ


წინანდლის ირგვლივ მცხოვრები გლეხობა და წინადადება მისცა წინანდლის მამულის მალაზიიდან თავიანთი ვენახების შესაწამლად შეეძინათ შაბიამანი და გოგირდი⁸³. პირველ ხანებში გლეხო-

⁸² ЦГИАЛ, ф. 515, оп. 45, д. 329, л. 15.

⁸³ Крестьяне в особенности никак не хотели, или не могли, понять для чего именно предлагаются им соседям, лекарства против грабных бдлез-

ბა ამ წინადადებას უნდობლად შეხვდა. მაგრამ შემდეგში სისტემატურად იძენდა მას და იყენებდა საკუთარ მეურნეობაში.

საუფლისწულო მამულების სამმართველო შაბიამანს და ვოგორდს ყიღდა ავრეთვე მემამულეებზე. მათთან დებდნენ ხელშეკრულებას და ფულს ნაწილ-ნაწილ ახდევინებდნენ. სამმართველო შესაწამლ პრეპარატებს იმ პირობებზე ყიღდა, რომელთა ზვრები



სურ. 75

საუფლისწულო მამულის ვენახებთან ახლოს მდებარეობდა. თუ მეურნეობას ქონდა საჭირო მარაგზე მეტი — სხვაზეც ჰყიდდნენ⁸⁴. მყიდველი დებდა პირობას — სხვაზე არ გაეყიდა შეძენილი საქონელი. გარდა ამისა, დეპარტამენტი გლეხობაზე და კერძო პირობებზე ჰყიდდა სოფლის მეურნეობაში სახმარ ინვენტარს.

ней, а не всем вообще садовладельцам. Некоторые прямо отказывались, мотивируя это тем, что они не в состоянии расхотодаться на лечение виноградников... Другие, вероятно кем нибудь наученные, заявили мне, что до них дошел слух, что удел лечит соседей, потому, что предлагается отчуждать соседние виноградники, в пользу Удела и предлагали лечить их сады за Счет Удела». См. ЦГИАЛ, Ф, 515, оп. 45, д. 228, л. 53.

⁸⁴ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, д. 603, л. 3.



საუფლისწულო მამულებში ფართოდ იყენებდნენ საწინააღმდეგო ზარბაზნებს და რაკეტებს. აღნიშნული იარაღით ხდებოდა ღრუბლების გაფანტვა.

1902 წელს სეტყვის საწინააღმდეგო სასროლი სადგურები იყოფოდა სამ ჯგუფად: ურიათუბნის ჯგუფში მოქმედებდა 5 სასროლი ზარბაზანი, მუკუზნის ჯგუფში — 5 და ზეგნის ჯგუფში 7 ზარბაზანი. თითოეულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა მევენახე სპეციალისტი. 1 აპრილისათვის ყველა სადგური მზად უნდა ყოფილიყო, მომარაგებული უნდა ჰქონოდათ სასროლი მასალა.

თითოეული სადგურზე გაპიროვნებული იყო ერთი მუშა, აგი პასუხისმგებელი იყო ყველაფერზე და რაიმეს დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებოდა მევენახისათვის.

ერთი გასროლით ყველა სადგურს აძლევდნენ ნიშანს, რომლებიც იწყებდნენ ღრუბლების გაფანტვას. სროლის დამთავრების შემდეგ ხდებოდა იარაღის გაწმენდა-გასუფთავება.

სროლა ღამითაც წარმოებდა. ზარბაზანს ტენიდა სპეციალურად შერჩეული, საიმედო ერთი ან ორი მუშა, რომელსაც ნიშნავდა უფროსი მევენახე.

მეურნეობაში სეტყვის საწინააღმდეგო სროლა 1 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა⁸⁵.

1903 წელს ნაფარეულში სეტყვის საწინააღმდეგოდ 8465 ჯერ გაუსროლიათ⁸⁶, თელიანსა და წინანდალში კი 11 აპრილიდან 27 აგვისტომდე — 6144 ჯერ⁸⁷.

მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობაში სისტემატურად ფანტავდნენ ღრუბლებს, ყოველთვის როდი აღწევდნენ სასურველ შედეგს. ჰეინეს აზრით, სეტყვის საწინააღმდეგო სროლას როგორც ზარბაზნიდან, ასევე რაკეტიდან ძალა ჰქონდა მაშინ, როდესაც სასეტყვო ღრუბლებს თან არ ახლდა ქარიშხალი⁸⁸.

⁸⁵ ЦГИАЛ, ф. 515, оп. 88, д. 1323, л. 3, 4, 5.

⁸⁶ იქვე ფურც. 84.

⁸⁷ საქ. ც. ს. ა. ფ. 357. ნაწ. I, საქმე 66, ფ. 66.

⁸⁸ «В этот день градовые тучи появились на горизонте в 5 1/2 час. вечера и тогда была начата стрельба из всех мортир. Первые тучи рассеялись или были рассеяны выстрелами и небо очистилось. К 8 1/2 час. вечера вновь надвинулись со всех сторон тучи, блистала молния и слышны были отдаленные раскаты грома. Немедленно была открыта стрельба из всех

საუფლისწულო მამულების დეპარტამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლას. 1890 წელს სამმართველოს უფროსმა ვიაზემსკიმ შემოიარა კავკასიის საუფლისწულო მამულები და მითითება მისცა ყველა მამულის მმართველს, მზად ყოფილიყო ფილოქსერის საწინააღმდეგო ღონისძიების ჩასატარებლად; ამავე დროს, ყველა მამულს უნდა მოემზადებია ნაკვეთები სანერგეების გასამართავად.

საუფლისწულო მამულების სამმართველომ გადაწყვიტა გაეშენებია ევროპული ვაზის ჯიშები, რომლებიც უნდა დაემყნოთ ამერიკულ საძირეზე. ამ მიზნით, 1891 წელს თხოვნით მიმართეს მომპელიეს სკოლის დირექტორს ფოექქსს, საუფლისწულო მამულების დეპარტამენტისათვის გამოეგზავნა ფილოქსერაგამძლე ამერიკული ლერწის თესლი. ფოექსმა თავის მხრივ მიმართა ცნობილ „ველმორენ ანდრიეს“ ფირმას, რომელსაც სპეციალური აგენტების საშუალებით ამერიკიდან შემოჰქონდა თესლი. ამერიკაში თესლს აგროვებდნენ ტყის ველურ ვაზებზე, ახმობდნენ და უგზავნიდნენ დამკვეთ ფირმას⁸⁹. 1892 — 1893 წლებში საფრანგეთიდან მიიღეს დიდძალი თესლი და დათესეს თითქმის ყველა მამულში.

1894 — 1895 წლებში ბორღოდან, ცნობილი სპეციალისტის პროფესორ მილიარდესგან კიდევ მიიღეს ამერიკული ვაზის თესლის ახალი პარტია და დათესეს ნაფარეულის მამულში.

1892 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის თათბირზე დაისვა საკითხი — საუფლისწულო უწყებისათვის დაერთოთ ნება საზღვარგარეთიდან შემოეტანათ ამერიკული ვაზის ლერწი.

мортир и по мере приближения к нам грозы постепенно угощалась стрельба и достигла максимума к 16 часам вечера. В 10 час. 20 мин. пошел крупный дождь, перешедший в ливень и одновременно поднялся сильный ураган. Вскоре начал выпадать вместе с дождем и град. В районе верхних садов град все время шел вместе с дождем, а в Телиани дождь скоро прекратился и пошел частый град. Град продолжался не более пяти минут и был величиною не крупнее лесного ореха. Стреляли мортиры не только удельные, но и соседние кондольские, а также было выпущено порядочное количество градобойных ракет (3 ракеты у нас, 10 ракет у князей Чавчавадзе и штук 6 в кондольском питомнике). Удельными мортирами было выпущено около 1200 выстрелов.

Таким образом, борьба с градобитьем велось самая энергичная, но не спасла виноградников». См. ЦГИА Гр. ССР, ф. 89, д. 512, л. 60—61.

⁸⁹ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, д. 602, л. 78.

მართლაც მიღებული იქნა თანხმობა და 1893 წელს თელავში და ზეგანში დარგეს 400 ძირი რიპარიეს ჯიშის ვაზი. ნაკვეთებზე, რომელზედაც დარგული იყო ამერიკული ვაზის ნერგი, სისტემატურ დაკვირვებას აწარმოებდნენ სპეციალისტები, მათ შორის მასონო და გოგოლ-იანოვსკი⁹⁰.

საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტებს, მათ შორის სპეშნევს, რომელიც დიდ ხანს მუშაობდა ნაფარეულის მამულში და დაინტერესებული იყო ვაზის კულტურით, 1896 წლამდე კახეთში არ შეუნიშნავთ ვაზის სერიოზული დაავადება.

1896 წელს საუფლისწულო მამულების სამმართველომ, კახეთში მიავლინა გოგოლ-იანოვსკი. მას მონაწილეობა უნდა მიეღო საფილოქსერო კომიტეტის მუშაობაში, რომელიც ცდილობდა აღმოეჩინა ფილოქსერა და „ვაზის სიდამპლე“. გოგოლ-იანოვსკი ახალი დაბრუნებული იყო საფრანგეთიდან და კარგად იცნობდა აღნიშნულ დაავადებას, ამიტომ დეპარტამენტს საჭიროდ მიაჩნდა მისი დასწრება. კომისია მუშაობას განაგრძობდა მუკუხანის საუფლისწულო მამულში, მასში მონაწილეობდა მასონო და სტაროსელსკი. მუკუხანში მართლაც აღმოაჩინეს ვაზის ფესვებზე ავადმყოფობა, მაგრამ იგი ფილოქსერად არ მიუჩნევიათ. ავადმყოფობის დასადგენად ვაზის ფესვები და ფოთლები გაუგზავნეს საფრანგეთში პროფესორ ვიალას⁹¹.


პირველ ხანებში ამერიკული ვაზის შემოტანა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში შეიძლებოდა, რადგან იქ უკვე გავრცელებული იყო ფილოქსერა. ძირითადად ლერწი შემოქონდათ: საფრანგეთიდან, უნგრეთიდან, ავსტრიიდან. შემოტანა ხდებოდა შერჩევით (და არა ყველა ჯიშის). გამოგზავნილი მასალა შეფუთული უნდა ყოფილიყო კარგად, მიღების შემდეგ გახსნას ესწრებოდა საფილოქსერო კომიტეტის წარმომადგენელი, რომელიც ახოინდა დეზინფექციას. საუფლისწულო მამულის სანერგედან ლერწის გაცემა ნებადართული იყო მხოლოდ საფილოქსერო კომიტეტის წარმომადგენლის თანდასწრებით. ამ ღონისძიებით საფილოქსერო კომიტეტი ცდილობდა ვაზის დაავადება არ გავრცელებულიყო.

საუფლისწულო მამულის დეპარტამენტმა რიგი სამუშაო ჩაატარა ქუთაისის გუბერნიაში ამერიკული ვაზის სანერგეების მოსაწყობად; კლინგენმა და ჯაფარიძემ შეარჩიეს ნაკვეთები: ქუთაის-

⁹⁰ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, д. 602, л. 78.

⁹¹ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 45, д. 491, л. 1.

ში, ტყიბულში, კვახვირში (წულუკიძის მამულში), თუმანიშვილის, ანანოვის მამულებში, ბანოჯანში (ნიკოლაძის მამულში), წყალთა შუაში და სალორიაზე⁹². აღნიშნული ადგილები შეისწავლეს ყოველ-მხრივ: ადგილმდებარეობა, კლიმატი, ნიადაგის ქიმიური და მინერალური შემადგენლობა და სხვ. შეარჩიეს ადგილი აგრეთვე სა-



სურ. 6

ქარის საცდელ სადგურთან, სადაც შესაძლებელი იყო მეცნიერული კვლევა-ძიება მევენახეობის დარგში.


ყველა ზემო აღნიშნული ნაკვეთი შეამოწმა: ამიერკავკასიის მთავარმა მეღვინემ მასონომ, აგრონომმა სტაროსელსკიმ და კახეთის საუფლისწულო მამულის მმართველმა ბლანკმა⁹³.

1897 — 1898 წლებში ვარციხესა და შორაპანში მოაწყვეს შამპანური ჯიშის ვაზის სანერგე⁹⁴.

1897 წელს დეპარტამენტმა ქუთაისის გუბერნიისათვის საზღვარგარეთიდან შემოიტანა 200 ათასი ამერიკული ვაზის საძირე.

⁹² ЦГИАЛ, Ф. 45, д. 491, л. 1.
⁹³ იქვე, ფურც. 180.
⁹⁴ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 44, л. 158, л. 12—24.

მამულებს ქონდათ ნამყენი ვაზის სანერგეები, სადღეღობი
სოფელ ჩუმლაყში გამართული იყო ამერიკული ვაზის სათბური.
ვაზს ამყენდნენ შერჩევით. უნდა აღინიშნოს, რომ ფილოქსერის



სურ. 7

წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებები უაღრესად მნიშვნელოვანი
იყო მევენახეობისათვის, რამაც გადაწყვიტა კახეთის მევენახეობის
აღდგენა-განვითარების საქმე.

1887 წელს დაიწყო ახალი ვენახების გაშენება. 1890 წლამ-
დე სულ გაშენდა 221,2 დესეტინა ვენახი; აქედან წინანდალში
57,6 დესეტინა⁹⁵. ამავე წლიდან კახეთში ამრავლებენ ვაზის უცხო
ჯიშებს. 1893 წელს შემოიტანეს და 1896 — 1898 წლებში წინან-
დლის, ნაფარაულისა და მუკუზნის მამულებში გააშენეს ვაზის
ახალი ჯიშები — კაბერნე. თელიანში მისმა ფართობმა 26,6 დეს. მი-
აღწია. მისი წითელი ღვინო „თელიანი № 48“, თავისი მაღალი
ღირსებებით არ ჩამოუვარდებოდა ცნობილ ბორდოსა და ბურგუნ-
დიის ღვინოებს⁹⁶. გააშენეს აგრეთვე: რისლინგი, პინო, ბალბეკი,
ალიგოტე, პინობლანი, პინოფრანი, სემილიონი, სავინიონი და სხვ.

⁹⁵ საქ. ც. ს. ა. ფონდი 351, ნაწ. I, საქმე, 366. ფურც. 22 — 23.

⁹⁶ დ. ტაბიძე ვაზის ჯიშები კაბერნე, თბილისი 1951, გვ. 5.





თელიანის მეურნეობაში დამკვიდრდა რისლინგი 7,5 დს., ალმინი 2,3 დს., მალბეი 2,0 დს. სემელიონი 0,3 დს. და სავინიონი 0,1 დს.⁹⁷

ამავე დროს დამკვიდრდა ადგილობრივი ჯიშები: რქაწითელი, საფერავი მწვანე, რომლებიც ამერიკულ ვაზზე იყო დამყნობილი. აღნიშნული ჯიშები იძლეოდა შემდეგი მარკის ღვინოებს: „რქაწითელი წინანდალი № 13“, „საფერავი წინანდალი № 16“, „მწვანე წინანდალი № 14 1/4“, „რქაწითელი მუკუზანი № 30“, „საფერავი მუკუზანი № 29“, „მწვანე მუკუზანი № 11 1/4“; ამ ღვინოებმა საუკეთესო შეფასება მიიღეს და ევროპისა და რუსეთის საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს⁹⁸.

✓ 1892 წელს ჩიკაგოს საერთაშორისო გამოფენაზე კახეთის საუფლისწულო მამულების სხვადასხვა მარკის ღვინოებმა უმაღლესი შეფასება მიიღეს.

1894 წელს პეტერბურგის მეხილეობის საერთაშორისო გამოფენაზე გაგზავნილი იყო საუფლისწულო უწყების ღვინოები, რომლებმაც კარგი შეფასება დაიმსახურეს.

1900 წელს პარიზის სასოფლო სამეურნეო საერთაშორისო გამოფენაზე კახეთის საუფლისწულო მამულიდან გაგზავნეს სხვადასხვა მარკის ღვინოები: ვაზის რქა; ყურძნის მოსავლის კარტოგრამა; ტიკები, რუმბები, ქვევრები, ვარდის ზეთის ნიმუში, ვენახებისა და სარდაფებში მუშაობის ამსახველი ფოტოსურათები და დეკორატიული მცენარეთა ნიმუშები.

საგრძობლად გაიზარდა ღვინის წარმოება კახეთის საუფლისწულო მამულში 1895 — 1899 წლებში. ქვემოთ მოყვანილი მონაცემები, გვიჩვენებს ღვინის წარმოების ზრდას⁹⁹.

1895 წ.	11407	ვედრო	ღვინო
1896 წ.	43077	„	„
1897 წ.	51309	„	„
1898 წ.	100078	„	„
1899 წ.	79886	„	„

მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით დიდ გულმოდგინებას იჩენდა უფროსი მევენახე ა. თუმშალიშვილი. მის შესახებ

97 საქ. ც. ს. ა. ფონდი, 351, ანაწ. I, საქმე 386, ფურც. 22—23.
 98 დ. ცისკარიშვილი, ლენინის ორდენისა და წინანდალის საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკის ძირითადი საკითხები, თბილისი 1953, გვ. 15. დისერტაცია. დატულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
 99 ვ. დ. მოჩალოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

გოგოლ-იანოვსკი წერდა: „...საქმეს იგი ასრულებს დიდი ცოდნით და მონდომებით. თავისი არაჩვეულებრივი ენერჯითა და ყაბრათიანი გამგებლობით მიაღწია იმას, რომ მისთვის ჩაბარებული ვენახების მდგომარეობა უმჯობესდებოდა წლიდან წლამდე, საგრძნობლად გაიზარდა მოსავლიანობა“¹⁰⁰.

ქვემოთ მოგვყავს საამისო მონაცემები. 1901 წელს მოყვანილი იქნა 20243 ფუთი ყურძენი, 1902 წელს — 29032, 1903 წ. — 29865, 1904 წ. — 37189, 1905 წ. — 33617, 1906 წ. 33886, 1907 წ. — 53018, 1908 წ. — 53018, 1909 წ. — 53007, 1910 წ. — 53128¹⁰¹ ფუთი ყურძენი. ცხადია აღნიშნულ წარმატებას მარტო თუშმალიშვილს ვერ მივაწერთ.

საუფლისწულო მამულების მმართველად მხოლოდ საუკეთესო მეღვინე-სპეციალისტებს ნიშნავდნენ. ცნობილია ისიც, რომ ცარიზმის დროს საუფლისწულო მამულების მართველი არ შეიძლებოდა ქართველი ყოფილიყო. მიუხედავად ამისა ა. თუშმალიშვილი 1911 წლის დეკემბერში მთავარი სამმართველოს განკარგულებით დაინიშნა მეუკუზნის საუფლისწულო მამულის მმართველად.

რთველის წინ მეურნეობაში დიდი სამზადისი მიმდინარეობდა. წესრიგში უნდა ყოფილიყო წნეხები, პრესები, ჩანები და სხვა ინვენტარი. რთველს მაშინ იწყებდნენ, როდესაც ყურძენი კარგ სიმწიფეში იყო შესული. რთველი ძალიან დიდხანს გრძელდებოდა. ამიტომ მეურნეობის ადმინისტრაცია ჩქარობდა უდანაკარგოდ აეღოთ მოსავალი. ყურძნის კრეფაზე დიდძალ დღიურ მუშებს იყენებდნენ. მოკრეფილ ყურძენს ყრიდნენ ხის ჩანებში, რომელიც ურმებზე იყო მოთავსებული. თითოეულ ჩანში 3—4 ფუთი ყურძენი ეტეოდა. ასეთ მცირე ზომის ჩანებს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ყურძენი არ იჭყლიტებოდა. მარანში მიტანილ ყურძენს აწონის შემდეგ საწურავში ყრიდნენ. დაწურული ყურძენი მილების საშუალებით გადადიოდა პრესებში. აქ იდგა მაბელის სისტემის პრესები. თეთრი ყურძნის ჯიშს წნეხავდნენ 5 დიდ პრესში. თითოეულ მათგანში 300 ფუთამდე ჩადიოდა. დღე-ღამეში აქ 1800—2000 ფუთ ყურძენს წნეხდნენ: იშვიათად ხდებოდა პრესის დღეში ორჯერ გამოყენება. წითელი ყურძნის ჯიშები საშუალოდ დღეში 1200 ფუთამდე იწნეხებოდა. პრესიდან გამონადენი წვენი საქაჩავის საშუალებით მადულარ განყოფილებაში გადადიოდა. აქ მოთავსებული

100 თბილისის სამტრესტის საარქივო მასალები, წიგნი I, 1904, გვ. 22.

101 იქვე.

იყო 1000-ვედროიანი ჩანები, სადაც ხდებოდა ღვინის დადუღების
დუღილის დამთავრების შემდეგ ღვინოები სხვა ქურჭელში გადაპ-
ქონდათ¹⁰². ლაბორატორიაში ისინჯებოდა ყურძნის შაქრიანობა და
სიმჟავე. მონაცემები იწერებოდა, როგორც სპეციალურ ჟურნალში,
ასევე განსაკუთრებულ ცხრილში, რომელიც მიკრული ქონდა ყო-
ველ ჩანს. აქვე აღინიშნებოდა ღვინის დუღილი. დუღილის ტემპერა-
ტურა ისინჯებოდა დღეში 3-ჯერ. ჩანებზე ტემპერატურის აღნიშვნა
დუღილის ნორმალურ მიმდინარეობას ემსახურებოდა. სარდაფში
იყენებდნენ დუღილის გილებოს სისტემას, რომელიც არეგულირებ-
და ტემპერატურას, ე. ი. იყენებდნენ მაცივარს. აღრე საკმაოდ



სურ. 9

ძნელი იყო დიდი ჩანების გამოყენება. მაგრამ იმის გამო, რომ მე-
ურნეობაში ერთი-ორად გაიზარდა მოსავლიანობა თითქმის ყველა
500-ვედროიანი ჩანი გადააკეთეს 1000-ვედროიანად. წინანდლის
მამულში ეს გაკეთდა 1908-9 წლებში, რის შედეგადაც მადულარ
განყოფილებაში თავსდებოდა 10000 ვედრო ღვინო 5000-ის ნაც-
ვლად. მაგრამ ესეც არ იყო საკმარისი, რადგან 1909 წელს სრულ

¹⁰² ЦГИАЛ, Ф. 351, оп. I, л. 195, лл. 38.



1895 წელს კახეთის საუფლისწულო მამულში უწარმოებიათ შემდეგი
ღვინის კუბაკი.¹⁰³

ღვინოს დასახელება 1895 წ. 1 ნოემბრიდან	წლის ღვინო	რაოდ. ვედრებში	დამზადების წესი	ფ ა ს ი		რაოდ.
				მან.	კაპ.	
წინანდლის მწვანე	1886	118	ვერობ.	1	—	ლიტრი
წინანი. მწვანე და რქაწ.	1886	36	"	1	—	"
მუკუზნის დედოფ. ზვ. და რქაწ.	1887	39,25	"	1	—	"
ნაფარეულის რქაწითელი	1888	26,75	"	1	—	"
წინანდლის მწ. და რქაწ. ტკბ.	1889	20	"	—	30	"
წინანდლის მწვ. და რქაწით.	1889	131,75	"	—	30	"
წინანდლის რქაწითელი	1890	280	"	1	25	"
ნაფარეულის რქაწით.	1890	113	"	1	—	"
მუკუზნის რქაწითელი	1890	46,50	"	—	40	"
მუკუზნის და ურიათუბნის მწვანე ტკბილი	1890	220,25	"	—	30	"
წინანდლის რქაწითელი	1891	1027,75	"	4	—	ვედრო
წინანდლის მწვანე	1891	599,75	"	3	—	"
ნაფარეულის რქაწითელი	1891	148,75	"	2	—	"
მუკუზნის რქაწითელი	1891	2668,25	"	3	—	"
წინანდლის რქაწითელი	1892	3717	"	3	90	ბოთლი
წინანდლის რქაწითელი	1892	740	"	1	—	ვედრო
წინანდლის რიოსინგი	1892	122,25	"	1	—	ბოთლი
ნაფარეულის რქაწითელი	1892	492	"	—	—	"
ნაფარეულის რქაწითელი ტკბ.	1892	42	"	—	50	"
მუკუზნის რქაწითელი	1892	5300	"	—	60	"
მუკუზნის რქაწითელი	1892	1130	ქართ.	—	60	"
ზეგანის რქაწითელი	1892	70	ვერობ.	—	50	"
ურიათუბნის რქაწითელი	1892	150	"	—	80	"
მუკუზნის სხვადასხვა ტკბ.	1892	345	"	—	40	"
წინანდლის რქაწითელი	1893	4018	"	—	90	"
წინანდლის რქაწითელი	1893	460	ქართ.	—	90	"
წინანდლის რქაწითელი ტკბ.	1893	240	ვერობ.	—	50	"
ურიათუბნის რქაწითელი	1893	4440	"	—	80	"
ზეგანის რქაწითელი	1893	5050	"	—	65	"
მუკუზნის რქაწითელი	1893	7000	"	—	60	ბოთლი
ზეგანის ტკბილი	1893	524	"	4	—	"
მუკუზნის სხვადასხვა ტკბ.	1893	346,50	"	—	40	ვედრო
ნაფარეულის რქაწითელი	1893	1408,25	"	1	25	ბოთლი
ნაფარეულის რქაწ. ტკბილი	1899	258	"	—	70	"
წინანდლის რქაწითელი	1894	6101	"	—	70	"
მუკუზნის რქაწითელი	1894	10533	"	—	—	"
ნაფარეულის რქაწითელი	1894	2490	"	—	—	"
რქაწითელი ნაყიდი	1889	35,75	"	—	30	"

¹⁰³ ЦГИАЛ, ф. 515, оп. 45, д. 226, л. 37.



მსხმოიარე გახადა კიდევ 14,86 დესეტინა ვენახი. ასე რომ, საქართველო იყო 65—70 ათასი ვედრო ყურძნის წვენის სადულარი ჭურჭელი. ამიტომ გადაუწყვეტიათ ახალი სადულარი ჩანების დამზადება და ახალი განყოფილებების შექმნა¹⁰⁴.

წინანდლის საუფლისწულო მამულში დუღილისადმი თვალყურის დევნება და ანალიზების წარმოება დავალებული ქონდათ პრაქტიკანტებს.

სხვა საუფლისწულო მამულებიდან წინანდლის სარდავში ღვინო გადმოქონდათ დადუღებული სახით. აქ ხდებოდა ღვინის კუბაეი. ერთდროულად შესაძლებელი იყო მხოლოდ 250—260 ათასი ვედრო ღვინის კუბაეი. 1909 წელს წინანდლის სარდავში 1908 წ. მოსავლიდან დარჩენილი 163297 ვედრო ღვინო იყო კასრებში¹⁰⁵. აქვე ინახებოდა ძველი ღვინოები ბოთლებით. არ ხერხდებოდა ორი წლის მოსავლის ერთდროულად კუბაეი (იხ. ცხრ. 11).

საუფლისწულო მამულების დეპარტამენტი დიდ მუშაობას ეწეოდა ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად. 1890 წელს სამმართველომ თავად ჯორჯაძეს და საუფლისწულო მამულების მთავარ მეღვინეს დიკენსონს მისცა 1888, 1889 და 1890 წლების მოსავლის ღვინის მასალა. მათ ამ მასალიდან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თავიანთი ხერხით უნდა დაემზადებიათ სამარკო ღვინოები. ერთი მხრივ, აღნიშნული ღონისძიება იყო ცდა ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისა, მეორე მხრივ ეს იყო ქართველი და უცხოელი მეღვინე სპეციალისტების შეჯიბრი.

ჯორჯაძეს ერთ თვეში დაუმზადებია 7 სხვადასხვა ჯიშის ღვინო, თითოეულ ჯიშზე 5 ბოთლი, სულ 35 ბოთლი. დიკენსონს კი 10 ბოთლი. ყველა ეს ღვინო დაბეჭდილი გადაეგზავნა დეპარტამენტს.

სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა აღნიშნული ღვინოები და გამოიკვია, რომ ჯორჯაძის მიერ დამზადებული ღვინოები გაცილებით უკეთესი იყო ვინემ დიკენსონისა¹⁰⁶.

კომისიამ შეაფასა ჯორჯაძის მიერ დამზადებული ღვინოები:¹⁰⁷.

104 ЦГИАЛ, ф. 515, оп. 81, 1909—1914 гг. д. 943, лл. 5—6.

105 იქვე, ფურც. 8.

106 ЦГИАЛ, ф. 515, оп. 45, д. 209, л. 8, 10.

107 იქვე.

1. სოტერნი—1 ვედრო	50 მან.
2. შატო-დიემი—1 ვედრო	75 "
3. ხერესი 1 "	80 "
4. მადერი 1 "	100 "
5. პორტეინი 1 "	100 "
6. პორტუკუნი 1 "	150 "
7. თამარი 1 "	200 "

კომისიას „თამარი“ მიუჩნევია მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ღვინოდ¹⁰⁸.

აღნიშნული ღვინოების დამზადების დროს, თავადი ჯორჯაძე იყენებდა: სპირტს, ბექმეზს, შაქარს; გლიცერინს და ესენციას¹⁰⁹.

1908 წელს წინანდალში დაამზადეს 47 000 ვედრო ღვინო, ნაფათელში — 46 000, მუკუზანში — 57,000 ვედრო. სულ სამივე საუფლისწულო მამულში—150000 ვედრო ღვინო. 1910 წელს წინანდლის ღვინის მარაგში იყო 190,000 ვედრო ღვინო, კიდევ ელოდნენ 50 ათას ვედროს. ღვინის ასეთ დიდ რაოდენობას კი აღნიშნული მარანი ვერ დაიტევდა. ამიტომ მეურნეობის ადმინისტრაციის აზრით აუცილებელი იყო მარნის განტვირთვა. ამ მიზ-

ცხრილი 12

№ რიგზე	ღვინის დასახელება წელი	ღვინის ფასი მან. კაბ.	№	ღვინის დასახელება	ღვინის ფასი მან. კაბ.
1	აი-დანლი 1895	2	14	ნაფარ.	1—50
2	წინანდალი, 1890, წითელი	2	15	" 1896—1898	1—20
3	" 1891 "	2	16	თელიანი 1898 წით.	2
4	" 1892 "	1—30	17	წინანდ. 1890 თეთ.	
5	" 1898—1894 "	1—20	18	" 1892 "	1—30
6	" 1896—1898 "	1	19	" 1893—1894 "	1—20
7	მუკუზანი 1891 წითელი	2	20	" 1894—1898 "	1
8	" 1892 "	1—30	21	მუკუზანი 1893—94 "	1—20
9	" 1893—1894 "	1—20	22	ნაფარ. 1892 "	1—30
10	ნაფარ. 1891 "	1—75	23	" 1893—94 "	1—20
11	მუკუზანი 1896—1898 "	1		" 1896—98 "	1
12	ნაფარ. 1893—1894 "	1—20			
13	" 1892 "	1—30			

¹⁰⁸ «Приготовленные Князем Джордждзе вина, все без исключения, обещают после нескольких лет (не менее пяти) выдержки, сделаться мировыми винами, вне конкуренции, т. е. выше какого бы то ни было вина с целого земного шара». См. ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 45, д. 209, л. 8, 10.

¹⁰⁹ იქვე.



ნით ყოველ წლიურად ხდებოდა წინანდალიდან ღვინოების ღირებულების საუფლისწულო მარანში გადატანა. 1911 წელს წინანდალიდან თბილისის სარდაფში გაუგზავნიათ 48 ათასი ვედრო ღვინო: თეთრი 20 ათასი ვედრო და წითელი 28 ათასი¹¹⁰.

ღვინის ფასს ადგენდა დეგუსტატორთა კომისია, რომელმაც 1907 წელს ძველ ღვინოებს მისცა შესაფერი ფასი. ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა მე-12 ცხრილი¹¹¹.

1914 წელს წინანდლის საუფლისწულო მამულში შეიკრიბა სადეგუსტაციო კომისია: გოგოლ-იანოვსკი (თავმჯდომარე), ე. გეინე — მმართველი და ა. თუშმალიშვილი — მუკუხნის საუფლისწულო მამულის მმართველი. კომისიას სუფრის ღვინოებთან ერთად შეუმოწმებია მაგარი სადესერტო ღვინოები. კომისიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე შეადგინეს პრეისკურანტი. აღნიშნული პრეისკურანტით ხელმძღვანელობდა ყველა სავაჭრო.

მე-13 ცხრილში მოცემული ღვინოს ერთი ნაწილი შეფასებულია ყირიმის საუფლისწულო მამულში.

ცხრილი 13

№ რიგზე	ღვინის დასახელება	ფასი მან., კაპ.	№ რიგზე	ღვინის დასახელება	ფასი მან., კაპ.
1	ლივადია (კაბერნე)	1—30	20	კახური სუფრის	—40
2	მასანდრა (საფერავი)	1—20	21	მუხრანი	—70
3	ორიანდა (კაბერნე)	1—20	22	ლივადია პორტ. ტიპის	2
4	აი-დანლი (ბორ. ტიპ.)	1—15	23	მასანდრა	1—75
5	აბრაუ (კაბერნე)	—75	24	ლივადია (მუსკ.) სადესერტ.	2—50
6	წინანდალი	—85	25	მასანდრა (მუსკ.)	2
7	მუკუხანი	—70	26	აი-დანლი (ბორ. ტიპ.)	2
8	ნაფარეული	—75	27	აბრაუ ღიურსო—შამპ.	2—50
9	თელიანი (კაბერნე)	1	28	ბორდესებური	—90
10	კახური სუფრის	—50	29	ლაფიტისებური	1—10
11	მუხრანი	—60	30	სუფრის წითელი	—70
12	ლივადია (სემულონი) თეთ.	1—15	31	" თეთრი	—65
13	ორიანდა (სემილინი) თეთრი	1—10	32	" თეთრი	—55
14	მასანდრა (რისლინგი)	1—10	33	" წითელი	—60
15	აი-დანლი (ალიგოტე)	—80	34	მაგარი (მად. ტიპ.)	1—25
16	აბრაუ (რისლინგი)	—50	35	" (თეთ. პორტ. ტიპ.)	1—25
17	წინანდალი	—75	36	" (წით. პორტ. ტიპ.)	1—50
18	მუკუხანი	—65	37	მუსკატი (სადეს.)	1—25
19	ნაფარეული	—65			
20	კახური სუფრის	—40			

110 საქ. ც. ს. ა. ფონდი 357, ანაწ. I, საქმე 21, ფურც. 49.

111 საქ. ც. ს. ფონდი, ანაწ. I, საქმე 8, ფურც. 192.



მოგვეყავს სადეგუსტაციო კომისიის მიერ შედგენილი პრეის-კორანტი¹¹².

სადეგუსტაციო კომისიამ შეაფასა აგრეთვე 1912 — 1913 წლის მოსავლის ღვინოები:

1912 წელი		1913 წელი	
1. წინანდალი რქაწითელი, 7320 ვედრო	1 ვედრო 2 მან, 80 კაბ.	1. ალიგოტე 2000 ვედრო	— 2 მან. 70 კაბ.
2. წინანდალი რისლინგი 1300	ვედრო 3 მან.	2. რისლინგი 1300 ვედრო	2 მან. 60 კაბ.
3. ნაფარეული თეთრი 2470	ვედრო 2—60	3. რქაწით. 21020 ვედრო	2 მან. 35 კაბ.
4. მუკუზანი და ურიათუბანი თეთრი 8 00	ვედრო 3 მან.	4. კაბერნე 5020 ვედრო	4 მან.
5. წინანდალი კაბერნე 6400	ვედრო 4—40	5. საფერავი 1146 ვედ.	2—50 კაბ.
6. წინანდალი საფერავი 4520	ვედრო 2—80		

წინანდლის საუფლისწულო მამულიდან ღვინო ყოველ წელს იგზავნებოდა კიევში. აქ ღვინოს იბარებდა რუსული საზოგადოების „პარახოდსტვა და ტორგოვლის“ წარმომადგენელი ტაკოპოლო, რომელიც იხდიდა ბაჟს¹¹³.

საუფლისწულო მამულების ღვინო იყიდებოდა შემდეგ სავაჭრობებში:

1. პეტერბურგში — მიხაილოვის ქ. № 40 და ნევის ქ. № 27.
2. ვარშავაში — კარლოვის ქ. № 29.
3. ხარკოვში — ნიკოლაევის პროსპექტზე.
4. ოდესაში — რიპლევესკის ქ. 15 და ფრანცუსკი ბულვარზე.
5. იალტაში — სანაპიროს ქუჩაზე. სპენდიაროვის სახლში.
6. კიევში — ნიკოლაევის ქ. № 3.
7. ეკატერინოსლავში — პოლიცეისკის ქუჩაზე მაიზკოს სახლში.
8. ვოლოგდაში — ოლქის სამმართველოსთან.
9. სარატოვში — ტროიცკაიას მოედანზე¹¹⁴.

საუფლისწულო მამულების სამმართველოს გამონაგარიშებუ-ლი ჰქონდა, რა იხარჯებოდა ერთი ვედრო ღვინის მოყვანაზე. 1886 წელს ერთი ვედრო ღვინის მოყვანაზე დაიხარჯა 2 მან. და 48 კაბ; ადგილზე კი ვედრო ღვინო 4,5 მანეთად იყიდებოდა. პეტერბურგში

112 საქ. ც. ს. ა. ფონდი 357, ანაწ. 1, საქმე 8, ფურც. 181.
 113 საქ. ც. ს. ა. ფონდი 357, ანაწ. 1, საქმე 21, ფურც. 49.
 114 იქვე, საქმე 8, ფურც. 181.



ვედრო ღვინო 6,7 და 8 მან. 48 კაბ. ღირდა, 1 ლიტრი კი 37,46 კაპიკი, 75,95 კაპიკი. აქ შედის ღვინის ჩატანაზე გაწეული ხარჯებიც¹¹⁵.

1892 წელს კახეთის საუფლისწულო მამულიდან პეტერბურგში კომპანია „ნადეჟდას“ გაუგზავნეს 252 კასრი, მასში მოთავსებული ყო 1886 წ. მოსავლის 5225 ვედრო ღვინო. ღვინო დაზღვეული იყო. ფუთი 6 მან. და 89 კაბ.¹¹⁶.

1890 წელს მოსკოვში ვორონცოვის ფირმის სავაჭროში ჩაიტანეს 11450 ვედრო ღვინო. აქედან 6838 ვედრო საუფლისწულო მამულის მოსავლის და 4611 ვედრო კერძო მფლობელთაგან შექენილი¹¹⁷.

1893 წელს კახეთის საუფლისწულო მამულების სარდაფებში გასაყიდად მზად იყო 173 905 75 ვედრო ღვინო. მათ რიცხვში კახური 12270 ვედრო და შექენილი 158 754 40 ვედრო¹¹⁸. საშუალოდ წლიურად საღებოდა 50 — 80 ათასი ვედრო ღვინო. როგორც ირკვევა ღვინოს მთლიანად ვერ ასაღებდნენ, ამიტომ 1893 წელს ჩამოათასეს შექენილი და საკუთარი ღვინოები 1) საკუთარი ბაღების წითელი ღვინოები 1 ვედრო 5,02 კაბ., 2) წითელი ღვინოები შექენილი 1 ვედრო 1,0 კაბ., 3) საკუთარი ბაღების თეთრი ღვინოები 1 ვედრო 5,64 კაბ. საერთო ჯამში ერთი ვედრო ღვინო ჩამოათასეს 75 კაპიკით¹¹⁹.

საუფლისწულო მამული სხვადასხვა ფირმასა და დაწესებულებას ღვინოს აძლევდა განვადებით. განვადებით აძლევდნენ აგრეთვე ღვინოს სამხედრო ნაწილებს (4 თვის ვადით 10% ფასდაკლებით¹²⁰).

1894 წელს რამდენიმე ათასი ვედრო ღვინო მიჰყიდეს დ. სარაჯიშვილს, შედარებით შეღავათიან ფასებში.

ხშირად საუფლისწულო მამული ჰყიდდა ღვინის ერთ ნაწილს ადგილობრივ ვაჭრებზე, კერძო პირებზე. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ კახეთის საუფლისწულო მამულს ღვინოს შესანახად საკმარისი სარდაფები არ ჰქონდა. ღვინის დასაძველებლად კი საჭირო იყო რამდენიმე წელი. წინანადლის საუფლისწულო მა-

115 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 44, л. 316, л. 7.

116 იქვე, ფურც. 64.

117 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 44, л. 134, л. 31.

118 იქვე, ფურც. 305.

119 იქვე.

120 იქვე, ფურც. 324.



მულის მმართველი წერს: „როდესაც ღვინო ადგილზე იყიდებოდა მოგებაზე ლაპარაკი ზედმეტია, პირიქით, უნდა მისცე შეღავათი. თითქმის შეუძლებელია ახალგაზრდა ღვინის უშეღავათოდ გასაღება. ფასები მასზე საკმაოდ დაბალია. ამიტომ საჭიროა ღვინის გატანა იქ სადაც მასზე დიდი მოთხოვნაა. სწორედ იქ უნდა მოეწყოს სავაჭროები მკაცრ კომერციულ საწყისებზე“¹²¹. ღვინის ადგილზე გაყიდვა ხდებოდა საუფლისწულო მამულების სამმართველოსთან შეთანხმებით.

გარდა ამისა, საუფლისწულო მამულების დეპარტამენტი კერძო მემამულეებისა და გლეხობისაგან იძენდა დიდძალ ღვინოს და შემდეგ ჰყიდდა თავის სავაჭროებში. მართალია, ჩვენ არ მოგვეპოვება მთლიანი ცნობები, თუ როგორ იძენდნენ ღვინოს და შემდეგ რა ფასად ჰყიდდნენ, მაგრამ ერთი ცხადია, რომ საუფლისწულო მამული დიდ მოგებას და სარგებლობას ნახულობდა. იგი ბევრად უფრო ძვირად ყიდდა ღვინოს, ვინემ თავადაზნაურობა და გლეხობა¹²².

მე-15 ცხრილი¹²³ გვიჩვენებს 1886—1890 წლებში შექმნილი ღვინის რაოდენობას. შექმნილ ღვინოში საუფლისწულო მამულს 21 457 მან. და 92 კაპ. გადაუხდია.

ცხრილი 15

ღვინის დასახელება	წელი	ღვინის რაოდენობა ვედროებში
რჭაწითელი	1886	3348
საფერავი	1886	7573
რჭაწითელი	1887	3988
საფერავი	1887	7102
რჭაწითელი	1888	1310
საფერავი	1888	1209
წითელი ღვინო	1890	1257
რჭაწითელი	1889	1957
საფერავი	1889	1477

¹²¹ ЦГИАЛ, Ф. 515, 1909—1914, д. 943, лл. 1—2.

¹²² ...«Благодаря интенсивному хозяйству, урожайность виноградников значительно большая, чем у помещиков, но зато выделка вина необходимо дорого стоящие винодельские, дорого стоящая деревянная посуда, дорогой инвентарь, затем бесконечные переливки, охлаждение и прочие работы, которых совершенно не знают помещики. Вина помещиков продаются в городах по 30—40 коп. за бутылку, тогда как Удельные виноторговцы продают вина по значительно более высокой цене» См. ЦГИАЛ, Ф. 351, д. 257, л. 56.

¹²³ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 45, д. 316, л. 7, 65.



საუფლისწულო მამული ახდენდა შეძენილი ღვინის კლასიკური კაციას და ნუმერაციას. ამავე დროს აწარმოებდა შეძენილი და საკუთარი მამულის ღვინის კუპაჟს.

1897 წელს დეპარტამენტმა ვორონცოვ-დაშკოვისაგან, რომელსაც მამული ჰქონდა ყირიმსა და დაღესტანში, შეიძინა 8800 ვედრო ღვინო.

სპეციალურმა კომისიამ შეაფასა და დაახარისხა შეძენილი ღვინო. წარმოდგენილი იყო შემდეგი მარკის ღვინო¹²⁴.

ცხრილი 16

ღვინის ნომერი	ღვინის დასახელება	წლის მოსავალი
№ 1	მასანდრის საფერავი	1894
№ 2	კახური წითელი	1895
№ 3	კახური წითელი	1894
№ 4	ბორდო	1894
№ 5	ბორდო	1893
№ 6	ბორდო აიდანლი	1891
№ 7	დერბენდული	1894
№ 8	დერბენდული	1895
№ 9	ღარიტი	1895
№ 10	მუსკატი	1894
№ 11	აბრაუ წითელი	1894
№ 12	მუსკატი	1895
№ 13	რისლინგი თეთრი	1895
№ 2	ტრამიპერი	1894
№ 3	აიდანლი რისლინგი თეთრი	1894
№ 4	რისლინგი	1894
№ 5	აიდანელი თეთრი	1894
№ 6	კახური	1894
№ 7	კახური	1895
№ 8	დერბენდული	1894
№ 9	მუსკატი	1894
№ 10	აბრაუ ბურგუნდიული	1894
№ 11	მუსკატი	1895
№ 12	თეთრი	1892

ვორონცოვის ღვინო ვედრო შეფასდა 6 მან. და 35 კაპ. მოსკოვში ჩატანით. ხარჯების გარდა ვედრო ღვინოზე მოდიოდა 5 მან. და 45 კაპ. სულ ვორონცოვს გადაუხადეს 55,963 მან. და 85 კაპ.¹²⁵.

¹²⁴ ЦГИАЛ, ф. 515, оп. 45, д. 60, л. 8, 7, 8, 11, 12.

¹²⁵ იქვე.



1897 წ. ღვინოს შესაძენად გამოყოფილი იყო 100000 მანეთი ღვინოს გარდა დეპარტამენტი გლეხობისაგან იძენდა ჭაჭას, ლექს, არაყს და ყურძენს.

კახეთის საუფლისწულო მამულში გროვდებოდა დიდძალი ჭაჭა. ჭაჭას ინახავდნენ ბეტონის აუზებში. აუზები მოთავსებული იყო არყისსახდელი ქარხნის ახლოს. 900-იან წლებში ჭაჭის უმეტეს ნაწილს ყიდდნენ გლეხობაზე, ფუტს 30—40 კაპიკად. გამონახადი ჭაჭა ისევ უნდა დაებრუნებიათ მეურნეობაში¹²⁷. გამონახად ჭაჭას მეურნეობა იყენებდა სასუქად (ნიადაგის გასაპატივებლად). წინანდალსა და ნაფარეულში სისტემატურად მუშაობდა არყისსახდელი ქარხნები. მუკუზნის არყისსახდელი ქარხნის შესახებ ჩვენ რაიმე ცნობა ხელთ არა გვაქვს, მიუხედავად ამისა ცხადია, რომ მუკუზნშიაც იყო ასეთი ქარხანა. არყისა და სპირტის გამოხდის პერიოდში ქარხნები უზრუნველყოფილი იყო ცივი წყლით, რომელსაც აციებდნენ სპეციალური მაცივრით¹²⁸. მეურნეობა ყოველ გამოხდელ სპირტზე და არაყზე იხდიდა გარკვეულ თანხას, რომელიც სააქციზო საზოგადოების მიერ იყო დაწესებული. მაგრამ 1909 წლიდან აქციზმა საგრძნობლად გაზარდა გადასახადი არყისა და სპირტის გამოხდაზე. ამიტომ ჭაჭა წინანდებურად აღარ იყიდებოდა საფლის გლეხობაზე. საუფლისწულო მამულის ხელმძღვანელობა იძულებული იყო თითონ ეწარმოებინა გამოხდა. მითუმეტეს, რომ ამ ხანებში წინანდალში გამოუცდიათ სპირტის გამოხდელი აპარატები. აღნიშნულმა აპარატებმა დიდი სარგებლობა მისცა მეურნეობას. იგი ფართოდ დაინერგა წარმოებაში. 1907 წელს მარტო წინანდლის საუფლისწულო მამულში გამოხადეს 116128⁰ სპირტი. აღნიშნული სპირტის გამოხდას 133 დღე დასჭირვებია. 1908 წელს კი 35 დღეში 77207⁰ სპირტი გამოუხდიათ¹²⁹. როგორც ირკვევა დღითი დღე იზრდებოდა მოთხოვნილება სპირტზე, ასევე იზრდებოდა მისი წარმოება ბაზრისათვის. სპირტის გამოხდაში დახელოვნებულა და დიდი წარმატება ჰქონია მეღვინე ბააკაშვილს, რომელიც დაუჯილდოვებიათ კიდევ მიღწეული წარმატებისათვის. 1910 წელს წინანდალში ბააკაშვილის ხელმძღვანელობით გამოხადეს დიდძალი სპირტი. სპირტის ერთი ნაწილი გაიგზავნა

126 საქ. ც. ს. ა. ფონდი 357, ანაწ. I, საქმე 12, ფურც. 6.
 127 იქვე, საქმე 56, ფურც. 231.
 128 ЦГИА гр. ССР, Ф. 351, оп. I, д. 195, лл. 35.
 129 საქ. ც. ს. ა. ფონდი 357, ანაწ. I, საქმე 12, ფურც. 6.



მასანდრაში, ნაწილი შეისყიდა სარაჯიშვილმა თავისი ქარხნისთვის. ამ წელს მეურნეობას სპირტისაგან შემოსვლია 4300 მანეთი¹³⁰. სამწუხაროდ ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ცნობებს თუ რა რაოდენობის სპირტი შეიძინა სარაჯიშვილმა, ან რამდენი გაიგზავნა მასანდრაში.

კახეთის საუფლისწულო მამულებში სამეშაოებს საკუთარი გამწევი ძალით ასრულებდნენ. 900-იან წლებში მეურნეობას 31 ცხენიდან 19 გამოყოფილი ჰყავდა ვენახებში სამეშაოდ. დანარჩენს კი ფოსტის, ექიმისა და მამულის მოსამსახურეთა მიმოსვლისათვის იყენებდნენ. მეურნეობას ჰყავდა აგრეთვე 12 უღელი ხარკამეჩი¹³¹.

1909 წელს წინანდლის მამულში ყურძნის გადაზიდვაზე მუშაობდა 6 საბარგული და ურიკა. სამმართველოს გამოუყვია თანხა 30 ათასი ფუთი ყურძნის გადმოსაზიდად. 20 ათასი ფუთი კი მეურნეობას თავისი ძალით უნდა გადმოეტანა. აღნიშნულ წელს თელიანის მოსავლის ერთი მესამედი და ზემო ბაღების მთელი მოსავალი გადმოიტანეს საკუთარი საბარგულებით, რამაც დიდი ეკონომია მისცა მეურნეობას. 1 ფუთი ყურძნის გადმოტანა, ნაცვლად გათვალისწინებული 1 მან. და 40 კაპიკისა, 1 მანეთი დაუჯდათ.

ყოველ წელს 80 ათასი ფუთიდან საკუთარი გამწევი ძალით შეჰქონდათ ვენახებში 40 ათასი ფუთი სასუქი. ვენახებში შეჰქონდათ ჭიგო და სამკურნალო საშუალებანი. ჭაჭა სარდაფებიდან გადაჰქონდათ აუზებში, შემდეგ გამომზდელ ქარხნებში. რიგ საშენ მასალას, რომელიც კისისხევის მშენებლობაზე იხარჯებოდა, ეზიდებოდნენ საკუთარი გამწევი ძალით¹³². ამავე დროს საუფლისწულო მამულების სამმართველოს ღვინო გადაჰქონდა კერძო პირთა საშუალებით. 1915 წელს წინანდლის მამულის მმართველმა ხელშეკრულება დაუდო კონდოლელ ა. წუწუნაშვილს და ზ. ჭარბაძეს. მათ წინანდლიდან თბილისის საუფლისწულო მამულის სარდაფში უნდა ჩაეტანათ 2 ათასი ვედრო ღვინო. ყოველი ფუთი ღვინის გადატანაზე იღებდნენ 40 კაპ. ღვინოს გადატანა 15 ივნი-

¹³⁰ საქ. ც. ს. ა. ფონდი 357, ანაწ. I, საქმე 50, ფურც. 7.

¹³¹ იქვე. ფურც. 7.

¹³² ЦГИАЛ, Ф. 351, оп. I, л. 195, л. II.



სამდე უნდა დაემთავრებინათ. ისინი პასუხისმგებელი იყვნენ ღვინის ხარისხზე და ნდობისათვის სალაროში ქონდათ შეტანილი განსაზღვრული თანხა. სამმართველო ახდენდა ღვინის ლაბორატორიულ შემოწმებას როგორც გადატანამდე, ასევე ადგილზე ჩატანის შემდეგ. ღვინოს ეზიდებოდნენ საბარგულებით და ურმებით¹³³.

ქახეთის საუფლისწულო მამულებიდან ღვინის ერთი ნაწილი სავაჭროდ გადაქონდათ საკუთარი საშუალებებით, ხოლო დიდი ნაწილის გადატანა ხდებოდა კერძო პირებთან ხელშეკრულების საფუძველზე. მეურნეობაში რიგ სამუშაოებს ასრულებდნენ საკუთარი გამწევი ძალით.

ს კ ო ლ ა

1897 წელს საუფლისწულო მამულმა წინანდალში გახსნა სკოლა სამი განყოფილებით¹³⁴. სწავლა 3 წელიწადს გრძელდებოდა. სკოლაში ღებულობდნენ მხოლოდ საუფლისწულო მამულში მუდმივად მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა შვილებს. ასწავლიდნენ: რუსულ წერა-კითხვას, არითმეტიკას, კანონმდებლობას, ღვთისმეტყველებას, ხელსაქმეს, მევენახეობას, მეღვინეობას, მებაღეობას. სკოლაში სწავლობდა 30 მოსწავლე.

ყოველწლიურად სკოლა ღებულობდა და უშვებდა 8 — 12 მოსწავლეს. სკოლაში ასწავლიდნენ: ლომიძე, იმნაიშვილი და სხვები. პირველ ხანებში სკოლას არ ქონდა სწავლების პროგრამა და წესდება, იგი არ ექვემდებარებოდა განათლების სამინისტროს. ამდენად არ ხდებოდა სკოლის შემოწმება. გაკვეთილებს ატარებდნენ აქ მომუშავე მასწავლებელთა შეხედულებისამებრ და არა პროგრამის მიხედვით.

1903 წ. აღნიშნული სკოლა შეიყვანეს განათლების სამინისტროს სისტემაში, რის შემდეგაც შედარებით უკეთესად მიმდინარეობდა სწავლების საქმე. ამ დროიდან მოყოლებული სკოლა ხელმძღვანელობდა სახალხო განათლების სამინისტროში შემავალი სკოლების პროგრამით.

წინანდლის სკოლაში ერთი მასწავლებელი ხელმძღვანელობდა ორ განყოფილებას, იგი დღეში 4—5 საათს მუშაობდა. აღნიშნულ

¹³³ საქ. ც. ს. ა. ფონდი 357, ანწ. I, საქმე 56, ფურც. 159.

¹³⁴ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, д. 1050, л. 4—5.

დროში მასწავლებელი ვერ ასწრებდა გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოს ჩატარებას, პროგრამა მეტად ვრცელი იყო. ხშირად ერთ კლასში სხვადასხვა განყოფილების 40-მდე მოსწავლე იყო. სკოლაში სწავლობდნენ: ქართველები, სომხები, რუსები და სხვ. ქართველი და სომეხი მუშის შვილებმა რუსული ენა სრულებით არ იცოდნენ. ამიტომ ხშირად მასწავლებლები მათთან 6 საათს მუშაობდნენ.



სურ. 10

სკოლაში სწავლა 9 საათზე იწყებოდა და 4 საათამდე გრძელდებოდა, რადგან აქვე ხდებოდა რვეულების გასწორება. მოსწავლეები კი შემდეგი დღის გაკვეთილებს ამზადებდნენ. დღეში ისინი



9 — 10 საათს მუშაობდნენ, რაც ცუდად მოქმედებდა როგორც მოსწავლეებზე, ასევე მასწავლებლებზე¹³⁵.

მასწავლებელს ავადმყოფობის დროს — წერს წინანდლის სკოლის მასწავლებელი — უფლება არ აქვს მიატოვოს სკოლა მანამდე სანამ არ წაიქცევა, რადგან არ არის შემცველი მასწავლებელი¹³⁶.

აღნიშნული სასწავლებელი სრულიად ვერ აკმაყოფილებდა მეურნეობის მოთხოვნებს. სასკოლო ასაკის ბავშვების დიდი ნაწილი სკოლის გარეთ იყო დარჩენილი.

მასწავლებელი ს. ლომიძე დაქინებით მოითხოვდა სკოლის გაფართოებას. საუფლისწულო მამულების მთავარმა სამმართველომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა.

სკოლაში შემსვლელთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. 1905 წ. აქ შიგძლოთ მიიღოთ მხოლოდ 10 მოსწავლე მაშინ, როდესაც მეურნეობაში 200-მდე ბავშვი იყო. ამიტომ მამულის მმართველი კაკვასიის საუფლისწულო მამულების სამმართველოს ინსპექტორს ატყობინებდა, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა ახალი შენობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ესწავლა 70-მდე ბავშვს, რომ წინანდლიდან 4 — 5 კილომეტრზე მცხოვრებ გლეხობასაც აქ მოეყვანათ თავიანთი შვილები.

1905 წელს საუფლისწულო მამულების სამმართველომ წინანდალში სკოლის ასაგებად შეიძინა მიწის ნაკვეთი.

აღნიშნულ სკოლაში არ ასწავლიდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას. მამულში მომუშავე მუშეები დაქინებით მოითხოვდნენ მათი შვილებისათვის ესწავლებიათ ქართული ენაც¹³⁷.

135 «Главное Управление Уделов предписанием от 14—сего года июля разрешило расширить существующую в Цинандальском Удельном имении школу в одноклассную в четырея отделениями и пригласить с 1 Сентября сего года вторую учительницу с содержанием по сорока р. в месяцу». См. საქ. г. ს. ა. ფონდი 357, ანაწ. I, საქმე 56, ფურც. 194.

136 ЦГИАЛ. Ф. 515, оп. 81, д. 1227, л. 5.

137 «Рабочие давно уже просили об отведении хотя бы 1—2 часов в неделю для изучения — родного — грузинского — языка — но это их вполне понятное желание, не встретило сочувствия в Управляющем Кахетинск. Удельн. именов. и было отклонено. Нынешней весной рабочие опять повторили свою настоятельную просьбу, и ввиду согласия учительницы на эти добавочния занятия, я счел бы возможным ввести в число предметов обучения и грузинский язык, и не столько даже из уважить желания про-

1910 წელს სკოლაში სწავლობდა 29 მოსწავლე ვაჟი და ქალი. ამავე წელს 1 ივნისს მოეწყო გამოცდები, მას ესწრებოდა ფონ-რაბენი. მოსწავლეები, რომლებსაც ავადმყოფობის გამო გაცდენილი ჰქონდათ გაკვეთილები და მომზადებული არ იყვნენ გამოცდებისათვის, არ დაუშვიათ გამოცდაზე. როგორც ირკვევა, გამოცდებს კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ფონ-რაბენზე. მისი გადმოცემით, რუსულ ენაში დასმულ შეკითხვებზე ბავშვები კარგად პასუხობდნენ, ასევე არითმეტიკაშიც. მათ თავისუფლად შესძლებიათ რუსული წერა-კითხვა და ამოცანების ამოხსნა.

ინსპექტორ ფონ-რაბენის აზრით, მოსწავლეთა ასეთ კარგ მომზადებაში დიდი ღვაწლი მიუძღოდა მასწავლებელ ს. ლომიძეს, რომელმაც ინსპექტორის მადლობაც კი დაიმსახურა.

აქ როდი იყო საქმე მუკუზნის საუფლისწულო მამულში. აქ მუშებისათვის ყველაზე მტკიცენულ საკითხს სკოლის საკითხი წარმოადგენდა. მართალია, სამმართველომ 1903 წელს გახსნა საეკლესიო სასწავლებელი, მაგრამ იგი სრულიად შეუფერებელი იყო აქ მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა შვილებისათვის. მუშებს ჰყავდათ სულ სასკოლო ასაკის 48 ბავშვი 8-დან 12 წლამდე¹³⁸.

1910 წელს მუკუზნის საუფლისწულო მამულში გამოუყვიათ სასკოლო შენობა. გათვალისწინებული იყო სკოლაში ესწავლებიანთ:

сьбу рабочих как видах улучшения постановки дела и получения лучших результатов.

В самом деле, в школу поступают дети, никогда не слыхавшие русской речи... Если бы дети сначала были грамотны на своем родном языке, то восприятие элементов грамоты нужного языка на много бы упростилось. Научить же их грузинской грамоте гораздо проще и легче, чем русской. — Основываясь на таких соображениях мне казалось бы возможным, достичь гораздо лучших результатов при обучении детей сначала грамоте на родном языке, потом на русском или в крайнем случае при параллельном изучении обоих грамот....

И если я ставлю такая задача нашей школе, так это не только из-за отвлеченной идей, а в силу чисто экономических соображений. Большая часть из этих детей, обучавшихся в нашей школе, будет работать в именин и чем они будут развитие и чем лучше усвоят грамотность, тем они будут лучшими рабочими, тем производительнее будет их работа. Следовательно, в интересах нашего дела — не суживать задачу нашей школы — а по возможности и расширить» იქვე. ЦГИАЛ, ф. 515, оп 81, д. 251, л. 67 об. წერს წინანდლის მამულის მმართველი ფრანგი ეოფრიო.

¹³⁸ ЦГИА Гр. ССР, ф. 351, д. 224, л. 61.



ლვისმეტყველება, არითმეტიკა, ისტორია, მევენახეობა, მეღვინეობა, მებაღეობა¹³⁹.

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ნაფარეულის საუფლისწულო მამულშიც გაუხსნიათ სკოლა. ერთგან ვკითხულობთ: „მასწავლებელი ქალი ფილიპოვიჩი ძალიან ყურადღებით და კეთილსინდისიერად ეკიდება თავის საქმეს. მისი მონდომება და ღვაწლი განსაკუთრებით დაეტყო ქართველი მუშის ბავშვებს, რომლებმაც სკოლაში შესვლისას არ იცოდნენ რუსული ენა. მოკლე ხანში ბავშვებს შეასწავლეს რუსული ანბანი“¹⁴⁰.

ამრიგად, სკოლაში დიდი ყურადღება ექცეოდა რუსული ენისა და არითმეტიკის სწავლას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სკოლის მიზანი იყო საუფლისწულო მამულისათვის საჭირო კადრების მომზადება.

სკოლაში არ ასწავლიდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას. ეს გამოწვეული იყო ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკით. მოსწავლეებს ახდევინებდნენ სწავლის ფულს, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მუშებში. გაფიცვების დროს მუშები სწავლის ფულის გაუქმებას მოითხოვდნენ. სკოლაში არ იღებდნენ სხვა სოფლებიდან მოსულ გლეხის შვილებს. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სკოლებს მაინც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, სკოლაში ბავშვები სწავლობდნენ წერა-კითხვას, არითმეტიკას, ვაზის მყნობას, მოვლა-გაშენებას, მებაღეობას, მემინდვრეობას და სხვ., რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ქ ს ე ნ ო ნ ი

საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა თავიდან მიაქცია ყურადღება სამედიცინო მომსახურეობის საკითხებს¹⁴¹. მაგრამ რუსე-

139 ЦГИА гр. ССР, ф. 351, д. 224, л. 61.

140 ЦГИАЛ, ф. 515, оп. 81, д. 1223, л. 39.

141 «С 1820 года Департамент уделов, рядом последовательных мер, организует в удельных имениях систему подания медицинской помощи Населению, а также борьбы с эпидемизма.

Прежде всего было обращено внимание на необходимость распространения оспопрививания. Параллельно с подготовкою фельдшеров, шло приготовление и персонала сельских ветеринаров.

Приблизительно около того же времени, когда появились в Уделах свои медики, т. е. с начала тридцатых годов, начинают возникать Удельные аптеки и больницы... Положено было иметь аптеку при каждой кан-



თის განაპირა რაიონებში ეს საკითხი ძალზე გვიან მოგვარდა. 1898 წელს კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორის მოვალეობის აღმასრულებელმა კურსკიმ ოფიციალურად აცნობა წინანდლის საუფლისწულო მამულის მმართველს იმის შესახებ, თუ რა პირობებში უნდა ეწარმოებიათ ავადმყოფების მიღება-მომსახურება. ეს იყო ერთგვარი წესდება, რის საფუძველზედაც წინანდალში უნდა ყოფილიყო ერთი ფერშალი, რომელსაც ევალებოდა მოეხსენებია მამულის მმართველისათვის ექიმის აუცილებლობა, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ ამის შემდეგ გამოიძახებდა ექიმს.

ავადმყოფისათვის წამალს ფერშალი ამზადებდა. თუ კი იგი ამას ვერ შეძლებდა, მაშინ შეეკვეთას თელავის აფთიაქს აძლევდნენ. წამალი მამულის ხარჯზე მზადდებოდა¹⁴².

პირველად წინანდლის საუფლისწულო მამულში, 1906 წ., ააშენეს ქსენონი, რომელიც 6 საწოლისაგან შედგებოდა. მთავარი მკურნალი ექიმი იყო მედიცინის დოქტორი ე. ანტენი, რომელიც კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა გლეხობაში. მასთან მუშაობდა გამოცდილი ფერშალი ნოე ჯიბლაძე. იგი დიდ დახმარებას უწევდა მეურნეობის თანამშრომლებს. ქსენონში მოთავსებული იყო მედიკამენტებით აღჭურვილი აფთიაქი. ნოე ჯიბლაძე თვითონ ამზადებდა წამლებს ავადმყოფისათვის. ეს დიდი შეღავათი იყო სამედიცინო პერსონალის სიმცირის პირობებში.

მუკუხანში, ზეგანსა და ნაფარეულში არ იყო ცალკე სამედიცინო პუნქტები. მათ ემსახურებოდა წინანდლის ექიმი და აფთიაქი, აღნიშნული მეურნეობები 20 კილომეტრით იყო დაშორებული წინანდალს¹⁴³.

„აფთიაქიდან, — ვკითხულობთ ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში, — მამულის მუშებზე უფასოდ იცემოდა წამლები. ავადმყოფებს მკურნალობდნენ სრულიად გამოჯანმრთელებამდე... არ ყო-

торе, причём там, где была больница, аптека присоединялась к ней. Заведывал такую аптекою под надзором врача, один из фельдшеров, специально для того назначенный, который был обязан отпускать бесплатно, по предписаниям врача, лекарства удельным крестьянам. Все лекарственные снадобья заготовлялись в с. — Петербурге». См. «История Уделов 1797—1897», том II 1901, стр. 353, 356, 383, 384.

¹⁴² თელავის რაიონის სახ. არქივი 1895—1898, საქმე 4. გვ. 10.

¹⁴³ იქვე.

ფილა შემთხვევა, რომ ავადმყოფობისათვის გაენთავისუფლებინათ მამულის მუშა. ხშირ შემთხვევაში მუშებს თავისთვის, ან თავისი ოჯახის წევრებისათვის აძლევდნენ ფულად დახმარებას სამკურნალოდ, ან საოპერაციოდ¹⁴⁴. ჩვენ მივაკვლიეთ სხვა დოკუმენტებსაც, რომლებიც საფუძველს გვაძლევს ექვი შევიტანოთ ზემო-მოყვანილის სისწორეში. კერძოდ სოლომონ წყალობაძის თხოვნა, რომელიც წერს: „სამი კვირის წინათ ცხენიანი ურმის თვალი დამიგჯა და ხელი მომტეხა. მკურნალობა ძალიან ბევრი ფული დამიგჯა. იმისათვის, რომ საბოლოოდ განვიკურნო, კიდევ ბევრი დამჭირდება, რის შეძლება არა მაქვს, ყელამდე ვალში ვარ. ჯამავირს რომელსაც მე ვიღებ საუფლისწულოდან არ მყოფნის ვალის გასასტუმრებლად, ჩემი ოჯახი კი ულუკმაპუროდ რჩება. თქვენო მაღალკეთილშობილებავ, იმედი მაქვს თქვენი თანაგრძნობითი და მოკიდებულებისა ჩემი გაჭირვებული მდგომარეობისადმი. მოგმართავთ სასოებითი თხოვნით აღმომჩინოთ რაიმე ფულადი დახმარება“¹⁴⁵.

საუფლისწულო მამულის მმართველმა უარი უთხრა წყალობაძეს. მუშებმა 1905 წლის გაფიცვებით მოიპოვეს უფასო საექიმო მომსახურება, მაგრამ მას სისტემატური ხასიათი არ ჰქონია. ხშირ შემთხვევაში ექიმი და ფერშალი ადგილზე არ იყვნენ.

ამრიგად, კახეთის საუფლისწულო მამულის მუშები ყოველთვის დროულად ვერ იღებდნენ ვერც უფასო და ვერც ფასიან სამედიცინო დახმარებას. მიუხედავად ამისა არ შეიძლება დადებით მოვლენად არ ჩაითვალოს კახეთის საუფლისწულო მამულებში სამკურნალო დაწესებულებების დაარსება. 1909 წელს წინანდლის საავადმყოფოში მკურნალობა გაიარა 500 მეტმა კაცმა, ნაფარეულიდან 300 კაცმა და ამდენივემ მუკუზანიდან. ადგილი არა ჰქონია ინფექციურ დაავადებას¹⁴⁶.

1909 წელს საავადმყოფო დაათვალიერა საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ პ. ლიხარევმა. მას წარუდგინეს ექიმი ანტენი და მედიცინის და პოპოვა. პ. ლიხარევს ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ ლაზარეთში ინფექციური დაავადებული ავადმყოფისათვის არ ჰქონიათ ცალკე იზოლირებული პალატა. ამ ნაკლის გამოსწორება

¹⁴⁴ იქვე.

¹⁴⁵ ნ. ჩახვაშვილის დასახელებული ნაშრომი, ფურც. 26.

¹⁴⁶ ЦГИА гр. ССР, ф. 351, оп. I, л. 251, л. 26.



წინანდლის საუფლისწულო მამულის მმართველს განზრახვით
 ჰქონდა 1910 წელს. ლიხარევის აქ ყოფნის დროს საავადმყოფოში
 13 ავადმყოფი წოლილა. იგი მოუხიბლავს სანიმუშო სისუფთავესა
 და წესრიგს¹⁴⁷.

1910 წელს საავადმყოფო კაპიტალურად შეაკეთეს¹⁴⁸.

1920 წელს კახეთის საუფლისწულო მამულების საავადმყოფოების მმართველად დაინიშნა ექიმი ა. იმერლიშვილი, რომელსაც მიღებული ჰქონდა უმაღლესი განათლება¹⁴⁹.

* * *

პირველმა მსოფლიო ომმა თავისი უარყოფითი გავლენა იქონია საუფლისწულო მამულებზე. 1914 წელს წინანდლიდან გაიწვიეს 21 კაცი. ამავე დროს საუფლისწულო მამულების სამინისტროს განკარგულებით სამუშაოდ დაითხოვეს იმ ქვეყნის ქვეშევრდომნი მუშა მოსამსახურე, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ გამოდიოდა ომის დროს. მეურნეობაში დატოვეს მხოლოდ სლავური წარმოშობის ის მუშები, რომლებმაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს¹⁵⁰.

ომმა რიგი სიძნელები შექმნა: მთელ კახეთში იგრძნობოდა მუშახელის ნაკლებობა, მამაკაცთა უმრავლესობა ჯარში გაიწვიეს. აღნიშნულმა გარემოებამ, ერთი მხრივ, შეამცირა მეურნეობაში ქალის როლი, რომელიც ადრე რიგ სამუშაოებს ასრულებდა. ომის დროს საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავება მთლიანად ქალს უხდებოდა, რის გამოც ვერ მიდიოდა მამულში სამუშაოდ, გარდა ამისა, საგრძნობლად აიწია მუშახელის ფასმა, რასაც არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა მეურნეობაზე. რიგი სამუშაოები სრულებით არ სრულდებოდა. მეურნეობა თავის დროზე ვერ იღებდა შაბიამანსა და გოგირდს, რაც აუცილებელი იყო ვენახების შესაწამლად¹⁵¹.

147 საქ. ც. ს. ა. ფონდი 357, ანაწ. I, საქმე 90, ფურც. 16.

148 იქვე.

149 იქვე.

150 საქ. ც. ს. ა. ფონდი 357, ანაწ. I, საქმე 49, ფურც. 49.

151 1915 წელს კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორი წინანდლის მამულის მმართველს სწერდა:



განსაკუთრებით გაუჭირდა მეურნეობას 1915 წელს. ამ წელს კიდევ უფრო გაძნელდა მუშახელის შოვნა, რამაც შეამცირა მუდმივი მუშების შტატი. მათი სამუშაო კი დღიურ მუშებს უნდა შეესრულებიათ¹⁵². საგრძნობლად შემცირდა ცხენთა რაოდენობა. აღნიშნულ წელს მეურნეობას აღარ ქონდა ვაზის სამკურნალო საშუალებანი. მეურნეობის ხელმძღვანელობა ცდილობდა მილდიუს წინააღმდეგ გამოეყენებია გოგირდისა და კირის ხსნარი. რომელიც რეკომენდირებული იყო მიკოლოგ იაჩევსკის მიერ, მაგრამ აღნიშნულმა ხსნარმა სარგებლობის ნაცვლად მთლად დააზიანა ვაზი.

მეურნეობას ჰქონდა გოგირდი, რომელსაც სცვლიდა შაბიამანზე. 1 ფუთ შაბიამანში აძლევდნენ ორ ფუთ გოგირდს¹⁵³.

უაღრესად ცუდად იდგა კასრისათვის საჭირო საგვერდე მუხის ფიცრების დამზადების საკითხი. მიუხედავად ხელმძღვანელობის დიდი მონდომებისა, ვერ იშოვეს საჭირო მასალა¹⁵⁴.

ყველაზე უფრო მუკუზნის საუფლისწულო მამულს უჭირდა. შესაწამლი ნივთიერების უქონლობის გამო მილდიუმ და ოიდიუმმა საგრძნობლად დააზიანა ვენახები. ა. თუშმალიშვილის აზრით, მოსალოდნელი იყო მოსავლის საგრძნობლად შემცირება მეურნეობის ყველა დარგში¹⁵⁵.

«Ввиду затруднительности достать рабочих для исполнения всех намеченных по смете текущих работ по виноградарству и необходимости, поэтому некоторые работы сократить или вовсе отложить до будущего года. Инспектор Удельного Виноделия, отношением от 19 марта с. г. разъяснил, что в случае недостатка или дороговизны рабочих рук, можно отложить лишь такие работы, неисполнение которых не может отразиться вредно на урожае текущего года, например, лечение и борьба с вредителями — очевидно, не могут быть сокращены, так как они охраняют урожай текущего года, напротив, такая работа, как процапка или вспашка, в известных пределах вполне поддаются сокращению, по крайней мере на некоторых участках виноградника; точно также при дороговизне рабочих рук могло бы быть отмечено совершенно удобрение химическими удобрениями там, где оно предполагалось и еще не исполнено. Борьба с пыреем, где она производится как самостоятельная работа, помимо обычной процапки, также могла бы быть отменена на текущий год. Об изложенном сообщаю Вам для сведения и руководства». См. საქ. ც. ს. ა. ფონდი 357, ანაწ. I, საქმე 56, ფურც. 78.

152 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, д. 1223, л. 12.
 153 საქ. ც. ს. ა. ფონდი 357, ანაწ. I, საქმე 57, ფურც. 192, 193.
 154 იქვე.
 155 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, Д. 1223, л. 12.

წინანდლის საუფლისწულო მამული ¹⁵⁶

წელი	ვენახის ფართობი დესეტინებში	ღვინის რაოდენობა ვედროებში
1908	100	51982
1909	"	37007
1910	"	53122
1911	"	44089
1912	"	30211
1913	"	46089
1914	"	23500
1915	"	13300
1916	"	4272
1917	96	16775
1918	"	19000
1919	105	12400
1920	"	17680
1921	"	19960

ცხრილი 18

მუკუხნის საუფლისწულო მამული ¹⁵⁷

წელი	ვენახის ფართობი დესეტინებში	ღვინის მოსავალი ვედროებში
1908	128	63245
1909	"	38889
1910	"	60525
1911	126	48525
1912	122	45550
1913	118	51990
1914	"	44690
1915	110	24321
1916	"	28501
1917	"	29060
1918	111	24092
1919	"	10011
1920	"	20400
1921	"	20020

¹⁵⁶ ЦГИА Гр. ССР, ф. 134, д. 4, л. 20.

¹⁵⁷ ЦГИА Гр. ССР, ф. 228, д. 581, л. 153.

ნაფარეულის საუფლისწულო მამული¹⁵⁸

წელი	ვენახის ფართობი ღესეტინებში	ღვინის მოსავალი ვედროებში
1908	116	45964
1909	"	42205
1910	"	37712
1911	"	25651
1912	"	15649
1913	"	10250
1914	"	18101
1915	"	3700
1916	100	5030
1917	"	6705
1918	82	12094
1919	94	9454
1920	"	
1921	"	1736

უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობებს უჭირდათ თითქმის, ყველა რგოლში ცუდად იდგა ღვინის გატანისა და გასაღების საკითხიც.

ომის შემდეგ თითქოს შედარებით გამოსწორდა მდგომარეობა მეურნეობაში. მაგრამ 1917 წლის რევოლუციამ გავლენა იქონია შემდგომ მუშაობაზე.

შეიძლება ითქვას, რომ კახეთის საუფლისწულო მამულები პირველი რევოლუციიდან მოყოლებული 1920 წლამდე თანდათან დაქვეითებას განიცდის.

ქვემოთ მოგვყავს ცხრილები, სადაც მოცემულია 1908 — 1921 წლების ღვინის მოსავლიანობა წინანდლის, ნაფარეულისა და მუკუხნის მამულებში.

როგორც ცხრილებიდან ჩანს მოსავლიანობასთან ერთად შემცირდა ვენახების ფართობიც, რაც გამოწვეული იყო რევოლუციური მოძრაობითა და გაფიცვებით. 1914 წლიდან კი მსოფლიო ომის შედეგად მკვეთრად შემცირდა და გაძვირდა მუშახელი. აღარ სრულდებოდა მთელი რიგი სამუშაოებისა, აღარ ხდებოდა ნიადაგის გაპატიება.

158 თელავის ეთნოგრაფიულ ისტორიული მუზეუმი, ფონდი 20503, ფურც. 121.

1917 წლის 16 მარტის დადგენილებით მენშევიკურმა მთავრობამ საუფლისწულო უწყება გააუქმა. მისი მთელი ქონება, საწარმოები სახელმწიფო-ნაციონალურ საკუთრებად გამოცხადდა. მამულებისადმი ხელმძღვანელობა დაეკისრა მიწათმოქმედების სასამინისტროსთან არსებულ სახელმწიფო სოფლისმეურნეობრივ საწარმოთა სამმართველოს. „ასეთი დადგენლების გამოცემაც არ ეჭაზნიკებოდათ მენშევიკებს, მაგრამ მათ მეტი გზა არ ქონდათ, ვინაიდან მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ უკვე გამოაქვეყნა დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ და მყისვე მის ცხოვრებაში გატარებას შეუდგა, წინანდელი ტაქტიკის გაგრძელება, ე. ი. „მიწის საკითხის დამფუძნებელ კრებამდე გადიდება შეუძლებელი შეიქნა“¹⁵⁹.

საიმპერატორო სახლის წევრთა ქონებას მენშევიკური მთავრობა დაეპატრონა, რის შედეგად თანდათან უკან წავიდა მევენახეობის საქმე. მამულის ფართობი, რომელიც 1917 წ. 100,4 ჰექტარს შეადგენდა, 1921 წ. 70.0 ჰა-მდე შემცირდა¹⁶⁰.

კახეთის საუფლისწულო მამულებისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველი მეცნიერები; მათ შორის პეტრე მელიქიშვილი, რომელიც სისტემატურად ჩადიოდა მეურნეობაში და ლექციებს უკითხავდა სტუდენტებს ღვინის ქიმიასში. მან მეურნეობას ბევრი საინტერესო წიგნი გადასცა საჩუქრად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დროს წინანდლის მეურნეობას მმართველი აღარ ყავდა. საქართველოს მთავრობის წინადადებით წინანდლის საბჭოთა მეურნეობის მმართველად ა. თუმშალიშვილი დაინიშნა.

დადგა ჩამორჩენილი და პრიმიტიული მამულების განვითარებულ ტექნიკაზე დაფუძნებულ საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნის პერიოდი; დაიწყო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია. პირველ დღეებიდანვე ხელი მოჰკიდეს გაპარტახებული ვენახების აღდგენა-განვითარებას. საჭირო იყო დაავადებული ვაზის გამოკაფვა, ნამყენი ვაზის ჩაყრა და რიგი აგროკულტურულ ღონისძიებათა ჩატარება, რაც პირნათლად იქნა შესრულებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

159 პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX — XX სს., II, გვ. 927.

160 საქ. ც. ს. ა. ფონდი 351, ანაწ. I, საქმე 124. ფურც. 32—36.

* * *

ამრიგად, რიგი სამუშაოები მევენახეობა-მეღვინეობაში, რომელიც ადრე სრულდებოდა, შეცვალა მანქანამ, რაც უდავოდ გადადგმული ნაბიჯი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

დიდ წარმატებას მიაღწია მეურნეობამ ვაზის სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაშიც. 1895 წელს საზღვარგარეთიდან შემოიტანეს რიგი ნივთიერებანი, რომლებსაც სოფლის გლეხობაზეც სცემდნენ. აღნიშნულ წელს გლეხობაზე გასცეს: ვაზის შესაწამლი აპარატები, 800 ფუთი შაბიამანი და 600 ფუთი გოგირდი.

საუფლისწულო უწყებას ფილოქსერაგამძლე ლერწი და ნერგი შემოჰქონდა საზღვარგარეთიდან და ავრცელებდა მთელ საქართველოში; კახეთში ყველა მამულში მოაწყვეს სანერგეები და საჩვენებელი ნაკვეთები, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა კახეთის მევენახეობის აღდგენა-განვითარების საქმეში.

მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვით, საგრძნობლად გაუმჯობესდა საუფლისწულო მამულის მიერ დამზადებული სხვადასხვა მარკის ღვინოების ხარისხი, რომელმაც ფართოდ გაითქვა სახელი რუსეთისა და ევროპის ქვეყნებში.

თ ა ვ ი III

მუშათა მღგობარეობა. ბაზიცეზები

მამულებში მომუშავე სრულიად უმიწო და მცირემიწიანი გლეხობა მძიმე ექსპლოატაციას განიცდიდა. ხელფასი იმდენად დაბალი იყო, რომ გლეხს არ შეეძლო მისთვის საჭირო აუცილებელი საგნების შეძენა. საუფლისწულო მამულებში ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებამ მუშის შრომა კიდევ უფრო გააიჟა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო გლეხობასა და მემამულეს შორის კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. გარდა ამისა ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც საუფლისწულო მამული ითვისებდა გლეხთა მიწებს. 1873 წელს, დავით ჭავჭავაძის სოფ. ურიათუბანში მცხოვრებმა 52-მა დროებითვალდებულმა კომლმა გამოისყიდა 260 დესეტინა საკარმიდამო და სახნავი ნადელები, რაზედაც ნოტარიუსით დამტკიცებული საბუთებიც ქონდათ. როგორც ვიცით, 1886 წელს, საუფლისწულო მამულმა შეიძინა დ. ჭავჭავაძის ყველა დანარჩენი ადგილ-მამული. ამ დროისათვის, და შემდეგაც, გლეხო-



ბა თავის საკუთარ მიწაზე ცხოვრობდა. 35 წლის შემდეგ მუკუზნის საუფლისწულო მამულის მმართველი ჰაინე უკიდურესად ავიწროებდა გლეხებს და საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებასა და მით სარგებლობასაც კი უკრძალავდა. იმ მოტივით, რომ თითქოს მიწები, რომელზედაც გლეხობა ცხოვრობდა საუფლისწულო დეპარტამენტს ეკუთვნოდა¹. ამის გამო გლეხობა საჩივარს გზავნის საუფლისწულო მამულთა დეპარტამენტის მინისტრთან. აღნიშნული საჩივრის საფუძველზე შეამოწმეს მუკუზნის მამულის ფართობი: მამულს 120 დესეტინით მეტი მიწა აღმოაჩნდა ვინემ შექენის დროს ქონდა.

საუფლისწულო მამულებში დაქირავებულ გლეხობას მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. მათი სამუშაო დღე 15—16 საათით განისაზღვრებოდა. მუშაობა იწყებოდა მზის ამოსვლამდე და დაღამებამდე გრძელდებოდა. სეზონური სამუშაოების პერიოდში — როგორცაა რთველი, სიმინდის აღება, პურის გაღებვა — მუშებს, მუშა ქალებს და ბავშვებს მთელი დღე-ღამის განმავლობაში ამუშავებდნენ. მათ არც კვირა დღეებში ასვენებდნენ. კახეთის საუფლისწულო მამულის მუშებს, სხვა საუფლისწულო მამულების მსგავსად მეტად მცირე ხელფასი ეძლეოდათ. გაჭირვების გამო ისინი იძულებული იყვნენ იათად გაეყიდათ თავიანთი შრომა.

მასალები იმის შესახებ² თუ რამდენს უხდიდა თვეში ამა თუ იმ მუშას ან მოხელეს საუფლისწულო მამულების სამმართველო, მოტანილი გვაქვს მე-20-ე ცხრილში. საიდანაც ჩანს, რომ წინაწლებთან შედარებით ხელფასები, კერძოდ მუშის თვიური ხელფასი, გაზრდილია, მაგრამ ეს ზრდა ნომინალურია და არა რეალური. აღსანიშნავია, რომ მეურნეობაში არსებობდა მუშათა ერთი ჯგუფი — რომელიც მეტ ხელფასს იღებდა.

კახეთის საუფლისწულო მამულების მოხელე-მოსამსახურეები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ მათ 5—8 ჯერ მეტი ხელფასი ქონდათ იმ მუშებთან შედარებით, რომლებიც ფიზიკურად მუშაობდნენ და მატერიალურ დოვლათს ქმნიდნენ.

მძიმე სამუშაო პირობები იყო ღვინის სარდაფებში, აქ მუშაობა დილიდან დაღამებამდე არა წყდებოდა. ანტისანიტარულ პირობებს თან ერთვოდა ალკოჰოლის მძიმე სუნი. მიუხედავად ამისა-

¹ ЦГИАЛ, Гр. СССР, ф. 351, д. 519, л. 19.

² იქვე, ფურც. 18—19.

მუშებს მეტად მცირე ხელფასი ჰქონდათ. წინანდლის სარდაფის მუშებიდან ერთს წელიწადში ეძლეოდა 240 მანეთი. ორ მუშას კი — თითოეულს 204 მან. ასეთივე ჯამაგირს იღებდნენ ნაფარაულისა და მუკუზნის საუფლისწულო მამულების სარდაფის მუშებიც³.



სურ. 11

დიდი სხვაობა იყო აგრეთვე მამაკაცისა და ქალის შრომის ანაზღაურებაში. გაზაფხულზე თუ მამაკაცი დღეში 40 — 60 კაპიკს იღებდა, ქალს 15, 20, 30 კაპიკზე მეტს არ უზღიდნენ. ზაფხულში მამაკაცი დღიურად იღებდა 72 კაპ.-დან 1 მან. 40 კაპ.-მდე. ქალი კი მხოლოდ 25, 40 კაპიკს. ასეთივე ცვალებადობა იყო შემოდგომაზე და ზამთარში.

საუფლისწულო მამულში დასაქმებული სეზონური, თვიური და დღიური მუშები თავიანთი ხარჯით მუშაობდნენ. მცირე ხელფასიანი მუშები მეტად მძიმე პირობებში იყვნენ. როგორც ვიცით, მუშები გადასახადსაც იხდიდნენ, ასე რომ, ხელფასის ერთი ნაწილი სწორედ ამ გადასახადების დასაფარავად მიდიოდა და საარსებოდ ბევრი აღარაფერი რჩებოდა, განსაკუთრებით ისეთ ოჯახებს, რომლებიც 4 — 5 სულისაგან შედგებოდა. მუშებს ხელფასი შესრუ-

³ იქვე, ფურც. 20.



1904 წ. კახეთის საუფლისწულო მამულის თვიურა ხელფასი

№ რიგ.	თანამდებობა	თანხა, მან.	№ რიგ.	თანამდებობა	თანხა, მან.
1	ბუღალტერის	100	38	მეურნეობის მებაღეს . . .	70
2	მის თანაშემწეს	60	39	ბალის 6 მუშას თითოს . .	15
3	3 მწერალს თითოს	40	40	" 1 მუშას	16
4	1 მწერალს	30	41	" 1 მუშას	20
5	მამულის სამ. ნაწ. გამგ.	30	42	1 მკვენახე მუშას	70
6	მოლარეს	75	43	2 " "	83
7	ფერშალს	40	44	3 " "	85
8	მასწავლებელს	40	45	4 " "	180
9	ორ მექანიკოს ერთ მათ- ვანს	60	46	5 უმცროს მკვენახეს 1 . . .	35
10	მეორე მექ.	40	47	2 " " თითოს	50
11	1 ცეცხლფარეშს	15	48	2 " " თითოს	60
12	2 " "	16	49	ვენახის 3 უფ. მუშას	20
13	3 " "	25	50	" 2 " "	30
14	4 " "	35	51	80—ვენახის უმცრ. მუშა- დან 44 მუშას თითოს	13—75
15	5 " "	40	52	14 ვენახის მუშას	14
16	ტყის ზედამხედველი	50	53	25 " "	15
17	ტყის 5 მცველს თითოს	15	54	3 " "	16
18	ფურცუნიანის ზელოსანს	40	55	1 " "	17
19	მეფხოვეს ერთს	15	56	ლენის სარდაფის უფ. კან- ტორის მოხელ.	35
20	" მეორეს	20		მეგრე მოხელეს	50
21	მჭედელს	30	57	სარდაფის 22 მუშ. 2-ს	14
22	თოქმანს	15	58	" 4 მუშას	15
23	5 მექანიკებს თითოს	15	59	" 4 მუშას	16
24	1 " "	17	60	" 4 " "	18
25	სკოლის დარაჯს	15	61	" 4 " "	22
26	საქასრის " "	15	62	" 3 " "	23
27	მინდერის ღამის 8 დარაჯს	15	63	" 3 " "	25
28	" " ერთს	20	64	" 3 " "	35
29	ვენახის 4 დარაჯს თ.	15	65	18—მეურმიდან 6 თ.	14
30	ერთს	17	66	" 11 " "	15
31	2 დარაჯს ვენახისას	20	67	" 1 " "	17
32	მწეშის	8	68	40 მზენელოდახ 1—2	14
33	დურგალს	15	69	დანარჩენებს	15
34	ვარდის პლანტაციის გამგეს	100	70	ლენის მექასრეს 2	40
35	" უფ. მუშას	15	71	" 1 მუშას	30
36	" მეორეს	17	72		
37	ბალის 10 მუშ. თითოს	14			

ლებული სამუშაოს მიხედვით ეძლეოდათ. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც უამინდობის გამო მუშები უსაქმოდ იყვნენ, ასეთ დღეებში მუშას ხელფასს სრულიად არ აძლევდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, პრივილეგიებულ წოდებას და მოხელე ჩინოვნიკებს შედარებით დიდი ხელფასები ეძლეოდათ. გარდა

ამისა, მათ სისტემატურად აძლევდნენ დახმარებას ჯილდოს სახით: 1904 წელს კახეთის საუფლისწულო მამულში ჯილდოები მიიღეს: მამულის მმართველმა ჰაინემ 30 მან., მეღვინე მარკოვიჩმა 30 მან., უფროსმა მევენახე თ. ოგჩარენკომ 20 მან., უფროსმა მევენახე ი. არხიპოვმა 20 მან., ბუღალტერმა ალ. არკადიევმა 50 მან., თარჯიმანმა ი. ავალოვმა 12 მან., ბუღალტრის თანაშემწემ ა. ბრანდტმა 30 მან. და კ. კუშლაევმა 30 მან⁴.



სურ. 12

აღნიშნული მოხელეები და მუშები, რომლებსაც მეტი ხელფასი ეძლეოდათ, მეფის ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდნენ, ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ ხელისუფლებას.

ხშირად მუშები დროზე ვერ იღებდნენ ხელფასს, ამის გამო იძულებული იყვნენ მევახშისაგან აეღოთ ვალი. ზოგჯერ კი მამულის მმართველი ჯამაგირის ანგარიშზე აძლევდა მუშას პურს, სიმინდს, ღვინოს, არაყს, საქალამნე ტყავს და სხვ. შემდეგ კი ერთი ორად ახდევინებდა.

⁴ იქვე, ფურც. 23.



საუფლისწულო მამულებში მომუშავე მუშები აბსოლუტურად უუფლებონი იყვნენ. მათ არ ჰქონდათ რაიმე ორგანიზაცია, რომელიც დაიცავდა მათ ინტერესებს და იზრუნებდა მათი ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისათვის. იყო შემთხვევები, როდესაც მეურნეობის ხელმძღვანელობა უხეშად ეპყრობოდა მუშებს, აყენებდა მათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ყოველივე ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მუშებში. ამის შესახებ ვაზ. „ლამპარი“ წერს: „...თუ ახლო მომავალში არ დავაკმაყოფილებთ მუშების ლები, სადაც მუშაობენ, როგორც თვიურად, აგრეთვე დღიურად ადგილობრივი გლეხები. როგორც ყოველივე ამგვარ კაპიტალისტურ წარმოებაში, აქაც მუშათა ექსპლოატაცია უკიდურეს ხარისხამდე არის მისული. უფრო უკეთეს პირობებში არიან სარდაფში თვიურად მომუშავე მუშები: ამათ მოიპოვეს სამუშაო დღე, მაგრამ ნოტიო სარდაფში მუშაობა 8 საათის განმავლობაში თავის დაღს ასვამდა მუშებს. უფრო ცუდ პირობებში არიან დღიური მუშები. ამათ დღეში 60 კაპიკს აძლევენ და თანაც აყვედრიან ჩვენ რომ არ ვიყოთ თქვენ მშვიერები დაიხოცებითო. ასეთია მდგომარეობა მუშების სამუშაო ქირის მხრივ. მაგრამ არც სხვა მხრივ არიან ისინი უკეთეს პირობებში. ზოგიერთი უფროსი ისე სიტყვას არ ეტყვის მუშას, რომ არ შეაგინოს, არ შეურაცყოს მათი პირობება“⁵.

მუშები მოკლებული იყვნენ ყოველგვარ დახმარებას. 1903 წლის 10 მაისის კანონის თანახმად მუშას, რომელიც მამულში 5—10 წელს დაჰყოფდა, უნდა მისცემოდა გარკვეული ფულადი დახმარება, მაგრამ ამ კანონს არავინ არ აქცევდა ყურადღებას. აღნიშნულ კანონს ჰქონდა შენიშვნა: თუ მუშა მონაწილეობას მიიღებდა გაფიცვებში, იგი კარგავდა დახმარების მიღების უფლებას. პირველ რიგში დახმარება ეძლეოდა იმ მუშას, რომელიც მამულის ხელმძღვანელობის დასაყრდენს წარმოადგენდა. საუფლისწულო მამულის მუშებს ძალზე ცუდი საბინაო პირობები ჰქონდათ. მუშათა ერთი ნაწილი, რომლებიც ახლო-მახლო სოფლებში ცხოვრობდნენ, ღამეს საკუთარ სახლში ათევდნენ. მუშების დიდ უმრავლესობას, რომლებიც მეურნეობის ბინებში ცხოვრობდნენ, ასევე ცუდი საბინაო პირობები ჰქონდათ. ცოლშვილიან მუშას ეძლეოდა ერთი პატარა ოთახი, ხოლო მარტოხელა მუშები ღამეს ბარაკებში ათევდნენ.

⁵ ვაზ. „ლამპარი“, 1906, № 39, გვ. 2, იხ. წერილი „კახეთის საუფ. მამულების მუშათა გაფიცვა“.

ზშირად მუშებისათვის ბარაკებში ადგილი არ რჩებოდა და ისინი იძულებულნი იყვნენ სოფელში დაექირავებინათ ბინა.

ბარაკები, უმეტესად, მიწის იატაკიან თავშესაფარს წარმოადგენდა. მამულის მმართველი მუშებს შუა ცეცხლის დანთების უფლებას არ აძლევდა. არ ეძლეოდათ ნავთი ქრაქის ასანთებად, მუშათა უმრავლესობა დაავადებული იყო რევმატიზმით.

მუშათა მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებდა ჯარიმები. მუშებს აჯარიმებდნენ დაგვიანებისა და სამუშაოს გაცდენისათვის, რაც ზოგჯერ ავადმყოფობით იყო გამოწვეული. ჯარიმა 3 მან-დან 10 მან-მდე აღწევდა. 1904 წელს კახეთის საუფლისწულო მამულს ჯარიმით შეგროვილი ქონდა 300 მან. ასეთივე თანხას მიაღწია ჯარიმამ 1905 წელსაც⁶.

როგორც დავინახეთ, მუშათა მდგომარეობა საუფლისწულო მამულებში მეტად მძიმე იყო. სწორედ ამან განაპირობა მუშების აქტიური მონაწილეობა 1905 — 1907 წლების რევოლუციურ მოძრაობაში.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი და თბილისის კომიტეტი რაზმავდა მუშათა კლასსა და გლეხობას მემამულე კაპიტალისტებისა და მათი ინტერესების დამცველი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. თბილისიდან კახეთს გაგზავნილი აგიტატორები მართავდნენ მუშათა ფარულ კრებებს, აწყობდნენ მიტინგებს, ეხმარებოდნენ მუშებს მოთხოვნების შედგენაში და ხელმძღვანელობდნენ მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებს.

აგიტატორთა მუშაობის შესახებ 1905 წ. 23 მარტს ნ. კურაელოვი წერდა: „ამჟამად გლეხობის და მუშების საერთო მღელვარება, სამწუხაროდ კვლავ მოედო ადგილობრივ მოსახლეობას. კახეთში გამოჩნდნენ აგიტატორები, რომლებიც არიგებენ მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს, აგიტაციას ეწევიან გლეხებსა და მუშებს შორის. უფრო გადამწყვეტი ფორმით, ამ აგიტაციის წყალობით მღელვარება უფრო შესამჩნევი ხდება, ხოლო მოქმედება უფრო გაბედული⁷.

მთავრობა აცხადებდა, რომ რევოლუცია დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ქვეყანას, ხდება დარბევები, ქონების გატაცება, მკვლელობა და სხვ. ყოველივე ეს ნორმალური ცხოვრების შეფერხებას იწვევს და რევოლუციისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნისო. ხელისუფლე-

6 ნ. ჩახვაშვილის დასახ. ნაშრომი, ფურც. 25.

7 იქვე, ფურც. 41—42.

ბა. აფრთხილებდა ყველას, მათ შორის საუფლისწულო მამულების პერსონალს, რომ სასტიკად დასჯიდა ყველა იმ პირს, ვინც მეფის წინააღმდეგ გამოვიდოდა⁸.

მეტად შეშფოთებული იყო წინანდლის საუფლისწულო მამულის მმართველიც. კავკასიის მხარის ინსპექტორს იგი ატყობინებდა, რომ გახშირდა ბანდების თავდასხმები, როგორც ქვეითად მოსიარულე, ასევე ტრანსპორტით მიმავალ მგზავრებზეო. შეიარაღებულ „ბანდიტთა გარემოცვაში“ ვიმყოფებით და მათ წინააღმდეგ ჩვენ გვაქვს ჯოხები და ძველის ძველი ჩახმახიანი თოფები, რომლებიც ჩიტების დასაფრთხობად უფრო გამოდგება, ვინემ შეიარაღებული „ბანდის“ წინააღმდეგო⁹.

1905 წლის მარტის თვეში რევოლუციური მოძრაობა დაიწყო მთელ კახეთში. 20—21 მარტს გაფიცვები დაიწყო თელავში, 25 მარტს სოფ. ვაჩნაძიანში, ურიათუბანში, გრემში, საბუესა და სხვა სოფლებში. გლეხებმა იერიში მიიტანეს თავიანთ ბატონებზე, განდევნეს თავადაზნაურობა და ხელში ჩაიგდეს მათი მამულები. კახეთის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის პარალელურად დაიწყო საუფლისწულო მამულის მუშათა გაფიცვები და რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ფართოდ მოედო წინანდლის, ნაფარეულისა და მუკუზნის მამულებს.

საუფლისწულო მამულების მუშები, მშრომელ გლეხობასთან ერთად, აღსდგნენ რევოლუციური ბრძოლისათვის.

პირველი გაფიცვა დაიწყო წინანდლის მამულში¹⁰. 1905 წლის 9 მარტს აქ გაიფიცნენ დღიური მუშები, რომლებიც მოითხოვდნენ 9 მარტის უქმე დღედ გამოცხადებას¹¹.

1905 წლის 19 მარტს წინანდლის საუფლისწულო მამულის მმართველმა გაფიცული მუშები შეკრიბა და მათ დაპატიმრებითა და

⁸ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 81, 1905—1906 гг. Д. 685, лл. 190—192.

⁹ იქვე, ფურც. 241—245.

¹⁰ «...Отправку вина в Москву и Петербург не начинали отсутствие благодаря забастовке перевозочных средств... Сегодня в Цинандальских садах начался сбор, Рабочих и арб пришло много. Через час после начала работ в Телиани явились два неизвестных вооруженных берденками, отобрали у Овчаренко собственную берденку, Сборщиками и арбам под угрозой велели разойтись и требовать увеличения платы. Перепуганная сборщица разошлась. Сбор приостановлен». См. ЦГИАЛ, ф. 515, оп. 81, 1905—1906 гг., д. 685, лл. 241—245.

¹¹ Б. ჩახვაშვილის დასახ. ნაშრომი, ფურც 46.



გადასახლებით დაემუქრა. 20 მარტიდან მუშაობა დაიწყო ზოგიერთმა მუშამ. მიუხედავად მუქარისა, მუშების უმრავლესობას მუშაობა არ განუახლებია. 22 მარტს კახეთის საუფლისწულო მამულის მმართველმა კურაედოვმა კვლავ შეკრიბა წინანდლის მამულის ყველა მუშა და დაემუქრა მათ სამუშაოდან დათხოვნით, დაპატიმრებით და გადასახლებით. მიუხედავად ამისა, მუშებმა კვლავ წარადგინეს ახალი მოთხოვნები, რაც მუშათა ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა. მუშათა დაქინებითმა მოთხოვნებმა სასურველი შედეგი გამოიღო. წინანდლის მმართველი წერს: „...თუ ახლო მომავალში არ დავაკმაყოფილებ მუშების ზოგიერთი თხოვნა მათი ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საქმეში, ახლანდელ საერთო მღელვარებაში, რომელსაც მხარს უმაგრებს აგიტაცია, შესაძლებელია ისეთი უწყობანი, რომელსაც მოჰყვება მეტისმეტად არასასურველი შედეგი, როგორც მამულისათვის, ისე მუშებისათვის“¹²

რევოლუციურად განწყობილი მუშები, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ირაზმებოდნენ და ემზადებოდნენ საყოველთაო გაფიცებისათვის. მუშების ერთდროული გაფიცვა უნდა მომხდარიყო წინანდლის, ნაფარეულისა და მუკუზნის საუფლისწულო მამულებში. 25 მარტს კახეთის საუფლისწულო მამულის მმართველმა შეიტყო, რომ 27 მარტისთვის მუშათა საყოველთაო გაფიცვები მზადდებოდა. თელავიდან დემონსტრანტები წითელი დროშებითა და რევოლუციური სიმღერით უნდა წასულიყვნენ წინანდლის საუფლისწულო მამულისაკენ და შეერთებოდნენ იქაურ მუშებს. ამავე დროს გაფიცვები მზადდებოდა სხვა საუფლისწულო მამულებშიც¹³.

მოსალოდნელ გაფიცვებთან დაკავშირებით წინანდლის საუფლისწულო მამულის მმართველმა კურაედოვმა თელავის მაზრის უფროსს სთხოვა დახმარება და ადგილობრივი ბატალიონიდან ჯარის ნაწილის გაგზავნა, რომელსაც უნდა ემორიგევა მეურნეობაში. თავის მხრივ მამულის ხელმძღვანელობამ სანდო პირებისაგან შეადგინა დამცველი რაზმი. მათ შესაიარაღებლად უმაღლეს მთავრობას ეთხოვა 30 ცალი ბერდენკის შექენის უფლება. იარაღის შექენაში განსაზღვრულ თანხას იღებდა მეურნეობაც. 26 მარტს წინანდალში ჩააყენეს ოცეული, ხოლო ნაფარეულსა და სა-

12 ნ. ჩახვაშვილი, იქვე, ფურც. 47.

13 იქვე, ფ. 48.

ნიორეში გაგზავნეს ჯარისკაცთა ერთი ათეული სამი ოფიცრის, მანჩის უფროსისა და ბოქაულის თანხლებით¹⁴. აღნიშნულმა გარემოებამ შეცვალა მუშების საგაფიცვო გეგმა, იგი ხელსაყრელი დროისათვის გადადგეს.

აღნიშნულ გაფიცვებში დიდი დამსახურება მიუძღვით აგიტატორებსა და მუშა რევოლუციონერებს. ამის შესახებ კურაელოვი წერს. „აგიტატორთა შორის გრემსა და ნაფარეულში შემჩნეული იქნა ნაფარეულის მევენახეობის უფროსი მუშა რამიშვილი, რომელიც დავითხოვე შარშან აგვისტოში; იგი მასთან ჩამოსულ ამხანაგთან ერთად, მუშებს აგულიანებდა გაფიცვებისათვის“¹⁵.

1905 წლის 30 მარტს, სოფელ წინანდლის გლეხები მივიდნენ საუფლისწულო მამულში და მიიწვიეს კრებაზე მუშები, ხელოსნები და მოსამსახურეები, — ვინც არ მიიღებდა მონაწილეობას დაწვითა და დასჯით ემუქრებოდნენ, მეორე დღეს სოფ. წინანდალში თავი მოიყარა სოფ. ვანთის, ბუშათის, ქვემო ხოდაშისა და წინანდლის გლეხობამ. მათ შეპფიცეს ერთმანეთს ერთობა, მივიდნენ წინანდლის სამმართველოსთან, გამოიტანეს გარეთ იმპერატორის სურათი და დაკეტეს სამმართველო... ამის შემდეგ რევოლუციონერი მუშები და გლეხები მივიდნენ საუფლისწულო მამულის რკინის კარებთან, სადაც დახვდათ მმართველი ნ. კურაელოვი. მუშებმა და გლეხებმა მას წარუდგინეს ქალაღზე დაწერილი პირობა და მუქარით მოსთხოვეს ხელის მოწერა, რაც უყოყმანოდ იქნა შესრულებული. ამის შემდეგ ხალხი ვაშას ძახილით გაემართა სოფ. ქვემოხოდაშნის, ბუშათისა და ვანთისაკენ¹⁶.

1905 წელის 31 მარტს წინანდლის მეურნეობის გაფიცული მუშები მოითხოვდნენ: 8-საათიან სამუშაო დღეს, ხელფასის მომატებას; დღიური მუშა კაცისათვის 40 კაპიკის ნაცვლად 1 მანეთის მიცემას; დღიური მუშა ქალისათვის 25 კაპიკის ნაცვლად 50 კაპიკს; თვიურ მუშისათვის 11 მან. ნაცვლად 20 მან; ხოლო მუშას, რომელიც 20 მან. იღებდა 25 მან. უნდა მისცემოდა. ითხოვდნენ აგრეთვე, ღამის დარაჯობის გაუქმებას, ერთი თვის შვებულებას ჯამაგირის შენახვით. გარდა ამისა, ითხოვდნენ უფასო ღვინოს.

14 ჩახვაშვილი, ფურ. 49.

15 იქვე.

16 ეურნ. „მოგზაური“, 1905, № 14, გვ. 215.



მართალია, 1905 წლიდან მათ ეძლეოდათ 2 ვედრო ღვინო, მაგრამ ძალიან დაბალი ხარისხის¹⁷.

გლეხები მოითხოვდნენ აგრეთვე ტყით სარგებლობის უფლებას ხელსაყრელ ფასებში. საქმე იმაში იყო, რომ წინანდლისა და ალაზნის მარჯვენა მხარის მცხოვრებ გლეხობას ტყე თითქმის არ გააჩნდა. ხე-ტყეს ისინი წინანდლის მამულისაგან იძენდნენ საკმაოდ ძვირ ფასებში. გლეხობის მოთხოვნით 1000 ცალ ჭივოზე დაადგინეს 1 მანეთი, 1 ურემ შეშაზე 50 კაპიკი, ერთ ურემ ფიჩხზე 30 კაპიკი. ამ პერიოდში წინანდლის ტყეს ხშირად არბევდა სხვა სოფლის გლეხობაც. ამიტომ წინანდლის გლეხობამ გამოთქვა სურვილი, დაეცვა საუფლისწულო მამულის ტყე, იმ პირობით, თუ საუფლისწულო მამული ყოველწლიურად მიჰყიდდა მათ ხე-ტყეს ზემოაღნიშნულ ფასებში. ტყის დასაცავად გლეხობა ითხოვდა იარაღს. ამის შესახებ მამულის მმართველი აღნიშნავდა: ძნელია ენდო ამ შემთხვევაში გლეხებს, რადგან მოსახლეობის განწყობილება შეიძლება შეიცვალოს მოვლენათა განვითარების შესაბამისად. ასე რომ, დღეს კეთილად განწყობილი ხალხი მოსალოდნელია ხვალ რევოლუციონერთა მხარეზე აღმოჩნდეს. ამიტომ არ შეიძლება მოსახლეობას შეიარაღების უფლება მიეცეთო¹⁸.

გლეხობა მოითხოვდა საიჯარო ფასების შემცირებას. გლეხების მიერ დადგენილი ფასები ბევრად არ განსხვავდებოდა საუფლისწულო მამულის მიერ დაწესებული ფასისაგან, ამიტომ სამართველო წავიდა დათმობაზე, მით უმეტეს, რომ ამას შეიძლებოდა გლეხობაზე დადებითი გავლენა მოეხდინა. ტყის საკითხიც გლეხობის სასარგებლოდ გადაწყდა, რადგან მამულის ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ მას შემდეგ რაც მეურნეობის ვენახები მავთულზე იქნა გადაყვანილი, შესაძლებელია გლეხობამ ისარგებლოს ტყით. ამით ჩვენ მათ დიდ სამსახურს გავუწევთო.

კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორის აზრით არ უნდა დაეკმაყოფილებინათ მუშების დანარჩენი მოთხოვნები, თუ კი ისინი დაუყოვნებლივ არ შეუდგებოდნენ მუშაობას. მათი, ე. ი. მუშების სახელოსნოები უნდა დაეხურათ და მუშებისათვის გაესწორებინათ ანგარიში. მეურნეობაში უნდა მოეწვიათ დროებითი მეკასრეები, რომლებიც აღარ გაიფიცებოდნენ. უარი უთხრეს,

17 ურ. „მოგზაური“, 1905, № 15, გვ. 231.
 18 ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 1905—1906 гг., д. 685, лл. 191.

აგრეთვე, მევენახე მუშების მოთხოვნას 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღებაზე, რადგან შეუძლებელი იყო მრავალ წლიანი ადათ-ჩვეულების დარღვევა — მუშაობა იწყებოდა დილით ადრე და გრძელდებოდა გვიან დაღამებამდე. ხელმძღვანელობა წაიხიდა „დათ-მობაზე“ და ზაფხულში სიცხეების დროს, მუშაობის პერიოდში, ცოტათი გაზარდა დასვენების დრო.

უარყოფითი პასუხი მიიღეს მუშებმა ხელფასის მომატებაზეც. მუშების მოთხოვნა უფასო ბინით უზრუნველყოფის შესახებ დააკმაყოფილეს; ასევე თანხმობა მიიღეს გათბობის, განათებისა და შვეებულების ანაზღაურებაზე. მხოლოდ, აღნიშნავს ინსპექტორი. მუშებმა ასეთი რამ კატეგორიულად არ უნდა მოითხოვონო.

მუშები კატეგორიულად მოითხოვდნენ ოჯახრეცკოს განთავისუფლებას, რომელიც, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ძალიან ცუდად ეპყრობოდა გლეხობას.

საუფლისწულო მამულში მომუშავე მუშა, რომელიც დროებით დატოვებდა მეურნეობას სამუდამოდ კარგავდა სამუშაოს. სწორედ ამ წესის გაუქმების მოთხოვნაზე მუშებმა მიიღეს პასუხი: საუფლისწულო მამულების დეპარტამენტი მანამ დახურავს თავის სამეურნეო დაწესებულებას, სანამ ასეთ რამეს დაუშვებდესო¹⁹.

მუშას, რომელიც მუშაობის პროცესში დაკარგავდა შრომის უნარს, ეძლეოდა ერთდროული დახმარება, მუშები კი მოითხოვდნენ მუდმივ დახმარებას პენსიის სახით, მაგრამ მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს და მის ნაცვლად შესთავაზეს დაზღვევა.

მუდმივი მუშები მოითხოვდნენ შვილების უფასოდ სწავლას. სწავლას თვითონ სამმართველოც დიდ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ იგი ითვალისწინებდა საჭირო კადრის მომზადებას და არა გლეხის შვილების აღზრდას. სამმართველო ამ პერიოდში აშენებდა სკოლას, შედგა სასკოლო პროგრამა, რომელიც დაამტკიცა საუფლისწულო მამულების სამმართველომ.

მუშები მოითხოვდნენ აგრეთვე გაფიცვების პერიოდში ხელფასის ანაზღაურებას და იმ მუშების დაჯილდოებას, რომლებიც მუშაობდნენ ღამით. მუშების ეს მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს. მთავარი საუფლისწულო სამმართველო თვლიდა, რომ კახეთის საუფლისწულო მამულების მუშები გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ, ვინემ სხვა უწყების მუშები. თითქოს სამმარ-

¹⁹ ЦГИАЛ, Ф. 515, оп. 88, л. 1324, лл. 2—3 об.



თველომ გაიზიარა მუშების მდგომარეობა და მნიშვნელოვნად გაუზარდა მათ ხელფასი. სინამდვილეში ეს იყო მუშების მოტყუება. მართალია, სამმართველო წავიდა ზოგიერთ დათმობაზე, მაგრამ ეს იყო დროებითი და მიზნად ისახავდა მუშების დაწყნარებას. ამავე დროს მთავრობა იმუქრებოდა და აცხადებდა, რომ მუშების ასეთმა საქციელმა შესაძლებელია მიგვიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ საუფლისწულო მამულების უწყება შეუძლებლად ჩათვლის მუშაობას ასეთ არანორმალურ პირობებში და დაკეტავს წარმოებას, სანამ არ დაწყნარდება მუშათა მოძრაობა²⁰.

გლეხთა რევოლუციური მოძრაობისა და გაფიცვების შესახებ ვაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა: „როგორც სხვა სოფლებში, გლეხთა მოძრაობამ აქაც იჩინა თავი. 30 მარტს წინანდალში თავი მოიყარა რამდენიმე სოფლის გლეხობამ, პირველად მივიდნენ სასოფლო სამმართველოსთან და ჩამოიღეს „ვივესკა“; იქედან გაემართნენ თავ. მ. ჭავჭავაძის სასახლისაკენ, მოსთხოვეს თავადს ხელწერილი, რომ მიეცა მათთვის სახნავი და საძოვარი მიწები, ისე როგორც სხვა მხარეს მისცეს თავადებმა გლეხებს... მათ შეუერთდნენ სახელმწიფო ზვრის მუშები, რიცხვით 500 — 600 კაცი და წითელი დროშით (ჯოხზე წითელი ხელსახოცი გაეკეთებინათ) გაემართნენ სახელმწიფო ზვარში, აუხსნეს თავიანთი საჭიროება სახელმწიფო ზვრის მოურავს და სთხოვეს დღიური და თვიური ქირის მომატება. მოურავმა ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ ხელი მოაწერა და ქირა მოუმატა²¹.

2 აპრილს გაფიცულ მუშათა ერთმა ნაწილმა მუშაობა დაიწყო, ხოლო უმრავლესობა კი განაგრძობდა გაფიცვას, ვიდრე მთლიანად არ იქნებოდა დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნები. მამულის მმართველმა ზოგიერთ საიმედო მუშას აღუთქვა 10 — 10 შაურის მიცემა ჯილდოს სახით. რევოლუციონერი მუშები ჰკიცხავდნენ მოლაღატე მუშებს, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს, უცხადებდნენ ბოიკოტს, უნიშნავდნენ ამხანაგურ სასამართლოს²².

1905 წლის აპრილის პირველ რიცხვებში როგორც წინანდალის ისე მუკუშნის საუფლისწულო მამულის გაფიცულმა მუშებმა ხელმეორედ წარუდგინეს მამულის მმართველს თავიანთი მოთხოვნები. მოთხოვნები დაწერილი იყო რუსულ და ქართულ ენაზე.

20 ЦГИАЛ, ф. 515, оп. 88, л. 1324, л. 3—66.
 21 ვაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2789, გვ. 2.
 22 ნ. ჩახვაშვილის დასახ. ნაშრომი, ფ. 52.



წინანდლის საუფლისწულო მამულის მუშებთან ერთად გაიფიქრეს მამულში მომუშავე მუშა ქალები და ახალგაზრდობა, რომლებიც ითხოვდნენ ხელფასის მომატებას. სამმართველოს აღნიშნული მოთხოვნები არ დაუკმაყოფილებია²³.

მუშათა გაფიცვები და გამოსვლები მოსვენებას არ აძლევდა საუფლისწულო მამულების სამმართველოს, ამიტომ საუფლისწულო მამულებში სისტემატურად იყო ჩაყენებული ჯარის ნაწილები. 1905 წ. წინანდლის საუფლისწულო მამულებში ჩააყენეს ცხენოსანთა პოლკის მეოთხე ესკადრონი სამი ოფიცრით, ნაფარეულის მამულში კაზაკთა ნახევარი ასეული და მუკუზანში ჯარისკაცთა ერთი ნაწილი²⁴.

საუფლისწულო მამულების სამმართველომ ნება დართო ცალკეული მამულების მმართველებს მუშა-მოსამსახურისათვის მიეცა ერთდროული ფულადი დახმარება თითო თვის ჯამაგირის რაოდენობით, უმთავრესად იმათთვის ვინც 25 მან-ზე ნაკლებს იღებდა თვეში. ერთდროული ფულადი დახმარება მისცეს ისეთ მუშებს, რომლებიც გაფიცვებში არ მონაწილეობდნენ.

1905 წლის ოქტომბრის ბოლოს გაფიცვებმა კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. მუშები დაყინებით მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას ყველა იმ მუშისათვის ვისაც 1906 წლიდან 5 წლის მუშაობის სტაჟი ჰქონდა. მუშებმა მიადწიეს სასურველ შედეგს.

ცხრილი 21

საუფლისწ. მამულის დასახ.	წელი	მუშა კატ. ზე- 17 წლ. ვით	მუშებს 15 წლიდან 17 წლამდე	ბავშვებს 12 წლიდან 15 წლამდე	მუშა ქალებს 17 წლიდან ზევით	მუშა გოგონ. 15 წლიდან 17 წლამდე
		კაპ.	კაპ.	კაპ.	კაპ.	კაპ.
მუკუზანი	1906	60	45	30	40	30
	1908	60	45	30	40	30
	1908	60	45	30	40	30
წინანდალი	1906	55	40	25	35	30
	1907	60	45	30	45	40
	1908	65	45	30	45	40
ნაფარეული	1906	70	50	25	40	35
	1908	70	50	25	40	35
	1908	70	50			

23 იქვე, ფ. 53.
24 6. ჩახვაშვილი, იქვე, ფ. 54.

საუფლისწულო მამულებმა 1960 წლის ხარჯთაღრიცხვაში გაითვალისწინა ხელფასის გაზრდა²⁵.

საუფლისწულო მამულების სამმართველოს დეპარტამენტმა 1905 წლის 6 ივნისს მიიღო დადგენილება საუფლისწულო მამულებში დღიური მუშებისათვის 1906, 1907, 1908 წლებში საშუალო ჯამაგირის დაწესების შესახებ. მოყვანილი ცხრილი²⁶ ცხადყოფს გაფიცვების შედეგად მუშების მიერ მიღწეულ წარმატებას.

1905 წლიდან ხელფასს არიგებდნენ სამუშაო საათებში, დასვენების დღეებში კი რამდენიმე საათით აღრე. დღიურ მუშებს მოემატათ ხელფასი 10-დან 17%-მდე. ამავე წლის 1 ივლისიდან მუშებს აძლევდნენ ნავთს წელიწადში 11¹/₂ ფუტს. შეშის გაცემა იწყებოდა 15 ოქტომბრიდან თითოეულ მუშაზე 1/2 საყენი. ნახევარი საყენი მზადდებოდა საუფლისწულო მამულის ხარჯზე, დანარჩენი კი საკუთარი ხარჯით. ხშირ შემთხვევაში მუშა ვერ ამზადებდა შეშას, რადგან საყენი შეშის დამზადება 6—8 მან. ჯდებოდა.

1905 წლის 10 ივნისს მოთხოვნის შედეგად ნაფარეულისა და მუკუზნის საუფლისწულო მამულებში მოაწყვეს აბანოები მუშებისათვის. მიღწიეს აგრეთვე ორკვირიანი შვებულების შემოღებას ხელფასის შენახვით, ხოლო სხვა გუბერნიებიდან ჩამოსულ მუშებს აძლევდნენ თითო თვის შვებულებას.

ზემოაღნიშნული შეღავათებით, რაც მუშებმა თავიანთი გაფიცვებით ხელიდან გამოგლიჯეს თვითმპყრობელობას, სარგებლობდნენ 1915 წლამდე.

მუშათა გაფიცვები 1906 წელსაც გრძელდებოდა. ყოფრიო ყოველნაირად ცდილობდა დაეწყნარებია მუშები და განეახლებია მუშაობა. იგი ძველებურად მიმართავდა დაშინებას. მან მეკასრე მუშებს სამუშაოზე გამოცხადების უკანასკნელ ვადად პირველი ივნისი დაუნიშნა. თუ ისინი პირველი ივნისიდან არ შეუღებოდნენ მუშაობას, სახელოსნოს სამუდამოდ დახურავდა.

მეკასრე მუშებთან ერთად გაიფიცნენ თვიური მუშები და მუშა ქალები; ისინი მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას და სამუშაო დროის შემცირებას²⁷.

25 ნ. ჩახვაშვილი, იქვე, ფურ. 63.
26 იქვე, ფურ. 64.
27 იქვე, ფურ. 70.

1906 წლის 3 ივნისს წინანდლის მამულის თელიანელმა მფლობელმა ურმა, თვიურმა და მუდმივმა მუშებმა ჟოფრიოს ქართულ ენაზე დაწერილი მოთხოვნები წარუდგინეს და განუცხადეს: „ვიდრე არ დააკმაყოფილებთ ჩვენს მოთხოვნებს მუშაობას არ განვაახლებთ“²⁸. 4 ივნისს მუშათა გაფიცვებმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო და მამული სრულიად უმუშახლოდ დარჩა. აუცილებელ სამუშაოებს თვით ხელმძღვანელობა ასრულებდა.

ჟოფრიო ყოველნაირად ცდილობდა დაეყოლებია მუშები მუშაობის განახლებაზე. სოციალ-დემოკრატიული პარტიის აგიტატორები მოუწოდებდნენ გაფიცულ მუშებს არ დაეთმოთ.

მეურნეობაში დარჩნენ მხოლოდ ის მუშები, რომლებიც სეტყვის საწინააღმდეგო ზარბაზნებზე მუშაობდნენ, რადგან ეს ემსახურებოდა გლეხობასაც. ჟოფრიო იმუქრებოდა, რომ, თუ მუშაობას არ განაახლებდნენ, შეწყვეტდა სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლას.

5 ივნისს უკვე გაფიცული იყო მამულის ყველა მუშა, გაფიცვებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო.

ამჯერად მუშებმა უფრო დაწვრილებითი მოთხოვნები წარუდგინეს მამულის მმართველს, ისინი მოითხოვდნენ:

1. მეკასრე მუშების თვიურ მუშებად მიღებას, თვეში 40 მანეთის დანიშვნას და უფასო ბინას გათბობითა და განათებით.
2. 9-საათიანი სამუშაო დღის დაწესებას.
3. შაბათობით 12 საათამდე მუშაობას, შემდეგ კი ხელფასის დარიცებას.
4. მუშები, რომლებიც 15 მან. იღებდნენ ხელფასის გაზრდას 20%-ით.
5. 20 მან-ის მქონე მუშების ხელფასის გაზრდას 10%-ით.
6. ყველა თვიურ მუშას უნდა მისცემოდა უფასო ბინა და 10 გირ. ნაეთი.
7. ახლად მიღებული მუშისათვის თვეში 20 მანეთის მიცემას.
8. დღიურ მუშას (მამაკაცს) დღეში, ზაფხულში 1 მან., ზამთარში 80 კაპ.
9. ქალებს ზაფხულში — 60 კაპ., რთველზე — 50 კაპ.
10. ბავშვებს, 7—10 წლამდე, დღეში — 25 კაპ.
11. ბავშვებს, 10—15 წლამდე, დღეში — 35 კაპ.
12. თელიანის მამულიდან ოფჩარენკოს დათხოვნას.

²⁸ ნ. ჩახვაშვილი, იქვე, ფურც. 70.

13. ნათარეულიდან პირახოვის დათხოვნას.

14. თავაზიან დამოკიდებულებას. წულუკიძისა და სხვების ალაგმვას.

15. მუშების მიღმაფგანთავისუფლების საქმის გადაცემას მუშების ხელში.

16. სეტყვის საწინააღმდეგო ზარბაზნებზე მომუშავეთათვის მორიგეობის დაწესებას.

17. თვეში 2 კვირა მუშაობას და 3 მან. ჯამაგირს.

18. უბედური შემთხვევისათვის დაზღვევას.

19. საპენსიო ვადა 10 წელი.

20. მუშის შვილების უფასოდ სწავლებას.

21. რთველის დროს ღამით მომუშავეთათვის ხელფასის გაორკეცებას²⁹.

22. დღე-ღამეში განუწყვეტელი მუშაობის მოშლას.

23. გაფიცული დღეების ანაზღაურებას.

24. ღამის დარაჯის განთავისუფლებას უქმე დღეებში.

25. ყველა თვიური მუშისათვის 1 თვის შვებულებას.

26. დათხოვნილი მუშების უკანვე მიღებას.

27. მუშების დაქირავებული ბინის ქირის საუფლისწულო მამულის მიერ გადახდას³⁰.

მუშებმა თავისი მოთხოვნები ორ ნაწილად გაჰყვეს და განაცხადეს რომ სანამ მოთხოვნების 1 ნაწილს არ დააკმაყოფილებთ—მუშაობას არ განვაახლებთო.

ყოფრომ ეს მოთხოვნები გაუგზავნა კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორს, რომელმაც მუშების ძირითადი მუხლების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა, მან მხარი დაუჭირა მეორე-ხარისხოვანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. კერძოდ, ძლიერ სიცხიან დღეებში მუშებისათვის შესვენების 3 საათამდე გახანგრძლივებას. ამ შემთხვევაში ინსპექტორი თავისი ინტერესებიდანაც გამოდიოდა, რადგან ძლიერ სიცხეებში შესრულებული სამუშაოები უხარისხო და ვაზისათვის მავნებელიც იყო. იგი თანახმა იყო აგრეთვე ღამე მომუშავეთათვის ხელფასის გადიდებაზე, თუ კი მუშა და მმართველი შეთანხმდებოდნენ, ასევე დათანხმდა დაშვებული მუშებისათვის დახმარების გაწევაზე³¹.

29 ნ. ჩახვაშვილი, იქვე, ფურც. 73.

30 იქვე.

31 იქვე, ფ. 77.



ყოფრიო წერს: „ოფარენკოების საკითხი რთულდება, მათზე მეტად ბევრი და მრავალგვარი საჩივარი შემოდის, რომელთა გარეშევა ერთბაშად შეუძლებელია და საჭიროა მთელი კვლევა-ძიების ჩატარება“³².

1906 წლის 6 — 7 და 8 ივნისს ჟოფრიომ კიდევ გააფრთხილა მუშები, თუ ისინი არ გამოცხადდებოდნენ სამუშაოზე დაითხოვდა მათ. მიუხედავად ამისა მუშებს მუშაობა არ განუახლებიათ.

9 ივნისს ჟოფრიომ დაიბარა მამულის ყველა მუშა და კიდევ ერთხელ გამოუცხადა, თუ ისინი დაუყოვნებლივ არ დაიწყებდნენ მუშაობას, ყველა გაფიცულს დაითხოვდა და ანგარიშს გაუსწორებდა, მაგრამ ვერც ამ გაფრთხილებამ გამოიღო მათთვის სასურველი შედეგი³³. ამავე დღეს გაფიცული მუშები დაითხოვეს და დაუნიშნეს ანგარიშის გასწორების დღე. ამავე დროს კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორს აცნობეს, გამოეგზავნა ფული ანგარიშის გასასწორებლად³⁴.

მუშების დათხოვნამ და ანგარიშის გასწორების გამოცხადებამ ზოგიერთი მუშა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და 10 ივნისს ნაწილობრივ მუშაობა განაახლა.

ჟოფრიოს მოთხოვნით 1906 წლის 10 ივნისს, კაპიტან პაულის ხელმძღვანელობით, წინანდალში სამხედრო რაზმი ჩავიდა, რომელსაც მამულის ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა ემოქმედა. რაზმს, რომელიც 32 კაცისაგან შედგებოდა, საცხოვრებელი სახლი გამოუყვეს. საზრდო მათთვის ადგილობრივ გლეხობას უნდა გამოეღო³⁵.

აღნიშნული ჯარის ნაწილების გარდა წინანდალში იმყოფებოდნენ ყუბანის პოლკის კაზაკები. თელავის მაზრის ხელმძღვანელობა თელავში მათ გადაყვანას ფიქრობდა, მაგრამ ამაზე არ დათანხმდა სამმართველო. მართალია მუშებმა განაახლეს მუშაობა — აღნიშნულია თელავის მაზრის უფროსისადმი გაგზავნილ მიმართვაში — მაგრამ მოსახლეობის განწყობილება ჯერ კიდევ არ არის სრულიად ჯანსაღი. და თუ დღემდე არაფერი მომხდარა ეს იხსენება აქ ქვეითი ჯარისა და კაზაკთა პოლკის ყოფნით³⁶. ამ დროს სამივე

32 ნ. ჩახვაშვილი, იქვე, ფ. 79.

33 იქვე, ფ. 82.

34 იქვე.

35 ЦГИАЛ, ф. 515, оп. 88, д. 1324, лл. 4.

36 იქვე, ფურც. 13 — იბ.



საუფლისწულო მამულში მიმდინარეობდა რთველი, სადაც აიუშვილები ვებდნენ კაზაკებსაც. გარდა ამისა, კაზაკების თანხლებით მიჰქონდათ ფული მეურნეობისათვის. მამულის ხელმძღვანელობის აზრით კაზაკების აქ დარჩენა აუცილებელი იყო.

ბოლშევიკური პარტიის საგაფიცვო კომიტეტმა გადაწყვიტა 11 ივნისს სოფ. წინანდალში მოეწყო მიტინგი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ წინანდლის, ნაფარეულისა და მუკუზნის საუფლისწულო მამულის მუშები. მიტინგის ჩაშლის მიზნით სოფ. წინანდალში დილიდანვე გაგზავნეს ჯარისკაცები და პატრულები. აქვე ჩაატარეს ჯარის ნაწილების საველე მეცადინეობა. მიუხედავად ამისა, მიტინგი მაინც შედგა, მან დიდი როლი შეასრულა გაფიცვების გაგრძელების საქმეში. 12 ივნისს წინანდალში ისევ ყველა მუშა გაიფიცა³⁷. ამავე დროს მუშები არ ცხადდებოდნენ ანგარიშის გასასწორებლად.

1906 წლის 5 ივლისს საუფლისწულო მამულებში გაფიცვები თითქმის შეწყდა და განახლდა მუშაობა. სამუშაოზე აღადგინეს ყველა მუშა, გარდა ერთისა, რომელიც აგიტაციას ეწეოდა წინანდალში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებში. მუშები აღადგინეს ხელფასის დაკლებით, შემდეგი პირობით: თუ კი ისინი რთველის დამთავრებამდე იმუშავენდნენ კარგად და შემჩნეული არ იქნებოდნენ „ცულ“ საქმეში, მაშინ მათ მისცემდნენ დაკავებულ თანხას. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშა დაკარგავდა ყველაფერს. მუშები დაჟინებით მოითხოვდნენ გაფიცვების პერიოდის ხელფასს, მაგრამ ამ მოთხოვნას ყურადღებას არ აქცევდნენ. „საკასრე სახელოსნო დაკეტილია, მუშაობენ მხოლოდ წლიური მეკასრეები, — აღნიშნავს წინანდლის მამულის მმართველი კავკასიის ინსპექტორისადმი გაგზავნილ მიმართვაში, — მუშაობის დაწყებას 1 აგვისტომდე არ ვაპირებთ შემდეგ შესაძლებელია მივიღოთ უკან სამსახურში ზოგიერთი განთავისუფლებული მეკასრე, მაგრამ მეკასრი შერჩევით. ამჟამად შედარებით სიწყნარე სუფევს, მაგრამ მოულოდნელი არაფერია იმაში, რომ აგიტაცია ხელახლა არ გამოიწვევს გაფიცვებს რთველის დროს. ეს კი მეტად სერიოზულია და კარგი იქნება გვეჩონოდა საშუალება მუშებად გამოგვეყენებია ადგილობრივი ბატალიონი, რომელიც რეზერვშია (150 — 157 კაცი); თუმცა ამას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა სამუშაო ობიექტი. გაფიცვების

37 ნ. ჩახვაშვილის დასახ. ნაშრომი, ფურც. 84.



შემთხვევაში ჯარისკაცების დახმარებით შესაძლებელი გახდა მდ. მტკვრის სახლეობის გარეშეც იოლად წავსულიყავით და შემდეგ მთლიანად შეგვეწყვიტა სამუშაოები ვენახებში ახალ წლამდე. მთელი ყურადღება ამჟამად გადატანილია ღვინოების დაძველებაზე; ახალგაზრდა მადულარი ღვინოების უმეტეაღყურეოდ დატოვება შეუძლებელია³⁸.

დიდი ზიანი მიაყენა გაფიცებმა მევენახეობას, იქ, სადაც ჩატარებული იყო 2 წამლობა გოგირდითა და შაბიამნით, მდგომარეობა ნორმალური იყო, მაგრამ იქ, სადაც წამლობა სრულიად არ იყო ჩატარებული და ვაზები აუკრავი დარჩა, ვენახები ძალზე დაზიანდა. ამ გარემოებამ გავლენა იქონია მოსავალზე და ღვინის ხარისხზე. მუშაობის განახლების შემდეგ მთავარი ყურადღება გაფიცებით გამოწვეულ ნაკლოვანებების აღმოფხვრას მიექცა.

განსაკუთრებით მწვავედ იმოქმედა გაფიცებმა სამშენებლო სამუშაოებზე, ვინაიდან ერთდროულად გაიფიცნენ კალატოზები, ღურგლები და მევენახეები. მიუხედავად მუშაობის განახლებისა, ამ ობიექტზე ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო აღდგენილი ძველი მდგომარეობა.

1906 წლის 5 ივნისს გაფიცვები დაიწყო ნაფარეულის მამულშიც. მუშებმა ამჟამად მამულის ხელმძღვანელობას წარუდგინეს სტამბაში დაბეჭდილი იგივე მოთხოვნები. აღნიშნული ფაქტი პარტიული ხელმძღვანელობის დიდ მუშაობაზე მიუთითებს. როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ გაფიცებამდე ბოლშევიკური პარტიის აგიტატორები სისტემატურად მიდიოდნენ ნაფარეულის საუფლისწულო მამულის მუშებთან და მოუწოდებდნენ მათ წინანდლისა და მუკუნის საუფლისწულო მამულების მუშებთან ერთად ერთდროული გაფიცებისაკენ, ერთიანი ფრონტის შესაქმნელად³⁹.

აგიტატორთა აღნიშნული საქმიანობის გამო, ნაფარეულის საუფლისწულო მამულის მმართველი მარკოვი, 1960 წლის 8 ივნისს, სამმართველოს ინსპექტორს ატყობინებდა: „დაწყებული ა/წლის ივნისიდან ჩემთან შემოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ხან სოფელ ნაფარეულში, ხან კი მამულის მუშებში მოდიან სხვადასხვა პირები, რომლებიც აგულიანებენ მუდმივ, დროებით-თვიურ და დღიურ მუშებს შეუერთდნენ კახეთის ყველა სამივე საუფლისწუ-

38 ЦГИАЛ, ф. 515, оп. 81, л. 1324, л. 16.
39 ნ. ჩახვაშვილის დასახ. ნაშრომი, ფურც. 87.



ლო მამულის საყოველთაო გაფიცვას. შეიმჩნევა მუშების მშფოთ-
ვარე განწყობილება. ამის გამო მე 3 ივნისს, მუშაობის შემდეგ
თავი მოვუყარე ყველა თვიურ მუშას და ვესაუბრე მათ. გავა-
ფრთხილე რა ჩემამდე მოსული ხმების შესახებ, იმის შესახებ, რომ
მათში დადიან გარეშე პირები და ჩემის მხრივ ვურჩიე მოერიდონ
მათ მომავალში და ფრთხილად, მოფიქრებულად მოიქცნენ⁴⁰.

5 ივნისს ნაფარეულის მმართველს მარკოვს ნაფარეულის გა-
ფიცული მუშებისათვის უკითხავს, თუ რატომ გაიფიცნენ; მუშებს
ამაყად განუცხადებიათ: „დაგვიბრუნეთ გირაოები და მოგვეციოთ
ჯამაგირი“⁴¹.

ხანდაზმულ მუშებთან ერთად გაფიცულან მუშა-ახალგაზრდე-
ბი, რომლებიც ვენახებს წამლავდნენ გოგირდით. ნაფარეულის მუ-
შებს შეერთებიან წინანდლის მუშებიც, რის შემდეგ კიდევ უფრო
ფართო ხასიათი მიუღია გაფიცვებს. მამულებში შეწყვეტილა თით-
ქმის ყოველგვარი სამუშაოები. ნაფარეულის მამულის მმართველს
მარკოვს ჯარისკაცები ჩაუყენებია ვენახებში, მათი საშუალებით
აკეთებდნენ კიდევ ცოტაოდენ საქმეს. მაგალითად, ჯარისკაცები
უვლიდნენ ცხენებსა და მუშა საქონელს. ვენახებს დარაჯობდნენ
ინგუშები, რომლებიც ადრე ტყის მცველებად მუშაობდნენ. ვენა-
ხებში არ უშვებდნენ, არც უცხო პირთ და არც მამულის მოსამსა-
ხურებს.

მეტად აღელვებულმა მმართველმა მარკოვმა 9 ივნისს მუშებს
დაუნიშნა ანგარიშის გასწორების დღე, მაგრამ ამ დღეს არც ერთი
მუშა არ გამოცხადდა. მარკოვი სამმართველოს ინსპექტორს ატყო-
ბინებდა, რომ ყველა მუშას გამოეცხადა ბრძანება მათი განთავი-
სუფლების შესახებ, მაგრამ დღემდე არც ერთი მუშა არ გამოც-
ხადებულა, ვინაიდან მათ ხელმძღვანელები უკრძალავენ ანგარიშის
აღებას⁴².

მუშათა გაფიცვები მიმდინარეობდა პარტიული მუშაკების
ხელმძღვანელობით, რომლებიც ყველა საკითხს ათანხმებდნენ მუ-
შათა საგაფიცვო კომიტეტთან და იმ აგიტატორებთან, რომლებიც
წინანდალში იმყოფებოდნენ.

თელავის მაზრის საგაფიცვო კომიტეტი და აგიტატორები სის-
ტემატურ დახმარებას უწევდნენ საუფლისწულო მამულების გა-

40 ნ. ჩახვაშვილი, იქვე, ფურც. 88.

41 იქვე.

42 იქვე, ფურც. 90.

ფიცული მუშების ოჯახებს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ქონდა მუშათა გაფიცების ხანგრძლივობისათვის⁴³.

აგიტატორების მხრივ გაფიცული მუშებისათვის გაწეულ ფულად დახმარებაზე მარკოვი, 1906 წლის 8 ივნისს, ინსპექტორისადმი გაგზავნილ მოხსენებაში წერდა: „როგორც ხმები დადის აგიტატორები მუშებს ამხნეებდნენ და აძლევდნენ ფულს და მომავალშიც პირდებოდნენ დახმარებასო“⁴⁴.

1906 წლის ივნისის გაფიცებმა დიდი ზიანი მიაყენა ნაფარეულის საუფლისწულო მამულის სეზონურ სამუშაოებსაც; თივის დიდი ნაწილი და ქერი აუღებელი დარჩა. მიუხედავად ამისა, ნაფარეულის მამულის მმართველი მარკოვი არამცთუ თანხმდებოდა მუშათა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, არამედ სამუშაოების შეწყვეტას მოითხოვდა, რაც კარგად ჩანს ინსპექტორისადმი მიწერილ წერილში: „...უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებლად მიმაჩნია რამდენიმე ხნით ყველა სამუშაოს შეჩერება.

იმედი მაქვს, მოკლე ხანში ვიშოვნი სრულიად ახალ მუშებს (არ ავიყვან არც ერთ წინანდელ მუშას) და მათი საშუალებით დავამთავრებ აკრას, ვენახების შეწამვლას, ავიღებ თივისა და ქერის მოსავალს; ხოლო შემდეგ შეიძლება მუშების გარეშე იოლად წასვლა ვენახების მოკრეფამდე. უკიდურეს შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ უფრო რაციონალური იქნებოდა ჩვენი მხრით სამუშაოების შეჩერება მაშინაც კი, თუ თვითონ მუშები თვითონ მოისურვებენ მუშაობას, ამით ვაჩვენებდით, რომ ჩვენ ყოველთვის გვაქვს შესაძლებლობა გაფიცვას მუშაობის შეჩერებით ვუპასუხოთ“⁴⁵.

გაფიცებმა ნაფარეულის საუფლისწულო მამულის მმართველი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. მან გადაწყვიტა მუშების მეზობელი სოფლიდან მოყვანა, მაგრამ აგიტატორთა მუშაობის შედეგად მეზობელი სოფლების გლეხობა მხარს უჭერდა გაფიცულ მუშებს და უარს აცხადებდა საუფლისწულო მამულებში მუშაობაზე, ამის შესახებ მარკოვი ინსპექტორს ატყობინებდა: „როგორც წინათ ვფიქრობდი, ვერ შევძელი მუშების შოვნა სხვა სოფლებში. ვინაიდან გაფიცვის ხელმძღვანელობას შემოუვლია ახლო-მახლო სოფლები და ცემის მუქარით აუკრძალავს ყველასათვის საუფლის-

43 ნ. ჩხვაშვილი, იქვე, ფურც. 91.
44 იქვე, ფურც. 89.
45 იქვე, ფურც. 91.

წულო მამულში სამუშაოზე გამოცხადება, რასაც იძულებითი მატება ქონდა კიდევ⁴⁶.

ნაფარეულის საუფლისწულო მამულში გაფიცვები ივნისის 13 — 14 რიცხვამდე გრძელდებოდა. აღნიშნული გაფიცვები მუშათა ნაწილობრივი გამარჯვებით დამთავრდა. დააკმაყოფილეს მოთხოვნების ერთი ნაწილი, რის გამო ზოგიერთმა მუშამ ხელი აიღო გაფიცვაზე და დაიწყო მუშაობა. 13 ივნისს თელავიდან დაბრუნდნენ გაფიცული კალატოზები, ღურგლები, მღებავები. 14 ივნისს სამუშაოზე გამოცხადდა 4 მუდმივი მუშა, 15 ივნისს ვენახებში სამუშაოდ 22 თვიური, 7 დროებით-თვიური მუშა გამოვიდა. 16 ივნისს სამუშაოდ გამოვიდნენ 26 თვიური და 17 დროებით — თვიური მუშა, აგრეთვე 13 ქალი და რამდენიმე დღიური მუშა.

მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვები შეწყდა და მუშების ერთმა ნაწილმა მუშაობა განაახლა, მუშათა და გლეხთა მღელვარება და რევოლუციური მოძრაობა დიდხანს არ შეწყვეტილა. ეს კარგად ჩანს მარკოვის მიერ ინსპექტორისადმი 1906 წლის 16 ივნისის წერილში, სადაც ვკითხულობთ: „მე უკვე მაქვს ცნობები თელავიდან ნაფარეულში ჩამოსული აგიტატორების შესახებ, ხოლო დღეს დაიწყო მღელვარება მამულის დროებით-თვიურ მუშებში, რომლებიც გაფიცვებზე გადასვლით იმუქრებიან“⁴⁷.

წინანდლისა და ნაფარეულის მუშათა გაფიცვებთან ერთად გაფიცვები დაიწყო მუკუზნის საუფლისწულო მამულშიც. გაფიცულმა მუშებმა ისეთივე მოთხოვნები წაუყენეს მამულის მმართველს, როგორც წინანდლისა და ნაფარეულის საუფლისწულო მამულის მუშებმა. გაფიცვებში მონაწილეობდა ყველა დარგის მუშა⁴⁸.

46 ნ. ჩახვაშვილი, იქვე, ფურც. 91.

47 საქ. ც. ს. ა. ფონდი, 89, საქმე 332, ფურც. 40 — 43.

48 «9-го июня сего года около обеда, как я уже имел честь... забастовали все рабочие вверенного мне имения. Забастовка это была вызвана давлением и угрозами со стороны Цинандальских рабочих, которые забастовали шестью дням раньше. Наши рабочие в течение этих 6 дней не соглашались прекратить работу, несмотря на сильную агитацию каких то посторонних лиц, приехавших из Телави, но затем когда их настрашали тем, что в них будут бросать бомбы, они оставили работу и предъявили те же самые требования, что Цинандальские рабочие. На все главные требования я ответил категорическим отказом. обещал лишь войти с ходатайством относительно открытия школы в нашем по образцу Цинандаль-



✓ მუკუზნის მმართველმა პენრიხ ჰაინემ უარი განაცხადა მუკუზნის მიერ წამოყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

გაფიცვების გამო მუშახელის გარეშე დარჩა მუკუზნის საუფლისწულო მამული. მმართველმა ჰაინემ ღებეშით შეატყობინა სიღნაღის მაზრის უფროსს და თხოვა მამულის დასაცავად ჯარისკაცების ან ჩაფრების გაგზავნა. 10 ივნისს სიღნაღიდან ჩამოვიდა ცხენოსანთა პოლკის ნახევარი ესკადრონი, 11 ივნისს კი ნახევარი ასეული პორუჩიკ ფრიდეს მეთაურობით. ამის შესახებ მაზრის უფროსი არნოლდი 1906 წლის 9 ივნისს თბილისის გუბერნატორს ატყობინებდა: „დღეს გაიფიცნენ მუკუზნის საუფლისწულო მამულის მუშები. ამჟამად ვაცნობე დრაგუნთა ერთი ოცეულის გამოგზავნის შესახებ, რომელსაც შეცვლის ლორის პოლკის ასეული.

ской. Немедленно после начала забастовки я телеграфировал Сигнахскому уездному начальнику о командировании для охраны имения войсковой части. На другой же день к вечеру пришло пол-эскадрона драгун, а еще через день полурота пехоты. Ввиду того, что рабочие до 18-го июня не вставали на работу, я послал сельским старшинам объявление о том, что все рабочие Мукузанского имения уволены от службы и имеют получить расчет 19 сего июня.

За расчетом никто из постоянных рабочих не явился; 20 июня я стал набирать новый комплект рабочих и взял в этот день 14 человек, которые тотчас же встали на работу, а с ними встали с моего разрешения и все пришлые и несколько местных постоянных рабочих.

Увидя, что дело приняло для остальных очень печальный оборот, на другой же день, то-есть 21 июня, все рабочие явились ко мне в 5 часов утра и стали просить о пощаде, обещая впредь никогда не слушаться агитаторов и постараться добросовестной работой загладить свой проступок. Видя искреннее раскаяние со стороны рабочих, я разрешил им встать на работу, но с условием, что я буду ходатайствовать за них пред вашим превосходительством об обратном приеме их на службу и о прощении им их хотя и вынужденной забастовки, но при непременно условии удержания жалования за все время ее. Все временно месячные были уволены и обратно я их не принял. Теперь у нас в имении получилось месячных рабочих на 14 человек больше положенного штата. Уволить вновь принятых значило бы обмануть их и тем подорвать свой авторитет, с другой стороны, не принять теперь всех старых рабочих значило бы заставить продолжать забастовку, которая хотя для нас и не страшна, но которая все же давала бы повод различным злонамеренным лицам торжествовать и кричать об единодушной забастовке во всех удельных имениях. Это заставляет меня обратиться с ходатайством к вашему превосходительству об утверждении временно всего штата рабочих, тем более, что новых ассигно-



სამხედრო ძალის ჩამოსვლამდე იქ მივლინებულია ბაკურციხის ბოქაული სტრაქნიკებითურთ“⁴⁹.

საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველოს განკარგულებით 1906 წლის ივნისის თვეში გააუქმეს გაფიცული მუშების მონაპოვარი, რასაც მუშათა დიდი უკმაყოფილება მოჰყვა.

მუშათა გაფიცვები კახეთის საუფლისწულო მამულებში იმდენად გაფართოვდა რომ ჯარის იქ ჩაყენებამ საქმეს ვერ უშველა. თბილისის გუბერნატორმა თვითონ შემოიარა წინანდლის, მუკუზნისა და ნაფარეულის მამულები, იგი მუქარით ცდებოდა ხალხი დაეწყნარებია, მაგრამ არც მუქარამ გაჭრა. ამის შესახებ გაზეთი „ლამპარი“ წერდა: „რეაქციით დაგუბებულმა ხალხის ენერგიამ ფართოდ გადმოხეთქა თავის ნაპირები და თავი იჩინა გაფიცვებში. გაფიცვა ეპიდემიასავით მოედო კახეთს. ის დაიწყო პირველად საუფლისწულო მამულებში. 500-600 გლეხმა მუშამ ერთდროულად თუმცა სხვადასხვა ადგილას, მიატოვა მუშაობა და წარუდგინა „უღლების“ ადმინისტრაციას თავიანთი მოთხოვნები. მოთხოვნები სულ უბრალო იყო და მათი დაკმაყოფილება არ გაუჭირდებოდა „უღელს“. მაგამ ბ-ნი გამგეები ვერ შეუძრიდნენ ამ აზრს, თუ როგორ გაბედა ტეტია გლეხმა გაფიცვა! როგორ გაბედა მოთხოვნა, თხოვნის მაგივრად! მერე ისიც სად? საუფლისწულო მამულებში. ამნაირად საუფლისწულო მამულების ადმინისტრაცია შეაშფოთა არა მოთხოვნათა სიმძიმემ, არამედ თვით ფაქტმა — გაფიცვამ და ამიტომაც გადაწყვიტეს არ დაეთმოთ მუშებისათვის არავითარ შემთხვევაში. ისინი მზად იყვნენ, დაღუპოდან მთელი წლის მოსავალი, ოღონდ მუშებს კი თავისი არ გაეტანათ. გაფიცვის მესამე დღიდანვე ჩააყენეს ზვრებში ყაზახები და სალდათები და მუშებს ახლოსაც არ იკარებდნენ. იყო ერთი მაგალითი, როდესაც მუშა მოსულიყო კა-

ваний не потребуется, так как им надо будет уплатить из кредита на поденных рабочих, и вся разница выразится только в нескольких пудах керасина и в 10 к. с дров, зато у нас останется экономия в кредите на месячных, которая вполне компенсирует эту новую затрату. В заключение не могу обойти молчалим о выдающейся работе нижних членов Башкадыклярского батальона и их начальника поручика фриде, который целые дни проводит вместе с солдатами на работе в виноградниках. Точно также и все служащие веренного мне имени оказались на должной высоте, все словом и делом старались всеми силами помочь беде, не отказываясь даже от самых грязных работ». См. ЦГИА гр. ССР, ф. 351, л. 106, л. 5.

49 დასახ. ნაშრ., ფურც. 94.



რებთან რაღაც საქმისათვის, გამოვარდნოდნენ კაზაკები და ისევეცემათ, რომ ცოცხალ-მკვდარიღა წაეღოთ შინ... ზოგიერთ ადგილას უფროსებმა პროვოკაციასაც კი მიმართეს მუშების გასატეხად. ამ მხრივ ყველაზე მეტად ისახელეს თავი ნაფარეულის გამგე მარკოვმა და მეღვინე არხიპოვმა. ამათ ტკბილი სიტყვებით და სხვადასხვა დაპირებით მოისყიდეს რამდენიმე მუშა. ერთი მოსყიდული მუშის დახმარებით (კოზმანიშვილი) ბ-ნ არხიპოვს მოენდომებია მუშებთან პროვოკაციული მოლაპარაკება. გამოუცვლია ტანისამოსი და ღამე გაეგზავნა კოზმანიშვილი მუშებთან, რომ მოვიდა ერთი სოციალ-დემოკრატი და თქვენთან მოლაპარაკება უნდაო. მუშები შეკრებილიყვნენ და „სოციალისტ“ არხიპოვს დაეწყო ქადაგება: მე სოციალ-დემოკრატებმა გამოგზავნეს გირჩიოთ მუშაობაზე დადგომა, თორემ დაიღუპებითო... და სხვ. მხოლოდ ზოგიერთებს ეცნოთ. ამნაირი მუშმუშელობით მართლაც გატეხეს რამოდენიმე (23) მუშა და დააწყებინეს მუშაობა, მომეტებულად თვიური მუშები. საუკეთესო და შეგნებული მუშები კი დაითხოვეს. წინანდალსა, მუკუზანსა და ზეგანში გაფიცვა უფრო დიდხანს გაგრძელდა, თითქმის ერთ თვემდის. დააკმაყოფილეს ზოგიერთი მუხლი, მაგრამ მუშები მაინც არ თანხმდებოდნენ მუშაობაზე. მაშინ მიმართეს სხვა სახსარს, დაიწყეს სხვა მხრიდან მუშების შოვნა. ზეგანში მოიყვანეს სიღნაღის მაზრიდან 50 კაცი. მოსალოდნელი იყო შეტაკება ახლათ მოსულსა და ძველ მუშებს შორის, ამიტომ მუკუზანის მუშებმა გადაწყვიტეს მუშაობის დაწყება. დარჩა წინანდალი, ესენიც იძულებული გახდნენ მოეხსნათ გაფიცვა, თუ უკანვე მიიღებდნენ ყველა მუშას, მისცემდნენ გაფიცული ღლების ფასს და სხვ. ყველა მუშა დააბრუნეს, გარდა ბონდრებისა. 16 კაცი და 8 შეგირდი დარჩა ულუკმაპუროდ. ბ-მა გამგემ ჟოფრიომ შური იძია, რადგან პირველად გაფიცვა ბონდარებმა დაიწყეს. თუმცა პირდება ისევ მიგიღებთო, მაგრამ ვინ იცის, ეს ვაჟბატონი ერთხელ ძალიან დიდი ლიბერალი იყო, ღღესაც კადეტს უძახის თავის თავს და კინაღამ რევოლუციონერიც კი გახდა „თავისუფლების დროს — ეხლა კი კაზაკების ხიშტების ამოფარებია და იძახის: „მუშები რასაც იღებენ ისიც მეტია მისთვისო“. ასეთია ბ-ნ ჟოფრიოს ლიბერალობა და ზოგიერთ გულუბრყვილო პირებსაც სწამთ იგი. მართალია გაფიცულმა მუშებმა მთლად ვერ გაიმარჯვეს, მაგრამ მათ ჩაყარეს საძირკველი მომავალი გამარჯვებისათვის. მათ მთელი თავისი სამაგალითო გაფიცვით დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ ბრძო-

ლა, ესმით მნიშვნელობა ერთობისა და სოლიდარობის და აი სრულად ეს არის თვალსაჩინო შედეგი გაფიცვისა“⁵⁰.

მუშათა გაფიცვებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო, იგი მოედო საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მყოფ ყველა საუფლისწულო მამულს, მუშები ადგენდნენ ეკონომიური და უფლებრივი ხასიათის მოთხოვნებს.

1906 წლის საყოველთაო გაფიცვების შემდეგ ყველა მუშა თიილეს სამუშაოზე შემცირებული ჯამაგირით. მოსალოდნელი უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად მუშებს დაპირდნენ, თუ კარგად იმუშავებდნენ და შემჩნეული არ იქნებოდნენ „ცუდ საქმეში“, მოემატებოდათ ჯამაგირი და ეპატიებოდათ გაფიცვებში მონაწილეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავდნენ ერთსაც და ნეორესაც. მუშები კი დაჟინებით მოითხოვდნენ გაფიცული დღეების ჯამაგირს.

მუშათა გაფიცვების წინააღმდეგ, რევოლუციური მუშების წინააღმდეგ საბრძოლველად და საუფლისწულო უწყების ქონების დასაცავად საუფლისწულო მამულებში ჩააყენეს რეგულარული ჯარის ნაწილები. 1906 წლის ივნისში წინანდალში იდგა „ჩერნომორსკი“ პოლკის ყუბანელ კაზაკთა მე-6 ასეული 79 ჯარისკაცითა და ოფიცრით, რომელთა შენახვა საუფლისწულო მამულებს ეკისრებოდათ. ოფიცერს დღეში 1 მან. ეძლეოდა, ჯარისკაცს კი თვეში 1 მან.

საუფლისწულო მამულების რევოლუციური მუშები აგიტაციას ეწეოდნენ თვითმპყრობელობის უხეში წესებისადმი დამორჩილებულ ჯარისკაცებში და მათში რევოლუციურ იდეებს ნერგავდნენ. ჯარისკაცთა შორის აგიტაციის გაწევაში შენიშნულ მუშას სამუშაოდან ითხოვდნენ და სასტიკად სჯიდნენ.

1906 წლის აგვისტოში მუკუზნის საუფლისწულო მამულში დრაგუნთა პოლკის ერთი ოცეული იდგა. გარდა იმისა, რომ ოცეული მამულსა და სალაროს იცავდა, ამავე დროს სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა რევოლუციური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. ჯარისკაცები თვითნებურად სჯიდნენ საუფლისწულო მამულების ტყეებში დაპერილ გლეხობას.

50 ვაზ. „ლაშქარი“, 1906, № 4, გვ. 8. 21. VII.



1906 წლის ივნისის საყოველთაო გაფიცებმა ზიანი მიყენა საუფლისწულო მამულებს. გარდა იმისა, რომ საგრძნობლად ცირდა მოსავალი, ამავე დროს დაეცა ხარისხიანობა.

მოსალოდნელი იყო კიდევ უფრო დიდი გაფიცვები 1906 წლის შემოდგომაზე, რთველის დროს, რაც დიდ ზიანს მოუტანდა მთელ მეურნეობას. აღნიშნული საშიშროების თავიდან აცილებას სამმართველო ჯარის ნაწილების გამოყენებით ფიქრობდა⁵¹.

პირობა, სამუშაოზე დაბრუნებული მუშებისათვის ჯამაგირის სრულყოფის შესახებ, საუფლისწულო მამულების სამმართველომ შეასრულა. ცხადია ეს იყო დათმობა მოსალოდნელი გაფიცვების თავიდან აცილების მიზნით. ეს მუშების დიდ გამარჯვებად ითვლებოდა, და ამან კიდევ უფრო შეაქავეშირა მუშები შემდგომ ბრძოლისათვის.

კახეთის საუფლისწულო მამულებში გლეხთა გაფიცვებს ადგილი ჰქონდა მომდევნო 1907 წელსაც. მართალია, რეაქციის ძალების გაძლიერების გამო, გლეხთა გამოსვლები და გაფიცვები შედარებით სუსტი და ხანმოკლე იყო, მათ მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

გლეხობის დარაზმვისა და გარეგოლუციონერების საქმეში დიდი როლი შეასრულეს ბოლშევიკურმა გაზეთებმა „ახალი დროება“ და „დრო“, სადაც ბეჭდავდნენ წერილებს რევოლუციურ მოძრაობაზე. აღნიშნული გაზეთები მოუწოდებდნენ გლეხობას შეერთებოდნენ ქალაქის მუშათა კლასს და ერთი ძალით ებრძოლათ რეაქციონერთა და ხალხის მჩაგვრელთა წინააღმდეგ⁵².

1907 წლის 8 მაისს კვლავ გაიფიცნენ ნაფარეულის ზვარში მომუშავე თვიური მუშები, რომლებიც, ხსენებითან ერთად, ჯამაგირის მომატებასა და სამუშაო დღის შემცირებასაც მოითხოვდნენ. მამულის მმართველმა მარკოვმა მოლაპარაკებითა და სიტყვიერი დაპირებით მოახერხა გაფიცვების შეჩერება. მიუხედავად ამისა, მაინც გაიფიცნენ ამავე მამულის მშენებლობაზე მომუშავე მუშები, რომლებიც დღიური ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ. აღნიშნული მუშების გაფიცვების გამო სრულიად შეწყდა სააღმშენებლო სამუშაო. ამის გამო თბილისიდან გამოიწვიეს სათანადო სპეციალობის მქონე მუშები⁵³.

51 ნ. ჩახვაშვილის დასახ. ნაშრომი, ფურც. 100 — 102.
 52 იქვე, ფურც. 104.
 53 იქვე, ფურც. 106.

1907 წლის გაფიცებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სექტემბრის გაფიცვა. სხვა საუფლისწულო მამულის მუშებთან ერთად გაიფიცნენ წინანდლის საუფლისწულო მამულის მუშებიც. როველი, რომელიც ფირანაანთელიდან და თელიანიდან უნდა დაეწყოთ დანიშნული იყო 1907 წლის 30 აგვისტოს. კრეფის დროს აქ, გარდა მუდმივი მუშებისა, ფართოდ იყენებდნენ მეზობელი სოფლებიდან მოსულ მუშახელს. მამულში ზედმეტი მუშახელის მოსვლით ისარგებლა მამულის მმართველმა და საგრძნობლად შეამცირა დღიური ხელფასი. მკრეფავ მუშებს დღეში დაუნიშნეს 30 კაპიკი მისივე ხარჯით, მეურმეებს კი თითო გზა ყურძნის გადატანაში 1 მანეთი. მიუხედავად ამისა, მუშები მაინც განაგრძობდნენ მუშაობას.

რევოლუციური კომიტეტის მიერ გამოგზავნილი აგიტატორების სიკო გოგუტელაშვილისა და ხელიკიჭაიას ხელმძღვანელობით გაიფიცნენ ორივე მამულის ყურძნის მკრეფავები და მეურმეებ. მათ დღიური ხელფასის მომატება მოითხოვეს: ქალებისათვის 30 კაპ. ნაცვლად 50 კაპიკი უნდა მიეცათ, მამაკაცებისათვის 1 მან., მეურმეებისათვის 1 მან. და 50 კაპ. აგიტატორებმა, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ, ოფიარენკოს ჩამოართვეს იარაღი. მუშებმა შეწყვიტეს კრეფა. მოვიდა კაზაკთა ოცეული.

საგაფიცვო კომიტეტმა განსაზღვრა არა მარტო საუფლისწულო მამულში მუშაობის დრო და ხელფასი, არამედ ხელფასი და პირობები იმავე მამულში მომუშავე მეფურგონეებისა და მეურმეებისა, რომლებსაც საუფლისწულო მამულების ღვინოები თბილისში ჩაჰქონდათ. საგაფიცვო კომიტეტის დადგენილებით თითო ფურგონზე უნდა დაედოთ არა უმეტეს 80 ფუთი ღვინისა და ქირად 30 მან. უნდა გადაეხადათ⁵⁴.

აღნიშნულმა გაფიცებმა დიდად შეაშფოთა მამულების ხელმძღვანელობა. მამულის მმართველმა მიმართა თელავის მაზრის უფროსს, თხოვნით — სასტიკი ზომები მიიღო რევოლუციური კომიტეტებისა და აგიტატორების წინააღმდეგ.

ამის შესახებ წინანდლის მამულის მმართველი კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორს ატყობინებდა: „...მე ვთხოვე ბოქაულს შემოევლო ახლო-მახლო სოფლები, დაეწყნარებია მცხოვრებლები და ამა თუ იმ საშუალებით ჩაეგონებია მათთვის—

54 ნ. ჩახვაშვილი, იქვე, ფურც. 106 — 107.



წასულიყვნენ სამუშაოდ, ხოლო, მეორე მხრივ, მხედველობაში ვიდე რა ის გარემოება, რომ ჩვენი თვიური მუშებიც შეიძლება მიმხრობოდნენ გაფიცულ მკრეფავეებს, მე განკარგულება გავეცი არ მიეცათ მუშებისათვის აგვისტოს თვის ხელფასი მანამდე, ვიდრე არ დაიწყებოდა კრეფა, ვინაიდან ეჭვი არ არის, რომ ჩვენი მუშები შეეცდებიან გავლენა იქონიონ თავის თანასოფლელებზე... „საჭიროა ადმინისტრაციამ ყველაზე სასტიკი და გადამწყვეტი ზომები მიიღოს თელავის რევოლუციური ორგანიზაციის მიმართ, რომელიც არეულობას აწყობს მოსახლეობაში. საჭიროა ადგილობრივი გარნიზონის შემადგენლობის გაძლიერება, რაც შეიძლება მალე, კახეთში ერთი ასეული კაზაკების ან ჯარის რომელიმე სხვა ნაწილის გამოგზავნით“⁵⁵.

გაფიცული მუშები და მუშა ქალები გადაჭრით მოითხოვდნენ დაეკმაყოფილებიათ მათი მოთხოვნები. ძალიან გაუჭირდა წინანდლის მამულს აქ არც ერთი მკრეფავი აღარ მუშაობდა. აღნიშნულ 1907 წელს კი აქ დაახლოებით 100 000 ფუთი ყურძენი იყო მოსაკრეფი. მამულის ხელმძღვანელობას ქიზიყელი მუშების იმედი ქონდა, რომლებიც მუკუზნის საუფლისწულო მამულში მუშაობდნენ, მათ დასაცავად კი ჯარის ნაწილები უნდა გამოეყენებიათ. წინანდალში კიდევ ჩააყენეს კაზაკები, მაგრამ არც ერთი ქიზიყელი მუშა არ დათანხმდა წინანდალში სამუშაოდ წასვლას, რის შედეგადაც წინანდლის საუფლისწულო მამულის მმართველი იძულებული გახდა მოემატებია ხელფასი მუშებისათვის.

...მე გადავწყვიტე რამდენიმედ გავუდიდო დღიური ხელფასი მკრეფავეებს და მეურმეებს, — პირველებს 40 კაპიკამდე, ხოლო მეორეებს 1 მან. და 20 კაპიკამდე. მუშები დათანხმდნენ ამ პირობას და 7 რიცხვიდან რთველი დაიწყო, და სრული წესრიგით მიმდინარეობს, მუშებიც მშვიდობიან განწყობილებაზე არიან“⁵⁶.

აგიტატორთა მუშაობის შედეგად 1907 წლის სექტემბერში მუშათა გაფიცვები დაიწყო ნაფარეულის მამულშიც. რთველი 2 სექტემბერს დაიწყო. აგიტაციის შედეგად ნაფარეულიდან და სხვა მეზობელი სოფლებიდან მოსულმა დღიურმა მუშებმა, ქალებმა და სეზონურმა მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა. ამავე დროს ჯამაგირის მომატებაც მოითხოვეს.

55 საქ. ც. ს. ა. ფონდი 89, საქმე 332, ფურც. 47—89.

56 იქვე, საქმე. 337 ფურც. 49.

მარკოვის აზრით ხელფასის მომატება სწორი არ იყო, რადგან შეიძლებოდა მუშებს ყოველ წელს მოეთხოვათ ხელფასის გადიდება. მან მეზობელ სოფლებში გაგზავნა თავისი კაცები საჭირო მუშახელის შესაკრებად, მაგრამ ყველამ უარი განაცხადა. მისი აზრით, ყველაფერში დამნაშავენი მხოლოდ აგიტატორები იყვნენ.

გაფიცვების გამო, 2 სექტემბერს, მარკოვი იძულებული გახდა ყურძნის მოსაკრეფად გამოეყვანა ყველა მუშა-მოსამსახურე, რომელიც კი მეურნეობაში იყო. სულ თავი მოიყარა 40 კაცმა, მაშინ როდესაც 140—150 კაცს მაინც უნდა ემუშავა ყურძნის კრეფაზე⁵⁷.

4 სექტემბერს თელავიდან ნაფარეულის საუფლისწულო მამულში ბოქაულის თანხლებით გაგზავნეს 28 ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი, რომლებიც მივიდნენ გაფიცულ გლეხებთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ არც ამ ცდას მოჰყვა სასურველი შედეგი. მუშები კვლავ განაგრძობდნენ გაფიცვებს და მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას.

გაფიცვები 6 და 7 სექტემბერსაც გრძელდებოდა; ამ დროისათვის კი მოსაკრეფი იყო 50 000 ფუთი ყურძენი. დღეში კი მხოლოდ 1000 ფუთამდე ყურძენს კრეფდნენ. სხვა ყოველგვარი სამუშაოები მთლიანად შეწყდა. მამულის მმართველი იძულებული იყო ეთხოვა კავკასიის მთავარი ინსპექტორისათვის ნება დაერთო გაეზარდა ხელფასი მუშებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსავლის დიდი ნაწილი განადგურდებოდა, მაგრამ ინსპექტორს არ სურდა მუშებისათვის ხელფასის გაზრდა. მუშები კი კვლავ განაგრძობდნენ გაფიცვებს⁵⁸.

გაფიცვებმა 11 სექტემბერამდე გასტანა. მარკოვმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა მუშათა მოთხოვნები. ქალებს 40 კაპიკი და მამაკაცებს 60 კაპიკი დაუნიშნა. პირველ ხანებში სამუშაოზე 15 ქალი გამოვიდა. 12 სექტემბერისათვის კი მათი რიცხვი 37-მდე გაიზარდა. ასე რომ, 17 სექტემბერისათვის მუშათა რიცხვმა 250 მიაღწია⁵⁹.

მიუხედავად ამისა, აგიტატორთა მუშაობა შემდეგშიაც არ შენელებულა, ისინი კვლავ განაგრძობდნენ აგიტაციას და მუშათა დარაზმვას. უალრესად დიდი დამსახურება მიუძღვის ბოლშევი-

57 ნ. ჩახვაშვილის დასახელებული ნაშრომი, ფურც. 111—112.

58 იქვე, ფურც. 113—115.

59 იქვე.

კურ პარტიას, რომელმაც აგიტატორ-რევოლუციონერთა საშუალებით უზრუნველყო ორგანიზებული გაფიცვები. ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართველი მუშებისა და გლეხების რევოლუციური მოძრაობის წარმატების საქმეში. აგიტატორები პირდაპირ მოუწოდებდნენ მუშებს განმათავისუფლებელი მოძრაობისაკენ. აი რას წერდა 1907 წლის 25 სექტემბერს ინსპექტორი გურსიკი: „უკანასკნელ ხანებში კახეთის საუფლისწულო მამულებიდან მიღებული ცნობებით, ამჟამად იმ ყოველგვარი რევოლუციური ორგანიზაციების გამო, რომლებიც მოკალათებული არიან ქალაქ თელავსა და მის ახლო-მახლო მიდამოებში, სრულიად უაზრო ხდება რაიმე მეურნეობის წარმოება. ის გარემოება, რომ ერთმა მუჭა აგიტატორებმა არ დაუშვეს ადგილობრივი მოსახლეობა მოეკრიფად ვენახები ნაფარეულის მამულში, რომ ორმა „ხულიგანმა“ გარეკა ყურძნის მკრეფავები წინანდლის მამულის თელიანის ბაღიდან, რომ მოჰკლეს ნაფარეულის მამასახლისი, რომლის დანაშაული მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი ჩააგონებდა მოსახლეობას არ დაეჯერებინათ აგიტატორებისათვის.. ადგილობრივ ხელისუფალთადმი მიმართვას დასახმარებლად და ასევე მათთვის იმ პირებზე მითითებას, რომლებიც დაუსჯელად აღელვებენ ადგილობრივ მოსახლეობას, სრულიად არავითარი პრაქტიკული შედეგები არ მოსდევს და შექმნილი მდგომარეობის შესაწყვეტად ენერგიული ზომების მიუღებლობა ისეთ მდგომარეობაში აყენებს საუფლისწულო მამულებს, როცა უფრო მიზანშეწონილი ხდება შეწყვეტოს თავისი კულტურული საქმიანობა, ვიდრე მუდმივი მოწმე იყოს იმ უმსგავსოებისა, რომელსაც სჩადიან ყოველი სახის უსაქციელო, განმათავისუფლებელ მოძრაობას ამოფარებული ადამიანები“⁶⁰.

მუშათა გაფიცვები და რევოლუციური მოძრაობა საუფლისწულო მამულებში 1908 წელსაც გრძელდებოდა; მუშათა მოძრაობა და მღელვარება ისე გაიზარდა, რომ ჯარის ნაწილების გარეშე საუფლისწულო მამულებში შეუძლებელი ხდებოდა სამუშაოს შესრულება.

1908 წლის აპრილის დამდეგს მუშათა გაფიცვებმა იფეთქა მუკუზნის საუფლისწულო მამულში. 4 აპრილს გაიფიცნენ დღიური მუშებიც. სხვა მოთხოვნებთან ერთად ისინი მოითხოვდნენ ჯამაგირის მომატებას და სამუშაო დროის შემცირებას. გაფიცვები

⁶⁰ საქ. ც. ს. ა. ფონდი 89, საქმე 337, ფურც. 43 — 44.

18 აპრილამდე გაგრძელდა. რეაქციის გაძლიერების მიუხედავად აგიტატორები არალეგალურად კვლავ ახერხებდნენ გაფიცვების გახანგრძლივებას⁶¹.

1908 წელს გაფიცვებს ადგილი ჰქონდა წინანდლის საუფლისწულო მამულშიც. გაიფიცნენ მეურმე გლეხები, რომლებიც ქირით მუშაობდნენ თავიანთი ურმითა და თავიანთი ხარჯით⁶². მათი ღვინო გადაჰქონდათ მუკუზნიდან წინანდლის სარდაფში. 100 ვედრო ღვინის ადგილზე მიტანაში გლეხებს ადრე 4 მანეთს აძლევდნენ. ცარიელი ჭურჭლის უკან გადმოტანა კი უფასოდ უხდებოდათ. ახლა კი გლეხები ერთი გზის გაკეთებაში ითხოვდნენ 5 მანეთს, გარდა ამისა, ცარიელი ჭურჭლის გადმოტანაშიც თხოულობდნენ ფულს.

ამ მდგომარეობიდან გამოსვლას პ. ჰაინე ფიქრობდა საკუთარი გამწევი ძალის გაზრდით, რომელიც დააკმაყოფილებდა მამულის ყველა საჭიროებას და დამოკიდებული არ იქნებოდა კერძო მეურმეებზე.

ქახეთის საუფლისწულო მამულებში მომხდარმა გაფიცვებმა უდიდესი გავლენა მოახდინა ამიერკავკასიის საუფლისწულო მამულების მუშებზე, მათ შორის ქართლის (ყოფილი მუხრან ბატონის) მამულებში მომუშავე მუშათა გაფიცვებსა და რევოლუციურ მოძრაობაზე.

ამრიგად, მუშათა გაფიცვებსა და გამოსვლებში, რომელიც საკმაოდ ორგანიზებულად მიმდინარეობდა, დიდი როლი შეასრულა

61 საქ. ც. ს. ა. ფონდი 89, საქმე 337, ფურც. 119.

62 «Забастовка и стачки с требованием повышения заработной платы стали у нас за последнее время явлением заурядным.

В настоящий момент столкнулись арубщики, перевозившие в предыдущие годы вино из Мукузанского имения в Цинандальский подвал. Они не только теперь сами не возят, но путем угроз принуждают отказываться и всех других, желающих взять перевозку вина. Кроме того они, как говорят, постановили не допускать никаких подрядчиков, а перевозить вино всякому, кто явится за ним без всякой круговой ответственности за него и при этом назначали плату в 5 рублей за конец, причем за перевозку порожних бочек, высылаемых из Цинандалы за вином, плата особая, какая не знаю. Надо сказать, максимальная плата до сих пор равнялась 4 рублям за перевозку 100 ведер; порожние бочки перевозились бесплатно... Назначение 5 рублей за конец есть не что иное, как начальство арубщиков, которые думают, что без них мы ничего не поделаем и дадим им такую цену, какую им заблагорассудится будем назначать» См. ЦГИА гр. ССР, ф, 351, д. 152, л. 72.

რსდმპ კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტმა. ბოლშევიკების პარტია რაზმავდა მუშათა კლასს და გლეხობას მემამულე კაპიტალისტებისა და მათი ინტერესების დამცველი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. თბილისის კომიტეტის მიერ კახეთში გაგზავნილმა აგიტატორებმა დიდად შეუწყვეს ხელი საგაფიცვო მოძრაობას. ისინი რაზმავდნენ და არწმუნებდნენ გლეხობას მათი საქმის გამარჯვებაში. კახეთის საუფლისწულო მამულეების გლეხთა გაფიცვებმა ხელიდან გამოგლიჯა მთავრობას რიგი შეღავათები, რითაც ნაწილობრივ გაიუმჯობესეს ეკონომიური პირობები. ამდენად კახეთის საუფლისწულო მამულეებში მომხდარმა გაფიცვებმა დადებითი როლი შეასრულა კავკასიის მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში.

დასკვნა

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში იწყება წარმოების ფეოდალური წესიდან კაპიტალისტურზე გადასვლის პროცესი. რეფორმის შემდეგ ეს პროცესი კიდევ უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობს.

საგლეხო რეფორმის შემდეგ მემამულეებმა დაკარგეს იაფი მუშახელი. მათ წინაშე დაისვა საკითხი, თუ როგორ დაემუშავებინათ თავიანთი მიწის ფართობები.

მემამულეთა ერთმა ნაწილმა გადასწყვიტა თვითონვე გასძლიოდა თავის მეურნეობას, შეეგუებია იგი ახალი კაპიტალისტური ურთიერთობისათვის. მემამულეთა დიდი ნაწილი კი იძულებული იყო თავისი მამული ნაწილ-ნაწილ გაეცა იჯარით, დაეგირავებია ან გაეყიდა. მემამულეთა უმცირესობა კიდევ უფრო აფართოებდა თავის მეურნეობას, ახდენდა მიწების თავმოყრას, ყმის შრომასთან ერთად ფართოდ იყენებდა დაქირავებულ მუშახელს. იძენდა საკუთარ ინვენტარს და დიდი რაოდენობით აწარმოებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტს ბაზრისათვის. ამ. საქართველოში ასეთი მეურნეობებს ეკუთვნოდა: — ბაგრატიონ მუხრანსკის, გ. ერისთავის, კ. ერისთავის, ს. ანდრონიკაშვილის, დ. აფხაზის და სხვ. დას. საქართველოში: მ. ერისთავის, ნ. ჩიჯავაძის, პ. წულუკიძის და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ მემამულეთა რიცხვი, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს მეურნეობის წარმოებას და უფასო ყმის შრომას-

თან ერთად ფართოდ იყენებდნენ დაქირავებულ მუშახელს, ვაცილებით მეტი იყო ვიდრე დღეს არის ცნობილი. მათი არსებობის შესახებ თითქმის არაფერი არ იწერებოდა.

ზემოაღნიშნული მემამულეებისაგან განსხვავებით კახეთის საუფლისწულო მამულებში მხოლოდ დაქირავებული მუშახელით აწარმოებდნენ მეურნეობას; აქ შეიძინეს და თავი მოუყარეს დიდძალ მიწის ფართობებს, წარმოებაში დანერგეს ახალი გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები, სწრაფად განავითარეს სავაჭრო მიწათმოქმედება; ხელი მოჰკიდეს ნიადაგის ლაბორატორიულ შესწავლას, ამდიდრებდნენ მას ქიმიური და მინერალური სასუქებით.

საუფლისწულო უწყებამ კოლოსალური თანხები დააბანდა წარმოებაში, რომელსაც თავისი სასაქონლო პროდუქციით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მხარის ეკონომიკაში.

იჯარა, რომელსაც საუფლისწულო მამულებში იყენებდნენ, არსებითად განსხვავდებოდა როგორც ფეოდალურ მეურნეობაში არსებული იჯარისაგან, ასევე სხვა, კაპიტალიზმის გზაზე დამდგარ, მამულებში არსებული იჯარისაგან. საუფლისწულო მამულებში იჯარა აგრარული ურთიერთობის ძირითად ფორმას არ წარმოადგენდა. აქ მიწას იჯარით სცემდნენ მიწის სავარგულედ გადაქცევის მიზნით. ამავე დროს იგი მეურნეობას უზრუნველყოფდა მუშახელით. საუფლისწულო მამულისათვის უცხოა სანაშენო იჯარა, რომლის დროსაც ვენახის ერთი ნაწილი მოიჯარის საკუთრება ხდებოდა. იჯარით აღებულ მიწას კი ამუშავებდნენ დაქირავებული მუშახელი.

თუ დავით ქავჭავაძის მთელი მამული იჯარით იყო გაცემული და აგრარული ურთიერთობის ძირითად ფორმას იჯარა შეადგენდა კახეთის საუფლისწულო მამულებში აგრარული ურთიერთობის ძირითად ფორმას დაქირავებული შრომა წარმოადგენდა. მეურნეობაში ყველა სახის სამუშაოებს ასრულებდნენ მხოლოდ დაქირავებული მუშახელით.

წარმოებაში ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დანერგვით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მეორე მხრივ მანქანებმა მუშახელი ნაწილობრივ განდევნა წარმოებიდან, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ბრძოლა მემამულესა და გლეხობას შორის.

„კაპიტალიზმმა შექმნა ახალი, სოციალური მიწათმოქმედების ტექნიკური და მეცნიერული პირობები, სწორედ მან მოახდინა მიწათმოქმედებაში რევოლუცია მანქანებისა და ხელოვნური სასუ-

ქების საშუალებით, მიკროსკოპისა და ქიმიური ლაბორატორიის საშუალებით, და ასე წარმოიშვა მსხვილი კაპიტალისტური წარმოების უპირატესობა შედარებით წვრილ გლეხურ წარმოებასთან¹.

ბაზრისა და მრეწველობის განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა სარკინიგზო მშენებლობის წარმოებამ. მხოლოდ რკინიგზების საშუალებით გახდა შესაძლებელი რუსეთის განაპირა რაიონები დაახლოებოდა ცენტრალურ რაიონებს. თავის მხრივ რკინიგზებმა განაპირობა მძიმე მრეწველობის განვითარება; რამაც დიდი როლი ითამაშა საერთოდ საწარმოო ძალთა განვითარებაში.

კახეთის საუფლისწულო მამულებში კაპიტალი იქმნებოდა ნებითდაქირავებული მუშახელის მიერ გაწეული შრომის ექსპლოატაციის ხარჯზე. აქ წარმოებული ნედლეული წარმოადგენდა საქონელს.

კახეთის საუფლისწულო მამულებში მომუშავე გლეხ-მუშებს უაღრესად ცუდ საყოფაცხოვრებო პირობებში უხდებოდათ მუშაობა. მუდმივი მუშები ცხოვრობდნენ მიწურებში; მოხელეები-საგან განიცდიდნენ ჩაგვრას და დამცირებას. მცირე ხელფასმა და უკიდურესად ცუდმა ეკონომიურმა პირობებმა განაპირობა საუფლისწულო მამულების მუშათა აქტიური მონაწილეობა 1905—1907 წლების რევოლუციაში, სადაც დიდი როლი ითამაშეს რსდმპ კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტმა. თბილისის კომიტეტის მიერ კახეთში გაგზავნილმა აგიტატორებმა დიდად შეუწყვეს ხელი საგაფიცვო მოძრაობას. ისინი რაზმავდნენ და არწმუნებდნენ გლეხობას მათი საქმის გამარჯვებაში. გლეხობამ გაფიცვების მეოხებით შთაერობას ხელიდან გამოგლიჯა რიგი შეღავათებისა. კახეთის საუფლისწულო მამულებში მომხდარმა მუშათა გაფიცვებმა გარკვეული როლი შეასრულა საერთოდ კავკასიის მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., გამოცემა IV, ტ. 4, 1950, გვ. 184.

ს ა რ ჩ ი ვ ი

შესავალი	5
თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. კახეთის საუფლისწულო მამულების წარმოშობა	21
თ ა ვ ი მ ე ო რ ე. კახეთის საუფლისწულო მამულები 1885—1921 წლებში	47
1. წარმოების საშუალებანი და შრომის იარაღები	47
2. შრომის ორგანიზაცია და დაქირაებული მუშახელი	70
3. იჯარა	76
4. მევენახეობა-მელვინეობა, კავშირი ბაზართან	82
5. სკოლა	107
6. ქსენონი	111
თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. მუშათა მდგომარეობა. გაფიცვები	119
დასკვნა	152

Тенгиз Барнабович Чхеидзе

УДЕЛЬНЫЕ ИМЕНΙΑ В КАХЕТИИ

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი შ. ხ ა ნ თ ა ძ ე

გამომცემლობის რედაქტორი ც. თ ო ლ უ ა

ტექნიკური: ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ე ა

კორექტორი ი. დ ო ნ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 29.7.1967; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.12.1967;
ქალაქის ზომა 60×90^{1/16}; საბეჭდი თაბახი 9.75; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 8.24; ტირაჟი 2000; შეკვეთა 1169; უც01431
ფასი 79 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

